30.512
ა 2

პანრი ბარბიუს

ეს რა უყვეს საქართველოს



სახალხამი 1930

ეროვნული ბიბლიოთეკა

9(C.9ᲬᲐ) + 9(C.1ᲬᲐ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანრი ბარბიუს

აი, რა უყვეს საქართველოს

თარგმანი ფრანგულიდან:
არისტო ჭუმბაძის

К 30.512
3

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ * ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ * ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲯ. ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სახელგამი 1930 ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიგრაფტრ. მე-2 სტამბა,
ლენინის ქუჩა, № 3
ტირაჟი 2.000. შეკვ თა 352.
მთავლიტი № 320

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I

კავკასიის სალამოები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი ა ნ ე ულ ი

ჩემ მიერ ამ საღამოს, სხვა საღამოთა შორის, გაცნობილი სახეები მკაფიოდ აღიბეჭდენ ხსოვნაში. იმერული ოდის ჩინებულს დარბაზში ვისხედით მაგიდას იდაყვდაყრდნობილნი. საამო სანახაობა იყო, მოსვენებითა და დაისის ბინდით აღვსილი. მაგიდის შუაგულს დადგმული ნავთის ლამპარი კუბისტურ სურათივით თეთრად და შავად აჭრელებდა იქაურობას: სახეებს ოქროთი ავარაყებდა, ბლუზებსა და კედელზე გაკრულს დიდ აფიშას კი— ვერცხლით ასევადებდა.

ჩაისა და ვახშმის მოლოდინში, ტიხარს იქით რომ შიშინით მზადდებოდა, ყველანი, ამ წუთის მასპინძლებიცა და ერთი საღამოს სტუმრებიც, მაგიდაზე ვართ წახრილნი. ბაასობენ, ამთქნარებენ, ღიმიებიან: ღიმილი ამას ინტელიგენტურ სახეს უშუქებს, იმათ კი ერთად რომ სხედან, გლეხური იერი გადაჰკრავსთ, ეგერ სამი, რომელთაც კარგა ვხედავ, იქით კიდევ სხვები, ვისაც ვერ ვამჩნევ.

ოთხი საათი ვიარეთ ცხენით ხორხებსა და ბნელში, სანამ აქ მოვიდოდით. იმ წუთიდან, როცა ანაზდად შეყრილ ხალხს ცხენიდანვე მივესალმეთ, ხეობანი და ჭალები ბინდმა თვალის დახამხამებაში მოიცვა. თითქმის ფანტასტიური იყო ეს ღამური მგზავრობა ძარღვიანის მთიური ცხენით: უნაგირს დასკუპებული სავსებით მინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობილხარ ამ ცოცხალ მოტორსა და ჰქანაობ, შორს ვგრძნობ. მის უსწორ-მასწორო გზის ხმა-ური, ნალის ჭახუნი და ხრეშის წაწკუნი. მთელი გზის მანძილზე განვიცდიდით სიარულის ამ იძულებულსა და გეომეტრიულ რიტმს. შემდეგ თვალდახუჭულივით ჩამოვიაოთ საშინელი დაღმართები, წრიაპები, რომელთა ნაპირას უეკრად შევსწორდებოდით ხოლმე უნაგერზე და ცხენის მოძრაობას ვაყოლებდით ჩვენი სხეულის მიმოხვრას; გავიარეთ ღრანტეები და ხრამები, გავფონეთ ჩქარი ხევები. სიბნელის გამო რომ თვალით არ დაგვინახავს, თუმცა გარკვევით გვესმოდა მათი აქაფებული შხეილი. და, ბოლოს, როცა ამ განათებული სახლის წინ ჩამოვხდით, გვარიანად დაღლილნი და ფეხებ გაფშიკებულნი ვიყავით.

ნეტავ, სადა ვართ? საფრანგეთი შორსაა. არც რუსეთია ახლოს. საქართველოში ვართ, შუა-გულ გურიაში, —იანეულში.—ალბად აზიაში (რადგან ეს სწორედ ის ადგილია, რომელზედაც გეოგრაფები თითქოს ვერ შეთანხმებულან).

ქართველები ლამაზი ხალხია. სიმართლე უნდა ითქვას, რამდენადაც მეტს ვმგზავრობ, იმდენადვე ნაკლებ განსხვავებას ვამჩნევ სხვადასხვა რასებს შორის: დიდხანია ხალხთა აღრევამ შესცვალა ის თავისებურებანი, რასაკ ჰავა და ისტორია ჰქმნის, და წმინდა ეთნოგრაფიული ტიპი ამჟამად ისე გვეჩვენება, როგორც გამონაკლისი, ხშირად კი როგორც კარიკატურა. მიუხედავად ამისა, ქართველები მაინკ უფრო ლამაზები არიან, ვიდრე სხვები (რაც შეეხება ქალებს, ეს უპირატესობა მათთვის არც ისე თვალსაჩინოა). აბა მოიგონეთ: უზარმაზარი თეთრ-ხუჭუჭა ქუდებით მორთულნი ძველი მწყემსები, რომლებიც კლდოვან მიდამოებსა, შეკიბულ მინდვრებსა თუ ოდნავ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამწვანებულს უდაბნოებში გაფანტულან; რა საუკეთო თვალები აქვთ, რა უნაკლო სახეები, ზემოდან რომ თოვლის ფიფქივით აბულულებული ფაფანაკი ჩრდილავს.

თანდათანობით და სათითოოდ ვაკვირდები ამ კაცებს, როცა იგინი ბაასში არიან გართულნი: ამ ბერიძეს, კობიძეს, თოდორიას, იმ საღამოს რომ გავიცანი. ძალიან უბრალო ადამიანები არიან, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, გულღია და წრფელი, პირდაპირის ცქერითა და დინჯის კილოთი, მათი გულწრფელობა, ისე როგორც მთელი ამ კეთილშობილი ხალხისა, მათსავე სახეზეა აღბეჭდილი.

მასწავლებელმა კობიძემ სიტყვა ჩამოაგდო ამიერკავკასიაზე; რასებისა და ერების სავალ გზებზე, სწორედ აი აქ, ჩვენს ფერხთა წინაშე რომ ჯვარედინდებიან; ევროპისა და აზიის კარებზე, ეგერ რომ ჭიატებს: ერთი სიტყვით, ევროპისა და მსოფლიოს დიდ საკითხებზე. კობიძეს (და სხვებსაც) ტანთ აცვია კავკასიური, მაღალსაყელოიანი ტილოს ბლუზა, რომელიც წინ იღილება (რუსული ბლუზა კი—გვერდზე). თავზე ჭვარტლისფერი ქსოვილის ფართო ტიურბანი ჰხურავს, რომლის ორივე ტოტი მარჯვნით აქვს ჩამოშვებული: გეგონება, XIV საუკუნის შაპერონიაო.

ერის ისტორიული წარსულიდან (წარსული მარმარის შავი რამ დაფაა, რაზედაც ეს მინანქარი იხაზება და იხატება) მან გამოგვიჩინა რამდენიმე მაღალი და წარჩინებული პიროვნება: თამარ-მეფე, ყველგან რომ სუფევს და ყოველ ლეგენდას რომ აკოცხლებს,—და არ არის არც ერთი ქართული ხატი. ეკლესიის არც ერთი შინაკედელი, სადაც ვერ ნახო მისი სახე, ვერცხლითა თუ ოქროკედით ნაქარგის გრძელი საეკლესიო წამოსასხამითა და გვირგვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით შემკული. გვიჩვენა აგრეთვე ხალხის გულში აოსტა-კლებ წმინდად დაცული დიდი მგოსნის, შოთა რუსთველის მოუბარი სახე, თამარის (და ფილიპ—ავგუსტის) თანამედროვე რომ ყოფილა, და ანტიური კოლხიდისა და ძველის-ძველი ჩერქეზეთის ბევრი სხვა რაინდი თუ მგოსანი.

კობიძემ ქებით მოიხსენია საქართველოს დიდება, რომელიც მის თვალებში ბრწყინავდა, და როცა იგი წარსული დროის მუშათა ნახევრად ლეგენდარული გმირობის ამბებს მოგვითხრობდა, მისი ქამრის ვერცხლის ბალთები ყოველს მოძრაობაზე ნაზად წკარუნებდენ, ვით კედლის საათის ბორბორელა.

შემდეგ ჩურჩულით დაუმატა:

— დიახ, ბევრი ტანჯვა გაგვიგლია, ბევრი.

ეს იყო, ასე ვთქვათ შესავალი, პირველი კარი იმ თაობათა ცხოვრებისა, რომელნიც დიდიხანია გადასულან; ახლა კი ჩვენს თვალ წინ გადაიშალა მთელი საშინელება იმ წამებისა, რაც საუკუნეთა განმავლობაში ოცეს დასტეხია ამ ქვეყანას: სიმშილობა, ომი, კვლავ სიმშილობა და მუდამ უბედურება.

ახლა თავიანთი ცხოვრების შესახებ, მოხუცთა და ყრმათა, მათთვის და მათზე ლაპარაკობენ, ვიდრე დღევანდელ მომენტს შეეხებოდენ. ადამიანი მუდამ ასეთია: როგორ შეიძლება ერთი თვალი მაინც არ მოავლო წარსულსა და არ გადმოშალო განვლილი საშინელი განცდანი და ტრაღიკული ამბები. აი, მაგალიდად, რა ხდებოდა ჩვენში თუ სხვაგან მეფის მონობის დროს.

„ჩემი დედ-მამის შვილთა შორის მე ყველას უმცროსი ვიყავი. თვალში რომ ჩავვარდნოდი, ხელსაც არ ამოისვამდენ, რადგან სნეული ვიყავი. ჩემთვის რძე იყო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირო. გადასახადის ამკრებმა, რომლისაც ორი მანეთი
გვემართა, ვალში ძროხა წაგვართვა; ყველანი უკან დავე-
დევნეთ ტირილითა და ვედრებით (ძროხაც კი გაუძალდა,
წაყოლა არ სურდა), ჩემი პაწია დაჲ ყვავილებს ჰყიდდა.
ერთხელ, ვილაც მდიდარს გაეკლო საკუთარის ეტლით,
მთელი კალათა ყვავილები წაერთმია და, როცა პატარას
საფასური ეთხოვა, მეეტლეს სულ შოლტით გაესიებინა
იგი"...

მერე სათითოოდ მოგვითხრობდენ ყველანი თუ რა
საძაგლობას ჩადიოდენ მეფის მოხელეები, ხარჯის ამკრებ-
ნი, თავად-აზნაურები, გათავხედებული რუსი, ოსმალო,
სომეხი, რომლებიც გააფთრებით სწიწკნიდენ ერთმა-
ნეთსა და საბრალო ხალხის ზურგზე მალაყს გადადიო-
დენ.

უნდა ითქვას, რომ ამ რაიონში პირწმინდად ქართ-
ველები სცხოვრებენ. არ არის არც ერთი კუთხე საქარ-
თველოში, სადაც ქართველები არ სცხოვრებდენ. მთელს
ამიერ-კავკასიაში ეროვნებანი გეოგრაფიულად ერთმანეთში
არიან გადახლართულნი, და მერე როგორ! მათი სახელ-
წოდების ნამდვილი გამორკვევა ჩემთვის შეუძლებელი
შეიქნა. შეგვიძლია, ორმოცამდე ვივარაუდოთ მათი რიც-
ხვი. ჩამოვთვლი: სომხები, თურქები, თურქმენები, ქურ-
თები, მეგრელები, რუსები, ბერძნები, ჩერქეზები, ებრა-
ელები, თუ არ ვილაპარაკებთ ოსებზე, სვანებზე,[1]) აფხა-
ზებზე, დაღესტნის ლეკებზე, ინგუშებზე, ყარაჩებზე — ზოგი
ადგილობრივი მკვიდრია, ზოგიც გარედან მოსული. ყვე-
ლა ამ ტომის შეხლა-შემოხლა, — რამდენიც ეროვნება, იმ-
დენივე გაუნელებელი შუღლი, — ნამდვილი რისხვა იყო
საქართველოსთვის საუკუნეთა განმავლობაში, განსაკუთ-
რებით მეფის მონობისა და მენშევიკების ბატონობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ რომ [illegible] მტკიცდენ აქა.

იანეულისთანა საქართველოში, არც გურიის მთელს ამ რაიონში, არაფერია.

— ოზურგეთშიო...

ამბობენ იმნაიშვილი და ჯორბენაძე.

მე რომ მკითხოთ, ოზურგეთს ვიცნობ. კიდეც მიცხოვრია იქ ქუჩებშიც გამივლია და სახლებშიც შევსულვარ. იგი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იანეული. ეს უკანასკნელი ერთი პატარა ყრუ სოფელია და მეც სწორედ იმიტომ მოკიხსენე იგი აქ, რომ მართლაც პატარაა და მიყრუებული, სადაც გლეხის ცხოვრება და სული აშკარად გამოსჩანს. ოზურგეთი გურიის მაზრის გულია.

იმნაიშვილი და ჯორბენაძე, რომელნიც ოზურგეთის ადმინისტრაციაში რაღაცას წარმოადგენენ, მოგვითხრობენ მის ისტორიას,—ნგრევისა და მწუხარების ისტორიას:

„აი რას წარმოადგენდა გურია,—ამბობენ იგინი,—ომის წინა ხანაში: მიუხედავად მაღალი „კულტურული“ დონისა (ამ ტერმინოლოგიას უნდა შევეჩვიოთ), მცხოვრებნი ღარიბები იყვნენ. მიწის სიმკირე, სიმინდის ძვირი და ერთფეროვანი კულტურა, ცოტაოდენი ხილეულობა. დამავიწყდა: ასიოდე ჰექტარი ჩაი.

„მეორეს მხრით, თავადთა უზარმაზარი სამფლობელოები. ამ ვაჟბატონებს უხვი შემოსავალი ჰქონდათ და ხელგაშლილნიც სცხოვრობდენ. მთელს ამიერ კავკასიაში ასე იყო. ოლდენბურგის პრინცმა რამდენიმე ათასად გაგრაში მილიონებად ღირებული მამული შეიძინა, აი რას ნიშნავს მეფის გვარეულობის შთამომავალი, — ხოლო ბორჯომში დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ კი—70.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰექტარი. მერე, როგორ მოხდა ესა? ძალიან ადვილად. მოეწონა იქაურობა, შევიდა და გლეხები გამორეკა. მინისტრები და ყოფილი მმართველები ყელამდე აივსენ მდიდარი მამულებით... მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს კუთხეს—გუოიაში რკინის გზა არ იყო, იგი რაღაც განმარტოებულსა და მწუხარულ კუნძულს წარმოადგენდა.

ცარიზმის პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეეშლება მეტი შრომა და გადასახადი გამოეწურა თავის კავკასიურ ახალშენებიდან, მთავარი კი გამარუსებელი პოლიტიკა იყო, ესე იგი გადაეგვარებინა ყოველი ქართველი და მისგან პირწმინდა რუსი შეექმნა, უსახო და უვიცი, უწინარეს ყოვლისა უვიცი, რადგან ნეფობის მისწრაფება უვიცობის განვითარება იყო. არავინ გაბედოს ქართული ლაპარაკი! ნამდვილი ომი ქართულ ენას, სასტიკადაა აკრძალული მი'ი ხმარებაო.

„წარმოიდგინეთ, მეგობრებო, რომ რუსეთის თავადაზნაურობა, 19 0 წლის ყოილობაზე ს.-პეტერბურგს, ასე ევ დრებოდა მეფის მთავრობას: „ნუღარ ინებებთ პოველდაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლების გახსნას მთელს რუსეთში მანამდე, სანამ ერთგულსა და ღვთისმოსავ მასწავლებლებს მოამზადებდ ნ; გლეხთა შვილებს გაუძნელეთ სკოლებსა და უნივერსიტეტებში შესვლა, ებოაელები კი იქიდან სრულიად განდევნეთო."

„ასეთ ჩინებულს ოუსულ დირექტივებს ფიცხლად და უდიერად ახორციელებდენ. სოფლელი საკურტნე ცხოველები (გლ ეხებზე ძოგახსენებთ), ოაკი თავიანთს ქვეყანაში საოჩოს ველარ შოულობდენ, გარბოდენ და ბევრი მათგანი ადესასა და ბათომში ეძებდა ზამთრობით საშუშაოს.

„თუმცა სხვა მრავალი კიდევ ამის უარესიც იყო:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელსაც არ გაგანძრევინებდენ. ოჰ, როგორ სძულდათ ჩვენში ყაზახები! 1905 წლის რევოლიუციამდეც,—რუსეთის რევოლიუციის სისხლისმღვრელი მთავარი რეპეტიცია რომ იყო,—ჩვენ რევოლიუციონერებად გვთვლიდენ. როცა ჩვენზე ლაპარაკობდენ, უთუოდ „ეურიის რესპუბლიკა“ უნდა ეხსენებინათ. და უნდა ითქვას, რომ იმ დროს სიტყვა „რესპუბლიკა“ გვარიანა მაგრად ისმოდა. მცხოვრებთა ორი მესამედი,—და მეტიც,—რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი თუ თანამგრძნობი იყო. მაგრამ ჩვენი რევოლიუციონური დემონსტრაციები ხშირად გაცუდებულა და ჩვენმა იერიშმაც 1905 წლ. რევოლიუციაში მარცხი განიცადა. კარგად ვიცნობდით დ-რ დუბროვინის შავრაზმელებსა (იმდროინდელ თეთრგვარდიელთა ბანდებს) და „**რუსი ხალხის კავშირის**“ ხულიგნებს,—ნაძირალებს! ყველა ესენი თავს დაგვესხენ, რათა უფრო მომქმედნი სრულიად გაენადგურებინათ, ხოლო გადარჩენილებისთვის თოფით, ხიშტით, მათრახითა და სხვა ამგვარი საშუალებით რუსი თვითმპყრობელობის სიყვარული ჩაენერგათ გულში. და რამდენი გასწყვიტეს ამისთვის! ჩემის თვალით მინახავს ჩრდილო-კავკასიაში, არმავირის რაიონში, ყაზახები რომ ხანჯლის წვეროთი აწერდენ ტანზე გლეხებს (სანამ დახოცავდენ) შემდეგ სიტყვებს: მშვიდობა და თავისუფლება,—რადგან საბრალო გლეხები მხოლოდ ამას მოითხოვდენ, – მერე გამოფაშვავდენ, შიგ ხორბალს უყრიდენ და ამოჭერავდენ,—რადგან ლუკმა პური იყო მათი სათხოვარი.

„1905 წლის შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, ლიბერალური რეფორმების მზგავსი რაღაც შემოიღეს. ფასადის ოდნავი რეფორმა ჩვენში მიწის (რომელიც თავადაზნაურებისა და მდიდრების ხელში დარჩა) თუ საიჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ფასის 50-10%-მდე დაკლებით გამოიხატა. მაგრამ ეს მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა, რადგან დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. 1907 წლიდან ფასმა კვლავ აიწია და მთელს ცხოვრებაში ისევ რუსი-მეფის მეთოდები გაბატონდა. ამ საშინლად მოუწყობელსა და მიმოსვლის საშუალებას განგებ მოკლებულს ქვეყანაში კვლავ ჩვეულებრივი სიმშილობა დაიწყო. მაგრამ მეფობის დროს ამაზე ლაპარაკი როგორ შეიძლებოდა. 1898 წ. პრესას ოფიციალურად განუცხადეს, სიმშილობაზე კრინტი არ დაძრაო. უფრო მეტიც, ნიკოლოზ II, ამ ხალხის მამა-მზრუნველმა, ბრძანება გასცა, პოლიციის ნებადაურთველად დამშეულებს დახმარება არავინ ალმოუჩინოსო.

— ხოლო რევოლიუციის შემდეგ?

— 1917? საქართველომ, თითქოს, დამოუკიდებლობა მოიპოვა. ასე ამბობდენ, თუმცა მცხოვრების არავითარი ცვლილება არ უგრძვნია. როცა ტფილისში მომარაგების უწყების ბეღლები დაიცალა, პირში ჩალაგამოვლებულნი დავრჩით. 1918-19 წ. ჩვენში საშინელი სიმშილობა განვიცადეთ. 1920 წ. ყველანი დამჭლეგებულნი და უკმაყოფილონი იყვენ.

— მუშებიო? მე მხოლოდ მაღაროს მუშებს დავასახელებ, რადგან მათ ჩიცხვს ვეკუთვნი,—სთქვა ერთმა, ჩვენი მდგომარეობა არა თუ საკალალო იყო მხოლოდ, არამედ საშიშიც. მაღაროები ყველგან გაუმაგრებელი, თავზე დანგრევას გვიქადდა, ხოლო მენშევიკებს ოდნავადაც არაფერი გაუკეთებიათ მუშის დასაცავად; ასე გვეტყოდენ ხოლმე: არ დაინგრევა, ჩვენზე მეტ ხანს გასძლებსო, და მართალსაც ამბობდენ: მათ შემდეგ წარღვნა. თითქმის ყველაფერი დაინგრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მიწა და ქარხნები ძველი პატრონებისავე ხელში დარჩა. მიწის შეძენა თუ გსურდა, უნდა გეყიდნა.“

აქ ჩვენმა მეგობარმა ნოგადოვმა ბრჭყალები გახსნა. ეს ამხანაგი ძლიერ მცოდნეა და ამიტომ ზოგად მოსაზრებათ შეეხო. უყვარს განზოგადოება. მიწების გამოსყიდვის შესახებ მან 861 წლის დიდი კომერციული ოპერაკია გაიხსენა. მაშინ 20 მილიონ გლეხს 33 მილიონი ჰექტარი მიწა დაურიგეს და ამ ამბავმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მთელს ქვეყანაზე: დახეთ, სრულიად რუსეთის მპყრობელმა მიწა ღატაკებს დაურიგა და აგრარული საკითხი სკიპტრის ერთი ბრწყინვალე დაკვრით გადასწყვიტაო! ნამდვილად კი ჩამონაჭერები გამოასყიდვინა და კარგი სპეკულიაციაც მოახდინა. 1861 წლის 3 მარტიდან დაიწყო განრიგება. მეფემ ყოფილ მესაკუთრეებს დანაკლისი აუნაზღაურა, ესე იგი, 897 მილიონი მანეთი მისცა. ეს ფული მეფეს მიწის გადასახადის სახით უნდა დაებრუნებინა. 1905 წ. რუსეთის გლეხობამ ერთი მილიარდი და ნახევარი მანეთი გადაიხადა, 15 მილიონი კიდევ ვალად დაედო, რაც სოფლისთვის სიღატაკეზე მეტიც იყო.

„რაც შეეხება მენშევიკებს, რომელნიც იმ მომენტიდან გაბატონდენ საქართველოში, როცა საჭიროდ სცნეს რევოლიუციონურ ცენტრალურ ხელისუფლებას ჩამოშორებოდენ, საიდანაც მათ, თებერვლისა და მარტის ამბების გამო, თავიანთი ძალა-უფლება მიიღეს, მათ ნაციონალურ საკითხში იგივე განზრახვა და ტაქტიკა ჰქონდათ, რაც ცარიზმს: სხვადასხვა ეროვნებათა ერთმანეთისთვის მისევა. თუმცა მენშევიკები, თავიანთ თავს რომ სოციალისტს უწოდებენ, კარგა ხანია გვარიანად იცვალენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად, შეგვიძლია ვთქვათ, წარმატებით აკეთებენ კონტრ-
სოციალისტურ საქმეს.

„როცა დამონებულ გლეხთა ინტერესების დასაცა-
ვად ხალხი აჯანყდა, მენშევიკები მას ისე სასტიკად მოე-
პყრენ, როგორც ოდესმე მოსკოვისა თუ ტფილისის შავ-
რაზმელები. იმ ხანებში აქ პატარა რევოლიუცია მოხდა,
ხალხმა დაიპყრო ჩოხატაური, სუფსა, ლანჩხუთი და ორი
დღის განმავლობაში ხელისუფლებაც ეპყრო. მენშევიკებმა
ეს მოძრაობა გაანადგურეს, თხუთმეტი რევოლიუციონე-
რი დახვრიტეს, ოცდა თექვსმეტი კი დააპატიმრეს.

„მენშევიკებმავე დახოცეს 60 რევოლიუციონერი (14
კომუნისტი), მათ შორის კომუნისტი ობოლაძე და უპარ-
ტიო სანიკიძე. [2]) ბაშ, ვინ იყვნენ ეს კომუნისტები: უნიადა-
გო მეოცნებენი თუ უგულო სისხლის მღვრელები? არც
ერთი, არც მეორე. ისინი პატიოსანი ხალხი იყო, რომელ-
თაც გულწრფელად სურდათ, რომ რევოლიუციას გლეხე-
ბისთვის მიწა მიეცა, მუშებისთვის ქარხნები და ეროვ-
ნებათათვის მშვიდობა საერთო შრომით გამოწვეული. არ
შეიძლება პატიოსანი იყო, უკეთუ რევოლიუციონერი არა
ხარ, და შეუძლებელია პატიოსანი რევოლიუციონერი იყო,
თუ ბოლშევიკი არა ხარ.

— ხომ არის ისეთი პატიოსანი ხალხი, რომელიც
მაგასვე არ ამბობს.

— მათ არ ესმით და იმიტომ.

„1920 წელს მენშევიკებმა კომუნისტებთან ხელშე-
კრულება დასდეს და მათ თანასწორობა აღუთქვეს, მაგ-
რამ ეს იმისთვის ჩაიდინეს, რომ უკეთ ედევნებინათ მათ-
თვის თვალ-ყური და დაეპატიმრებინათ, რაც ხელშეკრუ-
ლების დამტკიცების მეორე დღესვე მოხდა: ასამდე კომუ-
ნისტი დააპატიმრეს და ორმოცდაათამდე საქართველო-

დან გაიძევეს. ბევრი აქ დამსწრეთაგანი სწორედ ამ ადგილი მახეში გააბეს, ხოლო ერთ-ერთს სიკვდილი მიუსაჯეს და კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს. საამისო წერილობითი საბუთები აი აგერ თქვენს თვალწინაა მაგიდაზე.

„დიახ,—განაგრძობდა ჩვენი მობაასე,—აქ სიმშილი და ჟლეტა, იქ კი, ხელის მოსათავებლად, ინგლისელები (მაშინ ბათომში იყვენ). მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა, რომ ჩვენი ძველი სიმღერა გვემღერა, გურულების გაჭირვებას რომ მოსთქვამდა ხოლმე“.

აი შუა-კარი წყნარად გაიღო და თეფშ-ჭიქებით დატვირთული სუფრა მხიარულად დაიდგა ჩვენს წინ. ვახშამი გაიმართა: ნაღებით შენელებული წვნიანი, ცხვრის მწვადები (რომელიც იმდენად ეროვნული საჭმელია, რომ მის დანახვაზე არ შეიძლება გვერდით არ წარმოიდგინო უზარმაზარ ბუხრის ქუდიანი და სავაზნე შემორტყმული ტყაპუჭიანი აჩრდილი), შემწვარი ვარიები და თხელი მჭადები, რომელიც ცხელი და ოხშივრიანი უნდა სჭამო, რადგან გაცივებული ლოდივით აწვება კუჭს.

ბაასი იმსხვრევა და სხვადასხვავდება. თამადა სადღეგრძელოებს ამბობს, თითქმის ყოველი ათი ლუკმის შემდეგ, ქართული ჩვეულებისამებრ. ნადღეგრძელევი (ყოველი სადღეგრძელო ამა თუ იმ დამსწრეს ეკუთვნის) უპასუხებს და მაშინ გაისმის უცნაური, მკვეთრი და შემსჭვალავი სიმღერა, რომელსაც ნადღეგრძელევის პატივსაცემად ამბობენ ხოლმე. ესაა ჰარმონიული უთანხმოებით აღსავსე სუფრული, ნაზ ჟრჟოლვასა და აღფრთოვანებას რომ გგვრის.

შემდეგ კი, რა თქმა უნდა, კონცერტი. სკამზე ჩამწკრივებულ მუსიკოსებს ხელში და მუხლებზე ეროვნული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკრავები აქვთ. უკრავენ და ამღერებენ ხალხურ სიმღერებს,—ქართულს, ქურთულს, მეგრულს, თათრულს.

მთელი ქვეყნის ხალხური სიმღერები ერთისა და იმავე ენით მოუბრობს: პირველად, რაც უნდა იყოს, იგი სიცოცხლის სიხარულს, გაზაფხულის უჭკნობელ სინორჩესა და სიყვარულისა თუ ჩვეულების შვენებას უმღერის, რადგან, ნებსით თუ უნებლიეთ, კაცის გული მზის ცხუნარებითაა გამთბარი და იგიც სწორედ იმას ჰხედავს, რაც თვითონ სურს. შემდეგ იგი უმთავრესად მოსთქვამს ბედის უკუღმართობას, უჯიათი შრომის სიმძიმეს, უიმედო მომავალს,—რასაც საკუთარი სახელი აქვს,—მრისხანებისა და ამბოხების ყიჟინას, (ზოგიერთი ისეთი მწივანაა, გეგონება სამსხვერპლო ფრინველებს ჰკლავენო) ან მორჩილების ბუზღუნს, მიწის ყრუ გუგუნს რომ გაგონებს. გაიხსენეთ XVII საუკ. მოტანტალე კობზარების ლოცვა, რასაც იგინი აღრევის ხანაში ჰგალობდენ, როცა პოლონელებს კრემლი ეჭირათ და წმინდა ქალაქი სისხლით იცლებოდა: „სამართალო, არწივისფრთიანო ჩვენო დედავ, სადა ხარ?“

არაკები და ლეგენდები ცოცხალი მარგალიტებია, რომლებშიც ხალხს, თვით დიდების ხანაშიც რომ საბრალოა, თვისი გაჭირვებანი ჩაუქსოვია,—ისინი მასების გულისთქმაა, ისტორიის ქვითინია.

ყველა ამ საკრავს,—მთიელთა სალამურს, გიტარასა თუ რგვალ ჭიანურს, მუხლზე რომ უდევთ და ხელით ან ხიწვით უკრავენ ისეთი მოდულაცია, შეძახილი თუ გაყივილი აქვს, იმდენად წმინდა და გრძნობიარე ხმის გამოღება შეუძლია, რომ არა მსურს ამ ფურცლებზე ჩამოვოვალო მათი ეგზოტიური სახელები, რათა ამით უცხო და უცნაური არ გავხადო იგინი. მე მხოლოდ ის მახსოვს,

ს. მარქსის სახ. სამ. სახელმწ. ბიბლიოთეკა
ოფ. პუბლიკური
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც ეს საკრავები ამბობდენ: აღტყინებული ვედრება სი კოცხლისადმი იმ კოშმარის განსაქარვებლად, რომელიც წარსულის ანდერძს წარმოადგენს და სახელად ჰქვია: ომი, გახადგურება, გონიერ არსებათა კრებულის რღვევა... უფრო მეტის თქმა აღარ შეიძლებოდა, ეს იყო დასასრული, უფსკრულის პირს მისვლა.

მაგრამ ამ დროს ბერიძემ, ძველმა აზნაურმა, რომელიც სხვებისგან მხოლოდ იმით განირჩევა, რომ წინედ აზნაური ყოფილა (უეჭველია, თავადი) წყნარად წარმოსთქვა:

— ეს ძველი ამბავია.

უკვე გვიანაა. წარსულის ამ მცირე ნაკვეთს უეცრად საბურველი წაეფარა, ოოცა ერთმა დამსწრეთაგანმა წაიჩუოჩულა:

— ხვალ კი სხვა რამეს გიამბობთ.

ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ შ ი

შემდეგ ამისა, გავიდა რამდენიმე დღე და ღამე და აი, იმ ეკრანზე, სადაც ბოჩინით ვეძებთ ხოლმე ცხოვრების გაკვეთილს, სხვა საღამოის სცენაც აღიბეჭდა, მზგავსი და არაშორეული: საქართველოს ერთ ერთი სამაზრო ქალაქი, —ახალქალაქი.

ნაზაროვის სახლში ვართ. ამ საღამოსაც რაღაც ნათესაური და საიმედო იერი აქვს ჩვენს კრებას და სწორედ ეს გვამხნევებს, არიან ქალებიც. წრფელად და გულღიად ლაპარაკობენ, რაც მომხდარა. ხამდვილ ამბებს მოგვითხრობენ, არა თეორიებს. განიცდიან და ამოწმებენ იმას, რაც უკვე შეუთვისებიათ. ჩემს კვლევას დოკუმენტალობა ემატება და ჯიბეებსაც საბუთები ასქელებს.

ავტომობილით მოვედით დღეს აქა. ისეთი გზები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიარეთ, თითქოს მოიებს მიყუდებული კიბეაო, სადაც
ნაც თავს მარადიული თოვლის სიისპეტაკე და სიგრილე
დაგვქათქათებდა. შემდეგ ჩვენი მ ნქანა თავქვე დაეშვა,
ნახშირივით შავს გზებზე, დაჩონჩხილ კლდეთა შორის,
და ბნელით მოცულს ლაფში მოტორი ნავივით შიშინებდა.

გადავჭერით ფართო და რუხი ზეგანი, ერთფეროვანის ყანებით მოსილი. თვალს მხოლოდ ტელეგრაფის ბოძები ეჩხირება. სივრცეში ყვავების ინტერნაციონალური გუნდი დარიალებს (აქაურ ყვავებს ზურგი მოთეთრო რუხი აქვთ), ხოლო უფრო მაღლა კი არწივებს გაუშლიათ მარდი და სწორწიროვანი ფრთა.

სოფლები: სომეხთა ასპიტისფერი სოფლები, რომელთა ოთხკუთხი, დაბალი სახლები რუხ სკივრებასა ჰგვანან. შორიდან ეს სოფლები გეოლოგიურ ფენებს ან ბაზალტის ნადნობს მიემზგავსება. მიუახლოვდი და შესდეგ ამ ოთხკუთხი სახლის ქვით ნაფენ ზღრუბლზე: კარებიდან, გამოქვაბულის შესავალს რომ ჰგავს, ადამიანთა ცოცხალ თაიფულს მოჰკრავ თვალს: ყვითელ, ვარდისფერ და ცისფერ თავსაფრიან ქალებს, თვალი და ტუჩი რომ ულიმისთ, კაცებს, რომელთაც შალის ბოხოხზე წითელი ქსოვილი შემოუხვევიათ, ეზოში კი ხალიჩებით მორთულ ურემს.

ნაზაროვი შორიდან სათვალიან მასწავლებელსა ჰგავდა, ახლოს კი, მიუხედავად სათვალისა, ჯარისკაცს ემსგავსება. მოქმედი და მცოდნე კაცია, თავისი კუთხისა არა გამოეპარება რა. მტკიცე, დაჯერებული, გამძლე და ცნობისმოყვარე იგი ორგანიზაციული ნიჭისა და დაუღალავი ენერგიის ადამიანთა ცოცხალი ტიპია.

სხვებიც გაშლილი სუფრის გარშემო მოგროვილან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესენი იმიტომ მოსულან, რომ ჩვენს კითხვებს პასუხი გვაცცენ და ჩვენთან ერთად გადასჩხრიკონ მთელი ეს კუთხე.

სახლის ერთს კედელზე თითქოს ვიღაც უზარმაზარი ჭიდია, დათვივით შავი და ბანჯგვლიანი, რაშაც უნებლიედ მიიპყრო ჩემი გულისყური. ეს ნათელავი მატყლის წამოსასხამია, ნაბადი, სკივრს რომ მოგაგონებს. როცა იგი ცხენოსანს თუ ქვეითს ასხია, დევის შესახედაობას აძლევს და წვიმაც ვერას დააკლებს. ეს ნაბადი სახლის მორთულობას შეადგენს ისე, როგორც სახიანი ხალიჩები, კედლებიდან რომ ტახტებს დაჭფენია და შემდეგ კი იატაკს ეთრევა.

ბაასი, როგორც იმ საღამოს, გუშინდელსა და წელანდელს, ძველსა და ახალ წარსულს ეხება. ეს კუთხე, რომლის დაწვრილებით გაცნობაც განვიზრახე, ისე როგორც ახალციხისა და ოზურგეთისა, გვარიანად ვრცელია: საფრანგეთის დეპარტამენტის თითქმის ნახევრისოდენაა, სახელდობრ, 2.518 ოთხკ. კილომეტრი. იგი დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი მაზრაა. 14 თემსა[1]) (კანტონს) და 114 სოფელს შეიცავს. ზოგი მაზრა თუ ამაზე ვრცელია, ასეთი მაღალი კი ძლიერ ცოტა-ღა იქნება, რადგან აქ არის 1700 მეტრის სიმაღლის ზეგნები და ერთობ მაღალი მთაგრეხილები, მაგ. სამსარკი და მისი წვერვალო აბული.

იანეულსა და ოზურგეთის მცხოვრებნი ყველანი წმინდა ქართველები არიან, აქ კი უმეტესად სომხები—85%.

---

[1]) ს. ს. რ. კ. სხვა ადგილებში ვოლოსტს ეძახიან. ათიოდე სოფელი ერთს თემსა თუ ვოლოსტს შეადგენს. ათიოდე თემი—მაზრას; რამდენი მაზრა კავკასიაში რესპუბლიკას, ზოგგან კი გუბერნიას შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალქალაქის მაზრა საბჭოთა სომხეთსა და ოსმალეთის სომხეთსა საზღვრავს (ერთხელ ოსმალეთის საზღვარს ბეს გადავედით, რომ არც კი შეგვიმჩნევია). ოსმალები კაი ძალა სცხოვრობს, არიან აგრეთვე ქართველებიც. ცოტა რუსი (სომხებზე ათჯერ ნაკლები).

ნაზაროვი სომეხია. ლაპარაკობს სომხურს, რუსულს, ხანაც თურქულს, თვისი მობაასის მიხედვით. მე ხომ ფრანგულს ვლაპარაკობ მხოლოდ და უთუოდ უენოსავით დავრჩებოდი, ჩემი მეგობარი დუხოვნი რომ აჩრდილივით მუდამ უკან არ დამსდევდეს, აგრეთვე სხვა ჩემი მეგობრები, რომლებიც გარს მახვევიან და განუწყვეტლად ენაცვლებიან ერთმანეთს, პირდაპირ კავშირს არ ამყარებდენ ჩემსა და ამ ხალხს შორის. რაკი ბრჭალები გავხსენი, აქვე უნდა დავუმატო, რომ ამ მოძრავ ამალას, სულ უბრალო წვრილმან რამეებშიც კი, არაოდეს თავის ნებაზე არ ვუტარებივარ, პირიქით, იგი მხოლოდ ჩემს შეუზღუდველ სურვილს ემორჩილებოდა.

და ახლა, აი ჩემმიერ ახალქალაქში ნახული და გაგონილი:

„ერთი საუკუნის წინედ, რადგანაც ეს 1828 წ. იყო, თურქული ვილაეთის აზრუმის სომხები ომის გამო აიყარენ და აქ დასახლდენ. მათ დაიკავეს ველები, გააშენეს მთელი სოფლები და ჩვეულებისამებრ ხვნა-თესვას მიჰყვეს ხელი.

აქვე დასახლდენ რუსი დუხობორებიც (მწვალებელთა ერთი სახეა), მაგრამ უფრო გვიან, 1842 წ. ესენი რუსთა მეფობამ შემორეკა ამ მთებში, რადგან არაფრად ეპიტნავებოდა ეს, ტოლსტოიზე უფრო ადრე გაჩენილნი, ტოლსტოველები. ჰო და, ვაკე-რუსეთის მცხოვრებნი ამ ზეგანს შერჩენ. ასე რომ, ჭალების მცხოვრებნი მიწის მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შები გახდენ, როგორც ბიბლიურ ხანაში კაენის შთამომავალნი, ხოლო მთებში მცხოვრებნი კი—მწყემსები, ვით აბელის ტომნი. თურქები და ქართველები სომხების მეზობლად სცხოვრებდენ. ქურთებს მდინარე ნტკვრის ხეობა ეჭირათ. მაკრამ ამას არავითარი სახეირო ეკონომიური შედეგი არ მოჰყოლია, მით უმეტეს იმ დროს, როცა ძმები მტრად იყვენ გადაკიდებულნი. ამიტომ აქ ყოველთვის იყო, მაგალითად, მეზაქონლეობის გაჭივრება, ხოლო ბალნათესობის მცირე სივრცეს საუკუნის განმავლობაში არ უმატნია. თვითმპყრობელობას ფეხებზედაც არ ეკიდნა გლეხის ინტერესები: იგი მხოლოდ იმას ჰფიქრობდა, რომ დამონებული მოსახლეობა გაერუსებინა და მათ შორის შუღლი და მტრობა ჩამოიგდო. რუსეთის ხელისუფლების მთავარი პრინციპი ცივილიზაციის წინააღმდეგობა იყო: „რამედნადაც ნაკლები განათლება ექნებათ, იმდენად უფრო მორჩილნი იქნებიანო“, ზეიმით ამბობდა იგი. თურქებისა და სომხების ომებს რომ თავი დავანებოთ, გლეხის ცხოვრება, შესვენების ხანაში, პატრიარქალური და პრიმიტიული იყო, უკეთ რომ ვთქვათ, ვეგეტატიური. ნაშვიდობიანობა სიმყაყეს აჩენს. სოფელი მეტად ბნელი და მორწმუნე იყო; მისი თვალი ზეცას იყო მიპყრობილი და ოდნავადაც არ უფიქრია თავის ფეხებზე, მიწაზე დაეხედა. ქაცებს მკითხავები სჩაგრავდენ, მამაკაცები—ქალებს, მთელი ოჯახი კი ნამდვილ გომურში სცხოვრობდა და ექმს ახლოსაც არ იკარებდა.

„მოხელეები მხოლოდ მდიდრებს მფარველობდენ და თვითონაც მდიდრდებოდენ (მაზრის უფროსი, პოლიცმეისტერი, ბოქაულები) სასტიკნი იყვენ, მაგრამ თუ კი ვერკლის პატარა გოგორას დაინახავენ, წამსვე გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულბებოდათ. რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ხალხს თავზე ხელს არ დაუსვამდენ.

„როცა 1905 წ. იაპონიის გამარჯვების შემდეგ, ამ დამონებულს ხალხში რევოლიუციის სიმპტომებმა იჩინა თავი, თვითმპყრობელობამ თავის ჩვეულ ხერხს მიმართა: სხვადასხვა ეროვნება ერთმანეთს მიუსია.

„მეუბის დამხობის შემდგომაც სწორედ იგივე მდგომარეობა იყო. იმ სამი პარტიის დასაყრდენი, რომელიც მაშინ გამეფებული იყო მთელს ამიერ კავკასიაში: მენშევიკებისა, დაშნაკებისა და მუსავატელებისა, ნაციონალიზმი იყო და მათი მოქმედება კი შოვინისტური; ერთს დიდ არმენიაზე ეჭირა თვალი, მეორეს ქრისტიან ქართველებზე, მესამე კი ოსმალეთს ელტვოდა. ამიტომ შეთანხმებაც ვერ შესძლეს, თუმცა ამის შესახებ ძალიან ბევრსაც გაჰკიოდენ, და რაც უნდა მოხდარიყო, კიდეც მოხდა: მენშევიკები და დაშნაკები შეთანხმდენ, თავიანთი ხალხიც ჩაითრიეს და დაშნაკელი ბელადების უზულისა, ხეჩოს და ნიკოლის წინამძღოლობით თათრის სოფლებს შეესიენ საძლეტად და საოხრებლად. მუსულმანი მოსახლეობა, ნაწამები და აყრილი, ზოგი ოსმალეთს შეეხიზნა, ზოგი კი ხერთვისის მიუვალ ადგილებს. მაგრამ სამაგიეროდ, 1918 წლის მაისში, ადგილობრივი მუსულმანები ოსმალეთის რეგულიარული ჯარის დახმარებით ახალქალაქის მაზრას შემოესიენ და მთლად გაანადგურეს ყველაფერი, რაც კი ხელთ იგდეს; გადარჩა მხოლოდ ექვსი კათოლიკური და ექვსიც დუხობორული სოფელი; ქრისტიანი მოსახლეობა, ხელცალიერი და მშიერი, საქართველოს შუაგულისკენ, წალკისა და ბაკურიანისკენ გაიქცა და მთელი თავისი საცხოვრებელი უპატრონოდ დაადგო. მენშევიკების მთავრობამ გაქცეულები მთებში შეა-

ჩერა, სადაც გაჭირვებამ, სიმშილმა და ავადმყოფობამ უბედურთა თითქმის ნახევარი იმსხვერპლა.

„ბათომის ზავის შემდეგ გადარჩენილები, მშივრები და შიშველები, თავიანთ დანგრეულ სახლ-კარს დაუბრუნდენ, მაგრამ მენშევიკებმა (რადგან ახალქალაქელები სომხები იყვენ და არა ქართველები) მათ ისეთივე შავი დღე გაუთენეს, როგორც მუსულმანებს. ასე რომ,—დაწვრილებით უნდა მოგახსენოთ,—თათრებმა მეტი ვეღარ მოითმინეს, აჯანყდენ, მენშევიკები განდევნეს, თვითონაც მეორე უკიდურესობაში ჩავარდენ და ახალქალაქის მაზრა ნახევარმთვარის სამფლობელოს ნაწილად გამოაცხადეს. ასეთმა მდგომარეობამ, რომელმაც ქრისტიანებს დიდი ზარალი მიაყენა, ინგლისელების შემოსვლამდე გაგრძელდა; ინგლისელებმა დამყარებული წესი მოსპეს და ჩვენი მაზრა, ნამდვილი ინგლისური ახირებულობით, უცნაური სახელით მონათლეს: „მონტე კარლო“ დაარქვეს. წასვლისას ხელისუფლება ისევ მენშევიკებს მიუძღვნეს, რომელთაც იგი 1921 წლის დასაწყისამდე შეინარჩუნეს“.

— ხმამაღლა უნდა განვაცხადო,—წამოიძახა ერთმა მიბაასემ,—რადგან ეს სიმართლეა, რომ მენშევიკებს ოცდა ათი თვის მმართველობის განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათ არც გლეხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არც მისი კულტურული დონის ასამაღლებლად, არც მცხოვრებთა ჭრილობების დასაამებლად და არც თუ მეურნეობის განსავითარებლად. მე იმას მოგახსენებ, რაც საკუთარი თვალით მინახავს და განმიცდია, ისეთს რასმე მოგახსენებ, რისი საბუთიც თითით შემიძლია ვუჩვენო ყველას, ვინც კი მის დანახვას მოისურვებს. ქართველი მენშევიკები მხოლოდ ერთს რასმე ჰფიქრობდენ: შეეევიწროებიათ და მოესპოთ ყველა, ვინც კი ქართველი არ იყო“.

მართალია, რიგორც ეს კაცი ამბობდა, თურქებმა მიერ გამოწვეულ ზარალს აქ უკვე აღარ ანგარიშობენ. სისხლის ღვრა მოისპო, მაგრამ სოფლის ნანგრევებს ყველგან ჰხედავ. დღესაც კი, აი ახლა, გალმა ხეობაში, რომელიც ახლანდელი ახალქალაქს დასცქერის, დავინახეთ დაქცეული, ჩამოფხავებული მალალი სახლები, საიდანაც ქარს ქვიტკირის ფხვიერი გაჰქონდა.

— გუშინწინ,—მეუბნება თოდრია,—თქვენც დაინახეთ, რომ როცა სიტყვას ვამბობდი, თვალი ცრემლით ამევსო. ტირილი ვეღარ შევიკავე იმიტომ, რომ ხშირად მივლია აქა და გამახსენდა, რომ 1921 წელს ახალქალაქში ერთი სახლიც აღარ იყო ისეთი, სადაც ღამის გათევა შესაძლებელი ყოფილიყო.

ეს თოდრია ერთი ძველი და მტკიცე მებრძოლია. თვითმპყრობელობის დროს კონსპირატიულად მუშაობდა და მოსკოვის სარევოლიუციო მუზეუმში არის ერთი საიდუმლო სტამბის მანქანა, რომელიც მას გაუკეთებია და აუმოძრავებია (მას სხვაც ბევრი რამ გაუკეთებია). საჭირო იყო მართლაც რაიმე დიდი მიზეზი, რომ იგი ატირებულიყო.

მოკლედ: ომებისა, ექსპედიციებისა და რეპრესიების წყალობით, ისედაც გაწამებულ გლეხობას რომ თანდათანობით დაატყდა თავს, აგრეთვე იმათი მეოხებითაც, ვინც თურქისა და სომხის წინაალმდეგ ჯვაროსნული ომი გამართა, მაზრაში ბევრი აღარა დარჩენილა რა. მოსახლეობის რიცხვი 93.000-დან, 1914 წელს, 66.000-ზე ჩამოვიდა, ესე იგი, ერთი მესამედი დააკლდა.

ეს ისეთივე ჯამია, როგორიც იმ საღამოს მივიღეთ: აქაც საქმე უბსკრულის პირს იყო მისული.

ჩვენ შორის ერთი თურქიც იყო (როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ისეთი რამეა, რასაც პირველი შეხედვით ვერ გაარკვევ). მან სთქვა:

— მე თურქი ვარ, მაგრამ უფრო კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალციხის, მეზობელი მაზრის მცხოვრები. ჩემი ძველები დიდი ხნის დასახლებულნი არიან იქა და როგორც ისინი, ისე ბევრი სხვა, თვით მეც ნამდვილი და პატიოსანი მოქალაქე ვართ ჩემი მაზრისა, ჩემი საქართველოსი. არავის წინააღმდეგ, გარდა მხეცი ჯალათებისა, ჩვენ არაოდეს ავმხედრებულვართ. ისეთი თვალი მაქვს, რომელიც არაოდეს მომატყუებს, და თამამად შემიძლია ვთქვა: ადამიანს შუბლზე შევატყობ, სადაც გარკვევით სწერია: ჯალათი!

„ჰოდა, ახალციხის მაზრაშიც სწორედ იგივე მოხდა ამ დიდი ომის წინ და შემდეგ, რაც აქა, და რაც ამხანაგებმა გიამბეს. ჩვენში მოსახლეობის უმეტესობა თურქია, 74%, ქართველები 14%, სომხები 11%, ებრაელები 1%. რა თქმა უნდა, ახალციხელები გაჭირებულნი იყვენ და მუშის ყოფაც სავალალო იყო. ჩვენს მაზრაში რკინის გზა არ არის და ბორჯომს უნდა მიხვიდე, რომ რკინის გზას მისწვდე. ბაზრაში იყო დიდი მამულები, მდიდრებს რომ ეკუთვნოდა და დამშეულებს კი სულსა ხდიდა. ნიკოლოზის მთავრობა, აგრეთვე ალექსანდრესი და პირველი ნიკოლოზისაც, მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ ქვეყნიდან მეტი გამოეწურა და ბნელში, უვიცობაში ჰყოლოდა. იმ საბრალო პაწია სკოლებში, რომელთა რიცხვი მთელს მაზრაში 13 იყო, ყოველს შემთხვევაში რუსულის მეტს არას ასწავლიდენ. ქალი დამონებული იყო: მას ჰყიდდენ. მიწას ხის კავით სჩიჩქნიდენ. მთელს რაიონში ერთი საავადმყოფოც არ არსებობდა.

„თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ამბობდენ: თავისუფლება მოვაო, მაგრამ მოვიდენ მხოლოდ მენშევიკები. მათ, კიდევ და კიდევ უნდა ითქვას, ერთი გარკვეული აზრი ჰქონდათ: გაეწმინდათ იქაურობა დაწყევლილ სომეხთაგან და თუ თურქების შესახებ ამასვე არ ამბობდენ, არ ამბობდენ იმიტომ, რომ იქ ქართველი მუსულმანებიც იყვნენ და ეს ართულებდა მდგომარეობას. მაგრამ ქაოთველი მუსულმანები და ქართველი ქრისტიანები დანა სისხლად იყვენ, რაც იმ დაუვიწყარი ამბების დროს დაამტკიცეს.

„რა წამს სოც.-დემოკრატების ეგრედწოდებული ხელისუფლება დამყარდა, ნაციონალურმა შულლმა ; მწვავე ხასიათი მიიღო: სომხების გაძევება, მკვლელობანი, თავდასხმა და საძოქალაქო ომის ყველა ნიშანი. ვაი საქართველოს სომეხთა სოფლებს! ვინ მოსთვლის რამდენი შავი ფლასი ჩააცვა ნაციონალური გვარდიის უფროსმა, საზიზღარმა ჯულელმა და რამდენი სოფელი დასწვა, დააქცია, გაძარცვა, დაახრჩო ბორჩალოს რაიონში!

„იყო მომენტი, როცა საჭირო იყო სულ უბრალო რამე, სახელდობრ: საქართველოში დამკვიდრებულ 300 400 ათას სომხის კანონს გარეშე გამოცხადება. მენშევიკურმა მოავრობამაც საშინლად შეავიწროვა იგინი და მხოლოდ მენშევიკ-სომხებს მისცა ასეთი პასპორტი: „სომეხი, მაგრამ არა დასაპატიმრებელი“.

„ამ სისხლისმღვრელს ორომტრიალში მხოლოდ რამდენიმე მოქალაქემ გაჰბედა ხმის ამაღლება ხალხის ინტერესების დასაცავად და მშვიდობიანობის საქადაგებლად: ეს იყო ეომუნისტების პატარა პარტია, რომელსაც არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდა ქართველთა ხელის უფლების საწინააღმდეგოდ. მას ანტიეროვნულობა დასწამეს.

და ასეთიც იყო, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, რადგან ეროვნებათაშორის ომს უარჰყოფთი. ამ პარტიას შეთქმულობა არაოდეს მოუწყვია, ხოლო ვინც ამას ამბობს, სტყუის. [3]) იგი გაანადგურეს. ცამეტი კომუნისტი დახვრიტეს.

„მერე სამაგიეროდ რა გააკეთეს აქ ბოლშევიკებისა და მუშების საკეთილდღეოდ? სრულიად არაფერი. უკეთუ ათიოდე ზედმეტი სკოლა გამართეს, იქ რუსულით ულაყებდენ ტვინს პაწია ქართველებს.

„მეფობის დროს, საშუალოდ, წელიწადში 7 მანეთს ვიხდიდით. მენშევიკების დროს კი თითქმის ამდენსავე: 5 მანეთს. ომამდე მაზრაში იყო (ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენს მაზრაში 12 თემია და ასზე მეტი სოფელი) 45.000 ხარი. მენშევიკების დროს კი 40.000 (თანაც ხარი მხვნელია ჩვენში). დამუშავებული მიწების სივრცე საშინლად შემცირდა.

„იყო მომენტი, როცა მუშისთვის შეუძლებელი იყო (და ამას ეძახიან დემოკრატიულ პროგრესს) პირველი საჭიროების საგნებისთვის ხელის მიწვდომა: მათმა ფასმა წარმოუდგენლად აიწია. მენშევიკურმა მთავრობამ თავისი ფულის შემოღება აიკვიატა (გირვანქა სტერლინგი, 1917 წ. რომ ცხრა ქართული მანეთი ჰღირდა, 1920 წლ. დასაწყისს 1000 მანეთად ფასობდა, წლის ბოლოს კი 7000), მაგრამ ცხოვრება დღითი-დღე უფრო ძვირდებოდა, ასე რომ, პური, ქსოვილები, ფეხსაცმელები და შაქარი 100.000% გაძვირდა. ესევე შეგიძლიათ წაიკითხოთ ნაციონალ-დემოკრატების გაზეთ „საქართველოს“ 1920 წლ. ნოემბრის ნომერში“.

იქით მხრიდან ვიღაცამ განაგრძო

— იმ მანეთ-ნახევრით, რასაც მუშა ომამდე იღებდა საშუალოდ საქართველოში, მას შეეძლო ეყიდნა: ერთი ფუთი თეთრი ფქვილი ან ერთი ფუთი შავი პური, ათი გირვანქა ხორცი ან ათი გირვანქა შაქარი... ხოლო იმ 240 მანეთით კი, რასაც 1920 წ. იგი დღეში იღებდა, შეეძლო შეეძინა სწორედ ორი გირვანქა შავი პური ან გირვანქა ნახევარი ფქვილი, ან ორი გირვანქა ხორცი, ან კიდევ ნახევარი გირვანქა შაქარი. საქმე წასული იყო, რასაც თვით ხელისუფლების წარმომადგენლებიც არ მალავდენ ტფილისში.

„მე პოლიტიკოსი არა ვარ,—დაასკვნა მოლაპარაკემ,—მუდამ იმ კუთხეში მიცხოვრია და ახლაც იქ განვაგრძობ ჩემი მშობლებისა და მათი წინაპრების ცხოვრებას მთელის ჩემი არსებით. ჭკუა მერყევა ხოლმე, როცა ჩვენ, თანამემამულეებსა და მუშებს, ერთმანეთს გვასევენ ისეთი მოსაზრებით, რაც ხალხების ინტერესებს არ წარმოადგენს. აი ამ ნაოხართა წინაშე, რომელთაც ჯერ კიდევ სისხლი და ოხშივარი სდით, ნაჩვევ დამცველს შეუძლია, რაც უნდა, ისა სთქვას, მაგრამ კაის კი ვერაფერს იტყვის.“

ლ ე ნ ი ნ ა კ ა ნ ი

ამ სალამოს, რომელსაც ახლა თავისი დრო დაუდგა, უხილავ დეკორაციად სულ სხვა ქვეყანა აქვს. ლენინაკანში ვართ. უკეთ რომ ვთქვათ, იმ რონოდაში ვართ, რითაც ერევნიდან მოვედით სალამო-ჟამს. ვზივართ რონოდაში და ვებაასებით იმათ, ვინც ჩვენისავე მოპატიჟებით გვეწვია.

ამ კარს იქით, ყოველის მხრით რომ იღება, უკვე სომხეთია, ძველი, მშობლიური სომხეთი, კაცობრიობის

ერთ-ერთი კერა, ერთი იმ ქვეყანათაგანი, რომელიც ყველაზე უფრო ნაგვემი და ნაწამები იყო კაცთა ისტორიაში. მსოფლიოს ტრაგედია რომ აქტებად დავყოთ, ერთი მათგანი, საშინელი, მთლიანად სომხეთის წამება იქნებოდა. მხოლოდ ებრაელებს შეუძლიათ დაასახელონ უარესი თავიანთ წარსულში.

მაგრამ ეს სომხეთი, რომელზედაც აქ მოგახსენებთ, და რომლის გამოკვლევა და გაცნობა იმ პატარა, გარკვეული წრეების საშუალებით მსურს, სადაც ხელშესახები ფორმები და შედეგები მეგულვება,—მთელი სომხეთი როდია; ეს ნახევარია, რუსეთს რომ ეკუთვნოდა, და ახლა კი საბჭოთა სომხეთია. მეორე ნახევარი, რომელიც მრავალს ისტორიულ ჟლეტას გადარჩა, ისეთს, როგორიც აბდულ-ჰამიდმა მოაწყო 1894 წ., და როგორიც „ახალგაზრდა თურქებმა" გამართეს მსოფლიო ომის დროს,—ის სომხეთი ოსმალეთის ქვეშევრდომია. ყოველის მხრიდან, აქედანაც, სადაც ახლა ჩვენ ვდგევართ, ალაგეზის ჯალთებიდან (ქვეყნის ჯიქანი რომაა, რადგან იგი ჰკვებავს წყლით), შირაქის ველიდან, ყველა იმ კუთხიდან, სადაც ოდესმე სპარსებს, ასირიელებს, მონგოლებს, ბერძნებსა და რომაელებს გაუვლიათ, ყოველის მხრიდან მოსჩანს შორს თურქების ქვეყანა. არარატის მთაც, რომლის თეთრი და რგვალი აჩრდილი ცის ერთ ნაწილს აქათქათებს, და რომელიც სომხეთის მცოვანი თავია ისე, როგორც მყინვარი ან იალბუზი საქართველოსი (ეს სამი ოროგრაფიული კეფა ხუთი ათას მეტრზე მაღლა აჭრილა ჰაერში).

— რა სივრცისაა ეს მაზრა?

ვკითხეთ ჯარკასიანს ბაასის გასაბმელად.

— 70 000 დესეტინა თუ ჰექტარი. ომამდე კი 120.000 იყო. საშინლად შემცირდა. მცხოვრებნი? თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმის მთლად სომხებია. ქურთებიც კარგა ბლომად, დაახ. ლოებით ერთი მეთხუთმეტედი (12.000), 90000 თურქი, 4000 რუსი.

მან გვიამბო სომხეთის ამ კუთხის პათეტიური ისტორია ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. უწინარეს ყოვლისა, როგორ იქნება, რომ ორიოდე სიტყვა მიწისძვრაზედაც არ ითქვას.

— სწორედ შარშან იყო. 22 ოქტომბერს დაიწყო, საღამოთი, სამი დღის შემდეგ ქალაქი და სოფლები ისე ჰქანაობდენ, ვით ტყე ქარისგან რხეული. 38 სოფელი დაიქცა, მათ შორის 26 თითქმის სრულიად. ამბობენ, სომხეთის ზეგანი, ეს მთათა კვანძი, მცირე აზიისა და ირანის ქვემოლევარებას რომ ნასკვავს, განუსაზღვრელი ვულკანიური გზებისა და რღვევის ცნობილი ასპარეზიაო. ასი და ორმოცდაათი წლის წინედ საშინელ მიწისძვრას შეუ-რყევია გუმბრი, რომელსაც ახლა ლენინაკანი ჰქვია (ამას წინედ კიდევ ალექსანდროპოლს ეძახდენ). ამჯერად კატა-კლიზმმა ქალაქში 3800 სახლი დაანგრია. უგზო უკვლოდ გაჰფანტა 15.000 მცხოვრები და გარშემო სასოწარკვეთილება გაამეფა. 20.000 მცხოვრები ცოტად თუ ბევრად გადარჩენილ შენობებში მოთავსეს, 17.000 კი რონოდებში,—თუმცა ის რონოდები ამასავით კომფორტაბელური როდი იყო,—ამას ისიც დაუმატეთ, რომ შარშან იმ დროს ერთობ ციოდა. გლოვისა და ნგრევის საგანი ასეთი იყო: 390 მკვდარი, 1000 დაჭრილი თუ დაშავებული, ზარალი კი 24 მილიონი მანეთისა.

— დიახ,— დაურთო აკოპიანცა,—ეს კოსმიური მოვლენა, რომლის მიზეზიც ჩვენთვის ჯერჯერობით მიუწდომელია, ბუნების ულმობელობასა და სომხეთის უბედობას ამტკიცებს. მაგრამ ამ დაქცეულ მიწას ქვეშ არის კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეე სხვა ჭრილობანი, უფრო დიდი, უფრო ღრმა,

თაგან მიყენებული. და იმ ჭრილობებს უნდა ჰატრონობა.

„მოზღვავებულ წყალსა და ქვესკნელში დაგროვილ სამიწისძვრო ცეცხლზე. უარესი ეროვნებათა შორის ამტყდარი ბრძოლაა. შეგვიძლია გარკვევით ვთქვათ, რომ ასეთი ბრძოლა მრავალი ვნახეთ და განვიცადეთ. განუწყვეტელი შიშიანობა. მუდამ ასე იყო: მცხოვრებნი აიბარგებოდენ და გარბოდენ, ვისაც საით შეეძლო—საბერძნეთში, მესოპოტამიაში, უფრო ბედნიერნი კი რომელთაც შორი მგზავრობის საღსარი ჰქონდათ, ამერიკაშიც.

„სწავლა-განათლებაო? რაც შეიძლება ნაკლები სკოლა, ასეთი იყო თვითმპყრობელობის აღმზრდელობითი დიდი პრინციპი, მისი საზოგადოებრივი ჰიგიენის კანონი ყრუ-მუნჯებისა და ბრმების გამრავლებას მოითხოვდა. თუმცა ლენინაკანში სამიოდე რუსული სკოლაც მოიპოვებოდა, დანარჩენ მაზრაში კი არც ერთი.

„თვითმპყრობელობის დროს აფიცრებისა და ჯარისკაცების ხელში ვიყავით: ქალაქის (რომელიც ამჟამად მეორე ქალაქია სომხეთში) 56.000 მცხოვრებში 13.000 ჯარისკაცი იყო, ხელოსნებზე (3000) და მუშებზე (6000) უფრო მეტი. თებერვლის რევოლიუცია ჩვენში დაშნაკელების სახით გამოგვეცხადა. დაშნაკცუტიუნი სომხური რევოლიუციონური პარტიაა. მართალია, მის სახელწოდებაში სიტყვა „რევოლიუციურიც“ ურევია, მაგრამ, მიუხედავად ამ აზრისა (იეზუიტშიც ხომ არის სიტყვა იესო), მისი მიზანი, უწინარეს ყოვლისა და გარეშე ყოვლისა, თურქის პროვოკაცია და მის წინააღმდეგ ბრძოლაა, რათა შემდეგ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა აღარავინ დარჩება, განსაკუთრებით სომხური ამ-ქვეყნიური სამოთხე შეჰქმნას!

„ასე, 1918 წელს ამ ქვეყანამ თურქების ველური ოკუპაცია განიცადა. მოსახლეობა თავზარდაცემული გარ-ბოდა ჩრდილო კავკასიაშიც კი. შემდეგ ჩამოვარდა დრო-ებითი ზავი. გათავდა დიდი ომი, რომელმაც ოსმალეთს დამარცხება მიუსაჯა, და თურქები შინ დაბრუნდენ. მაგ-რამ მხოლოდ საერთაშორისო დიდი ამბები როდი ჰქმნი-დენ ამინდს, რადგან 1919 წ. თურქები კვლავ გვეწვივნენ (რა კი დაშნაკებმა განსაზღვრულ ტერიტორიაზე პრეტენ-ზია განაცხადეს, ამან კვლავ ომი გამოიწვია). მაშინ სა-შინელი, მიწისძვრაზე უფრო საშინელი ამბავი დატრი-ალდა. ქალაქი განადგურდა. 8000 მცხოვრებიდა შერჩა მხოლოდ. როცა ყველაფერი გათავდა და ლენინაკანის გადარჩენილი მცხოვრებნი ქალაქს დაუბრუნდენ, მათი რიცხვი 20000 არ აღემატებოდა.

„დაშნაკელების დროს მოკლულ იქნა მაზრის 50000 მცხოვრები. დაუჯერებელია, მაგრამ ასეა. მხოლოდ ერთ-ერთს ხევში 17000 მოკლული დავითვალეთ. ჩვენმა მაზ-რამ რეკორდი შეჰქმნა ობლების რიცხვით: 28 000.

„პირველს რიგში იმათ შორის, ვინც სომხეთს არა მარტო უბადრუკად, არამედ საშოვრად და საკბილოდაც სთვლიდა, ჩვენი მტრებისა და ჯალათების პირველ რიგ-ში ჩვენი ძმები—ქართველები უნდა დავაყენოთ იმ წყე-ული წლების განმავლობაში, როცა მათ მენშევიკები ბატო-ნობდენ [4]).

„ხოლო იმათ, ვინც უკეთეს წყობილებაზე ოცნებობ-და, თურქების მზგავსად ეპყრობოდენ: ხვრეტდენ (ეს უფ-რო ადვილი იყო, ვიდრე თურქების დახვრეტა). საკუთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის თვალით ვნახე ოცდაათი მოკლული კომუნისტი. ვინ იყო კაი სანახაობა...“

— გაზეთებში ხშირად ლაპარაკობენ ცხოვრების სიძვირის შესახებ. აქ იგი (ადამიანთა სიცოცხლე) ძვირი არაოდეს ყოფილა.

სომხეთი პარტახად იქცა.

სთქვა აკოპიანმა.

— შენი ნათქვამი, როგორც პედაგოგისა, სწორი ვერ არის. უარესი უნდა მოსძებნო. განა შეიძლება ითქვას: იქ არაფერი არ არისო, სადაც გლოვა და შური არსებობს?

ბ ა თ ო მ ი

შავი ზღვის ნაპირზე. ქალაქის სანაპირო, საღამო. კავკასიის რივიერას ბინდი, როცა ისვენებენ, რადგან მართლაც დაღლილნი არიან (და არა იმიტომ, რომ დაღლა არა სურდეთ). მუშაობის შემდეგ ხალხი სასეირნოდ გადის დიდ ბაღში, რომელიც ზღვას აკრავს, ან თვით პლაჟზე, წმინდა ქვიშისგან რომ შესდგება. აქ გრძელი სკამებია ჩამწკრივებული, დაჯდები და გასცქერი ზღვას, რომელსაც უფრო მეტი ლიბერის ფერი აქვს, ვიდრე სხვა ზღვებს.

სკამიდან მესმის იმისი ხმა, რომელიც შორიდან მომყვა აქ, ამ ახალ სანახაობამდე.

— ოდესმე და ახლო წარსულში აქ დიდი გაჭირვება და უბედურება მეფობდა, თანაც განუწყვეტელი ომები.

ეს ბუნებრივიც იყო, ეროვნულობის გამო. ძირითადი მოსეხლეობა თუქულია: ქართველი მუსულმანები. [5]) ასში 61 ქართველია, 9 რუსი, 11 სომეხი, 8 ბერძენი, 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ებრაელი. მაშასადამე, შეურიგებლობა უმწვერვალესობამდე იყო მისული. მთავარი საკითხი ეს იყო: მუსულმანი ხარ, თუ არა? მეჩეთში დადიხარ თუ ეკლესიაში? რა გწამს: ჯვარი თუ ნახევარმთვარე?

აჭარისტანი, ნამდვილად რომ ვთქვათ, ერთი დიდი ქვაბი იყო, სადაც ეროვნული და სარწმუნოებრივი შეულლი სდუღდა.

იმპერიის რეჟიმის დროს განათლება აქ მხოლოდ რუსებისთვის იყო შესაძლებელი,—ან, უკეთ რომ ვთქვათ, მდიდარი მუსულმანების ბავშთათვის, რადგან მუდამ არსებობს ხოლმე კომბინაციები და თანაზიარობა ადგილობრივ გადაგვარებულ მდიდართა და მჩაგვრელთა შორის. თუმცა იყო ერთგვარი წყეული საკითხიც, ეს იყო გიმნაზიის მუნდირისა და ქუდის საკითხი, რაც ზოგიერთს მეტად მართლმორწმუნე მდიდარს ხელს უშლიდა თავისი შვილებისთვის სწავლა-განათლება მიეღებინებია. ბათომში შვიდი სასწავლებელი, აჭარის სოფლებში კი—არც ერთი. აქედან ადვილი გასაგებია: ნიკოლოზ მეორის მთელს მეფობაში მხოლოდ სამ აჭარელ მუსულმანს დაგისახელებენ, რომელსაც საშუალო სწავლა მიეღო (ერთი მათგანი მეც ვნახე).

მაგრამ ძმათამკვლელი ომების მოყვაროულ სწავლულთა რიცხვი, საუბედუროდ, ყოველთვის მრავალი იყო. იბრძოდენ ინგლისელების ოკუპაციის წინედ და ოკუპაციის განმავლობაში, რადგან ქართველი მუსულმანები მას არ სცნობდენ. იბრძოდენ შემდეგაც, როცა ინგლისელებმა ბათომი მენშევიკებს გადასცეს, ან როცა მენშევიკებმა აჭარისტანის ნაწილი თურქებს დაუთმეს, ამ უკანასკნელთა მიერ პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ აღმოჩენილი დახმარების საფასურად. ინტრიგები, შეთქმულებანი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა ქემალისტებსა და ქართველ ნაციონალისტებს-
შორის; ერთნიცა და მეორენიც უცხოელთა ხიშტებს უხ-
მობდენ დასახმარებლად. შორეულ ამბებს არ გამოვკიდე-
ბივარ და ამიტომ ვერც წვრილმანებით დატვირთვას მისა-
ყვედურებს ვინმე, მაგრამ ვიტყვი, რომ საკმაო იყო რამ-
დენიმე წელი მსოფლიო ომისა, რათა ეს ქვეყანა ისე გა-
ნადგურებულიყო, რომ კეთილგონიერ ადამიანს ეს განა-
დგურება საბოლოო ჰგონებოდა.

თუმცა აქაურ გლეხს რაღა ზედმეტი შევიწროება
ესაჭირეოებოდა! ვიმეორებ, შორეულ წარსულს არ გამო-
ვუდგები-მეთქი, ვლაპარაკობ მხოლოდ გუშინდელ ამბებზე
და მაშინაც კი აჭარელი გლეხი ერთი უბადრუკი და ღა-
ტაკი ვინმე იყო. არსებობდა აქ ქალთა გაყიდვაც და ეს
ამბავი არც თუ წინაისტორიულ ხანაში ხდებოდა, რად-
გან ამის მომქმედ ვაჟბატონებს დღესაც ჰხედავენ; ისიც
ფაქტია, რომ აქაური ბეგები გლეხებს ვაჟებსა სტაცებ-
დენ და ოსმალეთში მონებად ჰყიდდენ. როცა ეს ბორო-
ტებანი ოფიციალურად შესწყდა, გლეხს ამით მაინც არა
შემატებია რა ბედკრულს აჭარისტანში.

ბაქო.

რუხი ქაღალდი, რომელზედაც აქა-იქ ჭიანჭველების
მწკრივივით მოსჩანან აქლემები, და წყალნარევი ტუშით
მოხაზული ტალღისებური ნელი მოძრაობა,—ასეთია ის
სურათი, რომელსაც რკინის გზის ბრწკიალა ლიანდაგი
რკალავს (და ჩვენც ამ რკალზე მივქრივართ). ან უკეთ,
ეს არის დაფშვნილი თიხის ჭურჭელი, შორიდან რომ თი-
ხოვანი გრძელი მთები არტყია გარშემო. ბოლოს, შედი-
ხარ ნავთის ჭების რაიონში, ბაქოს გარეუბნების ამ უსა-
ზღვრო ტყეში. ხარაჩოებივით აჩხატული მთელი ქალაქი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ფეხი ნავთში უდგია. შორიდან ბინდში კათედრალები გგონია, ოპტიური ხერხით გამრავლებულნი.

სადგურზე ბევრი ხალხი დაგვხვდა. შემდეგ ზოგიერთებიანად ერთ სახლში შევედით. ეს სახლი ისეთ ქუჩაზეა, რომელიც სახლების განუწყვეტელ ჯაჭვს წარმოადგენს. ჩვეულებრივად, სახლები ქუჩებში ვერტიკალურად არიან ერთმანეთს დაშორებულნი, როგორც კბილები; ამ ქუჩის სახლები კი მთლიანად ერთს, ალაგ დაბალსა და უხალისო სანახაობის კედელს წარმოადგენს. სახლში, როცა ბინდისას გარედან შედიხარ, წყვდიადი მეფობს, ფანჯრები არ აქვს; ისეთივე მყარია, როგორც სარდაფი, კედლები ჭოონავს, იატაკი სოხანისაა.

— ეს საცხოვრებელი ბინა იყო.

გვეუბნება ერთი ამხანაგი, ნავთის მუშა.

ერთს რგვალ მაგიდას შემოვუსხედით, რომლის ოთხი ფეხიც დასობილ ჰალოს წარმოადგენს.

მუშამ დაუმატა, რომ ასეთი ძველებური სახლები კიდევ ბლომადაა, და ამ საბაბით ოდნავ თვალი მოავლო ჯერ კიდევ ცხოველ წარსულს.

— ომამდე ნავთის მუშათა რიცხვი მეტი იყო, ვიდრე ახლა; 60000-მდე იქნებოდა.

ამტკიცებს ჩემი მობაასე, რომელსაც თვალები ცისფერი აქვს, თმა ქერა, ჩოთქივით აკრეჭილი,—ბელგიელსა ჰგავს თუ გერმანელს (თუმცა კი წმინდა რუსია, გვარად ლავრენტიევი).

— ომამდე მუშათა ბინების უმეტესობა სრულიად მოკლებული იყო სინათლესა და კედლები ისე ჭოონავდა როგორც გამოქვაბულში. აქ იმიტომ მოგიყვანეთ, რომ საკუთარის თვალით გენახათ მაშინდელი გარემოება. ბევრი ბინა მიწურს წარმოადგენდა, სულზე ერთი კუბიკური

მეტრის ჰაერიც კი არ მოდიოდა. ამიტომ მუშათა ბინებში სიკვდილიანობაც ერთობ დიდი იყო.

აქ, ჩვენმა სახელგანთქმულმა განმზოგადოებელმა, რომელიც ბაქოს გაგვყვა, სიტყვა გააწყვეტინა:

— ნება მიბოძეთ, ამხანაგო.

და სიკვდილიანობის შესახებ მან გვამცნო, რომ მეცხრამეტე საუკუნეში საერთო სიკვდილიანობა, ათას სულზე, საფრანგეთში იყო 30, ინგლისში—24, რუსეთში—26, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში კი ეს ციფრები ასეთი იყო: საფრანგეთში—22, ინგლისში—18, რუსეთში—35.

ამ სტატისტიკის შემდგომ ისევ პირველმა განაგრძო:

— მიუხედავად ამისა, თუ ამის გამო (ალაჰმა უწყის) ომამდე ბინის დიდი კრიზისი იყო; მუშების გაფიცვის მოთხოვნათა პირველს რიგში ამას აყენებდენ: სუფთა ბინები. სამუშეოარი უხეირო იყო: მანქანები ძველი. ჰაერში ჭვარტლიანი ბუღი იდგა. სამუშაო დღე 8 საათს აღემატებოდა. მუშა დღიურად 80 კ. იღებდა. ნავთის ტრანსპორტის კონდუქტორი 23 მანეთს თვიურად. პატრონს კი თვისი კაპიტალის 30-40% რჩებოდა.

შემდეგ დაიწყო ომი, გარეშე და სამოქალაქო ომი, განადგურება. მე ვიქვი: 60.000 მუშა-მეთქი (ნამდვილად 58.000), მაგრამ ეს იყო 1913 წ. 1920 წელს კი 12.000-მდე ჩამოვიდა. ბაქოს ნავთის წარმოება, რაც 1914 წ. 480 მილიონ ფუთს შეადგენდა, 180 მილიონამდე დაეცა. დასასრულ, თეთრგვარდიელთა და მოკავშირეთა ჯარებმა სრულიად მოუთავეს ხელი: გააოხრეს, დასწვეს, გაანიავეს ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა, ხოლო თუ საწარმოებს ცეცხლი არ მისცეს, იმიტომ კი არა, რომ არ უნდოდათ, არამედ იმიტომ, რომ ვერ მოახერხეს ისე, როგორც გროზნაში ჩაიდინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და იცით განა, რომ ღღესაც კი, 1927 წლის ბოლოს, 450 ინჟინერი და 17.000 მუშა უნდება იმ ნაოხარის აღდგენას, რაც კავკასიის ერთად-ერთ სანავთო რაიონში ათასი ჯური „პატრიოტებისა“ და დასავლეთის ცივილიზაციის სტუმრობას მოჰყვა.

„რაც შეეხება წარმოების სხვა დარგებს, აზერბაიჯანში იყო ორი თუ სამი საფეიქრო პატარა ქარხანა. მაგალითისთვის დაგისახელებთ ერთ მათგანს, სადაც მუშა თერთმეტ საათს მუშაობდა ღღეში და ოც არშინსაც ვერ ჰქსოვდა.

— დიახ, გადიოდა ხანი და ყველაფერი უკულმა მიდიოდა. მიწა წყურვილით ჰკვდებოდა, ჩვენ კი —სიმშილით.

— ახლა სკოლები. თვითმპყრობელობის დროს ბევრი ალმაცერად უცქეროდა ჩვენს 974 სკოლას. პეტრე დიდის უკანასკნელი ნაშიერის ჩამოგდების შემდეგ, მუსავატელების მთავრობის დროს, რომელნიც 1918 დან 1920 წლამდე ჰბოგინებდენ აქა, 666 სკოლა-ღა დარჩა.

„ჰო და, რომ დავუბრუნდეთ იმას, რასაც ყოველთვის უნდა დავუბრუნდეთ,— პოლიტიკურ ანბებს,— უნდა მოგახსენოთ, რომ თვითმპყრობელობის დროს ბევრი რამ გამოვიარეთ. 1905 წლის შემდეგ აქაც დანავარდობდენ შავრაზმელები, რომელთა საშუალებითაც ნიკოლოზ მეორეს სურდა კვლავ უღელი დაედგა თავის შინაური ცხოველებისთვის,—რუსეთის მცხოვრებთათვის. ბაქო და აზერბაიჯანი პოგრომების ასპარეზად იქცა, რითაც თვითმპყრობელობის მთავრობას შეეძლო ეამაყნა. ბაქოსა და მის მიდამოებში, ბალახანაში მოაწყეს ძმათა შორის სისხლის ღვრა, რაც თავის დროზე გვარიანად ასწერეს მთელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოსულმა ჟურნალის-

ტებმა. მაგრამ რა საჭიროა ყველა იმ ადგილის დასახელება, რაკი მთლიანად შეუძლებელი იქნება მათი ჩამოთვლა.

„ჩვენში პოლიტიკური საკითხი მუდამ ნეციონალურ საკითხთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული“.

და აი ერთხელ კიდევ მივადექით მას,— რასების ნაწყვეტების შეხლა-შემოხლას!

— ასე მძაფრი იგი არსად ყოფლა.

(ესევე შეიძლება ითქვას, შეუმცდარად, თითოეულს ამ ქვეყანაში: ამიერ-კავკასია მოშუღლე ძმათა ქვეყანაა).

— თურქული ელემენტი აქ უმრავლესობაა, ეს ყველამ იცის. შემდეგ მოდიან რუსება. თათრებს, საუბედუროდ, დახშული ჰქონდათ განათლების კარი: ასში ერთმა თუ იცოდა წერა-კითხვა, 99% სრულიად უვიცი იყო. ისინი არაოდეს სამხედრო ბეგარას არ იხდიდენ, სამუშაო იარაღი იყვენ მხოლოდ. სამღვდელოების მონობაში და უჯიათ შრომაში იყვენ ჩაბმულნი. მათი უვიცობა ერთმანეთს აშორებდა მათ, ხოლო სათითოოდ კი მსხვილ მემამულეებზე აბამდა მაგრად. ძვირი და ძვირფასი წყალი, ტყეები, ვარგისი მიწების სამი მეოთხედი ეკლესიებსა და მეჩეთებს, ხანებსა და ბეგებს, ესე იგი, დიდებს ეკუთვნოდათ. გლეხებს ხელიდან, ხოლო მუშებს პირიდან ჰგლეჯდენ ლუკმას. მუშათა მოსახლეობისა და ღარიბი გლეხობის საშინელ ჩაგვრასთან ერთად უნდა გავიხსენოთ აგრეთვე არარუსთა მოსახლეობის პატიმრული რეჟიმი, იმ მოსახლეობის, რომელიც სხვერპლი იყო დაკანონებული ცრუმორწმუნოებისა, სამღვდელოების მაგიური ხელისუფლებისა, სამოქალაქო კანონმდებლობისა, „ინოროდცების“ მოსასპობად რომ იყო შექმნილი, და „კოშმარული“ სისხლის სამართლის კანონმდებლობისა.

„როცა უკვდავი სამართლიანობის პირველმა შეეჭ-
ვამ ნიკოლოზს ალმასის გვირგვინი თავიდან მოჰგლიჯა,
აქ მუსავატელების პარტიამ იგდო ხელისუფლება. ამ პარ-
ტიას დემოკრატიული პრეტენზიები ჰქონდა, რადგან
აზერბაიჯანის რესპუბლიკა დაარსა. მაგრამ ეს ფასადი
იყო, საჯარო მხარე. ნამდვილად კი ეს პარტია, რომე-
ლიც 1903—05 წ. დაარსდა აზერბაიჯანის თურქულ-თათ-
რული ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის მიერ (რასულ-
ზადე, ხან ხოისკი, დ-რი სულთანოვი, ჯაფაროვი, ხასმა-
მედოვი, რომელნიც ამჟამადაც მას ჰბელადობენ) ნაციო-
ნალისტური მუსულმანური პარტია და ოსმალეთის ავან-
გარდი იყო. მისი სახელი თანასწორობას ნიშნავდა,—მა-
გრამ თავს ნუ მოვიტყუილებთ: თანასწორობა მხოლოდ
თურქებისთვის იმპერიალისტური რუსეთის წინააღმდეგ,
მეტი არაფერი. მისი განსაკუთრებული მტერი არათურქი
იყო, ხოლო უფრო განსაკუთრებული კი—სომეხი. მის მი-
ზანს ოსმალეთთან აზერბაიჯანის შეერთება შეადგენდა.

„ჰო და, მუსავატი ასპარეზზე გამოვიდა და 1917 წ.
პირველი როლი ითამაშა. ოქტომბრის რევოლიუციის შემ-
დეგ, როცა რუსის ჯარმა კავკასიის ფრონტი დასტოვა
და ენვერ ფაშამ შემოტევა დაიწყო, მუსავატისტები ყო-
ველი საშუალებით ეხმარებოდენ მის წინსვლას. იგინი
ჩვეულის ხერხით მოქმედებდენ: ხელს უწყობდენ საბჭო-
თა რუსეთიდან ამიერკავკასიის გამოყოფას, ამიერკავკა-
სიის სეიმის დაშლასა და ამიერკავკასიის სამი მთავარი
ხალხის: ქართველების, სომხებისა და თათრების დამო-
უკიდებელ ერად გამოცხადებას.

„ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომელიც ძა-
ლით იყო თავს მოხვეული, ოსმალეთს საზღვრად ყარს-
არდაგან-ბათომის ხაზს უდებდა, ხოლო კონსტანტინოპო-

ლის მთავრობა აღსთქვამდა, რომ კავკასიის დანარჩენ ნაწილებს ხელს არ ახლებდა, რადგან იგინი საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა და მაშასადამე, იგი (ოსმალეთი) არც ბაქოში შემოვიდოდა. თქვენ რა თქმა უნდა, გეცოდინებათ, ისე როგორც მთელ ქვეყანას, რომ ომის განმავლობაში ოსმალეთმა სრულიად მოსპო ოსმალეთის სომხეთი. იგივე სურდა მას რუსეთის სომხეთისვთის, რათა სტამბოლიდან ბაქომდე ჰომოგენური ოსმალეთი შეექმნა. ეს განზრახვა ენვერ ფაშას ადვილად შეეძლო განეხორციელებინა, რადგან ერევნის რესპუბლიკა, დაშნაკელების წყალობით, მოკლებული იყო საბჭოთა რუსეთის მფარველობას. ასე ეშკევიან ხალხს მისი მმართველები.

„ბაქოში, როგორც სამრეწველო ცენტრში, მუდამ ბლომად იყო რევოლიუციონური ელემენტები. მეორეს მხრით, კი, მუსავატი, რაც ადვილი გასაგებია, ყოველთვის კონტრევოლიუციის ბუდე იყო (მასთან ერთად პანისლამური პარტიაც,—იტტიჰადი ისლამ). ერთი თვალი მოვავლოთ 1917 წ. ამბებს. მეფის მოადგილემ, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ სიმეტრიულად მოაწყო კონტრ რევოლიუციის ცენტრები, მისი გავლენით დაარსდა ნაციონალური საბჭოები, რომლებიც ხელში ჩაუვარდა სომხეთში დაშნაკელებს, საქართველოში კი—მენშევიკებს; მისივე წაქეზებით მოეწყო ელეტა მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის. ანტი-სომხური, ისე როგორც ანტი თათრული აგიტატორები სოფლებს მოედენ და უხვად არიგებდენ იარაღს. ესენი გამოჰფენდენ რომელიმე თათრის გვამსა და ხალხს ასე ეუბნებოდენ: აი, სომხებმა მოჰკლეს ესაო. სომხებიც ამნაირსავე ხრიკს მიმართავდენ ხოლმე. და ამგვარად ინთებოდა შუღლის ცეცხლი.

„ეს ომები ნაყოფიერი გამოდგა. ამ ქვეყნებში კონტრ რევოლიუციას შოვინიზმი ისე ესაჭიროება, რომ გორც ღვინო. იმავე დროს არსებობდენ მუშათა საბჭოებიც, ოდესმე რომ მენშევიკებს შეექმნათ, და ახლა კი თანდათანობით ბოლშევიკების გავლენის ქვეშ ექცეოდენ; ეს საბჭოები ოპოზიციაში უდგენ ეროვნულ საბჭოებს. ამ მუშათა საბჭოების გავლენით ჩაიგდეს ბალშევიკებმა ბაქოხელში. და ეს გავლენა უნდოდათ სწორედ გაექარწყლებინათ სამოქალაქო ომის ორომტრიალში, მით უმეტეს, რომ აგრარული მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა და გლეხობა ხმამაღლა მოითხოვდა მიწების დაყოფვას.

„ამავე დროს ფრონტიდან ჯარი დაიძრა; ამ ჯარში სომხებიც იყვენ, მაგრამ ასეთი დამხმარენი როდი უნდოდათ. ქართველი მენშევიკების მეთაურმა ჟორდანიამ დეპეშა აფრინა განჯას, სადაც დიდ მემამულეთა კომიტეტი არსებობდა, რათა ფრონტიდან დაძრული ჯარისთვის გზა არ მიეცათ შინ დასაბრუნებლად. ასე რომ, ესენი კავკასიის მიებში მოემწყვდენ. ბაქოს საბჭო წინაღუდგა ასეთ მომწყვდევას. დაიწყო სისხლისღვრა. ჯარისკაცებმა იარაღით გაიკაფეს გზა. ქალაქი შემახა, რომელიც შეტაკებათა მთავარი ასპარეზი იყო, სრულიად განადგურდა. ამ ოდესმე მშვენიერს ქალაქში 1500 სახლიდან მხოლოდ ორი-ღა გადარჩა.

„სიმართლის მაძიებელ ისტორიკოსებს, ალბად, დიდი შრომა დასჭირდებათ, რათა უტყუარად გამოარკვიონ მაშინდელი საშინელი და საშეზარო ამბები, რომელთაც სარჩულად ერთი რამ ედო: ნაციონალური შეღლის ქაოსში ნამდვილი რევოლიუციური ბრძოლის ჩახჩობა. ყველაფერ ამბავი 1918 წ. მარტში მოხდა, როცა ბაქოში უკვე მუშათა საბჭო იყო. მუსავატელებმა და მათმა მოკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეებმა ბაქოში კავკასიის კონტრ-რევოლიუციური დივიზია („დიკაია დივიზია") მოიწვიეს. დაშნაკთა კურთხევით მოეწყო შეთქმულება ბაქოს საბჭოს დასამხობად. სოფლებშიც მღელვარებამ იჩინა თავი. ხოლო თუ ამ მომენტში ნაციონალურმა აჯანყებამ ვერავითარი ნაყოფი გამოიღო, სამაგიეროდ, ჩვენმა კაი მმართველებმა ბაქო თურქებს გადასცეს, თურქებმა კი მუშათა საბჭო განდევნეს. საბჭო და მასთან ერთად რამდენიმე ბოლშევიკი კრასნოვდსკს შეეხიზნა. იქ მყოფმა ინგლისელებმა ოცდაექვსი სახალხო კომისარი შეიპყრეს და დახვრიტეს.

„ბაქოში თურქების შესვლას კიდევ ის უშუალო შედეგიც მოჰყვა, რომ მათ მრავალი მუშა და ათასობით სომხური ოჯახები ამოხოცეს (ეს იყო ერთ-ერთი ისეთი ველური ჟლატა, როგორიც კი შეიძლება კაცის გონებამ წარმოიდგინოს), ხოლო ოსმალეთსა და გერმანიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აზერბეიჯანი ოსმალეთის ერთ-ერთ პროვინციად იქნა ცნობილი (მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო ომის დასასრულს გერმანია მთელს ამიერკავკასიაში იყო გაბატონებული).

„შემდეგ ჯერი მიდგა წმინდა ანტანტის მოკავშირეებზე და მათ შორის ყველაზე უფრო წარჩინებული—ინგლისელებზე. აღმოსავლეთ კავკასია ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული პუნქტია; გარდა ამისა, ბაქოში ნავთიცაა. წარმოგიდგენიათ, რა საამო სუნი ეცემოდათ მათ (ბაქოს ნავთისა და აგრეთვე სპარსეთისაც, რომელიც აქედან არც ისე შორსაა)! მათ სცადეს, ხელში ჩაეგდოთ მთელი წარმოება და ამიტომ თავიანთი სრული უფლება გამოაცხადეს. ინგლისელებს უყვართ იქ დამკვიდრება, სადაც კი ფეხს დასდგამენ: „მათ თავი ყველგან ეგვიპტეში ჰგონიათო", სთქვა ერთმა ფრანგმა ვოდევილისტმა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ აკადემიკოსი გახდა. ინგლისელებმაც, თავის მხრივ, კარგად გამოიყენეს ნაციონალიზმის ორპირად მჭრელი იარაღი. გარდა ამისა, დენიკინსაც დაეხმარენ: ბაქოდან, ამ კეთილშობილი შრომის ქალაქიდან, უხვად მიაწოდეს თეთრ ჯალათს იარაღი და სამხედრო მასალა. შემდეგ სცადეს, ბაქო თეთრებისთვის გადაეცათ, ამას ისეთი გართულება მოჰყვა, რომ ინგლისელები წავიდენ, მერე ისევ დაბრუნდენ.

„დასასრულ, მუშებმა და გლეხებმა გასცოცხეს ინგლის-რეაქციონერ-მუსავატისტ-დაშნაკელების ეს კოალიცია.

„ხომ ხედავთ, როგორ ეხვევა ნაციონალისტი კონტრ-რევოლიუციონერისა და კონტრ-რევოლიუციონერი კი ნაციონალისტის ქურქში. მაგრამ ეს ხომ ერთდაიგივე პიროვნებაა.

„ჰო, როცა წარსულის ამბებს ასე მოგითხობენ, წარმოუდგენიათ განა, რამდენ ტანჯვასა და უბედურებას შეიცავს იგი იმ ხორცსხმულთათვის, რომელებსაც იმ ქვეყანაში უცხოვრია!“

ასეთი სიტყვები გაისმოდა მეფისეულ საპრყობილეში, რომელიც კიდევ არსებობდა ბაქოს განაპირა უბანში 1927 წ. დასასრულს.

* * *

ამრიგად, წიგნები დავხურე, იქით გადავდე მაცდური გაზეთებიც, თვალში რომ გეჩხირებიან, და წავედი, რათა ყველაფერი ადგილობრივ დამეთვალიერებინა.

აქამდე მხოლოდ რამდენიმე შორეული სახე მიჩვენებია, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი მიამბნია თქვენთვის, რომელთა შორის ხარვეზებიც არის. თუმცა ახლა-

ვე შემიძლია უკვე ვსთქვა: თვითმპყრობელობის რეჟიმისა ასოცი წლისა და მენშევიკების, დაშნაკელებისა და მუსავატელების სამი წლის ბატონობის განმავლობაში კავკასია უწესოებას, შფოთსა და წამებას წარმოადგენდა მუშებისა და გლეხებისთვის, განადგურებას მონებისთვის. ამ ვაჟბატონების მბრძანებლობის დროს იგი ასპარეზი იყო ეროვნებათა ბრძოლისა, სასაფლაო ბრძოლისა და სასაკლაო თავისუფლებისთვის მებრძოლებისა. ძველი მშობლიური დედამიწა გაიცვითა ნგრევითა და შფოთით. თანამედროვე ეპოქას რომ დაუბრუნდეთ და, მრავალთა შორის, მხოლოდ ერთი მაგალითი დავასახელოთ, შეიძლება ითქვას, რომ ომითა და მის მიერ გამოწვეული შედეგებით ქვეყნის პირიდან აღიგავა რუსეთისა და ოსძალეთის ერთი მილიონი სომეხი.

რასათა ამ ხლართის აგონიაში ყველგან ერთი და იგივე ნიშანი სჩანს: ექსპლოატაცია, ადამიანთა მოდგმის დაკნინება, მასების გულუბრყვილო და მარტივი ინსტინქტების გამოყენება ძმათა საკლავად,—როგორც ბატონობის საშუალება და შედეგი,—რასაც ჯერ ტირანიული თვითმპყრობელობა, შემდეგ კი ის პარტიები მიმართავდენ, რომელთაც რევოლიუციას მოსტაცეს ხელისუფლება.

დიახ, როგორც ყველანი ამბობდენ: ამიერკავკასია, მოშუღლე ძმათა ქვეყანა, უფსკრულის პირს იდგა და ადვილი იყო ამ დაქუცმაცებული ქვეყნის აღსასრულის გათვალისწინება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

ლ ი ლ ე ბ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩემ მიერ თვალმოკრული ეს ადამიანები, საღამოს, ღამით, მათის მაშინდელი შესახედაობით, ვით ეკრანზე გარბენილი სახეები, თურმე ცუდად მინახავს, რადგან იგინი წარსულზე მიამბობდენ და მეც ისე აღმებეჭდენ, როგორც მეჩვენა, და არა ისე, როგორიც ნამდვილად არიან; თითქოს ისინი ათი ან ოცის წლის წინედ მენახოს.

ახლა კი აგერ, აი რამდენიმე დილა იმ ხუთს, ერთობ ბინდიან ხილვას რომ ენაცვლება. ეს რამდენიმე ნათელი დილა უფრო ეწყობა სინამდვილეს: წარსულის მიფენილი ხუთი თუ ექვსი შუქი სინათლისა.

მე, მართლაც, იმისთვის მოვსულვარ, რომ თვალი ამ ფანტასტიური ბუნების, რომელიც დედამიწაზე, მგონი, ერთად-ერთია თავისი ბრწყინვალეებით, სინათლით სავსე წიაღში გამეხილა: რუხი ხავერდის ველები, რომელნიც შორეული მთების უზარმაზარს მკრთალ მარაოებს მოუკაზმავს,—თავზე მონუმენტალური ცა; ფრთაგრძელი არწივები, სივრცეს რომ ჰსერავენ, ატყვევებენ ჩვენს თვალს, რომელიც წერტილებისა და მძიმეების ჰაერში მოძრაობასაა მხოლოდ ნაჩვევი; გრანდიოზული ხევები, სადაც ცქერა ძლივს დაბობლავს და თავბრუდამხვევი სიმარდით დახტუნავს; სამიათას მეტრიან სიმაღლის მთაგრეხილებზე გადაშლილან უსაზღვრო სივრცეები, თქვენს გულს რომ ზღვარდაუდებლობით ავსებენ; ციხე-კოშკები, მწვერვა-

ლებს რომ ბუდეებივით მიჰკვრიან; მონასტრები, რომელ-
თა გუმბათები და კედლები მოხატულია ძველის ძველი
მეფეებით, ტანი რომ ბუნებრივზე უფრო დიდი აქვთ, და
ნაირი ფერის წმინდანებით, სამრეკლოების დიადობას რომ
მოგაგონებსთ; მწვანე ტალავრები, ჩრდილითა და სიგრი-
ლით აღსავსენი; შავი ზღვის ნაპირების განსაცვიფრებე-
ლი სამოთხეები: მთის კალთებზე შეფენილი პარკები,
აშოლტილი კვიპაროზები რომ მცველებივით გარს შემორ-
ტყმია; მუხები, ალვის ხეები, კედრები, პალმების სქელი
ტყეები და ეგზოტიური შვენების მთელი რიგი, უფრო
მძლავრი და უფრო ლამაზი აქ, ვიდრე აფრიკასა, ამერი-
კასა და ავსტრალიაში, საიდანაც იგი გადმონერგილა.

იანეული. ხის ლამაზ ფეხებზე შემდგარი კავკასიუ-
რი ქოხი. ხილის ბაღი, რომელიც მაშინ ფანჯრის სინათ-
ლით იყო გაშუქებული, ახლა მზეს გაუბრწყინებია. კობი-
ძე თავის ბაღს მათვალიერებინებს: პომიდორი, კვახი და
ყოველნაირი მწვანილი, ხილისა და ყვავილების თაიგუ-
ლები. ეს ბაღი აცხოვრებს მას: „ყველა ამაში ერთი კა-
პიკიც არ გამიღია,—მეუბნება ეს კაცი, რომლის თეთრი
ბლუზაც მზეზე ჰქათქათებს თვალისმომჭრელად,—ყველა-
ფერი სამეურნეო ბანკმა მოშაწოდა“. მეორემ ბაღს თვა-
ლი მოავლო და სთქვა: „მართალია, მიწა ჯერ-ჯერობით
ძლიერ ცოტა რასმე იძლევა, მაგრამ, იმედი გვაქვს, შე-
მოსავალიც ისე გაიზრდება, როგორც ეს ახალგაზრდა
რგულები“.

იგი მიამბობს, რომ მოსახლეობამ უკეთეს კულტუ-
რებს მიაგნო, ვიდრე ძველი იყოო: ერთი ფუთი სიმინდი
გლეხს 1—4 მანეთს აძლევს, აბრეშუმი—24 მან., თამბა-
ქო—25 მ., ჩაი კი—40 მანეთს. ბერიძეს ლელვის ხის ქვეშ
მივყევარ, იქ გუმბათიანი ჩრდილი დამდგარა. ასე მგო-

ნია, ეს ლეღვის ჩრდილი ვიღაც მხატვარს მის სახესა ზედ ჩოხაზე გადაუტანია-მეთქი. იქვე, მარნის კვირისტავის გვერდით, ფიცრებს მიჩკენებს; „ეს ჩემი სახლის ფიცრებია; დავანგრიე. რომ უკეთესი ავაშენო, მაგრამ ის კი აღარ იქნება, რაც იყო, რადგან, თუმცა ხნიერნი ვართ ორივე გავახალგაზრდავდებით“.

ახალქალაქი. აღმოსავლეთის ერთი ხილვა. ქუჩაში სხვადასხვაფერად ჩაცმული ხალხი ირევა. დუქნებში ღია ბოხჩასავით გადაზავებულა მრავალნაირი სანოვაგე: თევზი, ყველი, ხორცეულობა, აგრეთვე ქსოვილები, თავსაფრები, ვარდისფერი და ღია ცისფერი ბლუზები (ლურჯებზე ვარდისფერ ქამრებს ირტყამენ, ვარდისფერზე—ლურჯებს, ასეთია გემოვნების კარნახი).

ყველა ეს სხვადასხვა ენით მოლაპარაკე ხალხი ძმურს ურთიერთობაშია, მხარდამხარ მუშაობს! ხანდახან, როცა მათ—თურქს, სომეხს, ქართველს—ერთმანეთისა არ ესმით, იღიმებიან ხოლმე. სახელოსნოში, მშენებლობაში თუ დუქნებში ის, ვინც სხვადასხვა ენა იცის, სთარგმნის და ყველა კმაყოფილია. ამის მნახველი ქალი და კაცი ჩემზე უფრო აღტაცებულია, რადგან კარგად ახსოვს წარსული.

ერთი გლეხი ნაზაროვს გამოელაპარაკება:

— შენ რომ შეშაზე უარი მითხარი, ტფილისს მივმართე და იქ მომცეს.

— ძალიან კარგი!

ღიმილით უპასუხებს ნაზაროვი და გლეხს მაგრად ართმევს ხელს.

მერე ჩვენ მოგვიბრუნდება:

— ეს, ცოტა არ იყოს, ჩემს ავტორიტეტს ამცირებს, მაგრამ გაუმარჯოს ტფილისს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზღვრე პოსტი სავსეა ჯარისკაცებით—ამ დიდ-
რონი ბავშვებით, სცეკვავენ, იმღერიან; როცა დაელაპა-
რაკები, წარბებს ასწევენ. ჩაფიქრდებიან, რადგან სურთ
რაიმე შეითვისონ, გაიგონ.

მეთაური მეუბნება:

— ვითომ საფრთხე მოგველის, ნახეთ, რა იქნეს.

უეცრად თოფი გავარდა. ჯარის კაცები თვალის და-
ხამხამებაში შეიარაღდენ. თურქები ხომ ორ ნაბიჯზე არიან
აქედან!

— მერე არ გეშინიათ, რომ ეს თოფის ხმა იქ არევ-
დარევას გამოიწვევს?

— თურქები მარჯვე ხალხია.

გარწმუნებთ, რომ სომხეთისა და ოსმალეთის საზ-
ღვრებზე წინედ ასეთ რამეს ვერ გაიგონებდით, რასაც
ახლა ამ საზღვრის ერთგული მცველები ამბობენ.

ოზურგეთი. ახალი რკინისგზა, გზატკეცილები, ახა-
ლი კულტურები, ნაშენობანი, მოქათქათე ხარაჩოები. მთე-
ლი სახლები თხილითაა სავსე. ამ ჩქარი აღწერის დროს
სტატისტიკას მაინც ვერ ავცდები: „ჩაის პლანტაციები,
მეფის დროს—ასი ჰექტარი, მენშევიკების დროს—ოცი
ჰექტ., დღეს კი—ათასი. თხილი, მეფის დროს ძლიერ
ცოტა, მენშევიკების ხანაში სულაც არა, ამჟამად კი
160.000 ფუთი". რაც შეეხება ფორთოხალს, ნარინჯსა
და სხვა ნაირნაირ ხილს, მათი მოსავალი თვალდათვალ
იზრდება.

ახალციხე. იგი ახალქალაქსა ჰგავს, როგორც ღვიძ-
ლი და, თუმცა იქაური მოსახლეობა სულ სხვა სისხლი-
საა, როგორც წინედ იტყოდენ ხოლმე. ერთი გლეხი მეუ-
ბნება: მეფის დროს შვიდი მანეთი გვქონდა გადასახადი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკობისას—ხუთი, ახლა კი ერთი მანეთიც არ გა-
მხოლოდ 90 კაპიკია.

ნახევარი საათის შემდეგ, როცა ქალაქის ბაღი გა-
ვიარე, სადაც მენშევიკების მიერ დახოცილი 11 კომუნის-
ტისთვის ძეგლი აუგიათ, ერთს დარბაზში მოვხვდი, სა-
დაც სხდომა იყო. ჩემს გვერდით ერთი ქალი ლაპარა-
კობს ქალთა თავისუფლებისა და კაცობრიობის ღირსების
შესახებ. ვტყობილობ, რომ ეს ქალი თურქია! თურქი ქა-
ლები ყველგან ჩადრს იხსნიან და მზის სინათლეზე გამო-
დიან. თითებზე ღა ჩამოითვლებიან ისეთები, რომლებიც
ქუჩაში შეხვედრის დროს ნიკაპზე წაიფარებენ თავიანთ
ჩადრსა თუ თავსაფარს ან მხოლოდ ხელს წაიღებენ ხოლ-
მე საამისოდ. რადგან მოსახლეობა თურქულია, სკოლებიც
თურქული აქვთ. თურქული ოფიციალური ენაა. სამი კა-
ცი გამაცნეს: მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე, რომე-
ლიც თურქია; ორი მისი მოადგილე—ერთი ქართველი და
ერთი სომეხი. ჩემთან ბაასში თუ ისინი ერთმანეთს არ
ეთანხმებიან, და უთანხმოება მხოლოდ ტეხნიკურ საკით-
ხებს შეეხება. ისე კი იგინი ერთხმად აღიარებენ, მაგა-
ლითად, რომ მაზრაში, ომამდე, 45.000 ხარი იყო, დაშ-
ნაკების ხანაში 40.000, ამჟამად კი 63.000.

ლენინაკანი. მზეს გაუბრწყინებია ეს რამდენჯერმე
მოკლული ქალაქი.—მოგეხსენებათ, რომ, ადამიანთან შე-
დარებით, რომელიმე ქალაქი შეიძლება რამდენჯერმე იქ-
ნეს მოკლული. ჩაშავებულს, დაქცეულ ქუჩებსა და ჭუჭ-
ყიან ალიზში მოსჩანს ახალი რამეების ხაზები. თეთრი
თვალდათვალ სჩაგრავს შავს.

ერთი ახალგაზრდა ოსტატი მეუბნება, რადგან მან
კარგად იცის აქაურობა:

— დიდი მუშაობა იყო საჭირო, რომ მიწისძვრის გავმკლავებოდით. ამჟამად მთელს მაზრაში 4136 ოჯახი შენდება. მთელი ხარჯი 21 მილიონ მანეთს უდრის (260 მილ. ფრანკი), აქედან 17 მილიონი ცენტრალურმა (მოსკოვის) მთავრობამ გაიღო. შევქმენით შენობის ახალი ტიპი: მაალა (რაც შეიძლება) მიწის ძვრის გამძლე უნდა იყოს, გარდა ამისა, ანგარიში უნდა გაეწიოს აგოეთვე ქალაქის საერთო იერს, ჰიგიენას და კომფორტს. აი გლეხური სახლის ერთი ტიპი, რომელსაც 75 კვ. არშინის (დაახლოებით $5^1/_2$ მეტრი $\times$ 7) მოცულობა აქვს. იგი 1400 მან. (18 006 ფრ.) ჯდება.

ხოლო თუ მიწამ ადამიანები დაამსხვრია, ადამიანებმაც დაამსხვრიეს იგი თავიანთი ინდუსტრიითა და სამხედრო მეურნეობით. და ახლა გულმოდგინედ შლიან ყველა ამის კვალს არა თუ მხოლოდ თეთრის კუბებით ქალაქების ადგილას, არამედ ცოცხალის ყანებითა და ლაზათიანად ნაჩენების ბაღებით ქალაქთა გარშემო.

ერთი ბწყემსი ცხვრებს მიჩვენებს და მეუბნება:

— ყველაფერი უნდა გამოგვეცვალა. გამოვცვალეთ კიდეც, როცა ვამბობთ: ომამდე მაზრაში ასი ათასი სული ცხვარი იყო და ახლაც ასი ათასიაო, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მდგომარეობა უცვლელია, არამედ ასიათასით მეტია.

მოშორებით, ავტომობილით რომ გავირბინეთ ელექტრო-სადგურია. ელექტროფიკაცია აქ ის დიდი იდეაა, რომელიც მზესავით ათბობს მუშაობას, ერთი კატალონელი ჟურნალისტი მას უწოდებს: საერთო მნიშვნელს მუშასა და გლეხს შორის. უფრო შორს, შირაქის არხი, რომელიც წყალსა და სიცოცხლეს მოუტანს ამ უნაყოფო ველს: 8.000 დესიატინა უკვე ირწყება, 15.000-იც მომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალში მოირწყება. იქით კიდევ საფეიქრო ქარხნები ალ-მართულა: ერთი დასრულებულია, მეორე სრულდება, ოთხი კიდევ ისახება. მთელი ერთი უბანი იქნება ქარხნებისა ახალი უზარმაზარი მანქანებით, როგორიც უკვე დამთავრებულ ქარხანაშია. საამისოდ ჯერ გააძლიერეს ბამბის კულტურა, ხოლო შემდეგ კი ქარხნები ააგეს, ამ მასალას რომ დაიმუშავებენ, მუშებად ომის 17.000 ობოლს გამოიყენებენ, რომლებიც უკვე წამოზრდილან და საფეიქრო ხელობისთვის კიდეც მოუმზადებიათ. ყველგან და ყველაფერს გეგმიანობა აჩნევია!

ერთჯა მკურნალმა სხვათა შორის მითხრა:

— ომამდე ახალდაბადებული სომეხი 42 სანტიმ. სიმაღლისა და 3000 გრამის წონისა იყო საშუალოდ, ახლა კი 46 სანტიმ. სიმაღლე აქვთ, წონა კი—3613 გრ.

იგი ღიმილით ამბობდა ამას, მაგრამ თითქმის აღელვებული იყო, რადგან ძალიან კარგად ესმოდა ამ პატარა რამის მნიშვნელობა. რამდენადაც სომხეთი მთელს დედამიწაზე ისეთი ქვეყანაა, რომელსაც ყველაზე ხშირად ჰკლავდენ ხოლმე, იმდენად იგი ყველაზე უფრო მრავლდება. ერევანში ყოველდღე 250 ბავში იბადება.

ბათომი. ავტომობილი მთას უვლის გარშემო სქელსა და სუნნელოვან მწვანეთა შორის. ეს მთა ხეხილოვანია: იქ სადაც სხვა კულტურა ვერაფერი ჰხარობს, ყველგან ჩაი დაურგავთ, რადგან ეს წითელი და მწირი ნიადაგი სწორედ მისი შესაფერისია. ომის წინა დროსთან შედარებით, ჩაის უმატნია ოთხჯერ, ნარინჯს ოცჯერ, თამბაქოსა და ხილის ბაღებს თორმეტჯერ. ერთი ახალი კულტურაც შემოუღიათ: ლიუფა, კიტრის მაგვარი მცენარე, რომელიც ღრუბლის მაგიერობას ეწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დიდი საზღვაო ქალაქის განაპირას, რომლის სიგრძე ბავშო დასასვენებელ სახლთა სახურავებს მთის მწვანილოვან ფერდოებიდან დაცქერით, ნავთის საწმენდ უზარმაზარ ქარხანას აშენებენ. სწორედ ბათომში ჩამოდის კავკასიური ნავთის მეტი წილი, რაც სხვა ქვეყნებში გასატანადაა დანიშნული. იგი ჩამოაქვთ რკინის გზით, ერთმანეთზე გადაბმული რონოდა-ცისტერნებით, და აგრეთვე ნავთსადენი მილით, რომელიც ბაქოდან მოკიდებული მთელს კავკასიას სიგრძეზე სჭრის. ბათომი ნავთის საგუბარია. ქარხანა, რომელიც გაუწმენდელ ნავთს დაამუშავებს, ახალ ნავთსადენიანად ერთი მილიარდი ფრანკის სამი მეოთხედი დაჯდება. ხოლო ნავთის გასატანი ხარჯი შემცირდება და, ამრიგად, მომავალი აწმყოს განაღებს აანაზღაურებს.

მთელი აჭარისტანის სკოლებში 12.000 ბავში სწავლობს, რომლის 30% გოგონები შეადგენენ (რაც ყველაზე უფრო განსაცვიფრებელია ამ მთლიანად მუსულმანურს მხარეში. ქალთა რიცხვის მეოთხედი ჩადრს აღარ ატარებს და, რა თქმა უნდა, მოხარულია, როგორც თვალახილული ბრმა [6]).

ბაქო. თურქული წარწერები, როგორც ბათომში (და გამახსენდა ბესარაბიის კიშინევი, სადაც თითქმის მთელი მოსახლეობა რუსია, მაგრამ წარწერები თუ რუსული რაიმე ნიშნები პოლიციის მიერ გულმოდგინედაა წაფხეკილი და რუმინულით შეცვლილი).

ნავთის სარეწაოები ზედ მიჰკვრია ქალაქს და ზოგან შიგაც შეჭრილა, მაგ., შავ ქალაქში, საღაც ნავთის სხვა ქვე-ნაწარმოებს იმუშავებენ; ყველა გულმოდგინედ შრომობს, რადგან შრომა აქ სპორტად ქცეულა და ამიტომაც ასე ფიცხლად ეკიდებიან მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ მივალწიეთ და შემდეგ კიდეც გადავაჭარბეთ ომის წინადროინდელ პროდუქციას,—მეუბნება ლავრენტიევი; —ამ პროდუქციის მესამედი უცხოეთის ბაზრებზე გადის. ჩვენი ნავთის ღირსება ამერიკულს სჯობია. უფრო იაფადაც ვყიდით და ამიტომ ვიგებთ. დეტერდინგი ბრაზობს, რადგან ჩვენ „კურსს ვაფუჭებთ", როგორც იგი ამბობს.

„ბიბი-ეიბათში სარეწაოები ზღვაში შეიჭრა. ზღვის ერთ ნაწილს ჯებირებით შემოვზღუდავთ, წყალს ამოვწრეტავთ და მერე ნავთს ვეძებთ ხუთასი თუ ათასი მეტრის სიღრმეზე. ეს, ზღვის წამება, თვითმპყრობელობის დროს დაიწყო, მაგრამ ჩვენ მეთოდიურად შევუტიეთ პირამიდისებურის კოშკებით. აი ამ წყლის კუნძულში, რომლის გარშემოც შემოვიარეთ, ამ ოთხი წლის განმავლობაში 45 მილიონი ფუთი ნავთი ამოიღეს. და დღითი-დღე ზღვას მივერეკებით. ჩვენ კაცობრიობის ჭიანჭველები ვართ, რომლებიც ევროპის ტერიტორიას ვუმატებთ!"

შავი ქალაქის ქარხნებში არის ძველიც, მათრახის რეჟიმი რომ განუვლია, მაგრამ ახლებიც ბევრია, მთლიანად აქაური თუ რუსი ინჟინრების მიერ ნაგეგმი და ნაშენები. ამ ახალ ქარხანაში, მაგალითად, სწარმოებს ნავთის სხვადასხვა ნაწარმოების გამოხდა, მძიმე ზეთიდან დაწყებული, ტალახს რომ ჰგავს, თვით სპეტაკ და მოლურჯო ბენზინამდე. ლავრენტიევმა ჩამომითვალა ის უანგარო გამოგონებანი, რომლებიც შრომის პირწმინდა შეჯიბრების შედეგი იყო, მაგ., გამოგონება კაპელუშნიკოვისა, დეგტიარევისა და ბევრიც სხვათა.

— ხომ არ გინახავთ ის ზინზლიანი მჭვარტლი, წინედ რომ ქალაქს ეფინებოდა ხოლმე, როგორც შავი თოვლი? ახლა იმ მჭვარტლს ვიჭეოთ და ვაგროვებთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე იქიდან მილიონი კილოგრამობით ნავთი გამოგვყავს.

— მილიონობითო?

— დიახ, მხოლოდ ამ უკანასკნელ სეზონში და ისიც მარტო ბაქოში იმ გაზებიდან მილიონ-ნახევარი ფუთი დავიჭირეთ. ბოლიც სრულიად გაჰქრა: ჰაერი სპეტაკია გამჭირვალე, თითქოს სარკე აუფარებიათო.

ერთი მუშა მეუბნება:

— თვეში 46 მანეთს (600 ფრანკს) ვიღებ, ეს იმაზე ნაკლები როდია, რასაც მამა ჩემი იღებდა, რომელიც ჩემსავით, ტრანსპორტის კონდუქტორი იყო და ოდესმე სხვებისათვის მუშაობდა. გარდა ამისა, მე უფასო ბინა და სხვა პრაქტიკული შეღავათებიც მაქვს. რვა საათს ვმუშაობ, მაგრამ აი მაღე შვიდ საათზე გადავალთ, შემდეგ ექვსზედაც, რადგან ექვსი საათი უფრო მოხერხებულია ჯერით მუშაობის მოსაწყობად (ოთხი ჯერი ოცდა ოთხი საათის განმავლობაში),

ამას კალიფორნიაშიც უმუშავნია:

— რვა საათს ვმუშაობდი, მაგრამ ქანცი მელეოდა. ტეხასში კი თორმეტიდან თხუთმეტ საათამდე გვამუშავებდენ; შუათანა ხელფასი სამი დოლარი დღეში. გამოწყულივით გყოფნის, ერთ ფარასაც ვერ გადანარჩუნებ. ზოგიერთი 6 დოლარს იღებს, მაშინ კი, სხვა საქმეა. თუმცა ხელფასის 25% ბინის ქირას უნდება. ჰყიდულობ, მაგ., სახლს შენი პატრონის ვალით, რომელიც ათი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადო, მაგრამ, თუ ვინიცობაა, ერთი ჯერისა არ შეგიტანია, სახლსაც წაგართმევენ და გადახდილ ფულსაც. დასკვნა: მე აქ მირჩევნია.

ის მუშა, ვინც ერთ საღამოს მეებასებოდა: „ამ სამ ფეიქრო ქარხნის მუშები, რომლებიც თერთმეტ საათს მუშაობდენ, წლიურად ცხრა მილიონ არშინს ჰქსოვდენ“, ახლა მეუბნება: „მუშების სწორედ ისეთივე რიცხვი რვა საათის განმავლობაში ახლა 20 მილიონ არშინ ჰქსოვს. ორი წლის წინედ თითოეული მუშა 29 მეტრ სქოვილს აკეთებდა, დღეს კი—46 მეტრს. შეიძლება სთქვან, ეს უკეთესი მანქანების წყალობითაა, მაგრამ კაი მანქანებს ხომ კაი მუშაც უნდა.

— გარდა ამისა,—შემოგვერია მეორე, —1913 წ. ნავთის ას მუშაში მხოლოდ ოცდაათმა იცოდა წერა-კითხვა, ახლა კი 70%.

ცეცხლის თაყვანისმცემელთა ტაძარი. ეს ერთი ძველის ძველი რამეა შუა სარეწაოებში რომ უხერხულად აღმართულა. თითქოს მუშაობის შესაფერხებლად განგებ წამოფხორილა იქა. მაგრამ იგი ხელოვნებისა და ისტორიის ერთ ერთი ძეგლია და ამიტომ მზრუნველობით იცავენ.

მოდის უმავთულო ტელეგრაფის ტალღა, რომელიც ჰაერს გონივრული შხუილით ავსებს. მოდის ეს დიადი ციური მასწავლებელი, რათა ყველას რაიმე ამცნოს.

ასე გვონია, სიზმარში ხარ: გრწამს, რომ საზოგაოოებრივ კეთილდღეობას აზრი აქვს, კეთილი აზრი!

ნეტავ რა მოხდა გუშინდელს აქეთ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III

ის, რაც მოხდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა მოხდა? ამის გასაგებათ თავი უნდა გავანებოთ ნაწყვეტ-ნაწყვეტ თვალიერებას,— ეს მხოლოდ სანიშნოა, გზის მაჩვენებელი. ამ ნაჭდევების საშუალებით საჭიროა ცოტა შორიდან და ზევიდან მთლიანი სურათი შემოიხაზოს.

ჩემი მეგობარი, გრძელწვერა ბრუსილევი ცხოვრებაში მეტწილად უთქმელი კაცი იყო. ერთხელ წვერი ააცანცარა და ასე დაიწყო:

— რომელიმე თანამედროვე ქვეყანა, ერთის შეხედვით, საუცხოო რამ უაზრობაა, ბევრი რამეა იქ თავმოყრილი. ისე რომ, მისი მნახველი ლამის დაიხრჩოს. უკეთუ ამ მნახველს იმისი თქმა სურს, რაც უნახავს, და თუ იგი ლიტერატორია, განსაკუთრებით კი „არტისტი“, მაშინ დიდი საფრთხე ელის, რათა მოხიბლვის შემდეგ, სხვებიც არ დაახრჩოს. რადგან მოგზაური მწერლები,— იშვიათის გამონაკლისით,—მხოლოდ იმას ჰხედავენ და ითვისებენ, რაც განუსაზღვრელს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შვენიერია, უსაზღვროდ ჰბერავენ ყველაფერს, რაც კი თვალს იტაცებს, ეძებენ ფრთაგასაშლელ წერტილს (ძველი სიტყვაა, აგრეთვე საგანიც),—ნაირნაირობას ან კარიკატურას,—და როგორც ყოველი მწერალი,— ამას გაცილებით მეტ მნიშვნელობას აძლევენ, ვიდრე თვით საგანს, ისინი ყურადღებას არ აქცევენ იმას, რაც იქვე ხდება, მათი აღწერილობის საგნის გვერდით, არ სურთ სილრმის ჩაწდომა. ან კიდევ ეს სილუეტისა და ანეკდოტის თაყვანისმცემლები, ეს ეგრედწოდებული

მკვლევრები, რომელთაც საკუთარი მოდა აქვთ, გააჩინეთ თავიანთი შემკვეთლები და მათი დუქნები, განყენებულებაში ითვლებიან, ან დასახელებულ თეზისებს ჯამბაზივით ათვალთმაქცებენ. დიდ სიამეს განიცდიან, როცა ყველაფერს გახსაკუთრებული შემთხვევის ბურუსში ჰხვევენ. თითოეულს, საკუთარი ტემპერამენტის მიხედვით, უნარი აქვს მუდამ ცხოვრების ზედაპირზე ისრიალოს და მარად ერთი და იგივე ჰღეჭოს თავისებურად. ამას კიდევ არა უშავს რა თუ კი საქმე რომელიმე პიროვნებას შეეხება (უკეთუ ეს პიროვნება ისტორიული ვინმე არაა), მაგრამ როცა საკითხი რომელიმე ხალხს შეეხება, მაშინ ამნაირი ხერხი სრულიად გამოუსადეგარია. მაშინ საქმე აღწერა როდია (შეუძლებელია ამგვარი რამის აღწერა: ათასგვარი სახით მოძრავი ქვეყანა, ერთმანეთში გადახლართული დეკორაციები, ცხოვრების ორომტრიალი, მისი ისტორიული ორიენტაცია, ისეთი რამეები აბა როგორ აიწერება). ასეთი რამეები უნდა ახსნა. ვთქვათ, ეს ახსნა ინტეგრალურ აღწერილობას შეიცავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის დაინახო, რაც შეუმჩნეველია. საჭიროა ქვეყნის ორგანიული მთელი ისე გაჰკვეთო, რომ გამოაჩინო მისი ფესვები, წყაროები, დასაბამები და ფენები. საჭიროა იქვე გამოააშკარაო ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენანი და განცდანი, რომლებიც სხვადასხვა სახეა ცხოვრებისა, საჭიროა ის სწორი ხაზები, რომელთაც ჩვენი თვალი პირდაპირ შედეგებისაკენ მიჰყავთ. მოკლედ საჭიროა მრავალგანზომილებიანი დაკვირვება".

ის, რაც ბრუსილევმა სთქვა, იმდენად მართალია, რომ მას შემდეგ თილისმა ხელთა მაქვს და მისი ზოგადი მსჯელობით ვზომავ ხოლმე ყოველ წიგნს, უცხოეთის ინტელიგენტთა ექსპერტებს რომ ს. ს. რ. კ.—ზე დაუწერიათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაწერით ბევრი დაწერილა, მაგრამ სათვალავში ჩასაგდები კი ძლიერ ცოტაა.

აი სწორედ იმის შესახებ, რას ის ამხანაგი ამბობდა. რასა ჰხედავს ნიჭიერი მწერალი, როცა იგი მოსკოვში ჩამოხდება? ქალაქსა და ხალხს, რომელთა იერი ზოგიერთის მხრით განსხვავდება სხვა ქალაქისა და ხალხის იერისგან, ხოლო ზოგიერთის მხრით კი ემსგავსება. როცა კარგად დააკვირდა ყოველ წვრილმანს, ჭკუით ასწონდასწონა და ამნაირადვე დასწერა, მაშინ რაღა სთქვა?

საბჭოთა მოსკოვი სრულიადაც არ არის ისეთი ქალაქი, როგორიც სხვა რომელიმე. აქ გარეგანი სილამაზე სინამდვილითაა დაჩრდილული. მოსკოვისთვის თავიდათავი, მნიმვნელოვანი მისი გარეგნობა როდია (ამ მხრით სურათი ძალაუნებურად უსრული და მოგონილი იქნებოდა), არც მისი დიდი მოძრაობის ანეკდოტიური და მიმზიდველი მხარე, არც აქა-იქ ყურმოკრული აზრები, ან კერძო საუბრის დროს გამოთქმული მსჯელობანი, არც თუ ის ცოდნა, რასაც ნაწერი იმპრესიონიზმის ძველი მეთოდი იძლევა. მოსკოვის ნიშანდობლიობა ისაა, რომ იგი მსოფლიოს ისტორიაში უმაგალითო რყევის ძრავია და აკვანი იმ ახალი ქვეყნიერებისა, რომელიც თვით დედამიწის წიაღიდან შობილია ბრძოლის კანონების ძალით. ნამდვილად მოსკოვი ახალი ქალაქია, ახალი ადამიანებით დასახლებული და ის ძალაც, რასაც იქა ჰგრძნობ, სრულიად ახალია. უკეთუ ყველაფერი ეს ქალაქის გარეგნობასა და ნაირნაირ ბრბოს მოკაზმულობასა თუ ნაფიქრს იქით ვერ განგიჭვრეტიათ, მაშინ სრულიადაც არაფერი დაგინახვებიათ ჩვენთის, მაშინ თქვენ ერთი გამოუსადეგარი და უმნიშვნელო წიგნი კიდევ მიგიმატებიათ იმ მრავალთათვის, რომლებიც სხვებს გამოუფენიათ ბიბლიოთეკებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამიტომ სრულიადაც პარადოქსალურად იქნება თუ ვიტყვი, რომ, ს. ს. რ. კ. შესახებ, მხოლოდ ის ნაწარმოები შეიძლება აღინიშნოს, მხოლოდ ის მოგვცემს ასე თუ ისე სწორ ცნობას, რომელიც ერთგვარი სისტემატიურობით (არ ვამბობ: წინაგანზრახულობით) აქებს თუ აძაგებს. დიდი ამბების გაგებისა თუ დანახვის დროს შეუძლებელია, განსაზღვრულს მომენტში, ან აღფრთოვანებამ ან ზიზღმა არ შეგიპყროს. საჭიროა გქონდეს უნარი ამის მისაღწევად. აქვე უნდა დავუმატო, რომ ხსენებულ ადამიანთა დრამის თვისება თუ ოდენობა ისეთია, რომ შეუძლებელია მათს დასტურს ან უარყოფას რაიმე ნიუანსი, გამონაკლისი დაჰყვეს, —ირონია, თავაზიანობა და სხვა რამ პირფერობანი.

მაშ ავმაღლდეთ რამდენიმე წუთით, როგორც ბრუსილევსა სურს, და ავცდეთ მიკერძოებას, რათა ლიტერატორობა არ დაგვწამონ. რაკი ავმაღლდებით, უკუვაგდოთ ფერადი სათვალე, იმას რომ გვიჩვენებს, რაც ჩვენ გვსურს, და აგრეთვე წინასწარზრახული სიბეცეც.

თანაც, ჩვენ ხომ ნაკლებ გამოუცდელნი ვართ, ვიდრე წინანდელნი (და ვიდრე მათი ახლანდელი თანამედროენი). ჩვენ ისეთი იარაღებიცა გვაქვს, შორიდან რომ ითვისებენ. თანამედროვე ჰაეროპლანმა სივრცის შეკუმშვა გვასწავლა ისე, რომ თვალს არაფერი გამოეპაროს, არც დიდი, არც მცირე. განსაზღვრული სიმაღლიდან ქალაქს ისე ჰხედავ, თითქოს იგი სახლია, მთელს კუთხეს— თითქოს ერთი ქალაქიაო და ბრბოსაც ისე, ვითომ იგი რაღაც ვეება ცხოველი იყოს ახალი სახისა.

მე გადავიფრინე ხმელთაშუა ზღვა და თვალის ერთი მოკვრით ვიხილე საფრანგეთის მიწის მოხაზულობა. მოსკოვს თოვლში დავფრენდი თავსა და ბაქოს კი ცხუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნარე მზეში. გავიარე რუსეთი მოსკოვიდან კავკავამდე და ვნახე ორი ათასი კილომეტრის სივრცეზე გადაჭიმული სამეურნეო კულტურა სახელდობრ რუსეთისა და მთელი უკრაინისი. სიმაღლე და სისწრაფე ნებას გვაძლევს კონკრეტული ჯანი, მატერიალური სტატისტიკა დავსახოთ ისე, რომ საყრდენად მიწა გვქონდეს და ხელშიც ხილულად გვეჭიროს ის, რაც დღემდე პირობითი ნიშნებით იყო გამოყვანილი სხვადასხვა წიგნის დიაგრამებსა და გეოგრაფიულს რუკებში.

ორი ზღვა, რომელიც ევროპის კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთით ლაპლაპებს,—შავი და კასპიის ზღვა —შერთებულია თითქმის სწორხაზოვანი მთაგრეხილით, კავკასიონით, რომელიც 1200 კილომეტრზეა გაჭიმული. ევროპისა და აზიის ცხოვრების გამყოფელი მიჯნა, ან, თუ გნებავთ, კონტინენტების გამაერთიანებელი ეს ხაზი ზედ აკრავს ჩვენი ცივილიზაციის უუცხოველეს კერებს: მესოპოტამიას, ირანს, სომხეთს, სადაც ბიბლიური წარღვნის უკანასკნელი სცენა მოხდა (უფრო მართალი, ვიდრე თვით ბიბლია). ეს კუთხე სავსეა ძველის ძველი მითებით: იქ იყო ამირანი მიჯაჭვული, იქითვე გააცურა იაზონმა თავისი ნავი მზის შესახვედრად. ამ გასწვრივი მასივის უნაგირი, კავკავსა და ტფილისს შუა რომ სწყდება და დარიალის კარით იხურება, ერთი უდიდესი გზაა რასების იმ მოძრაობისა, რაც კი კაცობრიობის მატიანეს აღუნუსხავს. მთაგრეხილის ზოგიერთ ადგილებში არის მიუწდომელი და საუკუნეთა განმავლობაში ხელუხლებელი ბუდეები, სადაც შეურეველი რასები არსებობენ. იქ კიდევ იპოვნით წმინდა სისხლის არიელებს.

უკეთუ ამ ქვეყნის წინაისტორიულ სქელ ბურუსს გავცდებით, მთაგრეხილის სამხრეთით დავინახავთ ხალხს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ტიგროსისა და ეფრატის მხრიდან მოდის. ოცდ-
ცა ქართველთა ეს სავალიც სიბნელითაა მოცული და
კარგად არავინ იცის საიდან არიან მოსულნი. ვიცით
მხოლოდ ის, რაც დაახლოებით რომის დაფუძნების ხანაში
მოხდა აქ.

იმ დროს, როცა ძველი სომხეთი, ხან ძლიერი, ხან
დაკნინებული, სატახტო ქალაქებს იცვლიდა: არმავირი,
ტიგრანოსერტი, ატარაქსატა,—დამპყრობელნი: კიროსი,
დარიოსი, შესაძლებელია თვით ალექსანდრეც, შემდეგ
კიდევ სხვანი კავკასიის მიწა-წყალს სთელავდენ. ათას
ხუთასი წლით გვიან ქვეყანას მოევლინენ ჩინგიზხანის
მონგოლები. მონგოლებმა თორმეტჯერ მაინც გასთელეს
საქართველოს ველ-მინდვრები და ჩინგიზხანზე უფრო
ძლიერი მათ შორის თემურ ლენგი იყო. ტფილისი ოც-
დაექვსჯერ იყო დაპყრობილი ისტორიის განმავლობაში
არა იმიტომ, რომ მის მფლობელთ მამაცობა აკლდათ,
არამედ პირიქით!

საქართველოს სამეფო, რომლის დიდებაც იმ აღა-
მოს კობიძის ნათელ თვალებში გამოსჭვიოდა, ბედნიერი
და ძლიერი იყო. დიდმა წმინდა ნინომ პირადად შეიტა-
ნა იქ ქრისტიანობა სწორედ იმ დროს, როცა კონსტან-
ტინემ სახელმწიფო სარწმუნოებად გახადა იგი რომის
იმპერიაში, ეს იყო საქართველოში მირიანის მეფობის
დროს. სახელმწიფო ქრისტიანულივე დარჩა მიუხედავად
იმ შევიწროებათა, რასაც თათრები, თურქები და სპარ-
სელები აყენებდენ მას, რომელთათვისაც ისლამი მეორე
ბუნებას შეადგენდა. ამრიგად, საქართველო ათასი წლის
განმავლობაში მოწინავე რაზმი იყო ქრისტიანობისა აზი-
ური ისლამის წინააღმდეგ, ჯებირივით აკავებდა მის მო-
ზღვავებულ სვლასა და გავრცელებას. ჯვაროსანთა ომშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობდა. ზოგიერთ კუთხეში, როგორც უკვე ვიცოდ-
რომელთაც თვისი მიუვალი მდებარეობით გაუძლეს ჟამ-
თა ვითარებას, მაგ., ხევსურეთში, დღესაც სცხოვრებს
ჩამორჩენილი ტომი, რომელსაც ფოლადის ჯავშანი აც-
ვია და ზედ ჯვარი აქვს გამოხატული.

იხსენიებენ უბრწყინვალეს თამარს; ხალხურმა ტრა-
დიციამ ყოველგანმყოფობის თვისებით დააჯილდოვა ეს
გრძელპორფიროსანი ვარსკვლავი, რათა მისთვის მიეწე-
რა ყოველი დიდი საქმე და ამბავი. დასასრულ, საქარ-
თველოს ერთ-ერთმა ბრწყინვალე მეფემ, ლუი მე-XVI-
ტეს თანამედროვე სახელოვანმა მეომარმა, ერეკლე მე-II-მ
საკავშირო ხელშეკრულება დასდო რუსეთთან. ამის გამო
სპარსეთის შაჰმა მაჰმად-ხანმა ტფილისი აიღო და დას-
წვა. ერეკლეს ეკატერინე II გამოექომაგა, ხოლო პირველ-
მა მისი მფარველობა მიიღო. ამ დიდისა და პატარას
დაახლოვებას, ისტორიული მიმზიდველობის კანონის ძა-
ლით, შედეგად რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია მო-
ჰყვა გიორგი მე-XII გარდაცვალების შემდეგ. რუსი ის-
ტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ ალექსანდრე პირველმა
„სულგრძელობის" გამო შეიერთა საქართველო. ყოველ
შემთხვევაში საფიქრებელია, რომ ასეთმა გადაწყვეტილე-
ბამ დაქუცმაცებული საქართველო ფიზიკურ დაღუპვას
გადაარჩინა.

შემდეგ, 1804—1859 წ. რუსთა მეფეებმა თანდათა-
ნობით ხელთიგდეს განჯისა, ბაქოსი და დარუბანდის სა-
ხანოები, სპარსეთის ომის შემდეგ ყუბა, ერევანი და ნა-
ხჩევანი, ხოლო ადრიანოპოლის ზავს ახალციხის (ახალ-
ქალაქითურთ) შეერთება მოჰყვა; შემდეგ იმერეთისა და
ოდიშის სამეფოები, ბოლოს სვანეთი და ლეკეთი კავკა-
სიის სამხრეთის მხარე შეიცავდა ბაქოს, ტფილისის, ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომის, ერევნისა და ყარსის გუბერნიებს. ამიერიდან, რუსეთის საზღვრებში მოქცეული კავკასია ცემასა და გვემას განიცდიდა,

მაშასადამე, ახლა რუსეთის ისტორიით უნდა განვაგრძოთ.

რუსეთის იმპერია, ევროპის მთლიანობასთან შედარებით, ერთს უზარმაზარ დამაქვეითებელ დაბოკოლებას წარმოადგენდა მუდამ. ჯერ ისტორიულად: „ჩვენ მხოლოდ მე-X საუკუნეში გავცდით საშინელ ველურობას,— მოგვითხრობდენ მისი ოფიციალური ისტორიკოსები,— ქრისტიანობა მე-XI საუკუნის დასაწყისში მივიღეთ და მხოლოდ მაშინ ვცანით ბიზანტიის ცივილიზაცია. მე XIII საუკუნიდან დაწყებული მე-XV საუკ. შუამდე მონგოლთა ხანები მბრძანებლობდნენ ჩვენს თავადებსა და მხოლოდ 1783 წ. ყირიმის დაპყრობით მოვსპეთ მათი მონობის უკანასკნელი ნიშანი. 1700 წ. შევედით ევროპელების დიდ ოჯახში, რომელთან დაახლოვებაშიც მანამდე ხელს გვიშლიდენ ჩვენი მეზობლები პოლონელები, შვედები და დანელები“.

დასავლეთისგან რუსეთის განკერძოების მიზეზი მისი „ავტოკეფალური“ სარწმუნოება იყო; ველიკოროსების თავადი ერთგვარი პაპის როლს თამაშობდა და ჰფიქრობდა, რომ იგი მთელი ქვეყნის დასაპყრობად იყო ღვთისგან მოვლინებული. მეოთხე მიზეზი კი ის ველური დესპოტიზმი იყო, რომელიც ივანე მრისხანემ დააკანონა და განამტკიცა ბიზანტიელებისა და მონგოლების მეფობის მიმბაძველობით, რასაც თანა სდევდა მასების საშინელი დამონება, რომელიც მხოლოდ მხეცთა სამეფოში დამყარებული ურთიერთობას თუ შეედრება, პეტრე დიდმა „დესპოტიზმისაკე მეხრეჭით“ განახორციელა მატერიალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი პროგრესი. მან და მას შემდეგ მეფეებმა: ანამ, ელიზ-საბედმა და ეკატერინე მე II ზემოდან, მოოქროული წვერ-ვალიდან დაიწყეს საზოგადოების გარდაქმნა. ნამდვილად კი, როგორც გარშინი ამბობს Althea magnus-ში „ცარიზ-მის ჭერმა მცენარის ზრდა შეაფერხა“.

ახალი დროის საიმპერიო რუსეთის საგარეო პოლი-ტიკის სწრაფვა ის იყო, რომ თავისი საზღვრები სამხრე-თითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით გაეწია: ხელში ჩაეგდო კონსტანტინეპოლის სავაჭრო და სტრატეგიული კარი; საკმაოდ შეევიწროებინა ოტომანთა იმპერია, რათა ხელ-საყრელ მომენტში ერთბაშად თავს დასტყდომოდა და გაენადგურებინა; გაეძლიერებინა და გაევრცელებინა თა-ვისი გავლენა ბალკანეთში; თვალი არ მოეშორებინა სპარ-სეთისთვის და აზიის საკოლონიზაციო ქვეყნებისთვის. ამ-გვარ ლტოლვილებას, რა თქმა უნდა, სათანადო წინააღმ-დეგობას უწევდა ევროპის გაუმაძღარი და მხარგრძელი პოლიტიკა.

ეკონომიური გაჩანაგება. რუსეთის სასოფლო მეურ-ნეობა, სადაც მოსახლეობის ოთხი მეხუთედი გლეხობაა, დიდი ოდენობისა იყო განუსაზღვრელი ველებისა და ნია-დაგის ნოყიერების გამო (ხორბლის მსოფლიო მოსავლის ერთი მესამედი, ქერის ერთი მეოთხედი და სხვ.), მაგრამ სამეურნეო იარაღები პირველყოფილი იყო, მუშაობაც ჩა-მორჩენილი.

რუსი გლეხი ცხოველთა მეტად დაბალ საფეხურზე იდგა, იგი მათხოვარი და მონა იყო დიდი მემამულისა, მსხვერპლი ფეოდალური რეჟიმისა და საგადასახადო მეწ-ველი ფური. ომამდე რომ რუსი გლეხისთვის გეკითხნა: შე-ნი შრომითი მემოსავლის 100 მანეთზე რამდენს აძლევ შენს მემამულესთქო, ვლადიმირის გუბ. გლეხი გიპასუხებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და: 100 მანეთზე 100 მან. და ორი აბაზი უნდა მივცეო; კურსკისა — 104 მ.; სამარისა — 106; პოლტავისა — 108; ნიჟნი-ნოვგოროდისა — 137; კალუგისა — 133 მ. ყველა ამ უბედურს ამასთანავე შეეძლო დაემატებინა: გარდა ამისა, 15 მანეთს სახელმწიფო გადასახადს ვიხდიო. ხოლო თუ გსურთ გაიგოთ, როგორ უნაზღაურებდა სახელმწიფო ამას საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხარჯებით, გამოვა, რომ სულზე მანეთ-ნახევარი მოდიოდა. ხშირი და სანგრძლივი სიმშილობა, რომელზედაც კრინტის დაძვრა აკრძალული იყო, ვინ იცის, რამდენი დარჩა აღუნიშნავი და ვინ მოსთვლის რამდენი თაობა გასწყდა.

ბატონ-ყმობის მოსპობაც უაზროდ მოხდა. რუსეთში, ისე როგორც **ლატიფუნდიის** ყველა სხვა ქვეყანაში, პოლიტიკური პრივილეგიების გაუქმება (რაც ყველგან, ადრე თუ გვიან, 1789 წ. რევოლიუციას მოჰყვა) ხელს როდი უშლიდა დიდებს ძველებურადვე მოეპირებინათ ღარიბი გლეხისოვის მუხრუჭი და უკანასკნელი ღონე გამოეწურათ. იმ კუთხებში კი, სადაც ინდუსტრიალური კაპიტალიზმი განვითარდა, მუშები და გლეხები იმდენად ღარიბნი იყვენ, რომ მომხმარებლებად ვერ გამოდგებოდენ, დონეცის მეტალურგიულს დიდ ინდუსტრიას ლურსმანიც კი ვერ გაესაღებინა ახლო-მახლო სოფლებში. ხშირად უნახავთ, რომ უზარმაზარ ველებში ხალხი მილიონობით მისდევდა ფეხით რკინის გზის ლიანდაგს. ექსპლოატაციის ნაყოფი ქვეყანასა და მის მოსახლეობას, ინდუსტრიასა და თვით სოფლის მეურნეობასაც ცალიერზე სტოვებდა და მდიდართა მიერ პირად სიამოვნებაზე იფლანგებოდა, ამისი ნაყოფი, რასაკვირველია, ყველგან ჩამორჩენილობა და მუშაობის დაქვეითება იყო.

რუსეთის ინდუსტრიას კარგი განვითარების ხანა ომის წინა წლებში ჰქონდა, მაგრამ მაშინაც კი თავისი

იარაღებითა და ორგანიზაციით ძლიერ ჩამორჩენილი, და. დამაფიქრებელი იყო მისი მდგომარეობა, რადგან ეკონომიკა უცხოეთის კაპიტალზე იყო დამოკიდებული. მოტყუება და მოვალეობის აღუსრულებლობა მეფობდა ყველგან, თავიდან ბოლომდე, რაც სახელს უტეხდა და აფერხებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. რუსეთის რკინის გზების ექსპლოატაციისათვის თვალის ოდნავი გადავლება შვენიერად დაგვისურათებს საქმის მდგომარეობას, რომელიც, მაშინდელი ეკონომისტების თქმით, „სამარცხვინო მფლანგველობასა და ურიცხვ კოტრობას წარმოადგენდა". 1896 წელს რკინის გზების წმინდა მოგება უდრითა 11 მილიონ მანეთს; 1898 წ.—8 მილ. და რვაასი ათასს; 1899 წ. —1 მილ. და ორასი ათასს; 1900 წ. კი 2 მილ. და ექვსასი ათასი მანათის ზარალი ჰქონდა. 1901 წ. ეს ზარალი 33 მილ. უდრიდა. 1902 წ.—45 მილ., და 1908 წ. კი—300 მილიონს.

ბიუჯეტებში დაღვრისა და განქარვების ზარალი 75 მილიონ მანეთს აღწევდა ხოლმე.

მდგომარეობის გამოსავარგებლად,—განსაკუთრებით იაპონიის ომის შემდეგ, რომელიც, როგორც ამბობდენ, გამოწვეული იყო ბეზობრაზოვის სავაჭრო ამხანაგობის ინტერესებით, სადაც თვით მეფეს დიდი მონაწილეობა ჰქონდა, საიმპერიო მთავრობა სესხს სესხზე იღებდა. რუდოლფ მარტინი, გერმანიის სამეფო სტატისტიკის დეპარტამენტის მრჩეველი თავის წიგნში: **რუსეთის მომავალი,** რომელიც 1906 წ. მარტში გამოვიდა, ასე დაასკვნიდა: „რუსეთი ისტორიაში გაუგონელი უდიდესი კოტრობისკენ მიექანებაო". 1910 წ. ანატოლ ფრანსი ამბობდა: „მეფის მთავრობამ დაჰკარგა უფლება, პატიოსნება, აზრი,

ადამიანობა. ყველა ამ კოტრობის შემდგომ ფინანსიური კოტრობაც მოსალოდნელი და ახლოაო“.

ურიგო არ იქნება აქვე მოვიხსენიოთ, რომ კონსტიტუციური პარტიები, რომლების რუსეთის ახალი მთავრობის შესაძლებელ შექმნას ითვალისწინებდენ, ომამდე რამდენიმე წლით ადრე, ერთხმად აცხადებდენ, რომ ეს მთავრობა „არ იკისრებდა 1906 წლის შემდეგ აღებულ ვალებს, ესე იგი, მას შემდეგ, რაც თვითმპყრობელობა რუსეთის ხალხს დაუპირისპირდა, იმ ვალებს, რაც მან ხალხის დასამონებლად აიღო“. ამას ამბობდენ არა თუ სოციალისტები, არამედ ბურჟუაზიის კონსტიტუციონალისტებიც.

რაც შეხება ცარიზმის შინაურ პოლიტიკას, იგი რთული როდი იყო: ეროვნებათა უმცირესობის ყოველგვარი საშუალებით გარუსება, რუსებისა და დამონებული ხალხების საბოტაჟი. ეს ფორმულა სასტიკად ხორციელდებოდა ალექსანდრე მე III (და მისი აღმატებულების, სინოდის პროკურორის, პობედონოსცევის) მიერ, აგრეთვე მათ მრავალ წინამოადგილეთა მიერ, რომელნიც ზოგჯერ, თუ ლიბერალობას არა, ერთგვარ ჭირვეულობას მაინც იჩენდენ, რაც ლიბერალობად სურდათ გაესაღებინათ.

ამიერკავკასიაში, მოსახლეობა გაცილებით მეტ ჩაგვრას განიცდიდა, ვიდრე სხვაგან სადმე, რადგან იგი „უცხო“ იყო. ეროვნული უმცირესობათა წინააღმდეგ შემოღებული იყო საგანგებო კანონები, უმთავრესად მუსულმანებისა და ებრაელების წინააღმდეგ, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ ტფილისში თუ სხვა ქალაქებში ცხოვრებისა, აგრეთვე მიწის შეძენისა, მათ შეეძლოთ მდოლოდ სახლის შეძენა და ისიც განსაზღვრულს რაიონში (1892 წ. კანონი). მოსამართლეებად ცენტრიდან რუსები ინიშ-

ნებოდენ: „კავკასიის მოსახლეობას უფლება ჰქონდა მხოლოდ გასამართლებული ყოფილიყო“. კანონი მშობლებს დესპოტიურ უფლებას აძლევდა შვილების წინააღმდეგ, სრულწლოვანთა წინააღმდეგაც კი (რათა ძველის ძველი ოჯახური პრინციპი დაეცვათ), ქალთა უფლება დასახიჩრებული იყო. დასჯის სისტემა „სამგლოვიარო თვითნებობის სისტემა იყო“.

გოლიცინმა, მეფის მოადგილემ კავკასიაში, საბოლოოდ გაანადგურა ყველა ის ეროვნული დაწესებულება, რასაც წინანდელი მეფეები ასე თუ ისე ითმენდენ. ადგილობრივ ნცხოვრებთ ისე ეპყრობოდენ, როგორც დამარცხებულთ. ერთი ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხს მეორის წინააღმდეგ ამხედრებდენ. ანტისემიტიზმი სისხლ .ს აღების როლს თამაშობდა. სამღვდელოება ცარიზმის აგენტობას ასრულებდა. რამდენიმედ ამიტომაც იყო, რომ რუსმა ხალხმა ასე ადვილად მოიშორა იგი თავიდან, თუმცა აქ სხვა მიზეზიც იყო: სამღვდელოება ძოკლებული იყო თავის დაჭერასა და ღირსებას (სოფლის მღვდელი აუწერელი ვინმეა: გონება ბნელი, ლოთი, ღორმუცელა, გაქონილი დრუნჩითა და ჭუჭყიანი ჯაგრით, კარიკატურაზე რომ ჰხატავენ, მისი ნამდვილი პორტრეტია).

ნაროდნიკებისა თუ ხალხოსნების მძლავრი და ტრაგიკული ამოძრავების შემდეგ, ტერორიზმისა და მკვლელობის საშუალებით რომ მოქმედებდენ, რევოლიუციური მისწრაფებანი და ძალები მარქსიზმმა ჩააყენა კალაპოტში დაახლოებით 1880 წლებში. სოც.-დემოკრატიული პირველი ყრილობა 1897 წ. მოხდა. ხოლო 1903 წ. მეორე ყრილობაზე, ლენინის გავლენით, ერთი რეზოლიუციის გამო განხეთქილება ჩამოვარდა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წელს, როგორც ვიცით, მთელს რუსეთში დიდი რევოლიუციური მოძრაობა დაიწყო, იგი ველურად, უნდოდ ჩააქრეს. ქუჩებში ხალხის ხვრეტას, როგორიც 9 იანვრის ჟლეტა იყო, დაუსრულებელი დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა მოჰყვა. კრემლში ტახტზე მჯდომარე გიჟმა, ნიკოლოზ II ბრძანება გასცა, პასუხისგებაში მიცემულთაგან არავინ გაემართლებინათ და არც მისთვის ეთხოვნათ შეწყალება. 1905 წლის შემდეგ 7.000 კაცს სჯიდენ ყოველწლიურად, ორი წლის განმავლობაში 950 გაზეთი და ჟურნალი აკრძალეს. 1905 წ. სატუსაღოებში იყო 85.154 პოლიტიკური პატიმარი; 1906 წ.—111.403; 1907—138.000; 1908—169.579; 1909—200.000.[1]) შავრაზმელებმა, **რუსი ხალხის კავშირის** (ფანატიკოს მონარქისტთა ასოციაცია, რომელიც ბანდიტებისა და პოლიციელებისაგან შესდგებოდა) მოსყიდულმა მკვლელებმა მთელი ქვეყანა სისხლსა და ცეცხლს მისცეს.

სამღვდელოება მორწმუნეთა სიძულვილს აღვივებდა. მართლმადიდებელ მისიონერთა ყრილობამ კიევში ხმის დიდი უმრავლესობით გადასწყვიტა „ბრძოლა მხეცის (მწვალებლისა და წითლის) წინააღმდეგ". პოგრომები გაჩაღდა კიშინევში, ბაქოში, მოგილევში, ნიჟნიში, სედლეცში, ორშაში, სხვებიც რომ აღარ დავასახელოთ, პოგრომის მომქმედთ ზოგჯერ სჯიდენ, მაგრამ მალე ისევ იწყალებდენ. რა კი სასამართლომ ვექილებს პოგრომის

---

[1]) აღსანიშნავია ჟანდარმთა კორპუსის უფროსის ღენერ.-მაიორის ტაუბეს ცირკულიარი 1907 წ. ივლისის 27 თარიღით: „მრავალი მოხსენების (პატაკის) მიხედვით ირკვევა, რომ ჟანდარმები თურმე ცუდათ ეს ვრიან პოლიტიკურ პატიმრებს. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ამიერიდან ცუდად მსროლელნი დათხოვნილ იქნებიან უნდა სამსახურიდან".

ნამდვილი მიზეზების დასახელება აუკრძალა, მათ გაფიცვა გამოაცხადეს. დღეს ყველამ იცის, რომ ეს ჟლეტა პოლიციის მზრუნველობით იყო მოწყობილი. ჟანდარმების ერთმა ოფიცერმა, კომისაროვმა აღიარა: „ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ პოგრომი, როგორიც გნებავთ, ათიოდე მსხვერპლით თუ ათი ათასობით“. „მთელ სოფელ სოფლებს ძროხასავით ავაბლავლებთო“—ემუქრებოდა მეფის პროკურორი დაპატიმრებულ სპირიდონოვას. ბევრგან პოლიცია არეულობათა გამოსაწვევად თუ უდანაშაულოთა დასასჯელად, თვითონ ამზადებდა პროკლამაციებსა და რევოლიუციონერებისათვის წანართმევ მანქანებზე ჰბეჭდავდა. მაგრამ ყველაზე უფრო უტიფარი ისაა, რომ თვითმპყრობელობამ ამ ხანებში ლიბერალობის კომედია ითამაშა.

ყოველი ტირანია ლიბერალობას იჩემებს. ეკატერინე II მრჩეველი და საყვარელი პანინი ამ უდიდესი დესპოტის შესახებ, რომელმაც თავად-აზნაურობას ორი მილიონი გლეხობა უბოძა თავიანთი ადგილ-მამულით, ამბობდა, რომ მას ლიბერალური იდეები ჰქონდა და „კედლის დანგრევას ჰფიქრობდაო“. ჩვენს დროში მჩაგვრელთა ხელისუფლება უკვე ვეღარ ჰპედავს საჯაროდ განაცხადოს, რომ იგი დემოკრატიულ პრინციპებზეა დამყარებული: ძველ რეჟიმში ასეთი მოკრძალება იდეათა მოძრაობის ერთადერთი ნიშანია. იმერატორი ნიკოლოზ II, თავის ცოლის ეს რეგვენი ტიკინა, რომელმაც ყველაზე მეტი რუსი დაჰხოცა, მძაფრი სიყვარულით აღინთო თავისი ხალხისადმი, ვინც მას „ბატიუშკას“ ეძახდა, და კონსტიტუცია უბოძა. ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როცა სტოლიპინმა ვიტე შესცვალა და ოთხი სათათბიროც ზედი-ზედ იქნა მოწვეული. პირველი ორი სათათბირო დათხოვნილ იქნა, რადგან

საკმაოდ უნებო და ფერმკრთალი არ აღმოჩნდა. მესამეული — უფრო ანემიური, ვიდრე წინანდელნი, მეშჩანების სათათბირო იყო და წინდაწინვე ნდობას უცხადებდა მთავრობას. მას მეტსახელად „ბალე ალა“ სათათბირო უწოდეს. მაგრამ მალე, 1907 წ., საარჩევნო კანონის შეცვლით, რასაც სამართლიანად სახელმწიფო გადატრიალება უწოდეს, სათათბიროს უფლება უფრო შეიკვეცა და იგი 150.000 პრივილეგიებით აღჭურვილი მოქალაქის წარმომადგენელი შეიქნა, რაც რუსეთის მცხოვრებთა ერთს მეათასედს შეადგენდა.

მაღალ წრეებში, ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ხალხი თავისუფლებისთვის მომზადებული არ არისო, ეს ჩვეული სოფიზმი იყო, რაც საშუალებას იძლეოდა ჩაგვრა უვიცობით განეგრძოთ და უვიცობა კი— ჩაგვრით. ხალხის მოთხოვნას ამგვარად აშოშმინებდენ: „თვითმპყრობელობა დიდი ხნის წინედ მიანიჭებდა ხალხს თავისუფლებას, რასაც მისთვის უმნიშვნელო ნაწილი მოითხოვს, რევოლიუციონურ მოძრაობას რომ ორჯერ მაინც არ შეეშალა ხელიო.“

რევოლიუციის ჩამქრობი (ასე ეძახდა იგი თავისთავს) სტოლიპინიც ამგვარადვე სწყვეტდა ნაციონალურ საკითხს; „ჩვენგან მოითხოვენ, რომ ისეთი სხვადასხვა ჯურისა და მცირე კულტურის მქონე ერები, რომლებიც რუსეთის იმპერიას შეადგენენ, ერთს ფედერაციაში გავაერთიანოთ და თითოეულს ავტონომია მივანიჭოთ! მაშინ ხომ რუსეთს ანარქია მოიკავდა...“ ჰო და, რეფორმის მოთხოვნა მცირე დათმომათა ნასახით დააყუჩეს. გახარწნილი და გაავებული თვითმპყრობელობის დიდი მისწრაფება ის იყო, რომ შეექმნათ ისეთი აგრარული კანონი, რომელიც დაშლიდა თემს (მირ), მიწას რომ საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდ ამუშავებდა, წვრილ კერძო მესაკუთრეების სა-
სარგებლოდ, რაც ხელისუფლებისთვის უფრო საიმედო
იყო.

როცა ერთმა რევოლიუციონერმა სტოლიპინი მოჰკლა
კიევში, ევროპაში სწერდენ: „სამართლიანმა ნემეზიდამ მას
სიკვდილი არგუნა. უწმინდური, საშინელი და სისხლის-
მსმელი სტოლიპინი ღირსია თვისი ხვედრისა. პროლეტა-
რული რუსეთი ზეიმობს ამის გამო. ნიკოლოზ II-ის მინის-
ტრის ტრაღიკული აღსასრული შესაძლებელია რევოლიუ-
ციური მოძრაობის ახალი პერიოდის დასაწყისი გახდეს.
ვიმედოვნებდეთ. მანამდე კი, დიდება იმ ადამიანს, ვინც
წმინდა საზღაური აღავსო!". ვინც ეს 1911 წლის 23 სე-
ქტემბერს დასწერა, ბენიტო მუსოლინი ერქვა. ახლაც ეს
ჰქვია.

თუმცა, დიდი ომის წინა წლებში ბევრი ითვალის-
წინებდა დიდ რევოლიუციას.

უფრო მეტად, ვიდრე ჩინოვნიკების გახრწნილება
და მცარცველობა, ვიდრე არისტოკრატიული მაღალი წო-
დების უწესო ცხოვრება, ვიდრე კოტრობა და ვალები,
ვიდრე ულმობელი და დაუსრულებელი რეპრესიები, რა-
საც ოქტომბრისტებიც[1]) კი გადაჭარბებულად სთვლიდენ,
და რითაც 1905 წ. რევოლიუციური მოძრაობის ჩაქრობა
სურდათ,—უფრო მეტად, ვიდრე პირობებში მუშათა მო-
ძრაობისა, იმპერიალისტური ევროპის ყველაზე უკანა ჩა-
მორჩენილ სექტორში რომ ვითარდებოდა, უფრო მეტად,
ვიდრე ყველაფერი ეს, რუსეთის რევოლიუციას აუცილე-

---

[1]) ოქტომბრისტების პარტია,—ცენტრის კონსტიტუციური პარ-
ტია,—ნაკლებ კონსერვატიული, ვიდრე მემარჯვენეთა პარტია, და
უფრო კონსერვატიული, ვიდრე კადეტების ანუ კონსტიტუც.-დე-
მოკრატების პარტია.

ბელს ხდიდა დამონებული, ნაწამები და დამშეული
ეროვნული ბიბლიოთეკა
გლეხობის სავალალო ბედი.

მაგრამ გასათვალისწინებელია აგრეთვე საშუალო ბურჟუაზიის პოლიტიკური საქციელი. ეს ბურჟუაზია თავის ბედს დიდ მემამულეთა არისტოკრატიას უკავშირებდა და დიდის ხნით მოწიფული ბურჟუაზიული რევოლიუცია მიუღებლად მიაჩნდა; იგი უფრო „ზომიერი“ რევოლიუციის მომხრე იყო, რაც ეტიკეტების მელოდრამატიული ცვლაა მხოლოდ, ან სასახლის რევოლიუცია, რადგან ამ შემთხვევაში ხელისუფლების სადავე ისევ მმართველი კლასის ხელში რჩება.

რასაკვირველია, შეუძლებელი იყო გათვალისწინება ისეთი შეიარაღებული საერთო კონფლიქტისა, რომელიც კაპიტალისტურ დიდ სახელმწიფოთა ჟანდარმერიის განუზომელ ძალებს ჩაითრევდა და მასებში სიღატაკეს, განადგურებას, საერთო უბედურებასა და გულისწყრომას დასთესდა. არ შეიძლებოდა აგრეთვე გათვალისწინება ლენინის უსაზღვრო გენიოსობისა, რომელმაც აღმოაჩინა, ჩამოაყალიბა და განავრცო განთავისუფლებული პროლეტარული ძალა; იმ ლენინისა, რომელმაც აბობოქრებული რევოლიუციის წიაღში შესძლო დანახვა და განჭვრეტა, პოვნა იმ ნამდვილი ზღვარისა, იდეებსა და მოქმედებას შორის რომ არსებობს, და ვისი ლოზუნგებიც აწმყოდან მომავალში გადასვლის ლოზუნგებია.

მაგრამ ამ უკანასკნელ მიზეზთა გარდა, რომლებიც შემთხვევათა მიერაა უშუალოდ წარმოშობილი, ძირითადი მიზეზი, „უდიდესი ჭეშმარიტი მიზეზი“ ხალხის საბოლოო ამოძრავებისა აგრარული საკითხი იყო.

რუსი გლეხები მეოცნებენი კი არა, პირიქით, შორსმჭვრეტელნი არიან, უვიცნი, მაგრამ თანაც უბრალონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საღი გონებისანი, მიწის ლოლიკით შეიარაღებული-ნი.

ამიტომ ნუ ავყვებით „რუსული მისტიციზმის“ ფეხის ხმას. „წმინდა რუსეთი“ წარსულსა—და ლიტერატურას ეკუთვნის.

ლუკ დიურტენი თავის წიგნში ს. ს. რ. კ. შესახებ მთელ სურათს ასე გვიხატავს: რუსული მისტიციმი, სარწმუნოებრივი, რევოლიუციურად იქცაო. ეს დებულება ოცნების სფეროს ეკუთვნის, იგი ახსნა როდია. გამოსარკვევია, როგორ გააკეთა ხალხის რწმენამ ასე სწრაფად ესოდენ დიდი ნახტომი ზებუნებრივიდან სინამდვილეში და ასე გაბედულად როგორ გაადამიანა თავისი ღმერთი.

ნამდვილად კი, რუსები, რომელთაც წელან უბრალო და გონებანათელი ვუწოდე, უწინარეს ყოვლისა, რეალისტები არიან: რეალისტები არიან გლეხებიდან დაწყებული არტისტებამდე, რომლებიც ენერგიულად იკვლევენ გზას კონკრეტიულობისკენ, თუ აღარ მოვიხსენიებთ მათს ორატორებს, უჟესტოდ და უმჭევრმეტყველოდ რომ ლაპარაკობენ, როგორც პედაგოგები და მეცნიერები. უკეთუ წმინდანთა კულტსა და ლენინის კულტს შორის მთელი დიდი ზღვარია, ეს ზღვარი ლოლიკური და სიცოცხლით სავსეა.

წინედ, საუკუნეთა განმავლობაში, როცა ისინი საეკლესიო, გამოუსვლელ მდგომარეობაში იმყოფებოდენ, ტრადიციული „მუჟიკები ცრუმორწმუნოებით იყვენ დაბრმავებულნი; მაგრამ ხატების განყენებული შუქი როდი უხდებოდა იმათ სახეს, ვინც ნათელი იდეის ეშმაკებად თუ ანგელოზებად და გმირებად იყვენ შექმნილნი. თუ მისტიციმი გამოუცნობელი იდეალის ბრმა რწმენას ნიშნავს, მაშინ იგი რუსებს არ შეეფერება. არც ის იქნება მათ-

თვის შესაფერისი თუ მისტიციმს, პირიქით ისე გავიგებთ, რომ იგი წყურვილია, მოუკვლელი წყურვილი მოჩვენების სინამდვილედ მიღებისა (რა ხდება ზეცას, რა იქნება საიქიოს). უკეთუ აუცილებლად საჭიროა ამ სიტყვის ხმარება, ვიტყვი, რომ იგინი ცოდნის შეუპოვარი მისტიკოსები არიან. მსხვერპლის გაღების უნარიო? არა, მომავლის უნარის მქონენი.[1])

არის ოდნავი სიმართლე ჰერცენის საკმაოდ მისტიურს დებულებაში, როცა იგი, 1848 წლ. რევოლიუციის

---

[1]) ამ უკანასკნელი წლების მოვლენებმა, ცხოვრების დამშვიდებითა და სტაბილიზაციით რომ არის გამოწვეული, აზრი როდი უნდა შეგვიცვალოს რელიგიის შესახებ; იგი საბოლოოდაა განწირული, როგორც ს. ს. რ. კ.-ში, ისე მთელს დედამიწაზე. იგი ძირიანადაა აფეთქებული მეცნიერების განვითარების-მიერ, რომელიც, რასაც კი შეეხება, ყველაფერს ნიღაბსა ჰხდის მეცნიერება გვიჩვენებს აგრეთვე, მას შემდეგ, რაც თვისი პოზიტიური მეთოდი ისტორიას მიუყენა, იმ პოლიტიკური მიზეზებსა და მახინაციებს, რამაც ყოველგვარი ელფერს რელიგია წარმოშვა, რათა ადამიანი ზებუნებრიობის პოესტიკითა და სიკვდილის შიშით არსებული წესისთვის დაემონებინა. ახალი კოლექტიური ორგანიზაციის ნათელი აზრი,—თვითონაც რომ ჭეშმარიტების ძიებაა,—თანდათან იმყოფებს მასებს და არწმუნებს, რომ მათი „ხსნა“ სააქაოა და მათზევა დამოკიდებული. სარწმუნოებრივი სექტებისა და სისტემის სიმრავლე. ეს ერთგვარი აქაფება, რაც დაგვიანებულ პროტესტანტულ რეფორმად შეგვიძლია მოვნათლოთ და იმ „პოლიტიკურ რეფორმიზმს“ შევადაროთ, რაც დღევანდელმა მომ მედმა მარქსიზმა კარგა ხანია განვლო; აგრეთვე ის უცნაური კომბინაციები, რასაც საბჭოთა აზიის მცხოვრებნი მიმართავენ ძველი მათებისა და ახალი წესის შესაგუებლად,—ყველა ეს მოვლენა რელიგიური ოპორტუნისტული ფორმულების გამრავლებისა, რაც დღეს ყველა ქვეყანაში და განსაკუთრებით კი საფრანგეთში ხდება, სხვას რას ამტკიცებს, თუ არ რელიგიის გახრწნისა და სულმობრძაობას. ცრუმორწმუნეობა ისე, როგოროც იმპერიალიზმი, სულს ჰლაფავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, ევროპის ეგოისტურსა და ძუნწს წვრილ ბურჟუაზიას თემის ინსტიქტურად კოლექტივისტურ მეჟიკს ადარებს და ქვეყნის ხსნას ამ უკანასკნელისაგან მოელის. ტოლსტოიც სამართლიანად ამასვე ამბობს რუსი ხალხის შესახებ, ტოლსტოი, რომელიც თვისი შემოქმედების სიმძლავრითა და ჭეშმარიტების დაუცხრომელი ძიებით რუსთა გენიოსობის გამომხატველია, მაგრამ ვერ განთავისუფლებულა იმ ფუქსავატი ტრადიციებისგან, რომლებშიც აღზრდილა, და ამიტომ მრავალი ადამიანი წაუყვანია მცდარი გზით, საიდანაც დაბრუნება აუცილებელია.

გასტონ ლერუ, რომელიც 1905 წ. საუცხოო ცნობებს იძლეოდა რუსეთიდან, სწერდა: „დიდი უსამართლობა იქნებოდა, რომ რუსი გლეხობისთვის, რომლის დიდმა უმრავლესობამაც წერა-კითხვა არ იცის, წაგვერთმია საღი გულუბრყვილო გონიერება და არაჩვეულებრივი და საშინელი ლოგიკა, რასაც სრულიად არ ახლავს ფუქსავატობა. დედამიწაზე ისეთ გლეხებს ვეღარსად იპოვნი, რომელსაც შეგნებული არ ჰქონდეს თვისი უფლება იმ მიწაზე, რასაც იგი ამუშავებს.“

როცა კი ამ პატიმრებს ოდნავ ზედმეტი სინათლის შუქი ეხვდებათ, იმ წამსვე აჯანყებით უპასუხებენ ხოლმე.

კავკასიის გარუსებულ პროვინციებში, რომელთა კულტურა, მრეწველობა და ვაჭრობა მეფის მოადგილეთა და რუსი მიტროპოლიტების ხელში მეტად დაკნინებული იყო (გაჰქონდათ მხოლოდ ჭიათურის შავიქვა და ცოტაოდენი ნავთი და თამბაქო), რუსეთის ყოველგვარი სოციალური მოძრაობა გამოხმაურებას ჰპოულობდა, დეკაბრისტები-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დან დაწყებული 1870-1880 წლ. ნაროდნიკულ (ნიჰილისტურ) მოძრაობამდე.

1883 წ. მოხდა ამიერკავკასიის მარქსისტ-რევოლიუციონერთა პირველი ყრილობა. გამოვიდა პროგრამა მიწის დაყოფისა და დემოკრატიისა (ინგოროყვა, პირველი აგიტატორი). ამ დროსვე საქართველოში გამოჩნდა მეორე პროგრამაც, ნაციონალისტური: საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველი მეფე და მეტი არაფერი.

ნაციონალისტთა (ფედერალისტთა) პარტია წელთა განმავლობაში გაძლიერდა. ჩამოყალიბდა სოც.-დემოკრატიული პარტია, რომელმაც გავლენა მოიპოვა [1]).

ამ პარტიაში ჩასახულმა აზრთა სხვადასხვაობამ, მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, როგორც ვიცით, თავი იჩინა მოსკოვში 1903 წ., კავკასიაში კი—1904 წ.

რაც შეეხება სომხურ პროვინციებს, რომლებიც კავკასიის სხვა პროვინციებივით იყო შეჯაჭვული, მათ თავისებური ეთნიური თვისებანი ახასიათებდა, რაც უფრო ამძიმებდა მათს მდგომარეობას: რუსეთის სომხეთი, ასე ვთქვათ, ორმაგად იყო ალყაშემორტყმული, თვითმპყრობელობის რეჟიმითაც (რომელიც მას, მართალია, თურქთა დაპყრობისაგან იცავდა) და მეზობლებითაც—საქართველოთი და აზერბაიჯანით,—რომლებიც გარს ერტყმოდენ და მსოფლიოს კარს უხშავდენ. სომეხთა სარწმუნოება ქრისტიანიზმის ერთი განსაკუთრებული შტოა, გრიგორიანული, რომელსაც, მართლმადიდებელი ეკლესიის გვერდით, აქვს თავის ავტოკეფალური ეკლესია და ჰყავს საკუთარი უმაღლესი თავი—კათოლიკოსი. გრიგორიანულ სარწმუნოებას, რომელიც ეგრეწოდებულ „პირველ საუკუნეთა ქრისტიანობას“ უახლოვდება, აქვს დემოკრატიულობის ერთგვარი ნასახი, რასაც შეუძლია განსაზღვრული მასალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაწოდოს (როგორც დღეს ამბობენ) ხალხის განთავისუფლების იდეას. ამას გარდა, ეკონომიურ სარბიელზე, რაც დადებითი სარბიელია, სომეხთა დეენამ და გაბნეულობამ ამ მშრომელსა და ამტან ხალხს ვაჭრობის უნარი განუვითარა და ჩამოაყალიბა მოვაჭრე წვრილი ბურჟუაზია, რომელმაც სიმდიდრე მოიხვეჭა (ისე, როგორც ებრაელებს დაემართათ). აქედან წარმოსდგა ზიზღი ქართველთა უქნარა და მფლანგველი ბრწყინვალე წოდებისა, რომლის ქონებაც სომეხთა ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა.

სომეხთა რევოლიუციური მოძრაობა უცხოეთში დაიბადა იმ რეფორმების აუსრულებლობისა გამო, რომელთა განხორციელება და მეთვალყურეობა, ბერლინის 1878 წლ. ხელშეკრულების ძალით, ექვსმა დიდმა სახელმწიფომ იკისრა; მოძრაობას საბაბი მისცა აგრეთვე იმ თანაგრძობამ, რაც სომხეთის უბედურებამ ევროპის საზოგადოებაში გამოიწვია.

ეროვნულ მოთხოვნათა პირველი ორგანო—„არმენია"—მარსელში იყო დაარსებული პორტუკაბიანის მიერ 1884 წ., შემდეგ გამოვიდა ჩერაზის „არმენია", ჯერ ლონდონში, მერე პარიზში; პოეტ-მოციქულის ნაზარბეგის „ზარი" (ჰნჩაკ) ჟენევაში 1887 წ. ეს უკანასკნელი მარქსისტული აზროვნებისა იყო და პლეხანოვის ბროშურების გავლენაში იმყოფებოდა, მაგრამ მისი გავლენა უფრო ნაციონალისტური იყო, ვიდრე სოციალისტური. მას შემდეგ ჰნჩაკის ნაციონალისტური პარტია შეიქნა გამომხატველი იმ სომეხთა იდეალისა, რომელთა უმრავლესობაც მთელს დედამიწაზე იყო გაბნეული და მეფის მოადგილისა თუ სულთნის ტერიტორიაზე იტანჯებოდა.

ქრ. მიკაელიანმა და ი. ლორისმელიქოვმა გააერთიანეს სტუდენტთა ერთი ჯგუფისა („აღმსრულებელთა")

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჰნჩაკის პარტიის მოქმედება და დაარსეს „სომეხთა რევოლიუციონერების ფედერაცია“ (დაშნაკცუთიუნი). დაშნაკთა პარტია ნაციონალისტური იშვა და ასეთივე დარჩა ძირიან ფესვიანად, მიუხედავად მისი ზოგიერთი მეთაურის მისწრაფებისა და იმ გარემოებისაც, რომ იგი სოცრევოლიუციონერთა პარტიის სახელს ირქმევს და მეორე ინტერნაციონალის წევრიცაა. „პროგრამა იმაში მდგომარეობდაო, — ამბობს ლორისმელიქოვი, — რომ ქურთებისა და თურქებისთვის პარტიზანული ომი აგვეტეხნა და ოსმალეთის სომხეთში შეიარაღებული რაზმები გაგვეგზავნაო“. მაგრამ იქვე უმატებს: „უკვე მაშინ ვგრძნობდით ორგანიზაციის დიდ ნაკლს: ნათლად ჩამოყალიბებული პროგრამის უქონლობას, პოლიტიკური აზროვნების სხვადასხვაობას“... მიკაელიანის სიკვდილის შემდეგ, იმ პარტიაში, რომლის მიზანი და მისწრაფებაც მეფისა და სულთანის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება იყო, გავლენისა და საპირადო საკითხების გამო წვრილმანი კინკლაობა ასტყდა.

მიუხედავად ამ არეულობისა, ან უფრო მისი მიზეზით, დაშნაკთა პარტიის ნაციონალისტური მიდრეკილება გაძლიერდა და სასტიკი, მაგრამ ამაო აგიტაციითა და რამდენიმე შეთქმულობით გამოიხატა. ტულაში ფარულად შეიძინეს იარაღი და კავკასიით ოსმალეთში შეიტანეს, მოაწყეს რამდენიმე თავდასხმა (ოტომანის ბანკზე, ილდიზ-კიოსკზე). ამ აგიტაციის ერთად-ერთი შედეგი ის იყო, რომ ოსმალეთში სომხების წინააღმდეგ სისხლისმღვრელი რეპრესიები გამოიწვია პროვოკაციულად.

გარდა ამისა, ქართველთა და სომეხთა რევოლიუციური ორგანიზაციები, გარემოების ძალით, ერთმანეთს უპირისპირდებოდენ, რადგან არ იყო პოლიტიკური და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური საერთო იდეალი: საქართველოში გაბატონებული იყო აგრარული არისტოკრატია: დიდი მემამულე თავად-აზნაურობა, შემოუსავლობისა გამო რომ მოვაჭრე ბურჟუაზიის სასარგებლოდ კოტრდებოდა; სომხეთში კი სწორედ ეს ბურჟუაზიული კლასი მეთაურობდა ეკონომიურ ცხოვრებას. ქართველ დიდ მემამულეთა შორის საქართველოს ავტონომიის იდეამ სომხეთთან ამგვარი დამოკიდებულების გამო მოიპოვა გასავალი, აქ მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ თავმოყვარეობასა და სომხური ბურჟუაზიის ფინანსიურ ზრდას. ამის საწინააღმდეგოდ თავად-აზნაურობა ყრუსა და უხეშ კონსერვატიზმს მიჰართავდა და, რა თქმა უნდა, ეროვნული შუღლის გაჩაღებასაც სათანაღოდ იყენებდა.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, როცა გაკვრით ბაქოზე ვლაპარაკობდით, ჩვენ უკვე გავიცანით როლი მუსავატელთა პარტიისა, რომელიც თეორიულად აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მიზანს ისახავდა, ხამდვილად კი იმგვარსავე თურქოფილურ პოლიტიკას აწარმოებდა, როგორც პანისალმური მოძრაობა.

1905 წლის რევოლიუციამ მთელს კავკასიაში იპოვნა გამოხმობა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ საქართველოში (იქ გლეხთა უდღეური მთავრობაც კი შესდგა). 1909 წ. სტოლიპინმა ბოძანება გასცა, რათა სომხები მასიურად დაეპატიმრებიაფ. მხოლოდ ერთ ღამეს დააპატიმრეს ხუთას ინტელიგენტზე მეტი. სომხეთში კვლავ სისხლისღვრა დაიწყო. რუსიფიკაცია მძლავრად მუშაობდა. პოლიცია საქართველოსა და სომხეთში მუსულმანებისგან შესდგებოდა. სომხებს განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობოდენ. თვითმპყრობელობა შეეცადა მოესპო სომხური ეკლესია და იგი მართლმადიდებლობისთვის შეერთებია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე, ისარგებლა რა იმ გარემოებით, რომ სომხეთის ბურჟუაზიას ხელში ეჭირა ტფილისის მთელი ვაჭრობა, უდიდესი ნაწილი ბაქოს ნავთის სარეწაოებისა და აგრეთვე განუსაზღვრელი ადგილ-მამული, ეროვნებათა შორის, ჩვეული და უცვლელი გზით, შური და შუღლი დასთესა, ქვეშევრდომთა ერთი ნაწილი მეორეს მიუსია და ბაქოში სომეხთა საშინელი ჟლეტა მოაწყო.

აზერბაიჯანის თათრებს თვითმპყრობელობა, შედარებით, თავზე ხელს უსვამდა, რადგან რეაქცია საიმედო დასაყრდენს ჰპოვებდა ხანების გავლენაში.

რეპრესიის შემდეგ მოძრაობა ქალაქებსა და სოფლებს შეეფარა. საქართველოში მენშევიკების გავლენა გაიზარდა, რადგან ბოლშევიკებზე გაცილებით უფრო სასტიკად იძიებდა შურს გამარჯვებული რეაქცია.

სათათბიროების კონსტიტუციური კომედიის დროს აშკარად გამოჩნდა ნაციონალისტ-ფედერალისტებისა და მენშევიკების კავშირი. მიუხედავად იმისა, რომ პირველნი უფრო ფესვგადგმულნი იყვენ, როგორც პარტია, ესენი მაინც სიამოვნებით ანდობდენ მენშევიკებს თავიანთ ინტერესებს, რადგან ამ უკანასკნელთ რუსული და ინტერნაციონალური ფშანები ჰქონდათ და თვითმპყრობელობისადმი წინააღმდეგობით შეეძლოთ ეროვნული დამოუკიდებლობის საქმისთვის სამსახური გაეწიათ.[8]) ქართველი გლეხობის მასები ადვილად ემხრობოდენ სოციალიზმს იმ მოსაზრებით, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ცარიზმის ჩაგვრისთვის, რომლისგანაც ისინი ყოველგვარ ადამიანურ უფლებას იყვენ მოკლებულნი. ქართველ მენშევიკთა პარტიის ბელადი ჟორდანია კავკასიის წარმომადგენელი იყო პირველ სათათბიროში. წერეთელი კი (ამჟამად მე-II ინტერნაციონალის აღმასკომის წევრი) მეორე სათათბირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. მეოთხე სათათბიროში კავკასიის დეპუტატთა ალგილები ფედერალისტებმა და სოც.-დემოკრატებმა გაიყვეს.

მიუდგომელი, დინჯი და ობიექტიური ისტორიკოსი, რომელიც მოგვითხრობს თუ როგორ მოხდა, რომ სოციალისტური ინტერნაციონალური პარტია, ვინც პირველს ხანებში გამომხატველი იყო მუშების მოთხოვნათა და კრიჭაში უდგა ველურ მთავრობას თუ სხვა რეაქციონურ რეჟიმს, გაიყო მე-II და მე-III ინტერნაციონალად—მენშევიკებად ანუ მინიმალისტებად და ბოლშევიკებად ანუ მაქსიმალისტებად—ეს ისტორიკოსი იმასაც იტყვის, რომ ქართველი მენშევიკები, მათი რევოლიუციური პრინციპების უმტკიცობისა გამო, როცა საქმეზე მიდგა, თანდათანობით ურიგდებოდენ ნაციონალისტურ ელემენტებსა და პოლიტიკურად დალმა დაქანებულნი, არისტოკრატიასა და იმპერიალისტურ-რეაქციონურ ბურჟუაზიას; ესე იგი, იტყვის თუ როგორ შეითვისეს მათ ოპორტუნისტული ტაქტიკა, რამაც კლასთა ბრძოლის პირვანდელი მოძღვრება დაამახინჯა და, გარემოებათა წყალობით, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ კონტრ-რევოლიუციურ და კონტრ-პროლეტარულ მოძღვრებად აქცია.

ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოს სოც.-დემოკრატები საშიშ სიგიჟეთ სთვლიდენ საქართველოს ეროვნული ავტონომიისადმი ფედერალისტების მისწრაფებას ჟორდანია და მისი ამხანაგები ჭექა-ქუხილით ილაშქრებდენ, და სამართლიანადაც, ამ დემაგოგიური მოძღვრების წინააღმდეგ, რაც ვნებისა და უსიამოვნების მეტს არაფერს მოუტანდა ქვეყანას.

კომპრომისული ტაქტიკა მაშინ ჩამოყალიბდა, როცა არჩევნებმა ცხადად დაანახვეს სოც.-დემოკრატებს თუ რა რეალური ძალა ჰქონიათ ნაციონალ-დემოკრატებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერალისტებს, რომელთაც მანამდე ასე აშკარად ებოძოდენ. ეს პარტიები თავად-აზნაურული პარტიები იყვენ, ხოლო „საქართველოს უბედურება ისაა, რომ იქ 6% თავად-აზნაურობაა“,— სთქვა ერთ-ერთმა მისმა ხელმძღვანელმა. გარდა ამისა, თვითმპყრობელობის ძველი ოფიცრობის რიცხვი მრავლდებოდა. აქედან დაიწყო მენშევიკების დათმობის ხანა. ყველამ დაინახა მათი სოციალისტური ურთიერთობის ცვლილება მეზობელ ხალხთა მიმართ, უწინარეს ყოვლისა, სომხების მიმართ; აშკარად დაინახეს, როგორ უარჰყო ჟორდანიამ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პროექტი, რომლის ავტორიც თვით იყო და რომელიც ქართველთა ეროვნულ მოთხოვნათ ისეთ ფარგლებში ატევდა, რასაც „დიდი საქართველოს“ მომხრენი ვერ შეუოიგდებოდენ.

უკეთუ 1905 წ. შემდეგ ლიბერალურად მოკაზმულმა თვითმპყრობელობამ რუსეთში რეფორმების ნასახი შემოიღო (რაც ქარმა წაიღო), საქართველოშ. სრულიად არაფერი გაუკეთებია. როცა ტფილისმა უნივერსიტეტის დაარსება ითხოვა, განათლების სამინისტრომ ციცი უარი სტკიცა.

საქართველოში კიდევ მოიპოვებოდა გლეხთა ისეთი კატეგორია, რომელსაც „დროებით ვალდებული“ ეწოდებოდა. ესენი, მართალია, ყმობიდან განთავისუფლებულნი იყვენ, მაგრამ, რადგან სიღატაკისა გამო მიწის შეძენა არ შეეძლოთ, მუქთად ჯახირობდენ. არსებობდა აგრეთვე ხიზანთა კანონიც: ღარიბი გლეხები რომ რომელიმე სასტიკ ბატონს გაექცეოდენ და სხვას, უფრო ლმობიერს შეევრდომებოდენ, მისთვის უნდა მიერთმიათ თავიანთი ქონებაც და გარჯილობაც. ასეთი ალმაშფოთებელი მდგომარეობის მოსასპობად შეტანილ იქნა ახალი კანონ-პროექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი, მაგრამ, რაკი სოც.-დემოკრატებმა იგი სათანადოდ ვერ დაიცვეს, სათათბირო მუდამ გადასდებდა ხოლმე. მეორეს მხრით, სოც.-დემოკრატ დეპუტატებს პროტესტი როდი განუცხადებიათ ხოლმე ეროვნულ უმცირესობათა ჟლეტის წინააღმდეგ. სახელმწიფო სათათბიროს უქნარობა და კავკასიის წარმომადგენელთა ოპორტუნიზმი იქამდე მივიდა, რომ ამ უკანასკნელებმა თანდათანობით მიატოვეს პრინციპი კლასთა ბრძოლისა და „ნაციონალისტურ პლატფორმაზე“ შესდგენ. 1914 წ. ისინი ტაშით მიეგებენ იმპერიალისტურ ომს.

ქართველი ნაციონალისტები სიამოვნებით აღნიშნავენ ხოლმე მენშევიკების ამ თანდათანობითი გადადგომას.

ბ. რეიმონდ დიუგე, რომელიც თავის წიგნში „წამებული საქართველო“ ნაციონალისტების საქმის ვექილად გამოდის, აშკარად ამბობს: უკეთუ ქართველმა პატრიოტებმა სახელმწიფო სათათბიროში სოც.-დემოკრატები გაგზავნეს, მიუხედავად იმისა, რომ მათს დემოკრატიულ იდეებს არ იზიარებდენ, გაგზავნეს იმიტომ, რომ ესენი თვითმპყრობელობის ცნობილი მტრები იყვენო და დაძენს: „ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლით ქართველი სოც.-დემოკრატები, გარემოების ძალით, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდენ. ამ გარემოებამ მათ ნელ-ნელა მიაღებინა ნაციონალისტური განხრა და ამჯნვე განასხვავა იგინი რუსი სოც.-დემოკრატების თუ მენშევიკებისგან. მაშასადამეო, დაასკვნის იგი — ისე კი არ უნდა ვთქვად, როგორც რენოდელი ამბობს: სოციალისტური საქართველო, არამედ: წმინდა ერთობა“.

ბ. ლორისმელიქოვი, რომელმაც საფრანგეთის ქვეშევრდომობა მიიღო რა, როგორც ვიცით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის მოძრაობაში, რომლის სოციალურ კონცეფ-
ციას ერთგვარი უტოპიზმი ახასიათებს, მაგრამ რომელ-
საც, ამის მიუხედავად, გულწრფელობასა და ლოიალობას
ვერ ვუძრახავთ, ქართველი მენშევიკების გადახრას მეტად
ნათლად ამჟღავნებს: სოც.-დემოკრატების წარმომადგენ-
ლები, როგორც ჟორდანია და წერეთელი, იმ ნაციონა-
ლისტური პარტიების ზრახვისა და გავლენის გამო, რომ-
ლებსაც დიდი მემამულეები ხელმძღვანელობდენ, „ასეთი
ალტერნატივის წინაშე იდგენ: ან უარი უნდა ეთქვათ
თავიანთს წარსულზე და ნაციონალისტურ მიმდინარეობას
შეერთებოდენ, ან მტკიცედ უნდა დაეცვათ თავიანთი
პროგრამა. პირველი გადაწყვეტილება უფრო მიმზიდველი
იყო და ისინიც მარჯვნით გადაიხარენ... ქართველ თა-
ვად-აზნაურთა სეპარატისტული ნაციონალიზმი განსაცდე-
ლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ეს გარემოება ნათლად
გვიჩვენებს რა შევიწროება უნდა განეცადათ ეროვნულ
უმცირესობათ და სომხებს. სოციალისტთა ამ ბელადების
საქციელი მათი სახელოვანი წარსულის შემდეგ სრულიად
გაუგებარია“.

სომხეთში დაშნაკელების უგუნურებამ მრავალი კო-
ლიზია გამოიწვია, ერთის მხრით, რუსეთის სომხებსა და
მეორეს მხრით, ოსმალეთის სომხებსა და ახალგაზრდა
თურქებს შორის. დასასრულ კი, თავიანთს ქვეყანაში გა-
მარჯვებულმა ახალგაზრდა თურქებმა 1915 წ. სომხების
საშინელი ჟლეტა მოაწყვეს.

1917 წლ. თებერვალ-მარტში პეტროგრადსა და მო-
სკოვში მუშათა, მეზღვაურთა და ჯარისკაცთა მიერ გულ-
ში დაჭრილი დაემხო ცარიზმი. გვირგვინოსანმა კაცმა,
რომელმაც არც კი იცოდა კარგად რა მოხდა, გადადგო-
მის ქაღალდი ჩააბარა ორ დეპუტატს, საგანგებო რონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაში რომ წარუდგა და ეს მოთხოვნა წარუდგინა. მრავალი დროებითი მთავრობა გამოენაცვლა ერთი-მეორეს. ეს რევოლიუცია მენშევიკური იყო. რა კი თავის მიზანს ტახტის დამხობას მიაღწია, ეს რევოლიუცია მხოლოდ იმას სცდილობდა, როგორმე მონარქიის რესტავრაცია აეშორებინა თავიდან და ევროპის ბურჟუაზიული რესპუბლიკების მინაგვარი ახალი სახელმწიფო შეექმნა.

როგორც მოგეხსენებათ, დიდი მთავარი მეფის მოადგილე და კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი იყო ტფილისში. (შემდეგ მან პარიზში მახინაციები დაიწყო, რათა თავისი გვარეულობა საზამთრო სასახლეში მოეთავსებინა). რამდენიმე ხანს კიდევ დარჩა მეფის მოადგილედ და მენშევიკების დელეგატებთან ერთათ თათბირობდა „ქვეყნის საუკეთესო მმართველობის შესახებ". მუშათა და გლეხთა საბჭოები? ჰო, ისინიც არსებობდენ, მაგრამ არავითარი მნიშვნელოვანი როლი არ ჰქონდათ.

რევოლიუციის ოთხი თვის თავზე სახ. სათათბიროს დეპუტატთაგან შესდგა ამიერკავკასიის კომიტეტი, სადაც შედიოდენ: სოც.-დემოკრატები, დაშნაკელები, ფედერალისტები, რუსები და ორიც აზერბაიჯანელი თურქი. ეს კომისარიატი განაგებდა მთელ კავკასიას.

საქართველოს მენშევიკებმა რამდენჯერმე გაგზავნეს მოსკოვის მენშევიკურ საბჭოში თავიანთი წარმომადგენლები ქართველთა ინტერესებისა და ფინანსიური საკითხების მოსაგვარებლად. ამ ხანში აზრადაც კი არ მოსვლიად მათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ფინლანდიისა და უკრაინის გამოყოფას, აგრეთვე ნაციონალური ჯარის ნაწილების შედგენას ბოროტმოქმედებად სთვლიდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი არც მუშათა საკითხისა, რვა საათის სამუშაო დღისა, მიწების დარიგებისა და რევოლიუციური პოლიტიკის საკითხისთვის გაუცხელებიათ მაინცა და მაინც, ქართველი დელეგატები განსაკუთრებით შიდა-კავკასიური საზღვრების გამორკვევით იყვნენ დაინტერესებულნი.

1912 წ. აზრთა სხვა და სხვაობა საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიაში მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის აშკარა განხეთქილებამდე მივიდა [9]). ასეთივე ამბავი მოხდა ბოლოს და ბოლოს მთელს ყოფილ თვითმპყრობელურს იმპერიაში.

1917 წლ. ოქტომბერ ნოემბერში ბოლშევიკური რევოლიუცია იფეთქებს და გაიმარჯვებს.

ეს მეორე რევოლიუცია სრულიად განსხვავდება თებერვლის რევოლიუციისგან, რომელმაც მხოლოდ მეფე და ცარიზმის უშუალო აპარატი დაამხო. ამფეთქებელი ძალა მან იმ მძიმე და მტკიცე ოპოზიციაში ჰპოვა, რომელიც ახალი რეჟიმის მფარველობით კადეტებისა, ბურჟუაზიისა, მენშევიკებისა, ანარქისტულ სოც.-რევოლიუციონერებისა, ოფიცრებისა, დიდი პრესისა და სახელმწიფოს და ეკლესიის მექანიზმის ნარჩენების მიერ მუშათა კლასის წინააღმდეგ იყო მიმართული. შემდეგ, იმპერიისა და ეფემერული რესპუბლიკის ნანგრევებზე მან მუშათა და გლეხთა სახელმწიფო ააგო.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არა დაუზოგავთ რა ამ ისტორიული ცდის ჩასახშობად, რომლის მნიშვნელობა და შედეგები აღურიცხველია: ბლოკადა, ომი, ვერცხლი, იარაღი და მოწყობილება თეთრ არმიებს, პროვოკაციულად გამოწვეული თუ წაქეზებული სამოქალაქო აჯანყებანი, მკვლელობანი, შეთქმულებანი, ღალატი, საბოტაჟი, ტყუილი, ცილისწამება. უადგილოა აქ დაწვრილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოთვლა იმ განუზომელი და მრავალგვარი გამანადგურებელი ინტრიგებისა, რომელიც ჩვენი დროის უუმნიშვნელოვანესი მოვლენის: მასებიდან გამომავალი სოციალური წყობილების ჩასახვის გარშემო განვითარდა (და კვლავაც ვითარდება).

საჭირო იყო თითქმის ზეადამიანური სიმტკიცე და ენერგია, აზრის ულმობელი თანამიმდევრობა და მოქმედების ნიჭი, რათა კაცობრიობის ისტორიაში პირველად ყოფილიყო შესაძლებელი კოლექტიური წყობილების დამყარება არა თუ ძველი რეჟიმის ზემოდან „გადაკეთებით", არამედ ახალი საძირკვლების ღრმა ჩადგმით. რა უნდა იყოს რევოლიუციის ზოგიერთ ეპიზოდზე უფრო პათეტიური, როცა საუცხოო გაქანებას მთლად თავისი ბედი უცდია, თუმცა ზოგჯერ მცირე რამისთვის მიუღწევია.

საჭიროა კარგად ჩავუკვირდეთ ამას, ჩვენ, რომელთაც თებერვლის რევოლიუციების მეტისთვის არაოდეს მიგვიღწევია, და როგორიც უნდა იყოს ჩვენი პირადი რწმენა, კარგად გვესოვდეს, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელიც მთელი დედამიწის ერთ მეექვსედსა და 140 მილიონ ცოცხალ არსებას მოედო, უდიდესი ახალი ხანა დაიწყო, რადგან დღემდე მთელს მსოფლიოში უმეტოქეოდ გაბატონებული კაპიტალიზმის ძლიერებას ბოლო მოუღო. მსოფლიოს რუკაზე რამდენიმე ადგილას მან დაამყარა მშრომელ მოქალაქეთა ერთობა, ახალი ყოფა, რაც საუკუნოებრივი ანარქიული წესის სრული ლიკვიდაციის შემდეგ შრომის ჰომოგენურ რესპუბლიკად უნდა იქცეს.

საბჭოთა რეჟიმი, რომელიც აგერ მეათე წელიწადია ვითარდება, შეგუებაა ადამიანის ძალებისა ბუნების კანონებთან, კოლექტიური ცხოვრების ბუნებასთან. დამარხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი უმრავლესობა ხალხისა აღსდგა და მზიგულზე გაბრ-ვიდა. ეს მოვლენა ბურჟუაზიას უცნაურად იმიტომ ეჩვენება, რომ სრული დემოკრატია სასტიკად უპირდაპირდება ბურჟუაზიულ ცრუდემოკრატიზმს, სადაც ნამდვილი ბატონი ფინანსისტია. სხვადასხვა ჯურის სოციალისტსაც იმიტომ ეჩვენება იგი უცნაურად, რომ ამ მოვლენას,— საბჭოთა სინამდვილეს— მოძღვრების სიმკაცრე და გაუტეხლობა ახასიათებს.

ეს კონცეპცია, რომელიც საზოგადოების უთვალავ ფენებს აღორძინების ძალას ანიჭებს, რომელსაც ლოღიკა ბოლომდე მიჰყავს, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც, რომელიც პარაზიტიზმის აღმოფხვრას იწვევს და უწეს-რიგობას, ანარქიას (ომსაც) სპობს, რომელიც ანხორციელებს მთლიანობის გეგმიანობას, სამართლიან განაწილებას და მთელს კოლექტიურ მეურნეობას მტკიცე საზრიანობას ანიჭებს, რომელიც აგრიკულტურასა და ინდუსტრიას თავიანთ ნამდვილ მწარმოებლებს უბრუნებს, რომ ეს კონცეპცია პროდუქციის მოწესრიგების უმაღლესი ფორმაა, ეს საკამათო როდია. უტოპიურია იგი თუ არა, ამას მომავალი დაგვანახებს. მან უკვე დღესაც ბევრი რამ გვიჩვენა.

ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკებმა მოაწყეს თავიანთი აღმასრულებელი კომიტეტი. 1917 წლ. ნოემბერში, როცა პეტროგრადში დამფუძნებელი კრება დაშალეს, მისი ამიერკავკასიელი დეპუტატები თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ. ამ გარეკილმა პარლამენტარიებმა სრული უფლება მიინიჭეს და ამიერკავკასიის პარლამენტი, სეიმი შეადგინეს. აქედან წარმოიშვა კოალიციური მთავრობა (გეგეჭკორის თავმჯდომარეობით), რომელშიც მენშევიკებისა, დაშნაკელებისა და მუსავატელების წარმომადგენლები შედიოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა თუ რესპუბლიკად, არამედ ფედერაციადაც მოწყობილმა ამიერკავკასიამ მოსკოვთან კავშირი გასწყვიტა და დამოუკიდებლად მოქმედებდა, ამასთანავე, რათა ანტანტისთვის ეამებინა და ოსმალების წინააღმდეგ ეომნა, სამხედრო საქმის მოგვარებაც არ დაივიწყა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისარგებლა რა უდროობით, უღალატა რევოლიუციას, რუს ხალხსა და დასავლეთის სახელმწიფოების კალთას შეაფარა თავი.

ბოლშევიზმის გამოჯავრებით, ნაციონალისტური პარტიები ხელს უწყობდენ თურქებს რუსი ჯარის განადგურებაში. მრავალი რუსი ჯარისკაცი გასწყდა შამქორსა და სხვა ადგილებში.

სომხეთი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა: ომითა და განუწყვეტელი ყლეტით გაჩანაგებულს (1917 წლ. დეკემბერში ნუხის მაზრაში თერთმეტი სოფელი გასწყვიტეს), თურქების მიერ გარსშემორტყმულს (რადგან რუსი ჯარი ფრონტიდა წავიდა) საქართველომაც უღალატა და დახმარებაზე უარი უთხრა. მეორეს მხრით კი კავკასიელი თათრები ათასგვარ დაბრკოლებას უქმნიდენ სომხების მობილიზაციას.

ოსმალეთთან დაწყებულ იქნა საზავო მოლაპარაკება შემდეგის პირობით: ოსმალეთს უნდა ეცნო კავკასიის დამოუკიდებლობა და რუსეთისგან ჩამოშორება; სამაგიროდ კავკასია მიიღებდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ოსმალეთს ბათომი, ყარსი და არდაგანი ეთმობოდა. ამ მოლაპარაკებამ სულ გააფუჭა სომხების საქმე, რომელთაც კარგად ესმოდათ, რომ რუსეთისგან მოწყვეტილნი, იგინი დღეს თუ ხვალ ოსმალეთის მსხვერპლნი გახდებოდენ. ქართველები ამ საზავო ხელშეკრულების მიღებას ეშურებოდენ, მით უმეტეს, რომ

ოსმალები ბათომის დაბრუნებას ჰპირდებოდენ (ასეც მოხდა), უკეთუ სომხეთი ამ საზავო პირობებს ხელს მოაწერდა; სომხეთსაც მეტი რა ღონე ჰქონდა, რადგან კავკასიის სეიმმა საამისო სრული უფლება მიანიჭა მთავრობის თავმჯდომარეს ჩხენკელს. მაგრამ მალე ყველაფერი სათუო შეიქმნა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ, რომელსაც ამიერ-კავკასიის მთავრობაში მეტი გავლენა ჰქონდა, ოსმალეთს თანდათანობით ყველაფერი დაუთმო. და კავკასიის საბრალო კუთხეები შეხლა-შემოხლისა და განუწყვეტელი სისხლისღვრის ასპარეზი შეიქნა.

ეს ხანა ამ ქვეყანაში უცხოელთა არმიების ბატონობის ხანაა, ჯერ ოსმალეთის არმიისა, რომელიც აწვებოდა და ყოველის მხრიდან ემუქრებოდა, შენდეგ კი გერმანიისა. 1918 წლის დამდეგს საქართველომ გერმანიის პროტექტორატი მიიღო. ასე რომ, იმ ხანებში მთელი ამიერ-კავკასიის ბატონი და პატრონი გერმანელი ღენერალი ფონ ლოსოვი იყო. საქართველომ გერმანიას დაუთმო კავკასიის ყველა რკინის გზა. გერმანიის დახმარებით მან ტერიტორიული შემატებაც ნახა სომხეთის ხარჯზე. სომხეთმაც ხელი მოუწერა ოსმალეთს ისეთ ხელშეკრულებაზე, რომელიც მას მცირე ტერიტორიას-ღა უნარჩუნებდა. ოსმალეთმა თვისი „ალტერ ეგო“,—მუსავატისტული აზერბაიჯანი წააქეზა დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად, რათა ამით ამიერკავკასიაში შესასვლელი კარი გაეჩინა თავისთვის. მომავლის ისტორიკოსები, რომლებიც უკვე ვახსენე, მოგვითხრობენ ყველა იმ კომბინაციას, კომპრომისს—და ღალატს, რაც ამ სხვადასხვა ოკუპაციას მოჰყვა. ამიერკავკასია არაოდეს ყოფილა ასე მოშუღლე ძმათა ქვეყანა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ რთული პოლიტიკური სტრატეგიიდან ის გამომდინარეობს, რომ, ამიერ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კავკასიისა, ისე მის შემადგენელ ეროვნებათა დამოუკიდებლობა მოსახლეობის სურვილით კი არა — უცხოელთა ჯარის სარდლობის მუქარით იყო გამოცხადებული.

1918 წლ. 25 მაისს ამიერკავკასიის საერთო მთავრობა ხმის შეუწყობლობის გამო იშლება. თურქები ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გათვალისწინებულ საზღვარს მოითხოვენ (ბათომი, არდაგანი, ყარსი). ქართველები და სომხები თურქების მოთხოვნას უარყოფენ, რის გამოც ოსმალების ჯარი შეტევას იწყებს კავკასიის ფრონტზე, რომლის დაცვა უმთავრესად სომხებს აწვება კისერზე. რაკი ოსმალებმა ბათომი აიღეს და ქართველების ბრძოლასაც მიზანი აღარ ჰქონდა, ამიტომ ქართველებმა მოინდომეს ომის შეწყვეტა; მათ სეიმის მთავრობას განკარგულება მოახდენიეს, რათა ყარსი ოსმალეთისთვის გადაეცათ, მაშინ როცა სომხები მას დასაცავად იბრძოდენ. მაგრამ ოსმალები ამანაც ვერ დააკმაყოფილა და ახალი მოთხოვნანი წარადგინა. მათი მიზანი ბაქო იყო, სადაც იგინი სომხეთის სხეულზე გადავლით უნდა მისულიყვენ, და მოსახლეობას ისეთი ბედი უნდა განეცადა, როგორიც ოსმალეთის სომხეთს ეწია.

ქართველმა მენშევიკებმა პროტექტორატის უზრუნველსაყოფად გერმანელებთან საიდუმლო ხელშეკრულება დასდეს, თავიანთ მოკავშირეებს უღალატეს და სეიმის დაშლაც გამოიწვიეს. სეიმის დაშლის დღესვე, 26 მაისს, საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადდა. ერთი დღის შემდეგ აზერბაიჯანმა და სომხეთმაც იგივე ჰქნეს.

ყოველი კეთილგონიერი ადამიანი, ვისაც კი ამიერკავკასიის საკითხზე უფიქრნია, ერთხმად აღიარებდა, რომ ასეთი განთვისება, რაც წუთიერად ფანატიკოს ნაციონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტებს აკმაყოფილებდა და რამდენიმე პრივილეგიური ჯგუფის საქმეს აკეთებდა, ნამდვილი უბედურება იყო ამ სამი ქვეყნისთვის, რომლებიც ერთობ პატარა, სუსტი და ეკონომიურადაც ერთმანეთზე დამოკიდებულნი იყვენ. როგორი თვალსაზრისისაც უნდა იყოთ, ერად-ერთი შესაძლებლობა, რასაც კი ლოლიკური გამძლეობის შანსი აქვს, ეს არის სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს ფედერაცია. სამ ერთეულად გაყოფის ფორმულა ხელს შეუწყობს შინაგან არეულობას, უცხოეთის მახინაციებსა და საურთიერთო ომს.

საქართველოს მთავრობას, ეტიკეტით რომ მენშევიკური იყო, მიზნად ჰქონდა ძველი საქართველო აღედგინა, აზერბაიჯანი თავის გავლენაში ჰყოლოდა და სომხეთისთვის მფარველობა გაეწია. მას თურქების გული უნდა მოეგო და თვითონაც გერმანიის პროტექტორატის ქვეშ უნდა ყოფილიყო, რადგან ისეთი უმტკიცი ორგანიზმი, როგორიც ქართველი ერია, მარტო თავისი ძალებით ვერ გასძლებდა. ანტანტის გამარჯვებამ ხელი შეუშალა ქართველ მმართველებს გერმანიისადმი სრული დამონების საქმეში.

რაკი გერმანიის ორიენტაცია გაცუდდა, ახლა პირი ანტანტისაკენ იბრუნეს. ბ. ავალიშვილი მოგვითხრობს როგორ იქცეოდენ ეს „დემოკრატები", რომლებიც დიდ სახელმწიფოებს სთხოვდენ თავიანთ დამოუკიდებლობასა, და ფულს.

ახალმა სამხედრო ოკუპაციამ სამი უმაღლესი კომისარი მოავლინა: ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი. საფრანგეთის კომისარი, ხე-ტყის ვაჭარი ბ. შევალიე საზოგადოდ ცნობილი იყო, როგორც ჭკუამოკლე კაცი, მაგრამ კონტრრევოლიუციასთან, სახელდობრ, დენიკინ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სა, კორნილოვსა და ალექსეევთან სახეირო დამოკიდებულება ჰქონდა. კვლავ დაიწყო ინტრიგები, რომელთა შუაც, უნდა გამოვ ?ყდეთ, საქართველოს ხელისუფლება ჩინებული მოქნილობით ჰქანაობდა.

რა წამს სამი რესპუბლიკა გამოცხადდა, იმ წამსვე ასტყდა უთანხმოებაც საზღვრების გამო,—რაც ნაციონალისტების სახიფათო გეომეტრიას წარმოადგენს,—და „საომარმა გუნებამაც გაიღვიძა“ (თუმცა არც მას სძინებია). ქართველებს სურდათ, იმ საუცხოო და უხეში ფორმულის მიხედვით, რასაც ხელ?საყრელ მომენტში სიამით გამოიყენებენ ხოლმე, „თავიანთი ისტორიული საზღვრები“ [1]). ჟორდანიას მთავრობამ უარი უთხრა საქართველოს ზოგიერთ ეროვნულ უმცირესობას პლებისციტისა და თვითგამორკვევის უფლებაზე, რაც ბერნისა და ლიუცერნის კონგრესებმა „დემოკრატიული პრინციპების სახელით“ მათ მიანიჭა. სომხები მოითხოვდენ იმ მეტად მცირე ტერიტორიის გაფართოებას, რაც მათ ამდენი დაქუცმაცების შემდეგ ერგოთ.

საბაჟოს ომი. უფრო ძლიერი (საქართველო) სცდილობს ხელში ჩაიგდოს კავკასიის რკინის გზები. მე უკვე

---

[1]) ამ ქებული ისტორიული საბუთის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ისტორიულს განსაზღვრულ ხანაში საქართველოს ზოგიერთი მხარე დამოუკიდებელი იყო, მაგ., ახალციხე-ახალქალაქის მხარე XIV საუკ. გასულს, როცა იქ ათაბაგები განაგებდენ, გამოეყო საქართველოს და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ მხარეს თეორიულად საბუთი ექნებოდა, უკეთუ ხსენებულ პრეცედენტს დაეყრდნობოდა, რომ საქართველოს წიაღში თვისი დამოუკიდებლობა მოეთხოვა, ისე როგორც თვით საქართველოს ამიერკავკასიის წიაღში. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დაშნაკთა სომხეთმაც განაცხადა თვისი პრეტენზიები ამ ტერიტორიაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვიხსენიე 80.000 ახალქალაქელი სომხის თავგადასავალი, როცა იგინი თურქების ჟლეტას გაექცენ, მაგრამ საქართველომ თავის ტერიტორიაზე არ შეუშვა და, მთებში შერეკილნი, 30.000 უბედური გასწყდა. ცოტა ხნის შემდეგ 15.000 სომეხი, ნუხიდან და შემახიდან გამოქეული, კახეთის სოფ. [illegible]ოდეხს მოადგა. ქართველმა ჯარისკაცებმა იგინი ისევ ოსმალეთისკენ გარეკეს, სადაც ყველანი დაიღუპენ.

საქართველოს ახალმა ბატონებმა ნაციონალიზაციის შემოღება დაიწყეს და სამსახურიდან დაითხოვეს სომხები და რუსები. „სომეხი სანადირო მხეცად იქცაო", სწერს ერთი ფრანგი, რომელმაც ტფილისი ინახულა 1919 წ. ტფილისში ყველა წარწერა ქართულით შესცვალეს, რუსულისა და სომხურის მაგიერ, მოსკოვის ხელისუფალთა კლასიკური მეთოდის მიხედვით, ე. ი. თვითმყრობელობის წარწერა შეაბრუნეს მხოლოდ კედელზე.

ახალი საქართველოს კონსტიტუცია სხვა არა იყო რა, თუ არ ძველი მდგომარეობის ფასადის შეცვლა, რომელსაც აქა-იქ დასავლეთის დემოკრატიების იმიტაცია ჩაურთეს. ვერავინ გაბედავს სერიოზულად სთქვას, რომ ეს არა თუ სოციალისტური, არამედ დემოკრატიული მთავრობა იყოო.

სამი წლის განმავლობაში არავითარი სოციალური რეფორმა, რასაც ადგილობრივად დავრწმუნდით. თუმცა ქართველი მენშევიკების მთავრობას მოქმედების საშუალებაც ჰქონდა; მან ხელთიგდო რუსეთის მიერ ტფილისში დატოვებული ხაზინა, დაახლოებით ორი მილიარდი მანეთი (და სომხეთს კი მხოლოდ 20 მილიონი უნაწილა), მუშათა საბჭოებს არავითარი გავლენა არ ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ დამუშავებელს კრებაში, რომელიც ნაციონალ სოციალ-ჭოს მოჰყვა.

სოციალისტური მთავრობა წითელ დროშას აფ-რიალებდა, მაგრამ მიწები კი იმ დიდ მესაკუთრეთა ხელში დასტოვა, მას რომ მხარს უჭერდენ. განზრახვა ჰქონდათ, ხუთიდან შვიდ-შვიდ დესეტინამდე დაერიგებინათ, მაგრამ, რა კი მდიდრებიდან დაიწყეს, მალე ღარიბებისთვის აღარაფერი დარჩა.

რვა საათის სამუშაო დღის ხსენებაც კი არ იყო. მუშათა კანონმდებლობაც იგივე იყო, რაც მეფობის დროს. ფაბრიკები ნაციონალიზაციაქნილი არ იყო, არც ეკლესია იყო სახელმწიფოს ჩამოშორებული (თუმცა ქონება კი ჩამოართვეს ეკლესიებს), ადმინისტრაცია და სასამართლო ოდნავ შეცვლილი ძველი რუსული კანონებით მოქმედებდენ. ჯარიც ძველის მიხედვითა და იმავე იერარქიით იყო შექმნილი. მთავრობას თავისი მუნდირიანი მცველი ესაჭიროებოდა და ამიტომ მას ყველაფერს უსრულებდა, ეს უკანასკნელი კი თავზარსა სცემდა მოსახლეობას.

რაც შეეხება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, იმ ანტიპროლეტარული ზოგადი პოლიტიკისა და ეკონომიური პოლიტიკის წყალობით, რაც კლარა ცეტკინამ ადგილობრივ ნახა და რასაც მეტად სამართლიანად „პასიური“ უწოდა, დაღუპვის კარს იყო მიმდგარი. ეკონომიური კნინება დღითი დღე კატაკლიზმის სახეს იღებდა; „დემოკრატიული“ რეჟიმის განმავლობაში წარმოება რეგულარულად ეცემოდა და მუშისა და გლეხის მდგომარეობა უარესდებოდა: ყველგან სიღატაკე და სიმშილი, თუ სხვა გაჭირებას აღარ მოვ ხსენიებთ. 1920 წ. მომარაგების სამინისტრო ადასტურებდა, რომ წარმოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველს დარგში 60 პროც. დაეცა. იგი აღიარებდა „მწარმოებელ ძალთა სრულ განადგურებასა“ და საბოლოო გამოფიტვას, რისი შველაც, მისი აზრით, შეუძლებელი იყო.

ინფლიაცია კიდევ უფრო აჩქარებდა უფსკრულისკენ ლტოლვას. საგარეო ვაჭრობა, რომელიც 1913 წ. ერთ მილიონს აღემატებოდა, 1922 წ. ამ რიცხვის მეათედსაც ვერ აღწევდა. ერთგვარი მოძრაობა კიდევ არსებობდა ტფილისში, მაგრამ ეს მხოლოდ სატახტო ქალაქის გარშემო იყო, ქვეყანა კი სულსა ჰღაფავდა.

მენშევიკების ისტორიის ყოველ ფურცელზე ამას წაიკითხავთ: ქართველი მენშევიკების პოლიტიკა არაოდეს ყოფილა ისეთი, რომ სოციალური პრინციპები განეხორციელებინოს, არამედ ეს იყო პოლიტიკა ინტრიგებისა და ოპორტუნისტულ დათმობათა, რასაც ყველაფერი პირადი წარმატებისთვის მიჰქონდა მსხვერპლად — ეს იყო თავდავიწყებული ჯამბაზობა ხელისუფლების შესანარჩუნებლად. მაშასადამე, ისინი იძულებული იყვნენ თავიანთი ნაციონალისტური პოზიცია განემტკიცებინათ, ხოლო სოციალისტური პროგრამა კი უკუეგდოთ, რათა: 1. მიემხროთ თვითმპყრობელობის მიერ გასრესილი და გონება მიხდილი მასები, რომელთაც არწმუნებდენ, რომ ბოლშევიზმი მეორენაირი თვითმპყრობელობაა, კიდევ უფრო ველურიო; 2. საქართველოს და კავკასიის სხვა გამოსადეგ პარტიებთან მხარდამხარ ევლოთ; 3. საბაბი ჰქონოდათ ბოლშევიკებისა და მათი პირწმინდა სოციალისტური პროგრამის წინააღმდეგ საბრძოლველად; 4. გული მოეგოთ ამა თუ იმ უცხო და მდიდარი სახელმწიფოისა, რომლის დახმარებასაც მეტად საჭიროებდენ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

—ერთი სიტყვით, რათა ხელისუფლება შეენარჩუნებინათ, რათაც უნდა დასჯდომოდათ.

მაგრამ მე-II ინტერნაციონალთან ურთიერთობაში ქართველი მენშევიკები სცდილობდენ უფრო მეტი სოციალისტები გამოჩნდენ, ვიდრე ნამდვილად არიან. მათი სოციალიზმი,—სათანადოდ უნდა აღინიშნოს,—უცხოეთის პოლემიკისა და ექსპორტის განსაკუთრებული საქონელია.

რაც შეეხება ეროვნებათა შორის შუღლს, მენშევიკებმა იგი გაახშირეს, — ეს უდაოა და საამისო მაგალითიც ბევრი ვნახეთ, —რადგან იგინი ტყვე იყვენ შოვინისტური პარტიებისა, ანტანტის სახელმწიფოებისა და საკუთარი ზიზღისა ბოლშევიკებისადმი. ომი სომხების წინააღმდეგ (რომელთა წინააღმდეგაც საძაგელი და გაუმართლებელი განზრახულება ჰქონდათ), ომი თურქების წინააღმდეგ (სომხები და თურქები ხომ ერთმანეთს ებრძოდენ), ერთი სიტყვით, ისეთივე პოლიტიკა, როგორსაც თვითმპყრობელობა აწარმოებდა ეროვნებათა უმცირესობის მიმართ.

ომი ნთქავდა ყველაფერს. ადამიანს აღარაფერი რჩებოდა. საშინელი სიმშილობა, აჯანყებანი გურიაში, დუშეთში, რაჭაში, რასაც სოც.-დემოკრატები ცეცხლითა და მახვილით აქრობდენ. სასოწარკვეთილების კივილი მატულობს, მოითხოვენ რკინის გზის გახსნას რუსეთისაკენ, საიდანაც ხორბალი მოდიოდა.

სომხეთის რესპუბლიკის მდგომარეობა საქართველოსაზე უფრო უმტკიცი იყო, რადგან ჩაფლული იყო ამიერკავკასიის მასაში, ყოველის მხრით ჩაკეტილი, სასტიკად დაქუცმაცებული და გაცრცვნილი, რომელსაც ერთის მხრიდან ქართველები ემუქრებოდენ, მეორედან მუსულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანები, შორიდან კიდევ თურქები უთვალთვალებდენ. სომხეთის ზეგანი, იმათი სიტყვეთ, ვინც ამ ხანში იგი ინახულა, „უდაბნოს ემზგავსებოდა“, მიუხედავად მისი მდიდარი მინერალებისა და მცხოვრებთა ხელოსნობის უნარისა.

სომხეთის ეკონომიური მდგომარეობა თვითმპყრობელობის დროსაც არ იყო ასე არახელსაყრელი, რადგან ამხრეთ კავკასიის კულტურული და ეკონომიური ცენტრი, ტფილისი (ისე როგორც ბათუმი და ბაქო, ამიერკავკასიის რკინის გზით შეერთებულნი) მაშინ ღია იყო კავკასიის ყოველი მოსახლისთვის. მთელს ამიერკავკასიას ესაჭიროება ეს სატახტო ქალაქი.

სომხეთის მთავრობა სავსებით დაშნაკელების პარტიის ხელში იყო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ხატისოვს არავითარი გარკვეული პოლიტიკური კონცეპცია არ გააჩნდა: „ერთობ პატივმოყვარე, იგი კბილით ებღაუჭებოდა მთავრობის თავმჯდომარის ადგილს, თუმცა, მისივე საკუთარი სიტყვით, ლაქია იყო დაშნაკთა პარტიისა, რომელიც ხელმძღვანელობდა სამინისტროსაც და პარლამენტსაც.

მოსახლეობა შიშისა და გაუბედობის გამო ემორჩილებოდა ამ პარტიას. მისი აგენტები საზრდოს უსპობდენ იმ სოფლებს, სადაკ დაშნაკების კანდიდატებს დეპუტატებად არ აირჩევდენ. სომეხთა ინტელიგენციისა და ლიბერალური პროფესიის დიდი ნაწილი საშობლოს გაეცალა, რაკი არ სურდა დაშნაკთა პარტიის კომიტეტს დამორჩილებოდა.

ამ კომიტეტს სათავეში უდგენ სასუნელთა ბანდის ძველი ბელადები, როგორც მაგ., რუბენი; მათ იქნებ მამაცობა არ აკლდათ, მაგრამ სამაგიეროდ არავითარი

ორგანიზატორული ნიჭი არ გააჩნდათ; წარსულშიც ასე იყო: არავითარი ხელმძღვანელობა, გარდა უხეში და ბრმა პრო-არმენიული და ანტითურქული მისწრაფებისა; — დაშნაკთა პარტია მუდამ იყო და კიდეც უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალისტური აგიტაციის პარტია. ამხანად იგი ხელისუფლებით სიმთვრალის მსხვეპლი შეიქნა. მინისტრთა შორის ბევრი სპეკულაციას ეწეოდა. ზოგიერთი თაოსნობა (უნივერსიტეტი, მიმოსვლის გაუმჯობესება) თითქოს კარგის ნიშანი იყო, მაგრამ აუტანელ ხარჯს ითხოვდა ელჩებისა და მრჩეველების იქით აქეთ უხვად გზავნა, ბიუროკრატიზმს გაძლიერება და მოხელეთა მთელი არმია. სოხეთი კოტრობის წინაშე იდგა.

აზერბაიჯანის ორგანიზაცია კი უპრიმიტიულესი იყო. სამინისტროები, მთავრობა, პარლამენტი სახელით არსებობდენ მხოლოდ. სახელმწიფოს მთელი მექანიზმი მუსავატელებისა და პანისლამისტების ხელში იყო (ესენი კი დიდი მემამულებისა და მუსულმანი კაპიტალისტების წარმომადგენლები იყვენ). ადმინისტრაციასა და ჯარს ახალგაზრდა თურქების ხელი ამოძრავებდა. ფინანსეს მდიდარი თათარი მემამულეები ჰკვებავდენ. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას ბავშური დამოუკიდებლობა ოსმალეთის მიერ იყო გამოჩეკილი.

1920 წელს 7 მაისს დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის, რომლის ძალითაც, განსაზღვრულ ვალდებულებათა სანაცვლოდ, ცნობილ იქნა საქართველის დამოუკიდებლობა. მაგრამ საქართველოს მთავრობამ საბჭოთა ხელისუფლებისადმი აშკარა მტრული განწყობილებითა და მოქმედებით და-

არღვია ამ ხელშეკრულების დებულებანი. მენშევიკური მთავრობის მონაწილეობითა და დახმარებით მთელს კავკასიაში ნამდვილი კონტრ-რევოლიუციური მოძრაობა მოეწყო.

სომხეთში, ქალაქ ალექსანდროპოლში (ლენინაკანში) 1920 წელს დაშნაკებმა სასტიკად ჩაახშეს მუშებისა და გლეხების აჯანყება, მაგრამ იმავე წლის ნოემბერში ყაზახის მაზრის გლეხობა კვლავ აღსდგა, დაარსა ადგილობრივი რევოლიუციური კომიტეტები, მოითხოვა და კიდეც მიაღწია დაშნაკელთა მთავრობის გადადგომას. აზერბაიჯანში ხელისუფლება საბჭოებმა აიღეს; ბაქო წითელმა არმიამ დაიკავა. ქართველმა მინისტრმა რამიშვილმა (ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი გმირია) ომის მუქარა შეუთვალა გასაბჭოებულ აზერბაიჯანს. დაიწყო კვლავ რევოლიუციონერების დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა.

ჩრდილო-კავკასიაში, დაღესტანში და საბჭოთა აზერბაიჯანში მოდებული იყო კონტრრევოლიუციური ინტრიგები და ბანდიტიზმი. ყოველი ორგანიზაციისა თუ აგენტის ბუდე და მთავარი შტაბი, ამბოხებას რომ სთესდა, ტფილისში იმყოფებოდა მთავრობის აშკარა მფარველობით. ტფილისიდან უღელტეხილით აშკარად იგზავნებოდა იარაღი და სამხედრო მასალა.

ქართველმა მენშევიკებმა იმითაც დაარღვიეს 1920 წლ. მაისის ხელშეკრულება, რომ დაეხმარენ ვრანგელს, საბჭოებს რომ ეომებოდა, ხოლო შემდეგაც, ვრანგელის გაქცევის უკან, მხარს უჭერდენ სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლიუციას.

საქართველოს მთავრობამ დაამშია და უმწვერვალეს სიღატაკემდე მიიყვანა საბჭოთა სომხეთი, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ტერიტორიაზე არ გაუშვა ხორბალი და ნავთი ბაქოდან. ერთხანს თითქოს დასთანხმდა, მაგრამ მცირე რაოდენობით, შემდეგ საზღვრები ისევ ჩაჰკეტა და უბედური სომხეთი უკიდურესობამდე მიიყვანა. საქართველოს მთავრობამ სომხეთში არც ის ფქვილი შეუშვა, რომელიც სომეხთა თანამემამულეებისგან იყო უცხოეთიდან გამოგზავნილი.

საქართველოს ქვეშევრდომ სომხების კომუნისტური ჯარი შევიდა იმ ნეიტრალურ ზონაში, რომელიც სომხეთსა და საქართველოს შორის არსებობდა. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებულმა ამ ჯარმა მხარი დაუჭირა სომხებით დასახლებული ქართული რაიონების აჯანყებას. აჯანყებამ იფეთქა აგრეთვე თათრებით დასახლებულ ქართულ რაიონებში აზერბაიჯანის საზღვრებთან. ამ ხალხურმა აჯანყებამ მოწოდებით მიმართა ერევნისა და ბაქოს საბჭოთა მთავრობებს.

ერევნის კომუნისტმა ჯარისკაცებმა (საბჭოთა სომხეთს არავითარი ხელშეკრულება არ ჰქონია საქართველოსთან) ხმა გასცეს თავიანთ ძმებს და დასახმარებლად გაეშურენ. ამით ისარგებლეს მთებში გახიზნულმა დაშნაკელებმა და ერევანი აიღეს. ამ მომენტში, მიუხედავად იმისა, რომ მუშები ტფილისშიც ამოძრავდენ, რევოლიუცია დიდ საფრთხეს განიცდიდა. საფრანგეთის ფლოტის უფროსმა, ადმირალმა დიუმენილმა თავის მოვალეობად აღიარა კავკასიის საქმეებში ჩარევა. მოსკოვის რადიომ დაიჭირა ის განცხოველებული მოლაპარაკება, რომელიც საფრანგეთის ფლოტსა და ტფილისს შორის, ტფილისსა და ერევანს შუა სწარმოებდა. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ საბჭოთა მთავრობამ მოლაპარაკება გამართა საქართველოს მთავრობასთან, მაგრამ

სატელეგრაფო ხაზი უეცრად იქნა გაწყვეტილი რუსეთსა და ტფილისს შუა. ტფილისმა აღარც რუსეთის რადიოსადგურებს უპასუხა, ასე რომ, ამ განსაკუთრებულს კრიტიკულ ხანაში მოსკოვი უნებლიედ მოსწყდა ბაქოსა და ტფილისს.

ზემოჩამოთვლილი გარემოებანი არა თუ მტრულ მოქმედებას, არამედ ფაქტიურ ომს წარმოადგენს საბჭოების წინააღმდეგ და სრულიად აქარწყლებს ლეგენდას საბჭოთა ეგრედწოდებული აგრესიის შესახებ, თითქოს საბჭოთა რუსეთს უხეში ძალისთვის მიემართნოს საქართველოს წინაალმდეგ. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს საქციელმა და აგრესიულმა მოქმედებამ, კონტრრევოლიუციურ ძალებს რომ ეხმარებოდა და თვითონაც ამ ძალებს ეყრდნობოდა, საქართველომ, რომელიც საფრანგეთის ფლოტზე ამყარებდა თავის იმედს, შეჰქმნა სწორედ ნამდვილი კონფლიქტი, რომლის პასუხისმგებლობაც წითელ არმიას არ ეკისრება. ამიერკავკასიაში იგი, ზემონახსენებ შემთხვევათა გამო, (უცხოეთის მუქარა, ერევნის აღება, საქართველოს მთავრობის კონტრ-რევოლიუციური მოქმედება, ომი თვით აზერბაიჯანის საზღვარზე და იმის იქითაც) ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ კანონიერი თავდაცვისთვის უნდა მიემართნა.

აგრეთვე გარკვევით უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს მუშათა კლასის საშინელმა სიღატაკემ, რომელიც, თვით სოც.-დემ. ხელმძღვანელთა სიტყვით, დღითი-დღე ძლიერდებოდა და უფსკრულისკენ მიაქანებდა მას, რომ გლეხობის გაჭირვებამ და ტანჯვამ, რასაც მთავრობის წარძმადგენლები კიდევ უფრო ამწვავებდენ, აი ყველაფერმა ამან გამოაცალა მენშევიკურ ხელისუფლებას ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის მასები და შთააგონა უმრავლესობას, რომ მთავრობა მისი მტერია.

აი ასეთს პირობებში მოხდა, რომ საქართველოს საბჭოთა უჯრედმა, ბრძოლის ველზე რომ ჩაისახა, დახმარებისთვის მიმართა ბაქოს წითელ არმიას.

მაგრამ ცენტრში მყისვე როდი ვადაუდგამთ მოუფიქრებელი ნაბიჯი. იქ, ინსტიტუტის მაღალფახჯრიან პატარა ოთახში კაცი მონგოლისებური და მოცინარი სახისა ჭოჭმანებდა. ამ ფაქტემბა აიძულეს ლენინი ეთქვა: პროვოკაცია, შეთქმულებანი, კონტრრევოლიუციური ომი, იმპერიალისტური ჩარევა ძლიერდებაო. კავკასიის პროლეტარიატს უღალატეს. მენშევიკებმა ხელშეკრულება არ დაიცვეს. ბაქოს წითელი არმიის უმოქმედობა პირდაპირ შეუძლებელი ხდებოდა.

1920 წლ. ნოემბრიდან საქართველოში მობილიზაცია სწარმოებდა, რათა საბოლოო ომი გამოეცხადებინათ იმ რევოლიუციისთვის, რომლიდანაც თვით წარმოიშვენ. შეიყარა 50.—55.000 კაცი, „ნამდვილად კი,— ამბობს ერთი ისტორიოგრაფი,—148.000 კაცი შემოკრბა საქართველოს დროშის გარშემო“.

1921 წლ. თებერვლის პირველ რიცხვებში აზერბაიჯანის წითელი არმია ნეიტრალურ ზონაში მენშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფებს ეხმარებოდა. 25 თებერვალს კი ტფილისი გარშემორტყმული იყო.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ მენშევიკების მთავრობის ერთ ერთ თვალსაჩინო წევრთან, ლორთქიფანიძესთან ერთად ხელი მოაწერა დროებითი ზავის ხელშეკრულებას, რომლითაც გზა ეხსნებოდა ერთგვარ თანამშრომლობას. მაგრამ ულტრა-ნაციონალისტებმა და იმპერიალისტებმა, რომელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თაც ადმირალი დიუმენილი ამხნევებდა, დროებითი ზავი უარჰყვეს და გაქცევა ირჩიეს იმ იმედით, რომ საფრანგეთის შემწეობით კავკასიას კვლავ დაიპყრობდენ.

მენშევიკებმა, მაშასადამე ქალაქი დასტოვეს, დაანგრიეს ხიდები ბათომამდე და თან წაიღეს ყველაფერი, რისი წაღებაც კი შესძლეს. ლენინმა მოლაპარაკების წინადადება მისცა ჟორდანიას და კიდეც შეეცადა რადიოთი ამის განხორციელებას, მაგრამ ჟორდანიამ არა უპასუხარა. 1921 წლის მარტში საქართველოს მთავრობა ჟორდანიას მეთაურობით საჩქაროდ ევროპაში გაიქცა.

ტფილისის გასაბჭოების მეოთხე დღეს საფრანგეთმა ნოე ჟორდანიას წყალწაღებული მთავრობა კანონიერ მთავრობად იცნო ისე, როგორც ოდესმე კოლჩაკისა და ვრანგელის მთავრობანიც; აქვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ ამ ცნობასა და სხვებსაც ერთი და იგივე საარჩული ჰქონდა. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა დუმერგმა ჩხენკელი ისე მიიღო, როგორც ჟორდანიასეული მთავრობის ელჩი. რა უფლებით ამახინჯებენ კანცელარიის ეს მწერლუკები ისტორიის ფურცლებს?. [1])

ინგლისი კი ცოტა სხვანაირათ მოიქცა, ლოიდ ჯორჯმა კავკასია რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარა, რაც ტფილისის აღების ცოტა ხნის შემდგომ რუსეთთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებაში იყო აღნიშნული. რასაკვირველია, გადაჭარბებული ილიუზიებს არ უნდა მი-

---

[1]) ლარუსის ლექსიკონიც ამასვე სჩადის და საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იხსენიებს, რაც, მეტი რომ არა ვსთქვათ, სიბრიყვეა ენციკლოპედიური ნაშრომის მხრით, რომლის პირველი ღირსება სიმართლე უნდა იყოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეცეთ ინგლისის ზრახვათა შესახებ, რადგან მან მენშევიკების განდევნილი მთავრობა მალე, ასე ვთქვათ, ნახევრად იცნო; ინგლისს, უეჭველია, თვალი არაოდეს მოუშორებია საგარეო პოლიტიკის იმ სატყუარასთვის, რომელიც ამიერ კავკასიაში იმყოფება: აზიის გასაღებისა და ევროპის ნავთისთვის; ინგლისის ამ საქციელმა, რასაც ოსმალეთის ამგვარივე მოქმედება დაერთო, რადგან ამ უკანასკნელმა მოლოდინი გააცრუა და არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა მენშევიკებს, არამედ, პირიქით, სწორეთ ამ მომენტში დასდო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, ყველა ამან საშინელი მარცხი დამართა საფრანგეთს.

მენშევიკებზე ახი იყო ყველაფერი ეს იმ დათმობისა და სისაძაგლისათვის, რაც მათ ოსმალების მიერ ბაქოს აღების დროს გამოიჩინეს: ბაქოს აღებისა და თექვსმეტი ათასი ბავშისა, ქალისა და მოხუცის გაწყვეტის შემდეგ სალამი უძღვნეს ოსმალეთის არმიას.

საჭიროა საკითხი სრული სინათლით გავაშუქოთ და ვთქვათ, რომ კომუნისტურ საქართველოს იმთავითვე როდი ჰქონია კავშირი რუსეთთან. წლისა და ნახევრის შემდეგ საქართველო ფედერატიულად შეეძმო სომხეთსა და აზერბაიჯანს, შემდეგ კი საჭიროდ სცნო რუსეთსა და უკრაინას სპეციალური ხელშეკრულებით დაკავშირებოდა, რომლის ძალითაც მას უფლება აქვს კავშირიდან გასვლისა (საკავშ. კონსტიტ. § 4.).

საქართველოს გასაბჭოების საკითხმა ერთი უმთავრესი ადგილი დაიკავა საბჭოთა წინააღმდეგ გამართულს პროპაგანდაში. მახსოვს ის გავლენა (მაშინ ლონდონში ვიყავი), რაც მან ინგლისის არჩევნებზე მოახდინა, იმ არ-

ჩვენებზე რომლიდანაც ახლანდელი უმრავლესობა წარმოიშვა. ბელგიის დემოკრატიის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამ უკანასკნელ ხანებშიც კი თავიანთ მოთხოვნათა შორის საქართველოს დამოუკიდებლობასაც აღნიშნავდა ხოლმე. საფრანგეთისა და გერმანიის სოც.-დემოკრატიულმა პარტიებმა მრავალნაირად გამოიყენეს საქართველოს საკითხი და საძრახისი მიკერძოებული მლიქვნელობით იკისრეს მისი დაცვა თავიანთ ინტერნაციონალში. კონტრრევოლიუციური ლანძღვა და გინებაც „ბლომად დახარჯეს. ეგრედწოდებული ლიბერალური ინგლისის მხრით კიდევ ბევრი აპილპილებაა მოსალოდნელი საფრანგეთის დიდი რევოლიუციის თავდაცვითი ომების წინააღმდეგ. და ამასთანავე, როგორც უკვე დავინახეთ, გადიდების სენით დაავადებულმა ნაციონალისტმა მენშევიკებმა, უცხოეთის დახმარების იმედით, ინტრიგების ქსელი დაბანდეს და ბოლშევიკები პროვოკაციულად საომრად გამოიწვიეს. მაგრამ ეს ომი, რომელშიც წითელი არმია ჩაება, შეტევითი კი არა, თავდაცვითი ომი იყო.

მე ვინახულე სტალინი მოსკოვში, დიდ ხანს ვესაუბრე მის ვრცელსა და მოუწყობელ კაბინეტში. ეს კაცი, რომელსაც სამხედრო უნიშნო მუნდირი აცვია და მუდამ, მოლიმარი იერი აქვს, უცვლელი კილოთი, ლაპარაკობს, მტკიცედ და ნაზად და თვალს არ აშორებს იმ პაწია ნახატებს, რასაც მისი ფანქარი წინმდებარე ქაღალდზე ხაზავს. მან დაწვრილებით მიამბო ყველაფერი, საიდანაც ეს გამოირკვა: მენშევიკებმა დაარღვიეს ხელშეკრულება, ულალატეს პროლეტარიატს, რევოლიუციას ყოველის მხრიდან იარაღით ემუქრებოდენ. განა შეეძლო მას, რევოლიუციას, თავი არ დაეცვა?

და შემეკითხა: განა ეს ძისი უფლება არ არის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეს მისი მოვალეობაა.

მიუგე მე.

როცა ამ ამბების კვალი წაიშლება, ამჟამად რომ მეტი სიახლოის გამო მრუდედ გვეჩვენება, კეთილგონიერი და სინდისიერი ადამიანები, ვინც კი ამ ამბებს ჩაუკვირდება, გაკვირვებულნი დარჩებიან, რომ ამ საკითხის გამო ქვეყანაზე ორი სხვადასხვანაირი შეხედულება არსებობდა. ისინი სამართლიანად დაადასტურებენ, რომ ამ მმართველებს, რომლებიც იმდენად სოციალისტობდენ, რამდენადაც ხელისუფლების დასაკუთრება სურდათ, და რომელთა ხელშიც იგი (ხელისუფლება) მყისვე ნაციონალისტური სახით წარმოგვიდგა, არავითარი პატივსადები უფლება არ გააჩნდათ, გამომხატველნი იყვენ საკუთარი თავმოყვარეობისა, მხოლოდ არევდარევა მოიტანეს თან და ასეთი სამარცხვინო კომედია ითამაშეს.

ამასთანავე გულითადი ადამიანები, უფლების იმ თვალსაზრისს რომ გადასცდებიან ხოლმე, რაზედაც საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკაა დამყარებული, სიხარულით აღივსებიან, რომ ბოლოსდაბოლოს მენშევიკების პროვოკაციებმა ნაყოფად მთელი ხალხის განთავისუფლება გამოიღო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიები, უკეთუ ამას იმპერიალისტური საქმე მოითხოკს, განზე გადასდებენ ხოლმე უფლებრივ საკითხს. ამას მათ რაღაც **ზეუფლებრივი** პოლიტიკა დაუპირისპირეს. მინდა, მხოლოდ ერთი, მრავალთა შორის ერთი პატარა მაგალითი დავასახელო: შეიარაღებული ინტერვენცია, როცა საფრანგეთმა 1919 წ. ქვეითი ჯარის დივიზია და მთელი ესკადრა გაგზავნა შავ ზღვაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. რა მოსაზრებას ემყარებოდენ მაშინ? „მსო-

ფლიოს უშიშროების თვალსაზრისით, მხოლოდ ის გარემოება, რომ გამანადგურებლებმა ხელთ იგდეს განუსაზღვრელი უფლებანი (რუსეთის მატერიალური საშუალებანი), საკმაო უნდა ყოფილიყო, რათა დასავლეთის სახელმწიფოებს ბოლშევიკები კაცობრიობის მტრებად ეცნოთ, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა არა თუ მხოლოდ მათი უფლება და მოვალეობაა, არამედ კანონიერი თავდაცვითი აქტიც", — ამბობს ბ. ჟან ქსიდიასი, რომელმაც ამ ავანტიურას სქელტანიანი და აღფრთოვანებული წიგნი უძღვნა.

ბ. რენე პინონი თითქოს საბუთიანად ბრძანებს, რომ ეს ინტერვენცია, მართალი რომ ითქვას, უცხო სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა როდი იყო, იგი ერთი ქვეყნისა და იმავე დროს მთელი მსოფლიოს იმ საფრთხისგან განთავისუფლებას შეეხებოდა, რომელიც საზოგადოებრივი და სოციალური წყობილების არსებობას ემუქრებოდაო.

რა თქმა უნდა, ყველამ კარგად იცის, რომ როცა რომელიმე სახელმწიფოს მეორის წინააღმდეგ რაღაც ავი განუზრახავს, იგი ჩვეულებისამებრ გამოიგონებს ხოლმე თვისი საქციელის კეთილშობილურ გამართლებას და ყალბ გასაღებივით ხმარობს მას. იგი წინ წამოაყენებს ხოლმე თავის ღირსებასა თუ მოვალეობას, ცივილიზაციის ინტერესებს, მოქალაქეების დაცვას და შეუდგება თეორიულად იმის მტკიცებას, რომ მისი პირადი მტრები კაცობრიობის მტრები არიან. კოლონიალიზმისა და სუსტი ქვეყნების დამონების ისტორია ამგვარის თეორიითაა გახამებული. მაგრამ თუ ანექსიონისტები სამართლიანობის ენით ლაპარაკობენ, სიმართლის ადამიანებმა რაღა უნდა სთქვან თუ არ იგივე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი რომ გავანებოთ ყველა იმ დიპლომატიურ მოსაზრებას, რასაც ბოლშევიკები პატივით ეპყრობოდენ, საქართველოში წითელი არმიის გაგზავნის შესახებ ჩვენც, ინტერნაციონალისტები, სწორედ იმასვე ვიტყვით, რასაც ჩვენი იმპერიალისტი თანამემამულენი შავ ზღვაში ჯარისა და მეზღვაურების გაგზავნის შესახებ ლაპარაკობდენ. ჩვენ ვამბობთ, რომ საქმე დამონებული ხალხის განთავისუფლებასა და მსოფლიოს სამსახურს შეეხებოდა; ჩვენ ვლაპარაკობთ აგრეთვე გამანადგურებლებისა და კანონიერი თავდაცვის შესახებ.

გაჰკივიან: „რასაც ჩვენ ნამდვილად ვადასტურებთ, იმას სხვები სტყუიანო". ჭეშმარიტება, ცხადია, ერთია მხოლოდ, მაშასადამე, ერთნი სტყუიან, მეორენი კი მართალს ამბობენ. არ არსებობს ისეთი ოფიციალური სასამართლო, არც პატენტიანი ვექილი, რომელმაც ეს გაარკვიოს და სთქვას: ესა და ეს ინტერვენცია დასაგმობია, ისა და ის კი კანონიერიაო. ეს მხოლოდ პატიოსანი ხალხის საქმეა[1]).

---

[1]). გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ფრანგი იმპერიალისტები იმავე ყურით როდი მოისმენდენ ქართველი მენშევიკების საჩივარს,იგი რომ იმავე სიტყვებით რომელიმე ელზასელი ან ინდო-ჩინელი ჟორდანიას მიერ იყოს წარმოდგენილი. და ყოველშემთხვევაში— ამასაც ახლავე დავინახავთ—ამ ჟორდანიას უფრო მეტი უფლება ექნებოდა ჩივილისა, ვიდრე იმ უდღეური მთავრობის თავმჯდომარედ მყოფს, ვინც ისტორიულმა ვითარებამ და ომის ქარიშხალმა ტფილისში წამოასკუპა. „საფრანგეთი არასოდეს დასთანხმდება, რომ ომით შემოერთებულს ტერიტორიაზე რაიმე ნეიტრალური ან ავტონომიური სახელმწიფო დაარსდეს"ო, ზეიმით განაცხადა ბ. პუანკარემ. ხოლო საფრანგეთი, ის საფრანგეთი მაინც, რომელსაც ჰუანკრე წარმოადგენს, ოფიციალურად იღებს და საქმით ეხმარება მასთან შეხნულ მთავრობას, რომელიც ამასვე სცდილობს სხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დრამა როდი გათავებულა. ერთი აქტი კიდევ არის: 1924 წ. აგვისტოს აჯანყება.

კავკასიის გასაბჭოების შემდეგ დაშნაკელები და მუსავატელები ერთბაშად განადგურდენ, ქართველი მენშევიკების პარტიაში კი რღვევა დაიწყო, რაც შემდეგ მეტი სისწრაფით უნდა განვითარებულიყო: მენშევიკთა შორის ზოგი გონს მოეგო, ზოგი კი — უკვრო პატივმოყვარე და ჩათრეული — ბრმად განაგრძობდა რევოლიუციისა წინააღმდეგობას. ერთის მხრით პოლიტიკანი უმრავლესობა, მეორეს მხრით კი სოციალისტურ პრინციპებზე მდგომი თუ დამდგარი უმცირესობა.

ამ უმცირესობის ერთ-ერთი დამახასიათებელი წარმომადგენელია სეით დევდარიანი, რომელიც გასაბჭოების შემდგომ მენშევიკების არალეგალური ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარე იყო. იმ ხანებში მან სკადა ქართველი სოც.-დემოკრატიის ორიენტაციის გამოსწორება. ძეორე კათეგორიაში, პოლიტიკანთა კათეგორიაში, უნდა მოვათავსოთ ჟორდანია, მიუხედავად მისი მომხიბლველი წარსულისა.

ახლა ვიკითხოთ, რა უფლების ძალით გამოეყო ქართველ ხელმძღვანელთა ორგანიზაცია ოქტომბრის შემდეგ რუსეთის რევოლიუციის საერთო ორგანიზაციას, საიდანაც მან თავისი უპირატესობა მიიღო, გამოეყო სწორედ მაშინ, როცა რევოლიუცია ყოველის მხრით ალყაშემორტყმული იყო, და ამ გამოყოფით იმავე დროს პროლეტარულ ძირითად პრინციპებსაც გამოეთიშა. საკითხავია აგრეთვე, რა უფლებითა და რომელი რწმუნების ძალით მიმართა ჟორდანიამ თავისი პარტია იმ უსაშინელესი კომპრომისებისა, უუგუნურესი ავანტიურებისა და სისხლის ღვრელი ტრაგედიებისაკენ, რაც მან მის შემდეგ ჩაიდი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნა. ამისი მანდატი მისთვის არც პარტიას მიუცია და არც ხალხს. ჟორდანიამ, როგორც ვინმე განდევნილმა მეფემ, თავისი ნებით ატარა ამ გზით პარტიაცა და ხალხიც.[1])

1921 წლ. აპრილში მოხდა მენშევიკების კონფერენცია, რომელიაც დაჰგმო შეიარაღებული გამოსვლა და საბჭოთა წინააღმდეგ აჯანყება. მენშევიკებმა განაცხადეს, მზადა ვართ ბოლშევიკებთან ვითანამშრომლოთ კულტურული და ეკონომიური აღორძინების საქმეშიო. მაგრამ პირველ ხანებში ეს დაპირება მხოლოდ რამოდენიმე პირმა შეასრულა და საბჭოთა ხელისუფლებას უკვე აღარ შეეძლო ოფიციალური არსებობა შეენარჩუნებინა ქართველ სოც.-დემოკრატების პარტიისთვის, როგორც წინედ ჰფიქრობდა.

პარიზიდან ჟორდანიას და რამიშვილის მიერ შთაგონებულმა ქართული მენშევიზმის ნაშთმა თავი მოუყარა ანტისაბჭოთა ელემენტებს ყოველი პარტიიდან: ფედერალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებსა და ბანდების მეთაურ აჯანყებულ თავადებს. ამ ომის ორგანო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი იყო. ამ ბრბოს დროშად ჰქონდა ზოგადი მრწამსი: „საქართველოს დამოუკიდებლობა“ (ცოტა ქვევით დავინახავთ ამის ნამდვილ ღირებულებას). მისი დევიზი იყო. (ფაქტია შეურყეველი) ხელისუფლების მოპოვება ყოველგვარის საშუალებით. იყო აგრეთვე 1922 დაარსებული პარიტეტული კომიტეტი, რომელიც შესდგებოდა ნაციონალ-დემოკრატებისა, სოც.-რევოლიუციონერებისა, თავად-აზნაურებისა,

---

[1]) ურიგო არ იქნება აგრეთვე ვიკითხოთ, რა საშუალებით ინახავს იგი თავის შტაბსა და როგორ ეწევა თავის პირად პროპაგანდას, იმ ნაციონალური საგანძურით ხომ არა, საქართველოდან რომ წამოიღო, როგორც კერძო საკუთრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალურ მემამულეებისა, ძველი ოფიცრებისა და მენშევიკებისაგან, რომელთაც ხელმძღვანელობდა მენშევიკი ხომერიკი. ამ კომიტეტის წევრებმა შემდეგ აღიარეს, რომ ფულს უცხოეთიდან იღებდენ. მათს სალაროში საფრანგეთის ქალალდის ფული აღმოაჩინეს.

აი ამ კომიტეტებმა და ჟორდანიამ მოაწყეს ნაციონალისტური აჯანყება 1924 წ.

ინგლისის მუშათა პარტიის — აშკარა ანტიბოლშევიკების დელეგაცია, 1924 წ. რომ რუსეთი მოიარა, თავის ვრცელსა და ქებულ მოხსენებაში აჯანყების შესახებ სწერდა: „1924 წლ. აგვისტოში მენშევიკების რამოდენიმე მომხრემ თავიანთ ბელადების კარნახით, პარიზში რომ განცხრომით სცხოვრობენ, აჯანყება სცადა, მათ ბოლომოუღეს მენშევიკების საქმეს საქართველოში“.

რუსი მენშევიკების ორგანო კი „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“, რომელიც ბერლინში გამოდის, 1924 წლ. 18 სექტემბერს, მოძრაობის დამარცხების შემდეგ სწერდა, რომ ქართველ სოც.-დემოკრატთა პარტია აჯანყების წინააღმდეგი იყო.

ხოლო სეით დევდარიანი, რომელმაც საქმის ვითარება, უკეთ იცის, სწორედ ამის წინააღმდეგსა სწერს: „აჯანყება ქართველ სოც. დემოკრატთა პარტიის მეთაურების, უპირველესად ჟცხოეთში მისი წარმომადგენლების აქტიური თანამშრომლობით იყო მოწყობილი“. და მენშევიკი ბელადი თავის მტკიცებას კონკრეტულ ფაქტებზე ამყარებს. მე ვნახე ქართველ მენშევიკთა პარტიის ერთი თვალსაჩინო წევრი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ამ პარტიაში „სისხლიან აგვისტომდე“; მან მიამბო, როგორ მოაწყო პარიტეტულმა კომიტეტმა, რომლის წევრიც თვით

ყო, ხსენებული აჯანყება იმ იმედით, რომ იგი სახელმწიფოების შეიარაღებულ ინტერვენციას გამოიწვევდა.

გურიის რაიონში, სამეგრელოში, სვანეთში და ხევსურეთში უკვე ხდებოდა ხოლმე ძველი ოფიცრების მიერ მოწყობილი აჯანყებანი (როგორც კი რომელიმე სოფელს ხელში ჩაიგდებდენ, იმ წამსვე თავად-აზნაურებს მიწებს უბრუნებდენ). მაგრამ კონსპირაციისა და აგიტაციის ამ კერებს გარდა, უცხოეთშიც დაიწყო სხვანაირი პროპაგანდა. ხელისუფლებას მოკლებულნი საფრანგეთს მიმართავდენ მორალური და მატერიალური დახმარებისთვის. სწარმოებდა მოლაპარაკება და შეხვედრა, რომელსაც გენერალი ვრანგელიც დაესწრო.

საქართველოს პარიზელმა მთავრობამ ვედრებით მიმართა ბ. ბრიანს და მოქმედების გეგმაც წარუდგინა: „და შედეგად ამისა პატივი გვაქვს ვითხოვოთ დახმარება თქვენი აღმატებულებისგან, რათა საფრანგეთის კაპიტალის შემწეობით თანადართულ პროგრამას ხორცი შეესხასო“,— სწერდენ ეს სოც.-დემოკრატები. ბ. ბრიანმა პასუხი გასცა და აღუთქვა საფრანგეთის ფინანსიურ წრეებში ისეთ ღონისძიებათა ხმარება, რომელიც „საჭირო დახმარებას მოუპოებდა კავკასიის რესპუბლიკების კავშირს“.

1921 წლ. 7 ნოემბერს ერთი დიდი ფაქტი: ბ. ლუშერისა და საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილო-კავკასიის „წარმომადგენელთა“ შეხვედრა. აი, ამ დაუვიწყარი შეხვედრის ოქმის თანახმად, რა სთქვა ბ. ლუშერმა: „გადასაწყვეტია შემდეგი საკითხები: 1. რა დახმარებას მოელიან საფრანგეთისგან კავკასიის ოთხი რესპუბლიკის წარმომადგენლები ფულით, იარაღით და სურსათ-მასალით მათი კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად? 2. რა კომპენსაციების, რა ღირებულების ნივ-

თიერებისა და პირველი საჭიროების საგნების, მინერალებისა თუ საზოგადოდ პროდუქტების მოცემა შეუძლიათ პირველ ხანებში კავკასიის რესპუბლიკებს იმ დახმარების სანაცვლოდ, რის აღმოჩენასაც საფრანგეთი შესძლებს? თქვენ გაქვთ მარგანეცი"...

1923 წლის ივნისში, როცა შეიარაღებული აჯანყება გადასწყდა, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან სამხედრო კომისია მოეწყო. ამ კომისიამ (ერთ-ერთი მისი წევრის სიტყვით) შემდეგი სამუშაო შეასრულა: პროვინციასთან კავშირი გაბა და ადგილობრივი ორგანიზაციები საომარ ფეხზე დააყენა.

ამგვარად, ბ. მილიერანის მიერ 1921 წ. ლეგალიზაციაქმნილი მთავრობა, თავისი საკუთარი ბელადის ნებით, კავკასიის ხალხთა დაუკითხავად, არა თუ საზოგადო აჯანყებას აწყობდა, რათა სისხლისღვრის შემდეგ ხელი დაებანა, არამედ საამისოდ უცხოეთის კაპიტალისტებს აძლევდა კავკასიას და ამას შვრებოდა მხოლოდ „ანიბალის იმ ბავშური ფიცის გულისთვის, თავის მრწამსად რომ გაუხდია: ბოლშევიკების განადგურება"—რადგან ამნაირი საჭირო ვაჭრობის მძიმე შედეგები შეუძლებელია მას გათვალისწინებული არ ჰქონოდა.

ინგლისელი პოლკოვნიკი ს. ბ. სტოქსი, მნიშვნელოვანი პიროვნება, რადგან იგი უმაღლესი კომისარი იყო ამიერკავკასიაში, სწერდა, რომ 1924 წლის აჯანყების სიგნალი უცხოეთიდან იყო მიცემული და თან დასძენდა: ვინც ეს სიგნალი მისცა, მისი საშინელი პასუხისმგებლობაც იმან იკისრაო.

თვით საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეც ანდრონიკაშვილი 1923 წლ. ივლისში სწერდა, რომ აჯანყების საქმე იმთავითვე წაგებული იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ქართველ ხალხს „არც მისი სურვილი ჰქონდა, არც უნარი“ და მისი მოხდენა მხოლოდ უცხოეთის დახმარებით შეიძლებოდაო. მენშევიკი პრეობრაჟენსკი 1923 წ. ამბობდა: „როცა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის საკითხი აღიძვრება, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ერთად ერთი საშუალება ინტერვენციაა არა მხოლოდ იმათის მხრით, ვისაც წრფელად სურს დაგვეხმაროს, არამედ ვეშაპების მხრითაც, როგორიცაა დეგუტი და პუანკრეან სხვა მეგობრები რუსეთისა, რომელთაც ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეზე უჭირავთ თვალი“.

იმ შიფრიან წერილებში, რომლებიც ნოე ხომერიკს უპოვნეს, ნათლად სჩანს, როგორის გულმოდგინებით აწყობდენ ამბოხებას; იქიდანვე ირკვევა ინტერვენციაში პოლონეთის მონაწილეობაც, ხოლო გოგიტა ფალავა თან ალმოჩენილ წერილებში კი საფრანგეთისა. დღეს უკვე აშკარა ფაქტები ადასტურებენ, რომ მენშევიკებს მჭიდრო საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდათ პოლონეთის მთავარ შტაბთან. ამ ფაქტთაგან ზოგიერთი, რომლის საბუთებიც ჩემის თვალით ვნახე, საქართველოში კონტრრევოლიუციურ პროპაგანდასთანაა დაკავშირებული, არის იმისი საბუთებიც, რომ სოციალისტებს კავშირი ჰქონდათ კოლჩაკის აგენტსა და პოლონეთის ჯაშუშთან, კონტრრევოლიუციონერ სავინკოვთან, აგრეთვე რუსეთისა და კარელიის თეთრგვარდიელთა მოძრაობასთან.[1])

---

[1]). უკანასკნელად, არკოსზე თავდასხმისა და ინგლის-საბჭოთა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ქართველ სეპარატისტ-მენშევიკებმა ინგლისთან კავშირის შეკვრა განიზრახეს შეიარაღებული ინტერვენციის მიზნით, როგორც ამას ფორვერცში დაბეჭდილი კ. კაუცკის წერილი ადასტურებს. ინგლისთან კავშირი კ. კაუცკის საუკეთო რამედ მიაჩნია, მაგრამ იგი არ ურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას შემდეგ, განა დევდარიანი მართალი არ არის, როცა თითქოს სინიდისის მხილებით სწერს: „საბოლოოდ განმტკიცდა გაუმართლებელი კავშირი ქართველი სოც.-დემოკრატიისა აშკარა რეაქციის სხვა და სხვა ძალებთან... ჟორდანიას მოღვაწეობა პოლიტიკურად ევროპის ფაშიზმის მონათესავეა, ეკონომიურად კი საქართველოს იგი უცხოეთის კაპიტალის მონობაში აყენებს“.

შემდეგ დასძენს: „თუმცა იგი აგვისტოს ამბების დამნაშავეა, მაგრამ ამის პასუხისმგებლობას მაინც ვერ ბედავს, პოლიტიკურ ბელადს შეიძლება ბევრი შეცდომა ეპატიოს, მაგრამ პოლიტიკური ღალატი კი არაოდეს. სხვანაირად აბა რა უნდა ვუწოდოთ ამას, როცა იგი აჯანყების დამარცხების შემდეგ უარჰყოფს მასში მონაწილეობას“.

აჯანყება 1924 წლ. აგვისტოში მოხდა. თავისთავად იგი ბევრს არაფერს წარმოადგენდა. მის მოსახდენად ისარგებლეს ამნისტიითა და ნაწილობრივი დემობილიზაციით. მოძრაობა რამდენიმე შეტაკებით გამოიხატა ორი თუ სამი დღის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს გლეხურ რაონებში, რომლებიც დაშორებულია ცენტრებსა და სადაც მილიციის რიცხვი ძლიერ მცირეა. ქალაქებში სრულიად არაფერი მომხდარა. პირიქით, დიდ ცენტრებში მუშები ენერგიულად გამოვიდენ

ჩევს ბოლდუინის მთავრობასთან მის დადებას, რადგან ეს უკანასკნელი უმტკიცა და ასეთ პირობებში კავშირის შეკვრა უგუნურება იქნებოდაო. მე-II ინტერნაციონალის ამ ლიდერს, პარტიული ზიზღით, დასაშვებად მიაჩნია განდევნილი მთავრობისა, რომლის სოციალისტურ მთავრობად წოდებას ვერავინ გაბედავს, და ინგლისის-იმპერიალიზმის კოალიცია არსებული რევოლიუციური სახელმწიფოს დასამხობად. მის საბელს ეს წარუხოცელ ლაქად დააჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავანტიურიის მოსასპობად. აჭარისტანში, მაგ., 1500 უპარტიომ წინადადება შეიტანა აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგვიშვითო.

საბჭოთა კავშირის მტრებმა დიდი აურზაური ასტეხეს პრესაში ამ აჯანყების ჩაქრობის გარშემო. ეს ალიაქოთი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე წითელი არმიის მიერ ტფილისის აღების დროს.

ეს აჯანყება მეტად გაჰბერეს საზოგადოების თვალში, გაამსხვილეს აგრეთვე მის მიერ გამოწვეული რეპრესიებიც. არსებული რეჟიმის დიდმა პრესამ (მისი ცრუ ამბები რომ შეგროვდეს, უზარმაზარი ენციკლოპედია შესდგებოდა) ნაყოფიერად გამოიყენა თავისი ხელობა. საბჭოების გაშავების გაუმჯობესებული სისტემა ხშირად დაცარულა. ამჯერად კი მიზანს მიაღწია. საპროპაგანდო თვალთ-მაქცობის მიზნით ნამდვილი ფაქტები გაამრავლეს და გააჭარბეს. 4000 მსხვერპლიო, ამტკიცებდა ერთი; 7000 დაღუპულიო, ადასტურებდა მეორე; არტილერიით განადგურებული სოფლებიო, მასიური დაპატიმრებანიო, უთვალავი დახვრეტილიო, წამება და უმწვერვალესი მხეცობა, რომელიც ფაშისტური მთავრობისა და პოლიციის ველურ მოქმედებას თუ შეედრებაო...

სერიოზული და ბეჯითი კვლევით მთელი ეს ბურუსი თვალის დახამხამებაში ჰქრება. მსხვერპლი, რა თქმა უნდა იყო, რადგან სამოქალაქო ომი სწარმოებდა. იყო დაპატიმრებაცა და ხვრეტაც, მაგრამ ისეთის პროპორციით, რასაც არავითარი მზგავსება არ აქვს რეაქციონური პროპაგანდის მელოდრამატიულ ნუსხებთან.

მაგ., რაც შეეხება არტილერიით განადგურებულ სოფლებს, რომელთა სახელებსაც იქვე იხსენიებდენ, მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვახერხე მათი ნახვა და საკუთარის თვალით დავრწმუნდი, რომ იქ არტილერია არაოდეს უხმარიათ.

ამტკიცებდენ, რომ აჯანყების შემდეგ მთელი ქვეყანა საალყო წესების საშინელ მდგომარეობაში იყო, თითოეული მოქალაქის სიცოცხლე საფრთხეში იყო, დაპატიმრებისა და სიკვდილის შიშით ქუჩაში ვერავინ გავიდოდაო. მე ველაპარაკე ბევრს ისეთ პირს, ვინკ აჯანყების ჩაქრობისთანავე საქართველოში ყოფილა, და ყველამ კათეგორიულად უარჰყო ეს პოლიციური რომანი: იმ დროს სრულიად უშიშრად და თავისუფლად შეიძლებოდა მგზავრობა საქართველოს ყოველ კუთხეში. ინგლისის მუშათა პარტიის დელეგაციის მოხსენებაც ამასვე ადასტურებს, 1924 წ. რომ არის დაწერილი.

იხსენიებდენ თვალსაჩინო რევოლიუციონერ-მსხვერპლებს, სხვათა შორის თავად ჭავჭავაძეს, მწერალსა და კულტურულ პიროვნებას, რომელიც ერთ დროს ლიბერალი პოეტი იყო; მის მოკვლას ბოლშევიკებს აბრალიდენ. მე საგანგებოდ ვიკვლიე ეს ამბავი, რომელიც 1907 წ. მოხდა. თავადი ჭავჭავაძე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ დემოკრატიულ იდეებსაც კი ჰქადაგებდა, დიდი მემამულე იყო, ამასთანავე მეტად სასტიკიც თავიანთი ყმებისა და ხელქვეითებისათვის და რევოლიუციის დროს საკუთარი გლეხების მიერ იქნა მოკლული და არა პოლიტიკური აგენტებისა თუ მათ მიერ მოსყიდულების მიერ. ბევრ სხვა შემთხვევებშიც, როცა საკითხს საგანგებოდ ვიკვლევდი ხოლმე, ყოველთვის ნათლად ირკვეოდა, რომ სინამდვილე დამახინჯებული იყო და უკეთუ დახვრეტასა და მკვლელობას ადგილი ჰქონდა, ეს იყო პირწმინდა ბანდიტიზმისა და სისხლის დანაშაულის ჩამდენთათვის.

წამებაო. მე ვინახულე ერთობ ბევრი ტუსაღი აგიტაციისა და ნაციონალისტური შეთქმულებისათვის დაპატიმრებული თუ მისჯილი. ბევრი მენშევიკი იყო. ზოგი მათგანი ბოლშევიზმს მიმხრობია (ამათზე კიდევ ვილაპარაკებ), ზოგი კი არა: ესენი აშკარად აღიარებდენ თავიანთ პატრიოტულ ფანატიზმსა და საბჭოებისადმი ზიზღს. ჰო და, აი ამათ შორისაც კი, რომელთაც იარაღი არ დაუყრიათ და რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების სასტიკად გმობას არ ერიდებიან, მე არაოდეს გამიგონია ჩივილი ცუდი მოპყრობისა, წამებისა თუ გაჭირვების შესახებ. რეჟიმის ეს თავზეხელაღებული მტრები, რომლებიც მოსკოვსა თუ ტფილისში ვნახე და რომლებიც თავიანთ საყვედურში არავითარ „გონივრულობას“ არ იჩენდენ, ერთხმად აღიარებდენ, გვარიანად გვეპყრობიანო; არც იმ სპეციალური დაწესებულების შესახებ გაუგონიათ რამე, რომლის მსხვერპლიც ვინმე მათი ამხანაგთაგანი გამხდარიყოს. პოლიტიკურ სატუსაღოთა რეჟიმი იქ დაახლოებით ისეთივეა, როგორიც პარიზში, ესაა მხოლოდ, რომ ტფილისის ძველი ციხის კედლებში უფრო მეტი თავისუფლებაა, ვიდრე **სანტეს** სატუსაღოში: ყოველთვის, როცა იქ მივსულვარ, საპატიმროს ეზოში გარს შემომრტყმია პატიმართა ჯგუფი და მრავალი კითხვა მოუცია ჩემთვის, ბევრსაც კიდევ დაწვრილებით უამბნია თვისი პატიმრობის შემთხვევა. ერთხელ ნამდვილი მანიფესტაციაც კი გამართეს კეთილგანწყობილ მცველთა წინაშე.

თუმცა ნურც იმას ვიტყვით, რომ რეპრესიებსა და პატიმართა მოპყრობაში გადაჭარბება არაოდეს ყოფილიყოს. მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ეს ყოფილა განსაკუთრებული შემთხვევა, ხელქვეითების მიერ ჩადენილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ხელისუფლებას პირველს დაუგმია და დამნაშავენიც სასტიკად დაუსჯია, ამიტომ უფლებაც არავის აქვს განაცხადოს, ასეთია ჩვეულებრივი სისტემა და მეთოდი ხელისუფლების მიერ ნაბრძანებიო.

რაც შეეხება პოლიტიკურთა დახვრეტას, მათი რიცხვი ოდნავაც არ უახლოვდება ანტი-საბჭოთა ლეგენდის მიერ ჩამოთვლილ ათასებს; სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როცა იგი მხოლოდ სხვაგვარი აზროვნებისათვის მიესაჯოსთ, არამედ ყოველთვის გარკვეული აქტისთვის.

ერთი ვაი-უშველებელი ასტყდა იმ მძევლების დახვრეტისთვის, რომლებიც აჯანყებამდე იყვენ დაპატიმრებული: ჯუღელი, ჩხიკვიშვილი და ხომერიკი. მაგრამ სიტყვა „მძევალმა“ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ყველა ესენი მკვლელები და ჯალათები იყვენ, რომელთაც კისერზე მრავალი დანაშაული ჰკიდიათ. მათ მოაწყეს ტეროორისტული ორგანიზაცია, რომლის მსხვერპლიც მრავალი მუშა შეიქნა (მაგ., გიორგაძე); მათ მოაწყეს შეთქმულება უცხოეთის დახმარებითა და თავადებისა, მღდლებისა და მეფის ოფიცრების (აგრეთვე მენშევიკების) სასარგებლოდ; მათ შეიმუშავეს აგვისტოს აჯანყების გეგმა. რაღა უნდა ვთქვათ მათი წინანდელი როლის შესახებ? ჯუღელი ის საფრხობელაა, რომელმაც ბორჩალოში მრავალ სოფელს ამოჰხადა სული. გარდა ამისა, მან ცეცხლსა და მახვილს მისცა ცხინვალი და მთელი ოსეთი, მან სოციალისტ მმართველთა სამსახურით სრულიად გაანადგურა აფხაზეთი, რომლის დანაშაულიც ავტონომიის სურვილი იყო.

ტყუილია იმისი მტკიცება, თითქოს ბოლშევიკებმა უსაბუთოდ გააუქმეს ამნისტიის დეკრეტი. ისინი იძულე-

ბულნი იყვენ ასე მოქცეულიყვენ იმიტომ, რომ შეთქმულ-
ლობათა და ბოროტგანზრახვათა ქსელი კვლავ აიბურდა
მათს გარშემო. უკვე ნახსენებ რეიმონდ დიუგეს წიგნში,
მაგალითათ, ლაპარაკია თავად ამირაჯიბის შესახებ, რო-
მელიც „მყის შეუდგა განუწყვეტელს ფარულ ბრძოლას".
„სვანეთის გაუტეხლობამ,—ამბობს იგივე ავტორი,—
ყველგან აღაფრთოვანა ქართველთა ენერგია ისე, რომ
ბოლშევიკების მთავრობამ ხელი მიჰყო მასიურ დაპატიმ-
რებას. განა ბრძოლის ასე აშკარა განახლების წინაშე,
რასაც ნაციონალისტების ვექილიც აღიარებს, ბოლშე-
ვიკურ მთავრობას შეეძლო თვალი დაეხუჭა? თავადი ჩო-
ლოყაშვილი პარტიზანულ ომსა და სისხლისმღვრელ თავ-
დასხმებს აწარმოებს მთებში; მის მაგალითს ბევრი ჰბა-
ძავს ანტი-საბჭოთა კონსპირაკია ფართოდაა მოწყობი-
ლი, რისი სულ სჩამდგმელიც ტფილისში საქართველოს
განთავისუფლების კომიტეტია. არის აგრეთვე მთელი
კავკასიისთვის მომუშავე კომიტეტი და მისი მზგავსი
ორგანიზაციები თურქესტანსა და უკრაინაში (იქ მოქ-
მედებს ლევიცკი, ვისაც ჟორდანია პეტლიურას მოადგი-
ლეს ეძახის) [1]).

---

[1]) საბჭოთა კავშირში იმ ოცი თეთრგვარდიელი ტუსაღის
დახვრეტა, რომლებიც ვოიკოვის მოკვლისა, ლენინგრადის ყუმბარი-
სა და მთავრობის წევრთა დასახოცავ დ მოწყობილი შეთქმულების
აღმოჩენის შემდეგ დასაჯეს, ისეთს პირობებში ვერ მოხდა, როგო-
რიც ანტი-საბჭოთა პრესი თვისაა სასუფველი. ვინმე ბ. დუილემ,
რომელიც მ ფის რუსეთში ბელგიის მოხელე იყო, შემდეგ კი ნანსენ
ს მისიის ერთ-ერთი მეთაური საბჭოთა კავშირში, საჯაშუშოდ
ისარგებლა იმ უპირატესობით, რასაც მას ეს მისია და ნანსენის მო-
რალური ავტორიტეტ აძლევდა, შეძვრა კულუარებში და კარეებს
დააყურა ყოველ შემთხვევაში თვითონ მოგვითხრობს ამას თავის
წიგნში—აი ეს ვაუბატონი ამტკიცებს, რომ „ოცი უდანაშაულო და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბოხების ეს მუდმივი ელემენტები აიძულებენ მთავრობას მეტად ფხიზლობდეს და გულმოდგინედ ადევნოს თვალი უცხოეთიდან შემოპარული მტრების საზიანო მოქმედებას, მაგრამ იმისი თქმა, 1921 წლიდან საქართველო საშინელი ტერორის რეჟიმშია, რომ არაკომუნისტებს სდევნიან, იჭერენ და ქუჩაში ჰხოცავენ, რომ მუშები მუქარითა და ძალადობით არიან იძულებულნი ბოლშევიკობა მიიღონ, ამისი თქმა სიმართლის საძაგელი დამახინჯება იქნება. სწორედ ამას ამტკიცებენ საჯაროდ მენშევიკები. ნაციათა ლიგისადმი ერთს მიმართვაში, რომელიც 1922 წლ. არის დათარიღებული, ისინი „გაუგონელი დიქტატურის“ შესახებ ლაპარაკობენ. 1927 წლ. 20 მაისის ქართველ მენშევიკების მანიფესტში ნათქვამია, რომ „რუსეთი კანონს გარეშე აცხადებს ყველა არაკომუნისტ მოქალაქეს, იჭერს და გაუსამართლებლად ჰვრეტს“. აი უსირცხვილო ტყუილი, რასაც ყველა დარწმუნდება, ვინც კი ადგილობრივად თვალს გააცელს და სინამდვილის დანახვას მოისურვებს. მხოლოდ სიშორე და იქ მისვლის სიძნელეა იმის მიზეზი, რომ ამ

ხვრიტეს“. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს თუ რა ფასი აქვს არა მ-რტო ბ. დუილეს მიერ აკინძულ საბუთებს, არამედ ყველა მის მზგავს დოკუმენტს, ეგრე წოდებულ დიდ პრესას რომ ჰკვებავს. ოცი დახვრეტილი პატიმარი,—კანონიერად დასჯილი—დოლგორუკოვი, ელვენგრენი, მალევსკი და ჩვიდმეტი სხვა დაუცხრომელი აგენტები და ცნობილი ტეროროისტები იყვენ, რო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარ ცილისწამებას კიდევ აქვს ოდნავი გასავალი, ხოლო მათ, ვინც ასეთ ცილისწამებას ავრცელებს, კარგად ესმისთ, ბრძოლა ნათქვამი: ცილისწამებისგან ყოველთვის დარჩება მცირეოდენი კვალიო.

რამიშვილის წერილებში აბესალომისადმი, რომლებიც საზღვარზე დაპატიმრებული ერთი აგენტის ქაღალდებში იპოვნეს, საქართველოს ყოფილი მინისტრი სჩივის, რომ საჭირო კავშირი და ცნობების მიწოდება არ არსებობს პარიზელ ხელმძღანელებსა და საქართველოს შორისო და მოითხოვს სათანადო ცნობებს, სახელდობრ, „ჩეკაში გამეფებული ტანჯვის შესახებ". ამას ლაპარაკობს არა როგორც საამისო საბუთების მქონე, არამედ როგორც ასეთი საბუთების მიღების მოსურნე. გარდა ამისა, ისეთ კითხვებს იძლევა, რომელთა სიმრავლე და შინაარსი ნათლად გვიჩვენებს, რომ მას ბევრი არაფერი გაეგება საქართველოს ახლანდელ ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობაში. ზოგიერთი კითხვა პირდაპირ საარაკოდ გულუბრყვილოა: „ართმევენ თუ არა გლეხებს შინაურ საქონელს, სამეურნეო იარაღებს?". „ვინ არიან ეს კომსომოლები", „სდევნიან თუ არა მღვდლებს? თუ სდევნიან, მოგვაწოდეთ მათი გვარები" და სხვ...

ნამდვილად კი პროლეტარული სახელმწიფოს გამგებლობის მეთოდები სულ სხვანაირია.

ტფილისის პოლიტსამმართველოს ანუ ჩეკას სადგომში ერთი მაღალი, პირბადრი და ლურჯთვალა, ბლუზითა და კავკასიური წაღებით გამოწყობილი კაცი მეუბნებოდა, რომ ის მეთოდები, რასაც ასე საფუძვლიანად ვხმარობთ მენშევიკური პარტიის გასანადგურებლად, ლენინისტური მეთოდებია, რომლებიც მე-III ინტერნაციონალის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს მე-II-ინ

ტერნაციონალის წინააღმდეგ მიმართულს ბრძოლაში. საქმე ის არის, ბელადების წინააღმდეგ ბრძოლით მასებს თვალი აუხილონ, რადგან ეს უკანასკნელნი მოტყუებულნი იყვენ თავიანთ მეთაურების მიერ. მათ სინამდვილეს უჩვენებენ.

— „უკეთუ ჩვენ თვალს არ ვაშორებთ კულაკებს, ვაჭრებს, ინტელიგენტებსა და ძველ ოფიცრებს თუ თავად აზნაურებს, ესე იგი, იმ წრეებს, საიდანაც სახელმწიფოს მტრები გამოდიან, და თუ მათ მოქმედების საშუალებას ვუსპობთ, არაოდეს გაუსამართლებლად არ ვხვრეტავთ, არც კანონიერი დადგენილების გარეშე ვაპატიმრებთ. ბრალდებულს ყოველნაირი გარანტია ეძლევა, ყოველგვარი კანონიერი ფორმა დაცულია“.

იგი დაწვრილებით მიხსნის მთელ პროკედურას და დასძენს:

— სამი ათასი დახვრეტილია! სასაცილო ნათქვამია. თუ გამოვაკლებთ ბანდიტებს (როგორც მაგ., იმათ, რომლებიც 1924 წ. მატაოებელს დაესხენ თავს) და იმათაც, ვინც ბრძოლაში იარაღიანი პირდაპირ იქნა ძოკლული, მაშინ რამდენიმე პირი-ღა დარჩება.

„არც არავითარი წამება არაოდეს, ასეთი რამ პირდაპირ წინააღმდეგი იქნებოდა ჩვენი სოციალისტური სინიდისისა, მით უმეტეს, ჩვენი პროპაგანდის მეთოდებისა. სხვა არა იყოს რა, ეს ჩვენი უგუნურების ნიშანიც იქნებოდა. ჩვენ გვინდა ხალხი მივიმხროთ. პოლიტსამმართველო ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ, როგორ სკოლა ხელახლად აღმზრდელი. [1]) თუ ჩვენ მტრულად გონწყო-

[1]) ამ გამასწორებელ მეთოდს ფართოდ იყენებენ ყველგან საბჭოთა საუსაღლოებში სისხლის დამნაშავეთა მიმართ, განსაკუთრებით მცირეწლოვან დამნაშავეთა მიმართ, რომელნიც ერთობ სათნო და თავისუფალი რეჟიმით სარგებლობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი და გაუსწორებელი ბურჟუაზიული ელემენტების მიმართ მტკიცენი ვართ, სამაგიეროდ რაც შეიძლება ნაკლებ ვაწუხებთ ჩვენს მოწინააღმდეგე მუშებსა და გლეხებს, მით უმეტეს ღარიბებსა და ღატაკებს. უკეოუ ამათი დაჭერა აუცილებლად საჭიროა, ერთი თუ ორი თვის შემდეგ ისევ ვათავისუფლებთ. ტუსაღობის განმავლობაში ჩვენ ვცდილობთ ნამდვილი მდგომარეობა დავანახოთ ტუსაღს, ავუხსნათ მას საქმის ვითარება. ამითი ბევრის გულს ვიგებთ. [1] მენშევიკ მუშათა დიდი უმრავლესობა ნებაყოფლობით შეუერთდა უკვე ჩვენს რიგებს. ათი ათასობით დატოვეს მათ სოც. დემოკრატიული პარტია, რათა საბჭოთა ლოიალური მოქალაქენი გამხდარიყვენ (ქართველი მენშევიკთა პარტიას 25.000 მუშა დააკლდა). ვის შეუძლია სერიოზულად იმისი თქმა, რომ ასეთი შედეგი ტერორსა და წამებას მოჰყვა. საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, რომელიც ერთობ შერჩეულია და რომელიც ადვილად შეიძლებოდა უფრო მრავალრიცხო-

---

[1]) აღსანიშნავია ეს დამახასიათებელი ფაქტი: პოლიტსამმართველოს დიდი პოპულიარობა საბჭოთა რესპ. კავშირის ხალხთა შორის წითელ მოედანზე, დემონსტრაციების დროს, პოლიტსამმართველოს ჯარს ისე ესა მებიან, როგორც მეხლვაურებსა თუ ბუდიონის ცხენოსნებს საბჭოთა მუშა თავის დამცველ ძმებს ჰგრძნობს ყველა ამ ჯარისკაცში, რომელსაც თვალი მტაციბელ უცხოელსა თუ მოღალატეზე უჭირავს, და რომელიც შრომის წითელ დროშას მიჰყვება იმავე მიმართულებით, როგორისაც უმრავლესობა. 1927 წლ. 7 ნოემბერს. მე X წლის დღესასწაულზე, ნათლად სჩანდა, რომ ის ჯარი, რომელიც მანიფესტაციას უძღოდა, განა ავისუფლებული პროლეტარიატის ორგანიზული ავანგარდი იყო მხოლოდ, განუყრელი იმ მილიონ მუშაცა, ქალსა და ახალგაზრდ ბასთან, დილიდან საღამომდე რომ მასთან ერთად ეფინებოდა ქუჩებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანი ყოფილიყო, 29.000 წევრია, რომელთაგან 65% ქართველები შეადგენენ, 12% სომხები და 8%—რუსები. ახალგ. კომუნისტურ კავშირს 70.000 წევრი ჰყავს. ამათ შორის 62% ქართველია. პიონერების რიცხვი 75.000 აღწევს.

„ამ ჟამად თუ კიდევ ვიბრძვით, ამას გვაიძულებს უცხოეთში გახიზნულ თეთრგვარდიელთა განუწყვეტელი კონსპირაცია, რომლებიც უცხო სახელმწიფოებს ეყრდნობიან და ამიტომ ფულიც ბევრი აქვთ. ინგლისი პირდაპირ როდი მოქმედებს (თუმცა უკანასკნელ ხანს ჩვენ აღმოვაჩინეთ მთელი ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად ჰქონდა ნავთის მრეწველობის საბოტაჟი და ჭაბურღილების გადაწვა, ამ ორგანიზაციაში ორი ინგლისელიც ერია), მტრულად განწყობილი სახელმწიფოები: ინგლისი, საფრანგეთი და პოლონეთი ქართველების მეშვეობით მოქმედებენ.

„დიდიხანი არ არის მას შემდეგ, რაც ერთი შეთქმულება აღმოვაჩინეთ, რომელსაც კალინინის მოკვლა ჰქონდა განზრახული, როცა ეს უკანასკნელი ბაქოს მივიდოდა. ამხანაგი თავმჯდომარე გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ დანიშნულ მომენტში მას ერთობ ბევრი ხალხი ეხვია გარს და განზრახულის ასრულება ფიზიკურად შეუძლებელი იყო.

„ჩვენს საზღვრებზე მუდამ ვიჭერთ სხვადასხვა ჯურის აგენტებს, რომლებიც რესპუბლიკის ამა თუ იმ ორგანიზმის სავნოდ მოდიან, თან მოაქვთ იმ დიდი სახელმწიფოების ქაღალდები და ფული, რომლებსაც ჭირივით ვეზიზღებით და რომელნიც ჩვენს დამხობას ლამობენ. ხელში ჩაგვივარდა ჟორდანიას და რამიშვილის გამოგზავნილი ორი აგენტი სწორედ იმ დროს, როცა იგინი

ოსმალეთის საზღვარს გადმოდიოდენ. მათ თან მოჰქონ-
დათ ხსენებული ხელმძღვანელების ნამდვილი წერილები.
ეს წერილები ჩვენ გამოვაქვეყნეთ,—და უნდა მოგახსე-
ნოთ, მშვენიერი პროპაგანდაც გამოვიდა!

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის
ფაქტი, რომ სპარსეთი, რომელიც საბჭოთა ამიერკავკა-
სიას საზღვრავს, და სახელდობრ კი, თეირანი, სადაც
ბევრი თეთრგვარდიელია შეხიზნული, ინგლისის ანტი-
ბოლშევიკური აგიტაციის უქრობელ კერას წარმოად-
გენს".

ბევრი სხვა ფაქტიც ჩამომითვალა და სათანადო
ორიგინალური თუ ფოტოგრაფიული დოკუმენტი გად-
მომცა.

მაგრამ, გავანებოთ თავი ამ კერძო ფაქტების ჩა-
მოთვლას. ამგვარი აღნუსხვით, არც თუ გვარებისა და
სახელების სიათა შედარებით, როდი გამოირკვევა ჭეშმა-
რიტების ის დიდი საკითხი, ჩვენს წინაშე რომაა აღმარ-
თული. ეს პროცედურა საწინააღმდეგო წვრილმანებში
ხლართავს მას, რადგან თითოეულს მოეპოვება მსხვერპლ-
თა სია. ითვლიან (როგორც ლუიზ მიშელი იტყოდა:
„რეაქციის მხრით ითვლიან, ხოლო ხალხის მხრით კი
მხოლოდ ახლა იწყებენ თვლას") და ფუსფუსის მეტი კი
არაფერია ორივე მიმართულებით; არაფერია, გარდა
დაბრმავებული გიჟებისა, რომლებიც უცილობლობენ.
რადგან ერთი კერძო შემთხვევა ყოველთვის მნიშვნელო-
ვანია. ერთი მკვდარი ხომ მაინც იქნებოდა, მკვდარი კი
მუდამ სამძიმო რამეა, და როგორიც უნდა იყოს მსხვერპლ-
თა რიცხვი, იგი ყოველთვის ჭარბია.

„ყოველთვის ჭარბია!" სწორედ ამასვე მეუბნებოდა
თავისი მტკიცე ხმით ის კაცი, ვინც განსახიერებაა გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერებისა და სიმშვიდისა, ინტელიგენტური დაბალხარ-
სახის კულტუროსანი ადამიანი, როცა პირისპირ ვისხე-
დით მაგიდის იქით-აქეთ მხარესა და ჩვენს წინ ჩაის
ჭიქებისა და საჩაეს გარდა არ იყო რა. ეს მოსკოვში
მოხდა და ის კაციც მენჟინსკი იყო, ძერჟინსკის მოად-
გილე, პოლიტსამმართველოს თავმჯდომარე და სახალხო
კომისრის ხარისხის მქონე.

ჩემი მოსაუბრე, რომელსაც ზოგიერთები გაუმაძღარ
კაციჭამიად სახავენ, მეუბნებოდა, ისე როგორც კავკასიის
ჩეკის თავმჯდომარეც, რამდენად უაზრო და უტიფარია
ის ბრალდება, რასაც საბჭოთა ხელისუფლებას ახკევენ
თავს, თითქოს იგი ულმობელად მოქმედებდეს და წამე-
ბას მიმართავდეს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა
მიმართ, რომელთაგანაც ზოგი იმავე საერთო იდეების
მატარებელია, როგორისაც თვით ხელისუფლების მქონე
სოციალისტები.

ყველა ეს ხელმძღვანელი, ვისაც მე ამდენი სიტყვა
და ნააზრევი გავუზიარე, სრულიად არ არის სასტიკი. ისი-
ნი იმდენადვე კულტუროსანი, მგრძნობიარე და ლმო-
ბიერნი არიან, რამდენადაც დასავლეთის ულმობიერესნი
ლმობიერთა შორის. მათი მისწრაფება სიკვდილით დას-
ჯის გაუქმებაა. ისინი ამბობენ: არავითარი საბუთი არ
გვექნება კავშირის **შინა** რეჟიმში მის დასაცავად, რაკი
ერთხელვე მყუდროება და წესი დამყარდებაო. მაგრამ
ისინი აუცილებლობით არიან იძულებულნი ხელი არ
შეუშვან მას **საგარეო** და საერთაშორისო მიზეზთა გამო:
დაჟინებული, გააფთრებული და სუბსიდიებით კვებული
ინტრიგები, განუწყვეტლად ორომ გარს ეხვევიან, მყისვე
წაახრჩობდენ მ-თ, ერთის წუთით რომ სიფხიზლე მიე-
ძინებინათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთხელ ერთმა მეტად ცნობილმა ამხანაგმა გამანდო ციფრი იმ ტუსაღებისა, რომლებიც დასჯილ იქნენ სიკვდილით მთელს საბჭოთა კავშირში პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციის მიერ, რომელმაც მოქმედება დაიწყო 1918 წ. ლენინის მოკვლის განზრახვისა და შეწყალების ზოგიერთ ღონისძიებათა შემდეგ (მაგალითად, ლენერლები კრასნოვი და მამონტოვი, რომლებიც ტყვედ წაიყვანეს და კეთილშობილურად გაანთავისუფლეს, მიუხედავათ მათ მიერ მიცემული აღთქმისა, იარაღით გამოვიდენ საბჭოთა წინააღმდეგ).

ეს ციფრი ჩემთვის უნდა შევინახო, რადგან იგი საიდუმლოების სიმტკიცით გამანდეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი გაცილებით იმაზე ნაკლებია, რასაც ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკივიან, და მისი გამოქვეყნება რომ შემეძლოს, მყისვე გაქარწყლდებოდა ოფიციალური ცილისწამების უტიფარი ყაყანი.

მაგრამ საამისო ნებაოთვა არა მაქვს, რადგან, მართლაც, როგორც მენჟინსკი ამბობდა, **იგი ყოველთვის ჭარბია**,—და ამიტომ ასეთ ნიადაგზე როდი უნდა დავსვათ საკითხი.

მოდი, პირდაპირ შევხედოთ ამ საკითხს.

ჯერ ერთი, თავის-თავად ცხადია, რომ ყოველს ისეთ დიდ სოციალურ კონფლიქტში, როგორც ამჟამად მსოფლიოს ამსხვრევს, მსხვერპლი ყოველთვისაა და ამასთანავე ზოგიერთი, ცოტად თუ ბევრად პასუხისმგებელი აღმსრულებლის მხრით ყოველთვისაა კანონის დარღვევა.

თავის თავად იგულისხმება აგრეთვე, რომ ტყუილ-უბრალო სიმკაცრე სამწუხაროა, ყოველი ულმობელობა საზიზღარი და ადამიანის ყოველი სიცოცხლე ძვირფასი. რევოლიუციონერები, რომელთა უზენაეს მიზანს ადამიან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა ბედის გაუმჯობესება შეადგენს, ყველაზე ნაკლებ ჰგმობენ სიცოცხლეს, ყველაზე ნაკლებ იჩენენ გულგრილობას ცოცხალი არსებისადმი და სხვებზე ნაკლებ როდი აფასებენ მორალურ ღირებულებათ, ამჟამად მიღებულის ენით რომ ვილაპარაკო.

მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ნამდვილი პრობლემა ასეთია: უნდა გამოირკვეს თვისება, ნამდვილი აზრი, ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა იმ მიზეზებისა, რომლებსაც ძალადობა მოძრაობაში მოჰყავს.

მხოლოდ ერთის მხრით შეიძლება ძალადობის შეფასება: მისი საბოლოო მიზნის, ან უკეთ: მისი საერთო შედეგის მხრით.

რადგან იგი აქ სოციალურ მოვლენებს შეეხება, ძალადობაც მისი სოციალური შედეგებით გამართლდება თუ დაიგმობა და არა თავისთავად, პრინციპიალურად. სამართლიანობა არ არსებობს, არის მხოლოდ სამართლიანი ფაქტები. არ არის ისეთი სამართალი, რომელიც კოლოფში ჩასდო და ტაძარში ან მუზეუმში შეინახო, როგორც ცნობილი მეტრი-ეტალონი. სამართალი და სახელმი მხოლოდ ამა თუ იმ საგანთან დაკავშირებით არსებობს.

არის შემთხვევა, როცა ძალადობა დასაგმობია, მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როცა იგი წმინდაა. განა შეიძლება ერთი და იმავე სახელით მოვნათლოთ უბრალო, დაუზოგველი მკვლელი და ის მოსამართლე, რომელმაც მას სიკვდილი მიუსაჯა? თუმცა კი ორივე მკვლელია, ერთიცა და მეორეც. განა შეიძლება მორალის ან თავისუფლების სახელით დავგმოთ ხელისუფლება, რომელმაც მოსახლეობის სურვილის წინააღმდეგ გაატარა საზოგადოებრივი აკრძალვა, საერთო განათლება თუ ამისი მსგავსი რაიმე ღონისძიება?

„წითელი ტერორისა“ და თეთრი ტერორის გაიგივება საზიზღარი თამაშია სიტყვებისა, რადგან იგი ისეთ რამეებს ადარებს ერთმანეთს, როგორიც ზემოდ დავასახელე,—მკვლელსა და მის მსაჯულს. ფაშიზმის ძალადობას, მის იძულებით კანონებსა და ცენზურას ისეთივე ღირებულება აქვს, რაც თვით ფაშიზმს, ხოლო შრომის რეჟიმისას კი ისეთი, როგორიც თვით შრომას.

საბჭოთა მთავრობა იმასვე სჩადის, რასაც ყოველი სხვა მთავრობა: იგი თავს იცავს. ის, რასაც ჩვენი ქვეყნების მთავრობანი იცავენ, არის ექსპლოატაცია ადამიანისა ადამიანის მიერ, საერთაშორისო ძარცვა კოლონიებისა, ხალხთა დახრჩობა მესაკუთრეების მიერ, ჟლეტა ქურდობის გასამართლებლად; მათს ხელში დაპყრობა დაჩაგვრას ნიშნავს. ის მთავრობა კი, იქ რომ თავს იცავს, ისეთი მთავრობაა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად დაიკანონა: ყველაფერი ყველას ეკუთვნის; შრომა ხელისუფალია და თანასწორობის მთლიანობით უნდა სრულდებოდეს. ადამიანი სახედარი არ უნდა იყოს ან სხვათა მიერ სახმარი იარაღი; რასების სხვადასხვაობა ხელს არ უნდა უშლიდეს კაცობრიობის სოლიდარობას; დაპყრობა მის ხელში განთავისუფლებაა.

და სანამ არ მოგვბეზრდეს, მანამდე ვიმეოროთ ეს ჭეშმარიტება: ძალადობა საშუალებაა მხოლოდ, მაგრამ რევოლიუციონერებისათვის იგი, საუბედუროდ, ერთადერთი საშუალებაა. შესაძლებელია განა ხალხის შეგნება იმით მივაძინოთ, რომ ვუქადაგოთ—შენს ჯაჭვებს სინაზით დაამსხვრევ-თქო? ან კიდევ, ჩავაგონოთ მას, რომ თანდათანობითი წვრილი და უწყინარი რეფორმებით შეიძლება სასწაულებრივ დავამყაროთ ლოლიკური და ადამიანური რეჟიმი ნაცვლად იმისა, რომლის გამანადგურებე-

ლი მექანიზმიც ყველაფერს განაგებდა 1917 წლამდე.— შეგვიძლია განა ასეთი რამ ჩავაგონოთ, როცა გონება სხვას გვარწმუნებს და თვალებიც სულ სხვა ფაქტებს გვიჩვენებენ?

ოდესღაც ჩემს წიგნში ორს მომქმედ პირს ასე ვათქმევინე: „არის კაცი, ვინც ძალადობას მიმართავს, და არის ისეთიც, სინაზეს რომ ხმარობს.—არა, არიან მართალნი და არიან მტყუანნი“.

მაშასადამე, საქმის მიხედვით უნდა განვსჯიდეთ.

არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რასაც მრავალთა შორის ერთი რომელიმე მთავრობა იტყვის: ყველა ისინი მჭერმეტყველებაში ეჯიბრებიან მარად ერთმანეთს. სათვალავში ის ჩაიგდება, ვინ რას აკეთებს. ამიტომ ის-ღა დაგვრჩენია, რომ საკითხი პირდაპირ განვიხილოთ: რა უყვეს ნამდვილად ბოლშევიკებმა აშიერკავკასიას. მის შემდეგ, რაც იგი საბჭოთა კავშირს შეუერთდა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV

მილაევანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგადი

ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც კაპიტალისტური ფრონტი ისეთ ადგილს გაარღვია, სადაც, ლენინის თქმით, რღვევა ადვილი იყო, შენება კი ძნელი, თვისი გამარჯვების შემდეგ საშინელ ეკონომიურ სამკვიდროს წინაშე დადგა. რუსი ხალხის ცხოვრება ორმილიარდ ჰექტარიან განადგურებულ სახელმწიფოში თითქმის სრულიად გაჩანაგებული იყო სილატაკისა და სიკვდილისაგან. 1914 წლის ომმა, სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ, 40 მილიარდი ოქროს მანეთის ფინანსიური ზარალი მიაყენა რუსეთს. მუშა-ხელის **მესამედი** ომში გასწყდა. წარმოების ყოველი ცენტრი განადგურდა, ქარხნები დაინგრა, ინდუსტრიის მოწყობილება დაიშალა, თვალსაჩინო ღირებანი განიავდა. ომის წინა დროსთან შედარებით, ინდუსტრია 17% ჩამოვიდა (ბამბეულობა 5%, ლითონის ჩამოსხმა, 2,4%, მადნეულობა 1,7%). ტრანსპორტი, ასე ვთქვათ, სრულიად აღარ არსებობდა: ისიც კი, რაც ავად თუ კარგად, კვლავ მოქმედებდა,—დაახლოებით ერთი მეხუთედი, ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ არავითარი ტრანსაქციის განხორციელება არ შეიძლებოდა. ქაღალდის მანეთის ინაფლაცია 17 ტრილიონს აღწევდა. მიუხედავად რთული და საშიში საგარეო მდგომარეობისა, ზეაღმდგარი ხალხი კვლავ ახალს ომში უნდა ჩაბმულიყო. მთელი რაიონები ეცლებოდა სახელმწიფოს და თეთრების ხელში გადადიოდა (დონეცის რაიონი, უკრაინა და სხვ.). სამოქალაქო ომი და მისი მატერიალური შედეგები გა-

ცილებით უფრო მეტი უზის რუსეთს, ვიდრე 1914 წ. ომი: საბჭოთა ეკონომისტები, სულ მცირე, 50 მილიარდ ოქროს მანეთამდე ვარაუდობენ მას. მაშასადამე, მარტო ფინანსიური მხრით, 1914—1921 წლ. სისხლისღვრა რუსეთს დაახლოებით ათასი მილიარდი ოქროს ფრანკი დაუჯდა.

რუსი ხალხი არა თუ საკუთარი თავის ამარა დარჩა (ნუ დაგავიწყდებათ, რომ ომის გათავები' თანავე ამერიკამ ევროპას 90 მილიარდი ასესხა ეკონომიური აღორძინებისთვის), არამედ შინ და გარედ ნამდვილ მთელი ქვეყნის მტრობას უნდა გამკლავებოდა; ამიტომ რევოლიუციაც იძულებული იყო თავის დასაცავად აღმშენებლობითი მუშაობა შეეწყვიტა და მთელი თავისი ძალა თუ საშუალება ჯარისა და საომარი ფრონტისთვის შეეწირა,— და ყოველივე ეს ოთხი წლის განმავლობაში უნდა გაგრძელებულიყო.

ახალი რუსეთი ჭეშმარიტად პირველყოფილ თემობას მოგაგონებდათ, რადგან იძულებული იყო თავისი კოლექტიური ბედი, ათასგვარ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, სხვადასხვა ნაკუწებისაგან ეშენებინა სრულიად გაშიშვლებულს ქვეყანაში.

მაგრამ ეს ანალოგია საკმაო სისრულის როდია, უარესიც იყო, როგორც აკოპიანი მეუბნებოდა ლენინაკანში, რადგან ეს ქვეყანა სავსე იყო მავნე ანარქიის სენითა და პარტახით,—უდაბნო კი არა, ნამდვილი სასაფლაო იყო. ის რაც თემობამ გააკეთა, რუსეთმა ორ გზის გააკეთა.

როდესაც მტრებზე საბოლოოდ გაიმარჯვა, როცა ძახილს: „სიკვდილს გაუძელ“ სხვა ძახილი შეენაცვლა: „უნდა იცოცხლო.რევოლიუციამ თავის უოვალავ მშვიდობიან საქმეს მიჰყო ხელი ისეთი ხელმძღვანელი იდეითა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგადი პერსპექტივით, რომელსაც ვერავითარი სხვაგვარად აზროვნება ნაყოფიერებას ვერ უძრახავს ყოვლად შეუძლებელია კაცობრიობის ისტორიაში აღინიშნოს მეორე ასე ფართო და ზუსტად ნაანგარიშევი გეგმა სოციალური არქიტექტურისა.

შრომის არმიას, — პროლეტარიატს, — რომელმაც ხელისუფლება დაისაკუთრა, მისი შენარჩუნებაც განზრახული ჰქონდა. მაშასადამე, საქმე ეხებოდა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციას მწარმოებელი მასებისათვის და მათ მიერ, სოციალური წყობიერების შექმნას ეკონომიური საჭიროების მიხედვით და იმ გვარად, რომ დამყარებულიყო ხალხის ექსპლოატაცია პირადად ხალხის მიერ და შრომისა კი — თვით შრომის მიერ. მასების ბედი და მომავალი აქეთკენ იყო მიმართული მატერიალურადაც და იდეოლოგიურადაც სახელმწიფო სხვა არაფერია თუ არ მუშათა ორგანიზაციების ორგანიზაცია (ყოველ შემთხვევაში ასეთია მიდრეკილება). კლასები აღარ უნდა არსებობდენ არის მხოლოდ მწარმოებელთა ერთობა (რომლებიც თავიანთი რიცხვით ადამიანთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ) და ამ ერთობის პირველი საფეხურიის არის, რომ ყოველს დაჩაგრულ მწარმოებელს ნებდვილი, თავისუფალი მოქალაქის ხარისხი მიანიჭოს.

ეს იდეა, რომელიც, თავისი რაციონალური ფორმით, სრულიად ბუნებრივადაა გამსჭვალული ინტერნაციონალური მთლიანობით (ეროვნების პრობლემას ცალკე გაქვიხილავ კავკასიის კონკრეტულ მაგალითებზე) და ადამიანის შემოქმედების ოვით უმაღლესსა და უწმინდეს ფორმებს შეიცავს, მოქმედების განსაცვიფრებელ მთლიანობასაკ იძლევა. მუშისა და გლეხის კავშირი, რაც ერთსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმავე დროს მუშაც არის, პატრონიც, მესაკუთრეც, დიქტატორიცა და მომხმარებელიც ყოველგვარი საშუალებისა და ყოველნაირი საზოგადოებრივი საქმიანობის (მეურნეობა, ინდუსტრია, ვაჭრობა, ფინანსები, საზოგადო სამუშაობები, სამართალი, საშინაო და საგარეო პოლიტიკა) ცენტრალიზაციისა, განაწილებასა და გამოყენებაში გაუმჯობესების ისეთ ხარისხს აწევს, რასაც პრინციპიალურად ვერც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფო ვერ მისწვდება ინდივიდუალური გამდიდრების უწესო და უსირცხვილო ორომტრიალის გამო. ამ თამაშში მთელ ხალხს ყველა კოზირი უჭირავს ხელში. აღარავითარი საზიანო წინააღმდეგობა, როგორც ყველგან სხვა ქვეყნებში, სახელმწიფოსა და კერძოს ინტერესებს შორის, აღარავითარი მომქანცველი ბრძოლა წარმოებისა და შრომის ძალის შუა, კაპიტალის სხვადასხვა დარგს შუა, არც სოფლის მეურნეობასა და ქალაქის მრეწველობას შორის,— პირიქით, მჭიდრო და გონივრული კავშირი ყველა ძირითად დარგს შორის.

აი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, როცა ქვეყნის საქმიანობა ჰარმონიული სისრულითა და გოხივრული გამოყენებითაა ამოძრავებული, შეიძლება თავისუფლად იხმარო სიტყვა რაციონალიზაცია (კაპიტალისტურ რეჟიმში რაციონალიზაცია პროლეტარიატის გაუმჯობესებული ექსპლოატაციაა მხოლოდ, იგი კაპიტალიზმის ორგანიზმში მუშის სისხლის გადასხმის ქირურგიული ოპერაციაა), —მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა რესპუბლიკა და საზოგადოებრივი მნიშვნელობიანობის სხვა დიდებული სიტყვები,—განსაკუთრებით კი მეცნიერება. მეცნიერება რუსეთის რევოლიუციის ერთ-ერთი სახეა. რუსეთის რევოლიუცია მომქმედი მეცნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაა, ლოლიკური სისტემა, რომელმაც ხორცი ხალხების მასებსა და სინამდვილის მოვლენების წიაღში შეისხა. თეორია აქ სხვა არა არის რა თუ არ ცხოვრების გამოძახილი, ხოლო თვით ცხოვრება კი—თეორიის დადასტურება. ამ ხალხმა ადამიანთა კოლექტივობა მეცნიერულ კანონიერებაში მოათავსა.

რა თქმა უნდა, ასეთი გეგმა მხოლოდ თანდათანობით შეიძლება განხორციელდეს. იგი ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოხაზულია სათანადოდ. რღვევის ხანა, პატიოსანი, ნაყოფიერი და ჯანსაღი რღვევის ხანა კიდევ არ გათავებულა, უნდა მოისპოს სრულიად წარსულის ავი ნაშთები და საბოტაჟი. პოლიტიკური გამგებლობისა და ეკონომიური მმართველობის შედეგება უკვე აღსრულებული ფაქტია, მაგრამ პირველი სრულიად უნდა შეესისხლორცოს მეორეს სახელმწიფო. აპარატის საბოლოო მოსპობის მიზნით. მაშასადამე, საჭიროა გონივრულად განვაგრძოთ რევოლიუციონური დინამიზმი და თანაც თვალი ვადევნოთ ფაქტების დალაგებას, რასაც სოციალისტურ მშენებლობაში, სახელდობრ, სახელმწიფო მრეწველობისა და გლეხური მეურნეობის უშუალო ურთიერთობისთვის, ერთობ დიდი ნიშვნელობა აქვს როცა სამხედრო კომუნიზმის გათავებისას საბჭოთა კავშირი მუშაობას შეუდგა, იგი იძულებული გახდა გარემოებათა ძალით დროებით დათმობაზე წასულიყო ძველი რეჟიმის ნაშთების მიმართ: საჭირო გახდა კერძო საკუთრებისა და ინიციატივისთვის განაზღვრული გასაქანი მიეცა. მაშინ, როცა უმნიშვნელოვანესი დეკრეტები ინდუსტრიისა, ტრანსპორტისა, მიწის ნაციონალიზაციისა და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ სავსებით ძალაში დარჩა, ახალმა ეკონომიურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა პოლიტიკამ საშუალება მისცა, ჯერ სოფლის მოსახლეობას, შემდეგ კი ქალაქის ზოგიერთ კლასს, თავისი მუშაობის ნაყოფი საკუთარი სურვილისამებრ მოეხმარა, ესე იგი, ამ პოლიტიკამ რამდენიმედ თავისუფლება მიანიჭა შინა ვაჭრობას. მეორეს მხრით, დეკოეტი „ტრესტების“ შესახებ მრეწველობას კომერციულ ბაზისა და ერთგვარ ავტონომიას ანიჭებდა,—ეს იყო ისეთი გამოსავალი, რაც მეტად ესაჭიროებოდა განადგურებული ქვეყნის ეკონომიკას. დასასრულ, საიჯარო უფლების ვადის გაგრძელება საშუალებას აძლევდა მოიჯარეს თავისი მიწის ნაჭერი გაეუმჯობესებინა და მისი შემოსავალიც გაედიდებინა. ამ უკანასკნელ ღონისძიებათა ჯამი შენების პერიოდში მყოფ სოციალისტურ საზოგადოების წიაღში პარაზიტული ბუნების აპარატს წარმოადგენს რაც მძიმე და საშიშიც კი იქნებოდა, მას რომ განვითარების გზა ჰქონდეს მიცემული. მაგრამ თუ კი იგი აუცილებელი მინიმუმის კალაპოტშია ჩაყენებული, მაშინ ავტომატიურად დაიწრიტება და მხოლოდ უბრალო მარცხი-ღა დარჩება ახალი კოლექტივობის პროცესში.

საზოგადოების წესიერად მოწყობა, ეკონომიური ყოველგვარი ურთიერთობის რადიკალური ცვლილება, ყველაფერი ეს ჯამბაზობით როდი შეიძლება განხორციელდეს. საქმე სწორედ მაშინ ფუჭდება, როცა ჩვენი, დასავლეთელი სენტიმენტალური და უდღეური ინტელიგენტების მზგავსად, ისეთ უდროო ამოცანას დაუსახავენ ნას, რასაც საძირკვლის თანდათანობით შემზადება სჭირდება; ეს ვაუბატონები საბჭოებს უკიჟინებენ, რატომ ისეთი მაგიური ხელისუფლება არ გაგაჩნიათ, რომ ყველაფერი ერთბაშად და სასურველად გაკეთდესო. ეს ისტორიული სასწაული შესაძლებელია მაშინ მომხდარიყო, უფრო მხნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და შეგნებულ საერთაშორისო პროლეტარიატს რომ ოქტომბრის რევოლიუცია მარტოდ მარტო არ დაეტოვებია მონური მსოფლიოს წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც აგერ ათი წელიწადი გრძელდება.

- ახლოდ 1921 წლიდან შეუდგა განმტკიცებული რევოლიუცია საალმშენებლო მუშაობას.

ასე რომ, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, 1927 წ. ასეთი უდიდესი მიღწევა უნდა აღინიშნოს: ს. ს. რ. კ. ეკონომიკა ექვსი წლის განმავლობაში იქნა აღდგენილი. პროდუქციამ ომის წინადროინდელი ხანის დონეს მიაღწია და 1927 წ. კიდეც გადააჭარბა მის: სოფლის მეურნეობაში ერთი მილიარდი მანეთით ანუ 8%., ინდუსტრიაში ორასი მილ. მანეთით ანუ 12%. ამჟამად კი საბჭოთა კავშირის მატერიალური განვითარება ისეთის ტემპით მიდის, რომელიც წინ უსწრებს კაპიტალისტურ ქვეყნებს. ფულის კურსი განმტკიცდა. ამჟამად ბრუნვაშია სახელმწიფო ბანკის მიერ გამოშვებული ერთი მილიარდი და 105 მილ. ჩერვონული მანეთი. ჩერვონეცი, რომელიც 1924 წ. გამოუშვეს 25% ით ოქროს მარაგითაა გარანტიაქმნილი, დანარჩენი კი უკხოეთის ვალიუტით და ვადიანი ვექსილებით. ჩერვონეცი (10 ჩერვ. მანეთი) შეიცავს 7 გრამსა და 742 წმინდა ოქროს და ღირს 5 დოლარი და 154 ც. ფინანსთა კომისარიატის ემისია: 703 მილ. მახეთი, რომელიც უზრუნველყოფილია ნაციონალური ეკონომიითა და ქვეყნის სიმდიდრით. ჩემის თვალით ვნახე სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგი მოსკოვში. ამ დროს, 1927 წლის ნოემბერში, სახელმწიფოს სკივრებში ეწყო 28½ მილიონი ოქროს გირვ. სტერლინგი, 21 მილიონ მანეთზე მეტის პლატინა.[1])

---

[1]) ვნახე აგრეთვე სახელგანთქმული საგვირგვინო ბრილიანტები, ბოლშევიკების მიერ ვითომ გაყიდული. ხელში მეჭირა ორლოვიანუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხობილია, რომ საბჭოებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ფული გარანტიითაა განმტკიცებული, არა სურთ უცხოეთის ბირჟაზე გაიტანონ თავიანთი მანეთი, სპეკულაციისა და კურსის თამაშის თავიდან აცილების მიზნით. პირიქით, იქ სადაც წინედ არსებობდა ასეთი რამ, მაგ. გერმანიასა, იტალიასა, ოსმალეთსა და ბალტიის მხრის სახელმწიფოებში, საბჭოთა მთავრობამ გააუქმა ოფიციალური მასი ყიდვა-გაყიდვა და აღარა სცნობს უცხოეთში გატანილი ჩერვონეცის ღირებულებას. მათ საუმჯობესოდ მიაჩნიათ თავიანთი ფულით ჯერ შინაური ბაზარი განამტკიცონ, როგორც ბანკის დირექტორი მეუბნებოდა; ხოლო თავიანთ საზღვრებს გადაღმა იგინი უცხოეთის ვალიუტას, დოლარს ან მარკას იხდიან.

საბჭოთა მთავრობამ რამდენჯერმე მიმართა ნაციონალურ სესხს. რა საჭიროა იმისი თქმა, რომ ამ სესხებს, რომელთაც თვით პროლეტარიატი იძლევა, ფინანსიური ბრუნვის მნიშვნელობა აქვთ და სრულიად მოკლებულნი არიან იმ ანტი-ხალხურ თვისებას, რასაც ამგვარი ოპერაციები კაპიტალისტურს ქვეყნებში ატარებენ. 15 სესხიდან სამი უკვე გადახდილია მთავრობის მიერ, დანარჩენი კი, დაახლოებით 1500 მილიონი მანეთი, წარმოადგენს სახელ-

---

ლი ბრილიანტი, 500 მილიონად ღირებული, სპარსული გაუთლელი ალმასი, 300 მილ. ღირებული და დიდი გვირგვინი, რომელიც 1 მილიარდი და 250 მილ. ფასობს. ვნახე კოლოფებში ჩაწყობილი ათეული მილიარდების ძვირფასეულება. ვინ იტყვის იმ განძეულების ფასს, რაც კრემლის მუზეუმსა და ერმიტაჟში, აგრეთვე საბჭოთა სხვა მუზეუმებშიც ინახება, რა თქმა უნდა, ხელოვნების ნაწარმოებთა გარდა. მარგალიტებით სავსე კოლოფები, ოქროსა და ვერცხლის აუარებელი საჭურველი, ჭურჭლეულება, რომელიც რამოდენიმე ტონს იწონის. მარტო ერმიტაჟში დაცულია 25000 თვლებით მოჭედილი სათუთნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო ვალს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია დაქვითვა-ბილი. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ეს თანხა, რაც სავსებით ს. ს. რ. კ. ეკონომიური აღორძინებისთვისაა დანიშნული, — თუ იმ 188 მილ. მანეთსაც დავუმატებთ, შემნახველ სალაროებში რომ არის დაგროვილი, — უფრო ნაკლებია, ვიდრე საფრანგეთის უკანასკნელი სესხი, რომელიც საფრანგეთის ბანკის გასასტუმრებლად იყო ღებული და რომლის თვალსაჩინო ნაწილიც ამერიკულ ბანკებს ჩაუვარდა ხელში: ამნაირად, ფრანგმა მოგადასახადემ, რომელმაც ოცი მილიარდი უკვე ასესხა უმაღლეს ბანკს, ყოველ წლიურად კვლავ თითო მილიარდის გადასახადი უნდა აძლიოს მას. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საბჭოთა მთავრობამ სამი წლის განმავლობაში 30 მილიარდი ფრანკი სასოფლო მეურნეობის მანქანების შესაძენად დახარჯვა, 8 მილიარდი და 385 მილ. ფრანკი 358.000 ოჯახის ხელახლა დასაბინავებლად; რომ რკინის გზების სიგრძე 1913 წ., ახლანდელ ტერიტორიაზე, 58.600 კილ. უდრიდა, ხოლო 1926 წ. — 74.000 კილ., 1927 წ. კი — 77.200 კილ. 1929 წ. ბიუჯეტი, რომელიც 100 მილიარდ ფრანკს აღემატება ასეა განაწილებული: სოციალური და „კულტურული" საჭიროებისთვის — 21 მილიარდი ფრანკი; მრეწველობისთვის — 12 მილიარდზე მეტი; სამხედრო ხარჯებისთვის — 11 მილიარდამდე; სოფლის მეურნეობისთვის 5 მილიარდი და 30 მილიონი.

საბჭოთა კავშირმა, რომლის სიცოცხლის უნარიც მეტად დიდია (149 მილიონის მცხოვრებს ყოველწლიურად სამი მილიონი ემატება)[1]) ეკონომიურსა და სოციალურს

[1]) 1913-დან 1926-მდე ევროპის მოსახლეობამ, ს. ს. რ. კ. გამოკლებით) 6%-ით დაიკლო; ამავე ხნის განმავლობაში კი საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა რიცხვი 7%-ით გამრავლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაში ქალს კაცის თანაბარი უფლება და მდგომ-
რეობა მიანიჭა. იგი ფართო მაშტაბით პატრონობს დე-
დის, ბავშს, ყრმობას და ახალგაზრდობას. მან უზრუნ-
ველჰყო მუშისთვის მატერიალური ცხოვრების უკეთესი პი-
რობები, ვიდრე ძველს რეჟიმში იყო; უკეთუ მხედველო-
ბაში მივიღებთ ფულის ღირებულების ქანაობის, მის მყი-
დველობით ძალასა და კერძო ცხოვრების ყოველგვარ მო-
თხოვნილებას, მოსკოველი მუშის შუათანა ხელფასი, რაც
1913 წ. 28 მანეთს უდრიდა, ამჟამად (1928 წ. იანვარ-
ში) 39 მანეთის უდრის, მესამედით მეტს. მთელს საბჭო-
თა კავშირში ხელფასის საშუალო ზრდა ომის წინა დროს
თან შედარებით 16,9% ით აღინიშნება. 7 საათის სა-
მუშაო დღე განხორციელების ხანაშია, უმთავრესად სა-
ფეიქრო დარგის მუშებისთვის, რომელთა სამუშაო სა-
ათების ერთი მეხუთე ახლაც 7 საათისაა. სამუშაო დღის
ასეთი შემცირება, ჯერობით რაციონალიზაციასა და მან-
ქანების განუწყვეტელ მოძრაობაზე დამყარებული, პრო-
დუქციას უმატებს. ასეთი წესის გავრცელებას შედეგად
ის მოჰყვება, რომ 500.000 უმუშევარს საქნარი გაუჩნდება.
გლეხობის 35% განთავისუფლებულია გადასახადებისაგან
23 პროფკავშირი 9.278.000 მუშაკს აერთიანებს. წი-
თელ პროფინტერნს 16 მილიონი წევრი ჰყავს (ამსტერ-
დამისა ს-კი—13 მილიონი). კოოპერაცია და მომჭირნეო-
ბა დღითი-დღე იზრდება. (ახლანდელს ტერიტორიაზე
1925 წ. 500 შემნახ. სალაროთი მეტი იყო, ვიდრე 1914 წ;
1926 და 1927 წ. წ. შემნახველთა რიცხვი ორჯერ გამ-
რავლდა: 2 მილიონს უდრის). დღეს უკვე კავშირის ტე-
რიტორიაზე, მეჯობის დროს რომ სასაფლაოს წარმოა-
დგენდა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება უმცირესობი-
დას მცხოვრებთა უმოავლესობის ხელში გადავიდა, უზარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზარი საზოგადოებრივი შენობები იმართება. ხარკოვში, უკრაინაში, ჩემის თვალით ვნახე ნახევრად დამთავრებული, თლილის ქვითა და რკინით ნაგები, საოცნებო არქიტექტურა —ტრესტების სახლი. დიდებული შენობა, 1926 წ. დაწყებული, 1928 წ. დამთავრდება. თითქოს მთა არის აღმართული: 340.000 კუბ. მეტრის შენობა 65.000 კვ. მეტრის სივრცეს ჰფარავს; 350 მეტრის ფასადი აქვს, 75 მეტრისა კი სიმაღლე (10 მეტრით უფრო მაღალი, ვიდრე ნოტრ დამ ს კოშკებია). ეს მხოლოდ ნაკვეთია იმ ქვის რეალიზაციისა, ოამაც 600 ჰექტარი უნდა მოიცვას.

დიდებულს ეკონომიურსა და კონკრეტულ შედეგებზე ჭარბად გაიფუჩქნა კულტურული აღორძინება საზოგადო განათლება: 1925 წ. პირველი საფეხურის სკოლებში 2.250.000 მოწაფით მეტი იყო, ვიორე 1913 წ.; პროფესიანალურ სკოლებში მოწაფეთა რიცხვი გაორმაგდა (529.000—257.000 მაგიერ). 50 893 დაწესებულება წერა კითხვის უცოდინარ მოზდილთათვის (1 640.000 ქალი და კაცი სწავლობს იქ ყოველწლიურად წერა-კითხვას). მუშათა კლუბები— 6015. მუშაკები 109—1926 წ.— სადაც 45 702 მოწაფე სწავლობს. უმაღლესი განათლება: 1913 წ —91 დაწესებულება; 1925 წ, - 134. სამეცნიერო დაწესებულებანი გაუმჯობესებას განიცდიან თვით მპყრობელობის შემდეგ. 1913 წ. განათლებაზე (თითო სულზე) 2 მ. და 18 კ. იხარჯებოდა, 1926 წ. კი—4 მ. და 79 კ. „ნაციონალური" განათლების გავრცელებაო? საბჭოთა კავშირში არის სკოლები 62 სხვადასხვა ენაზე. მძიფრად ვითარდება ტეხნიკური განათლება, პოლიტიკური აღზრდა, მეცნიერებათა მეთოდიური მოწყობა და მფარველობა, თეატრი, ლიტერატურა, ხელოვნება. (1913 წ. იმპერიაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვრცელდებოდა სულ 3.500.000 ცალი რუსული გაზეთი, 1927 წ. კი 8.000.000 საბჭოთა გაზეთი).

კომუნისტები განუსაზღვრელ მნიშვნელობას აძლევენ აღზრდის საქმეს. მასების დონის ამაღლება, მუშის გონების განათლება და გამდიდრება, რათა მან თავისუფლად და გონივრულად იმსჯელოს, მის მიერ თავისი მიზნისა და როლის შეგნება, აი ეს არის აღზრდის ერთადერთი მიზანი და ამოცანა, რასაც განუსაზღვრელი ენერგია და ხარჯი უნდება. მათი პრინციპი ასეთია: როცა კარგად ჰხედავ, კარგადაც მოქმედებ, — სინათლე თვალებიდან ხელებში გადადის, — და პროპაგანდაც სინათლის შეტანაში მდგომარეობს: ყველაფერი ეს ხელსაყრელია გონებისა და ცხოვრებისთვის[1])

რაც შეეხება ხელოვნებათა მფარველობასა და წაქეზებას, უნდა მოგახსენოთ, რომ მე აქ არ შევუდგები ფაქტების, მაგალითებისა და დაწესებულებათა ჩამოთვლას: შეუძლებელია ამ მცირე ნარკვევში გაითვალისწინო ის უდიდესი იმპულსი, რაც ხელოვნებას მთავრობის მიერ მიენიჭა, იმ მთავრობის მხრით, რომელმაც იმდენი

---

[1]) ბ. ჟან გირო „ლაკურუა"-ს ცნობილი კათოლიკე პუბლიცისტი თავის ჟურნალში ეუბნებოდა საკუთარ მკითხველებსა და ცხოვართ: „საჭიროა ჩვენს სამწყსოს ის მივცეთ, რაც კომუნისტებს ძალას ანიჭებს: შეუიგებელი დოქტრინა, რომელიც პოლიტიკოსთა საქმიანობას არავითარ მსხვერპლს არ შესწირავს და რომელსაც გონებისა და ხასიათის შემუშვება ეძევს მიზნად". დიახ, ეს ნამდვილი საშუალებაა, მაგრამ სწორედ ამის გამო იგი განსაკუთრებულიცაა და მრავალ სხვადა ხვანაირ მიზანს არ მიუდგება. მათ შორის, ვისაც მისი გამოყენება სურს, იგი ზოგიერთს გამოადგება, ზოგს კი ავნებს, და რელიგიური ცრუმორწმუნეობის ჩემპიონებისთვის უკეთესი იქნებოდა, უკე თუ იგინი, გარდა გონიერებისა, სხვა უფრო რთულ საშუალებას მიმართავდენ სახმარად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო და მოკალება კიდევ იპოვნა, რომ კრემლის ერთ-ერთს ტაძარში მეფის დროს უშნოდ განახლებული მრატ-ერობა ჩამოაფხეკინა და ხელახლად აღადგინა და რო-მელმაც, თუმცა ფულის ღირებულება ძალიან კარგად იცის, მაინც არ დაიშურა და მოსკოვის დიდ თეატრს 3.250.000 მან. მისცა მბრუნავი სცენის მოსაწყობად.

საბჭოთა კავშირის საერთო შემოსავალი 1925 წ. 15.539 მილიონ მანეთს უდრიდა, 1927 წ. კი—22.560 მილიონს. ამ საერთო შემოსავალში, ბურჟუაზიული ელე-მენტების შემოსავალი სტაციონალობას განიცდის, მა-შასადამე, კლებულობს ხელფასისა და მეურნეობის სო-ციალისტური სექტორის ზრდასთან შედარებით,

უკეთუ კავშირის ტერიტორიის ოდნობასა და მის ბუნებრივ სიმდიდრეთა რესურსებს გავითვალისწინებთ, მიღწეული შედეგი, უეჭველად, მცირეა ჯერ-ჯერობით; არც ევროპის, მით უმეტეს ამერიკის, დიდი ერების მდგომარეობასთან შედარება იქნება ხელსაყრელი საბჭო-თა რესპუბლიკისთვის. გამოყენებული ცოცხალი ენერ-გიის (კაცისა და პირუტყვის) რაოდენობის მხრით საბ-ჭოთა კავშირს პირველი ადგილი უჭირავს ევროპაში, ხოლო მექანიკური ენერგიის მხრით კი იგი ამერიკისა, კანადისა, ინგლისისა, გერმანიისა და საფრანგეთის უკან სდგას. საბჭოთა კავშირის მონაწილეობა მსოფლიო პრო-დუქციაში ასე გამოიხატება: ქვანახშირი 2,2 პროც.; ნავთი—5,8 პროც.; ფოლადი—3,3 პროც.; ბამბეულო-ბა—7,1 პროც.; [1]) მსოფლიო ვაჭრობაში კი მისი მონა-წილეობა მხოლოდ 1,20 პროც. შეადგენს. უკეთუ ზო-

---

[1]) პირიქით, რუსული პლატინა მსოფლიო რაოდენობის 95 პროც., ხოლო ქართული მარგანეცი 60 პროც. წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიერთმა საექსპორტო საქონელმა 1913 წლის დონეს გადააჭარბა, როგორიცაა, მაგ., ნავთი და ბეწვეულობა, დანარჩენები (განსაკუთრებით სასოფლო ნაწარმოებნი) ძველი დროის დონეს ვერ აღწევენ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისას, საბჭოთა ხელისუფლების გამოუცდელობამ თავიდან ვერ აიშორა სპეკულაციისა და ბოროტმოქმედების პირველი ტალღა, რამაც უცხოეთის კაპიტალისტების გული იმედით აღავსო: ახალი რუსეთი წესიერების კალაპოტში სდგებაო! მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელებმა კვლავ დაიმორჩილეს გარემოებანი. აი სახელმწიფო ინდუსტრიის პროდუქციის მრუდე ახალი ეკონ. პოლიტიკის სამი წლის არსებობის განმავლობაში: 1921 წ.—850 მილ მანეთი; 1922 წ. 1.239 მილიონი; 1923 წ.—1.621 მილიონი.

ინდუსტრიის პროდუქციაში „სოციალისტური სექტორის" წილი 77,1% შეადგენს (სახელმწიფოს ინდუსტრია), კოოპერატივებისა კი 8,8%; კერძოთა სექტორი, მაშასადამე, 4,1% წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაში —სოციალისტური სექტორი 2,7%, კერძო კი 97,3% ვაჭრობაში—სოციალისტური სექტორი 81,9%, კაპიტალისტური 18,[illegible]%. კოლექტივისტური სექტორის ყოველ დარგს უწყვეტი პროგრესი ახასიათებს.

გასაკეთებელი კიდევ არის მსხვილსა (არის კერძო მნიშვნელოვანი კონცესიები, მაგ., მარგანეცისა საქართველოში [1]) და ოქროსი ურალზე) თუ წვრილს ვაჭრობაში. და, თუმცა ბაზი თანდათან მოკლდება, მაინც შეუძლებელია ახალი ეკონ. პოლიტიკის გაუქმების გათვალისწინება. პირიქით, მდიდარი გლეხი, კულაკი, დღითი-

---

[1]) ეს დიდი კონცესია ამჟამად გაუქმებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე იძულებული ხდება თავის ტყავში დაეტიოს. ახალი საადგილ-მამულო კანონი, რომელიც ამჟამად დისკუსიის ხანაშია, იმას გვიჩვენებს, რომ მალე დაიწყება უფრო ცხოველი შეტევა კულაკის წინააღმდეგ ღატაკის სასარგებლოდ.

თვითმპყრობელობის დროს სოფლის მეურნეობაში მწარმოებელთა ს�ი კათეგორია იყო: მსხვილი მემამულეები, მდიდარი გლეხები ანუ კულაკები, საშუალო და ღარიბი გლეხები. მათი წონის აღსანიშნავად საჭიროა ითქვას, რომ რუსეთის პურის მთელი პროდუქციაში (5 მილიარდი ფუთი) პირველი კათეგორია იძლეოდა 600 მილ. ფუთს, მეორე — 1 მილიარდსა და 900 მილ. ფუთს, მესამე კი 2 მილიარდსა და ნახევარს. ამჟამად იმავე საერთო რაოდენობის პროდუქციაში შუათანა და ღარიბი გლეხობა იძლევა 4 მილიარდსა და 52 მილ. ფუთს, კულაკობა კი 617 მილიონ ფუთს. დანარჩენ 80 მილ. ფუთს იძლევიან: სახელმწიფო მამულები—(50 მილ. ფ.) და „კოლექტიური მეურნეობანი"—(30 მილ. ფუთი), ამ სამეურნეო კოლექტივებს საფუძვლად კერძო ექსპლოატაცია აქვთ, ფორმად კი—კოოპერაცია. ეს წარმოო კოოპერატივები მეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სავაჭრო და მომხმარებელ კოოპერატივებთან, აგრეთვე სახელმწიფოს სავაჭრო, კურტურულ და ტეხნიკურ ორგანიზაციებთან.

სოფლის მეურნეობის საკითხში, რომელსაც, რა თქმა უნდა, განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის, ხელისუფლება სცდილობს გლეხობის უნაციონალიზაციო პროდუქცია სოციალისტური ორგანიზაციის კალაპოტში ჩააყენოს; ორგანიზაციის მხოლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთი სახე თვისი ცენტრალიზაციის, დიდი საშუალებისა და გაუმჯობესებული იარაღების მეოხებით შესძლებს სასოფლო მეურნეობის შემოსავლის გადიდებას, მით უმეტეს, რომ ამჟამად სასოფლო მეურნეობის განვითარება, მიწების პაოცელაციისა და კერძო დამუშავების მიზეზით, ნელის ტემპით მიმდინარეობს, შინაური და საგარეო მოთხოვნილება კი ჩქარის ტემპით იზრდება. [1])

მაშასადამე, საჭიროა სახელმწიფო სასოფლო მეურნეობისთვის ხელისშეწყობა და მასში გაერთიანება საშუალო და ღარიბი გლეხობისა. უკვე მზად არის სახელმწიფო აგრიკულტურის უზარმაზარი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 4 მილიონი დესეტინა მიწის დამუშავებას, რასაც დასჭირდება 10.000 ტრაქტორი, 20.000 გუთანი, 40.000 ურემი და სხვა.

ხოლო ნაციონალიზაციის მოლოდინში საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს კოლექტიური მეურნეობის ფართო მაშტაბით განვითარებისთვის. ამგვარი ორგანიზაციების მოწყობას ამ ბოლო დროს თვალსაჩინო პრაქტიკული შედეგი მოჰყვა იმის წყალობით, რომ იქ შესაძლებელი გახდა მსხვილი მეურნეობის, მანქანებისა და თანამედროვე წესის შემოღება, რამაც გაცილებით მეტი შემოსავალი მოიტანა, ვიდრე კერძო დაქუცმაცებულმა მეურნეობამ (მაგ., უკრაინაში, 90-დან 117 ფუთამდე დესეტინაზე კერძოთა 25—90 ფუთის მაგიერ; ზოგიერთ ადგილს კი, როგორც კოლექტივების ამას წინედ მომ-

---

[1]) 1928 წლის დასაწყისში თავი იჩინა პურეულობის კრიზისმა, რაც ნაკლები მარაგის მიზეზით იყო გამოწვეული, თუმცა კი ეს მარაგი 100 მილიონი ფუთით მეტი იყო წინა წლისაზე, როცა ასეთი კრიზისი არ ყოფილა, და 200 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1926 წ.

ხდარ ყრილობაზე გამოირკვა, 150—200 ფუთიც). საექს-
პორტო პურეულობისთვის წვრილ მეურნეობას, რომელიც
ძლივს იკმაყოფილებს თავის საჭიროებას, სრულიად არა-
ვითარი მნიშვნელობა არა აქვს. გლეხი, რომელიც პირ-
ველად სკეპტიკურად იყო განწყობილი, სინამდვილემ
დაიმორჩილა: მან საკუთარის თვალით ნახა შედეგი და
ამან გამოიწვია კოლექტიური მეურნეობის ზრდა, რასაც
პარტიის მე XV ყრილობის სათანადო დადგენილებად
ერთობ შეუწყო ხელი. მთავრობამაც, შარშანდელთან შე-
დარებით, კოლექტივებს სუბსიდია გაუორმაგა: 60 მი-
ლიონი მანეთი. საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ცხოვრე-
ბაში ეს კოლექტიური მეურნეობანი წარმოადგენენ
მთლიან უჯრედებს, რომელთა ქსელიც კავშირის ტერი-
ტორიას ჰფარავს, მზგავსად სასოფლო საბჭოებისა და
ყველა იმ სასიცოცხლო ორგანოებისა, რომლებიც მასებს
ცენტრთან აკავშირებენ.

მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ: ამ ეკონომიურ ღო-
ნისძიებათ ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომლის ხასიათ-
საც გადაჭარბება არ ესაჭიროება, სახკომსაბჭოს თავმჯ-
დომარემ, რიკოვმა ამ ბოლო დროს საბუთიანად განაც-
ხადა: „არაოდეს ხალხს არ განუცდია ასეთი შეუფერხებე-
ლი აღორძინებაო“. მაგრამ საბჭოთა მიღწევებს სხვა-
გვარი მნიშვნელობაც აქვს: იგი საქმით უჩვენებს მთელ
ქვეყანას სისტემის პრაკტიკულ საფუძვლიანობას, იმ
ცდის საბოლოო გამარჯვებას, რომელიც ექვსი წლის
წინედ ცალიერ ადგილიდან დაიწყო და განსაკუთრე-
ბულს ძძიმე პირობებში შესრულდა: საერთო მტრული
განწყობილების, რღვევის, გადაშენების, ტეხნიკური ჩა-
მორჩენილობისა და მშრომელთა კულტურული მეტად
დაბალი დონის პირობებში. კიდევ მეტიც: ეს საქმიანობა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის წვრილმანებში, ყოველთვის როდი იყო მოკლებული შეცდომებს.

და ამიერიდან, ადამიანთა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მსოფლიო ასპარეზზე მორკინეობის (დუელის) გარკვეული სახე მიიღო: ორი საწინააღმდეგო მისწრაფება, პარალელური, ან უკეთ, ერთმანეთში გადახლართული თავიანთი მომავალი ბედის მხრით: სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი და სახელმწიფოებრივი სოციალიზმი. ზემოდან აშენებული საზოგადოება და უმრავლესობისგან შემდგარი საზოგადოება. ყველაზე უფრო მოკრძალებულ წინასწარმეტყველს შეუძლია ახლა სთქვას, რომ ესაა სასიკვდილ სასიცოცხლო ომი, რომ, ამ ხელჩართულ ბრძოლასთან შედარებით, მოდად ქცეული დ ი ი ფორმულები: აღმოსავლეთი დასავლეთის წინააღმდეგ, თეთრები ყვითლების წინააღმდეგ თამაშობაა მხოლოდ. ყოველი დიდი ბრძოლა მხოლოდ მისი გამოძახილი იქნება. იგია შინაარსი მომავლის უდიდესი კრიზისებისა.

ამ ზოგადი სურათის დასამთავრებლად ის-ღა დაგვრჩენია, რომ ერთი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი აღვნიშნოთ: საბჭოთა მიღწევების რიცხვი აჩქარებულის ტემპით და წესიერად იზოდება [1]). საბჭოთა კავშირის ეკონომიკა უკრიზისოდ, ნორმალურად ვითარდება მაშინ, როცა კაპიტალისტური სახელმწიფოები, თუმცა სიმდი-

---

[1]) ასე, მაგ., საგარეო ვაჭრობა ახალ დინამიურ ღირებულებას იძენს, უკეთუ გავიხსენებთ, რომ იქვსი წლის განმავლობაში იგი ერთ სამად გაიზარდა. ამასვე მეუბნებოდა ლენინაკანელი მწყემსი ცხვრების შესახებ: ეს ახალი ციფრები მარტო ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ იგინი ომის წინა დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრით სავსენი, საშინაო და საგარეო წინააღმდეგობათა გამო მუდმივ დაცემასა და აწევას, გაჩანაგებასა და უკუსვლას განიცდიან. მაგალითად, სტატისტიკოსებმა ნათლად დაამტკიცეს, რომ გერმანიისა, საფრანგეთისა და იტალიის ეკონომიური პროგრესი ყოველთვის ერთი-მეორის ხარჯზე ხდება ხოლმე: როცა ერთს ემატება, მეორეს აკლდება.

და ის ფსიქოლოგიურ-ეკონომიური დიდი პრობლემა, რაც ასე ძვირფასია ჩვენი დასავლეთელი რეზონერებისთვის? ამბობენ: უკეთუ ადამიანს პირადი გამდიდრების ხალისს წაართმევ, ესე იგი, კერძო საკუთრებას, მაშინ შრომის გამძლეობაც და ნაყოფიც წაერთმევაო. ნამდვილად კი, როგორც ხალხის ბრძნულ თქმულებას, ხშირად ემართება ხოლმე სულ საწინააღმდეგო. რამ უნდა აღინიშნოს. რომელიმე მშრომელს, —მუშას თუ მოსამსახურეს,—სხვა ვერაფერი წაახალისებს სამუშაოდ, თუ არ ორი რამ მამოძრავებელი ძალა: კერძო ინტერესი და საზოგადოებრივი ინტერესი. კაპიტალისტურ რეჟიმში ეს ორი მამოძრავებელი განცალკევებულია ერთი-მეორისაგან და მხოლოდ პირველი მოქმედებს. მაშასადამე, ბოლოს და ბოლოს იგი აქეზებს მშრომელის ყურადღება არ მიაქციოს თავისი შრომის ნამდვილ, სოციალურ მიზანს და მხედველობაში იქონიოს საკუთარი სარგებლობა, პირადი კმაყოფილება. ამ წესის კარნახი ასეთია: „რაც შეიძლება ნაკლები აკეთე". ცუღლუტობა და საბოტაჟი კანონად იქცევა, შეიძლება ითქვას, მოვალეობადაც, რადგან ასეთია კლასთა შორის ატეხილი ომის პრაქტიკული და სამართლიანი შედეგი. კაპიტალისტურს ქვეყნებში მუშები და მოსამსახურენი ბრძოლას აწარმოებენ პატრონისა და ადმინისტრაციის წინააღმდეგ—ზოგნი შეუგნებლად, ზოგი კი შეგნე-

ბულად. შრომის კეთილი ნაყოფი მათთვის უინტერესო რამეა, ხანდახან კი საზიზღარიც.

სოციალისტურ სახელმწიფოში სრულიად ბუნებრივად ერთი ახალი ელემენტი გამოდის პირველს რიგი:შ შეგნება იმისი, (რაც idée fixé-ად, გრძნობადაც კი იქცევა) რომ თითოეულის ინტერესი კოლექტიურ ინტერესთან არის დაკავშირებული, და, მაშასადამე, დაკავშირებულია საქმიანობის **ნაყოფიერებასთან**, შრომის სახელმწიფოს საერთო სამუშევართან და, დასასრულ, საბოლოო მიზნის გამარჯვებასთან. ეს ახალი აზროვნება, საბჭოთა კავშირში, ერთგვარის აღტაცებით, ენერგიით, სიამაყითა და სიხარულით გამოიხატება, რასაც ვერცერთი ქვეყნის ხალხში ვერ ნახავ. გორკი რომ რუსეთს დაბრუნდა 1928 წელს, იგი სწორედ ამ სხივოსანმა სიმკვირცხლემ გააოცა პირველ ყოვლისა. მან გამიზიარა (ჩემს გარდა, ბევრ სხვასაც) ეს უპირველესი თვისი შთაბეჭდილება, რამაც მას ნამდვილი აღფრთოვანება აგრძნობინა: სრულიად ველარ ვიცანი ის ხალხი, რომელიც ბევრჯენ ამიწერია, თითქოს სასწაული მოხდაო. გააფრთრებული და წმინდა შემოქმედების ატმოსფერა; რევოლიუციონური ენერგია, ძლიერება, ახალგაზრდობა,— განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ყველაფერი გაახალგაზრდავებულა და თვით მეც ასე ახალგაზრდა, ასე ბედნიერი არაოდეს ვყოფილვარ".

რა თქმა უნდა გადაჭარბება იქნებოდა იმისი მტკიცება, თითქოს ასეთი აზროვნებისა იყოს საბჭოთა კავშირის ყოველი მუშა გამოუკლებლივ (ისეთს ქვეყანაში ვიმყოფებით, რომელიც ჯერ ფორმაციის ხანაშია და საჭიროა მისი ევოლიუციისთვის ფხიზლად თვალყურის დევნება). მაგრამ არც იმისი უარყოფა შეიძლება, რომ სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ ისეთია მუშათა დიდი უმრავლესობა, რომელსაც იმპულსს აძლევს მოზარდი ორგანიული უჯრედები (არაჩვეულებრივი ქსელი აქტიური კერებისა და სხვადასხვა დაჯგუფებათა, რომელთა საშოძრაო ძაფები ერთს კვანძადაა გასკვნილი მთელს ტერიტორიაზე) და განუსაზღვრელი მისწრაფება კომუნისტური ახალგაზრდობისა. ამ აზროვნებამ შეჰქმნა და გაავრცელა შრომის კულტი და პატივისცემა, ზნე-ჩვეულებანი ღირსებითა და სხივოსნობით შემოსა, რასაც სხვაგან ამაოდ დაუწყებდით ძებნას, და დაამყარა ურთიერთობის მოყვარული თანასწორობა იმათ შორის, ვინც ემორჩილება და ვინც განკარგულებას იძლევა.

კვლავ მაგონდება გორკის დიდებული შეხედულება, როცა იგი დიდი ხნის განშორების შემდგომ საბჭოთა კავშირში დაბრუნდა: „წვრილმანი საქმეები როდი-ღა არსებობს; არის მხოლოდ ერთად-ერთი დიდი რამ, რასაც ყველა ესწრაფვის. ყოველი პატარა ადამიანი აქ დიდ საქმეს აკეთებს.“ ზაპოროჟიეში, მუშათა თავების მასას, მის თვალწინ რომ რიალებდა, იგი ერთს უზარმაზარ თავს ადარებს. უფრო მეტიც: სოციალური კონსერტორების იმ სოფიზმის საპასუხოდ, სოციალიზმის ავტომატიურობას რომ შეეხება, იგი აღნიშნავს პიროვნების აღფრთოვანებასა და ინდივიდუალობის გამახვილებას საბჭოთა რეჟიმში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

კავკასიის რესპუბლიკები, რომლებიც კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარეობენ, დაკავშირებულნი არიან ს. ს. რ. კ. და თავის მხრით ამიერკავკასიის ფედერაციას შეადგენენ. სამი დიდი ოლქი, ემეზობლება ერთმანეთს კავკასიონის სამხრეთით: აღმოსავლეთით, აზერბაიჯანის ოლქი ბაქოს ნავთსადგურით კასპიის ზღვაზე; შუაში, სომხეთის ოლქი, რომლის ცენტრსაც ერევანი წარმოადგენს; ჩრდილოეთით და დასავლეთით საქართველო, რომელსაც ცენტრად ტფილისი აქვს. არის კიდევ სხვა ოლქიც, უფრო მცირე მოცულობისა, აჭარისტანი (137.000 მცხოვ.), ბათომის ცენტრით შავი ზღვის ნაპირას. ამათ გარს არტყია კიდევ პატარა ოლქები, პაწია რესპუბლიკები, ავტონომიური მხარეები: აფხაზეთი (80.000 მცხოვრ.), სამხრეთი ოსეთი (75.000 მცხ.), ყარაბახი, ნახჭევანი და სხვა [10]).

ამიერკავკასიაში ეკონომიური აღმშენებლობა 1921 წლ. დაიწყო დაახლოებით. ეს მუშაობაც ზემოხსენებულ პრინციპებზე სწარმოებდა. ამიერკავკასია, მაშასადამე, ამჟამად საბჭოთა მიღწევების ნიმუშს წარმოადგენს მცირე მაშტაბით.

მ ი წ ა

ჯერ მიწის შესახებ. „ჩვენ როდი გვხიბლავს ის მდგომარეობა, რომ თვითმპყრობელობის ციფრებს გადავაბი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ათ,—მითხრა ერთმა იქაურმა ამხანაგმა და დიდებულად დაუმატა: ჩვენ გვინდოდა მხოლოდ, რომ თვით ბუნებაში გვეპოვნა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დასაყრდენი“. სოფლის მეურნეობა. მთელს ამიერკავკასიაში ვარგისი მიწის სივრცე 6.876.800 დესეტინას შეადგენს დაახლოებით 4.409.600 სული გლეხობისთვის. გავიცნოთ ჯერ საქართველოს ოლქი.

თვითმპყრობელობამ მრავალნაირად დაჩსერა იგი. მიწის ერთ მეათედი განაწილებული იყო ეკლესიებსა, მონასტრებსა, მეფისწულებსა და 12.580 სხვილ მემამულეს შორის (თავად-აზნაურთა თითოეულ ოჯახს საშუალოდ 152 დეს. ეკუთვნოდა). უფრო გვიან, მიწის ერთი ნაწილი (დაახლოებით ერთი მეოთხედი) გლეხებს გადაეცა ყოველწლიური გამოსყიდვის სახით, ან მიქირავებული ჰქონდათ დიდი ხნის ვადით. სააჯარო ფასი მოსავლის მეოთხედსა თუ ნახევარს უდრიდა. სტოლიპინის რეფორმას თითქმის არავითარი ცვლილება შეუტანია გლეხის მდგომარეობაში, რომელიც ნამდვილი მონობა იყო. 1917 წ. გლეხებმა ხელთ იგდეს მიწები. მენშევიკური მთავრობა აუსრულებლად აგვიანებდა აგრარული საკითხის გადაწყვეტას, რაც სოფლებში განუწყვეტლივ ამბოხებას იწვევდა, მთავრობის მხრით კი სისხლის მღვრელ რეპრესიებს მშვიდობიანობის აღსადგენად. 1920 წ. ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების წინაშე აღიარა აგრარული რეჟიმის სრული გაკოტრება: „ათში ერთი გლეხი იძულებულია სხვისი მიწა დაიმუშაოს ან სხვა რამ ხელობა ეძიოსო“.

1921 წლის აპრილში, გამარჯვებისთანავე, ბოლშევიკურმა მთავრობამ მიწისა და ქვენიადაგის საკუთრების გაუქმება გამოაცხადა. მხოლოდ პირადი მუშაობა იძლეოდა ნაჭერი მიწის შენარჩუნების უფლებას (ყიდვა, გაყი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დვა და იჯარით გაცემა ამ ნაჭრისა აკრძალული იყო). მთავრობა შეუდგა მიწის, ნაგებობისა და იარაღების ჩამორთმევას და უმიწო გლეხებისთვის 255.499 დესეტინა მიწის დარიგებას.

მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი თითქმის დაუძლეველი დაბრკოლება. საქართველო ჭარბადაა დასახლებული. 1926 წ. იქ ითვლებოდა 2.136.000 მცხოვრ. (წლიურად 25.000 ემატება) და 425.000 ფერმა თუ მეურნეობა. 1925 წ. მცხოვრებთა სიმჭიდროე საქართველოში 36,8 სულს შეადგენდა კვ. კილომეტრზე (აჭარისტანში—21,7; სომხეთში—29,4; ევროპის რუსეთში—28.). აქედან წარმოსდგება მიწის სივიწროეც: სულზე ვარგისი მიწის 0,8 დესეტ., ხოლო დასავლეთ საქართველოში კი 0,44; რაჭაში —0,23).

თვითმპყრობელობა თავისუფლად სწყვეტდა ამ საჭირბოროტო საკითხსა და უმიწობით სულშეხუთულ საქართველოში რუსულ ახალშენებს აწყობდა. ამგვარი ყოფის შედეგი ის იყო, რომ მთიან საქართველოში ორ შვილზე მეტის ყოლა ცოდვად ითვლებოდა და ახალ დაბადებულ ქალებს სიცოცხლეს უსპობდენ (ეს სამწუხარო მოვლენა აგერ აქამდე არსებობდა). საქართველოს მომქმედმა მიწის კანონმდებლობამ მიწების დაუყოვნებელი და ნორმალური განაწილება შეიმუშავა. მაგრამ კიდევ დარჩა საპატრონო 400.000 სულამდე. შემუშავებულია ხუთწლიანი მეთოდიური გეგმა სარწყავი მიწების სივრცის გასაფართოებლად, ჭაობების დასაწრეტად, ახოების ასაღებად, არხების გასაყვანად, მოსავლიანობის გასადიდებლად, ადგილების გასაჯანსაღებლად, მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად, და რაც ყველა ამასთანაა დაკავშირებული, გზების, ტრანსპორტისა და სამრეწველო და-

წყებულებათა გასამართავად. ამ გეგმის, რაც უზარმაზარ მუშაობასა და დიდ ხარჯს მოითხოვს, ცხოვრებაში გატარება 168.000 დესეტინა ვარგის მიწას შემატებს ქვეყანას. მაგრამ არც ეს ღონისძიებაა საკმაო.

ჯერ კიდევ მენშევიკების დროს მიმართავდენ ხოლმე ჭარბად დასახლებულ ადგილებიდან მცირედ დასახლებულ ადგილებზე გლეხების გადასახლებას ისე, რომ ხშირი და ჩქარი თანაბრად ყოფილიყო შეფარდებული. ამ სასარგებლო ღონისძიებას გასაბჭოების შემდეგ უფრო მეტი გეგმიანობა მიეცა. მაგრამ, რადგან ამის მიუხედავად, ხალხი მაინც ბევრი იყო, მიწა კი მცირე, განიზრახეს, ჭარბი მოსახლეობა საქართველოს ფარგალს გარეშე დაესახლებინათ. 15.000 სულმა უკვე განაცხადა ამისი სურვილი: რაც, უეჭველია, გაცილებით უფრო გონივრული იქნება, ვიდრე ინდივიდუალური უწესო გადასახლება, რომელსაც ამ ქვეყანაში მუდამ ჰქონდა ადგილი. ამ რაციონალურმა ემიგრაციამ, რაც სოფლის მეურნეობის მოთხოვნასა და მთელი კავშირის ინტერესს ერთმანეთს უთანხმებს, გამოიწვია გუთწლიანი დაწვრილებითი გეგმის შემუშავება, რომელსაც განზრახული აქვს საამისოდ სოჭის ოლქი გამოიყენოს. ამ გეგმის განხორციელება 9.204.000 მანეთს მოითხოვს მთავრობისაგან, რომელიც 2.323.000 მან. დაუბრუნებლად, დანარჩენს, კი გრძელვადიანი სესხის სახით გაიღებს. ხოლო ჭარბი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ამ ღონისძიების შემდეგ მაინც დარჩება, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებამ, მრეწველობის განვითარებამ და ხელოსნობამ უნდა დააკმაყოფილოს, ნაშთი კი მეორე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით მოეწყობა საბჭოთა კონტინენტის სხვა კუთხეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეხნიკური კოლექტიური მუშაობა საქართველოში

სოციალიზმის აშენების თეორიული სურვილი ან კომუნიზმისადმი დაუძლეველი სწრაფვა როდი ეზიდება კოლექტივისაკენ გლეხობის მასას, დღემდე რომ ისეა სოფელში დაბმული, როგორც საკონცენტრაციო ბანაკში (ლენინმა თვისი გამჭრიახი გონებით უკვე აღნიშნა ეს გარემოება), არამედ თვისი უკიდურესი გაჭივრება და სილარიბე. გლეხმა კარგად შეიგნო, რომ მარტოდ-მარტო იგი ამ დაბრკოლებას ვერ დასძლევს. კოლექტიური მოქმედება საუკეთესო გადაწყვეტაა იმ საკითხისა, რომელიც დადებით მუშაობის წინაშე აღიმართება. უპირველესი ამოცანა სწორედ ის იყო, რომ ეს შეგნება უფროდაუფრო გავრცელებულიყო გლეხობაში, მით უმეტეს, რომ რევოლიუციის ხანაში ბნელსა და მოტყუებულ გლეხს რეკვიზიციის სახით აიძულებდენ მონაწილეობა მიეღო საერთო საქმეში (ზოგან და ზოგიერთს პირობებში, 1921 წლიდან მოკიდებული, როცა რეკვიზიცია ნატურის გადასახადით იქნა შეცვლილი, ამ გვარ დაბრკოლებას კიდევ აქვს ადგილი).

საბჭოთა მთავრობას ხელთ უპყრია მოქმედებისა და განხორციელების საშუალებათა მაქსიმუმი, მაგრამ ეს საშუალებანი უსაზღვრო როდია. მას არ შეუძლია დეკრეტის ძალით დაამყაროს სოფლის მეურნეობის აყვავება. ამიტომ 1922 წლიდან შეუდგენ მოსახლეობის ერთგვარს „გარშემოკრებას“, მობილიზაციას, რომელიც სასოფლო კოლექტივების უჯრედთა დახმარებით სწარმოებდა; ეს უკანასკნელნი, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, მწარმოებელი კოოპერატივების მზგავს ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ამავე დროს ეწყობოდა გლეხთა კოლექტივები ყველგან

საბჭოთა კავშირში. ეს არის პირველი ყალიბი ეფექტიური ურთიერთ დახმარებისა, მუშაობის გადიდება ძალთა გაერთიანებით და ერთ-ერთი ეტაპი სოციალიზაციისაკენ. აი ეს ორგანიზაციები, რომლებიც სრულიად ახალი მოვლენაა. კავშირში, განსაკუთრებით კი საქართველოში, მშრომელთა ისეთ დაჯგუფებათ წარმოადგენენ, სადაც სოფლის ყველაზე უფრო კომპეტენტური, ინტელიგენტური და აქტიური ელემენტები იყრიან თავს და რომელთაც უწინარეს ყოვლისა ტეხნიკური და აღმზრდელობითი ამოცანა უდგასთ წინ. 1926 წ. საქართველოში უკვე 46 ასეთი დაჯგუფება იყო. ამჟამად ისე ადვილი აღარაა ამ კოლექტიური სხეულების ჩამოთვლა, რომლებიც კოლექტივიზმის იდეას ავრცელებენ და საქმით ამტკიცებენ, რომ ორგანიზაციული გაერთიანება, საითკენაც გლეხი ინსტიქტურად მიიწევს, ეკონომიურად ყველაზე უფრო სასარგებლოა. გლეხისათვის ამ ფაქტზე უფრო მჭერმეტყველი რა უნდა იყოს, რომელსაც აქ, მრავალ სხვა ფაქტთა შორის, მაგალითისათვის დავასახელებ და რომლის დანახვაც ყველას ადვილად შეუძლია: ერთი ნაჭერი მიწის დახვნასა და დათესვას ორჯერ ნაკლები დრო სჭირია კოლექტიურსა და სახელმწიფოს მეურნეობაში, ვიდრე კერძო მეურნეობაში (თუნდაც კულაკურ სხვილ მეურნეობაში). კოლექტიური მეურნეობისა მოსავალიც გაცილებით მეტია, შეიძლება ითქვას, ორმაგი. ამ კოლექტივების ქსელის განვითარება დამყარებულია მთავრობის ღონისძიებებსა და სავაჭრო და მომხმარებელი კოოპერატივების ორგანიზაციებზე. მაშასადამე, მათი მუშაობა ერთსა და იმავე დროს კულტურულიც არის, ტეხნიკურიცა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საპროპაგანდოც: იდეის გაკვეთილიც არის და საქმის გაკვეთილიც. ამ კოლექტივების თაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნობა იმაში მდგომარეობას, რომ განსაზღვრულ ცხნო-ფლო გაერთიანებაში, საჭიროების მიხედვით, მოაწყოს: კულტურათა რაციონალური შემოღება მიწების თვისების გვარად, მუშაობის ხერხის გაუმჯობესება, მოსახლეობაში აგრონომიული ცნობების გავრცელება, „სამაგალითო ნაკვეთების“ შექმნა, უმთავრესად ტეხნიკური კულტურებისთვის (რითაც ინდუსტრია იკვებება), საქონლის მოშენება და მისი ჯიშის გაუმჯობესება, ბრძოლა მავნე მწერებისა და ცხოველების წინააღმდეგ, აგრეთვე ცხოველთა და მცენარეთა სენის წინააღმდეგ, მიწის მექანიკური დამუშავება და სხვ.

სამეურნეო იარაღები საქართველოში

ომის განმავლობაში ეს იარაღები გაცვდა, მოიშალა, დაინგრა, ხოლო რაც ვადარჩა, შეუძლებელი-ღა იყო მისი შეკეთება. საბჭოთა ხელისუფლებას სახნავ-სათესი იარაღების სრული კრიზისი დახვდა საქართველოში. 1924 წ. კოოპერატიული სისტემის განვითარების წყალობით პროგრესი უკვე თვალსაჩინო იყო, ხოლო 1925 წლიდან მანქანების მიწოდება გეგმიანად სწარმოებს.

ამჟამად საქართველოს მოეპოება 25.000 გუთანი, 3200 ფარცხი, 250 სათესი მანქანა, 650 სამკალი და 530 ცხ. ძალის სალეწი მანქანა, თუმცა კი ამ იარაღების შესაკეთებელი სახელოსნოები და მანქანების პერსონალი სათანადო სიმაღლეზე ვერა სდგას.

თვითმპყრობელობის დროს საქართველოში იყო მხოლოდ შვიდი ტრაქტორი, რომელიც ომმა დააუქმა. ტრაქტორების შემოტანა 1922 წლიდან დაიწყო და 1923 წ. ბოლოს 42 იყო, ხოლო 1926 წლ. ნოემბერში კი—147.

სატრაქტორო ხუთთვიანი კურსები გაიხსნა 1924 და 1925 წ.წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლიანი გეგმით საქართველოს სასოფლო მეურნეობის მექანიზაციისთვის გათვალისწინებულია ათი მილიონი მანეთი (130 მილ. ფრანკი). ეს ხარჯი, რომლის ნაწილსაც მთავრობა გაიღებს გრძელვადიანი სესხის სახით, ნაწილს ადგილობრივი ბიუჯეტები და საწარმონი, დანიშნულია სატრაქტორო კურსებისთვის, სხვადასხვა ტიპის მანქანების შესასწავლი სადგურისთვის, ნიადაგის მიხედვით მანქანების შერჩევისთვის (98.804 მანეთი, რასაც სახელმწიფოს ბიუჯეტი გაიღებს), მანქანების შესაკეთებელი ოცი ქარხნისთვის (500.000 მან., ინსტრუქტორებისა და სპეციალისტების დამატებითი პერსონალის შესანახავად და სხვ.

წყალთა რეჟიმი საქართველოში

წარმოიდგინეთ, რომ მე XII—XV საუკუნეებში წყალთა მეურნეობა საქართველოში ერთობ განვითარებული იყო. ამ უძველესი დროიდან, როცა წყლის ყიდვა-გაყიდვა აკრძალული იყო და მის რაოდენობას უმაღლესი ხელისუფლება განაგებდა და ანაწილებდა, წყალთა მეურნეობის საქმე სულ უკან და უკან მიდიოდა. ვახუშტის ცნობილ გეოგრაფიაში მოხსენებულია არა თუ საქართველოში დღესაც არსებული არხები, არამედ ბევრი სხვაც, რომელთა კვალი დროთა ვიცვარებისა გამო—და ადამიანთა ხელითაც—წაიშალა და რომელთა აღდგენისთვის დღეს მუშაობენ. საბჭოთა მუშები, რომლებიც საამისოდ შრომობენ, გათხრის დროს ხშირად წააწყდებიან ხოლმე იმის ნაშთებს, რაც მე-XVI საუკუნეში შა-აბაზის შემოსევას გაუოხრებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება თვითმპყრობელობას, იგი 90 წლის განმავლობაში ჰფიქრობდა, შემოვიღო თუ არა წყალთა კანონმდებლობაო. ამ კანონმა, როცა იგი, ბოლოს და ბოლოს, 1891 წ. გამოიცა, მილიონები ჩაუყარა ხელში ჩინოვნიკებსა და მხოლოდ საუფლისწულო-სახელმწიფო მიწებს მჭრუნველობდა. მარიენფელდის დიდი არხი, რის გაყვანასაც ხუთმეტი წელი დასჭირდა, თითქმის დამთავრებისთანავე დაიქცა; თვითმპყრობელობისეული მეორე არხი კი (ყარაიაშია) „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას გადასცეს და ამან მორწყულს მიწებზე დასასახლებლად რუსეთიდან რუსები მოიყვანა.

რევოლიუციის შემდეგ მენშევიკურმა „წყალთა სამმართველომ“ რამოდენიმე პროექტი შეიმუშავა, მაგრამ განხორციელებას კი ვერცერთი ეღირსა. მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან დაიწყო არხთა შენების ახალი ეტაპი. 1921 და 1922 ნ. დაიწყო 12 ახალი არხის შენება, რომელთაც 49.300 დესეტინა უნდა მორწყონ. 1923 წ. დაარსდა „ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობა“, კავკასიის წყალთა მეურნეობას რომ განაგებს, ხოლო 1925 წ. კი ასეთივე ქართული ორგანო. ამ ორმა დაწესებულებამ, ახალციხის ჰიდროელექტრონის სადგურს გარდა, დაიწყო ექვსი არხის გაყვანა, რომელთაგანაც ალაზანის ველის არხმა 51.000 დეს. უნდა მორწყოს, ტირიფონისამ—30.000, ხოლო ექვსივემ ერთად კი—102.000 დეს.

1926—27 წ. ყველა ეს პროექტი ირიგაციის მხრით 30%-ით იყო განხორციელებული, მიწის სამუშაოების მხრით კი—70%.

საქართველოში კი 790.000 დესეტინას მორწყვა

ესაჭიროება, ხოლო 168.000 დეს. (როგორც ზემოდ ვნახეთ) დაწრეტა.

ამ უზარმაზარ სამუშაოს ითვალისწინებს ხუთწლიანი გეგმა. საგეგმო კომისიას ნავარაუდევი აქვს მტკვრის, ხრამის, ალაზნისა და იორის ბასეინების ხელოვნური მოწყობა.

ის პროექტები, რომელთა განხორციელებაც ამ კომისიამ ამიერკავკასიისა და საქართველოს წყალთა მეურნეობის ორგანოებს მიანდო, შემდეგს მნიშვნელოვან თავებს შეიცავენ: კოლხეთის ჭაობების დაწრეტა, ასიათასი დესეტინის სივრცეზე, შავი ზღვის პირად (მარტო საამისო საგამოკვლეო მუშაობას სჭირდება 160.000 მან.); აფხაზეთის ჭაობების დაშრობა, აგრეთვე აჭარისტანისაც; ვანი-ტობანიერის რაიონის მორწყვა; სამურზაყანოს არხი; მორწყვა ნაგომარის მიდამოების; მტკვრის მარცხენა ნაპირის, (1 მილ. 800.000 მანეთი), აშურიანის ველის, დიღმის, სოლანლუღის ველების (1 მილ. მან.), ყარაიას ველის (2 მილ. მან.) სამგორის (8 მილ. მან. 100 მილ. ფრანკი), ელდარის მინდვრის, ალაზნის მარჯვენა ნაპირისა (3.475.000 მან. და შირაქის რაიონისა (800.000 მან.) და დასასრულ, ძველი ქსელების აღდგენა და უკვე დაწყებულის დამთავრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუთწლიანი გეგმა

აქ უკვე ფრჩხილები უნდა გავხსნა ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც ზემოდ რამდენჯერმე ვახსენე. ხუთი წელი ჰქვია ხანას 1926—1931 წლებს შუა. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა უმაღლესმა დაწესებულებამ, ეკონომიურმა საბჭომ წინდაწინვე გამოარკვია ამ გეგმის მთავარი ეკონომიური საფუძვლები, დაწყებული სათანადო თანხების რაოდენობისა, სამუშაოთა რიგიდან და გათავებული ხელფასის მომატებათა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით. სახელმწიფო საგეგმო კომისიას გათვალისწინებული აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა და სოციალური შინაარსი ეკონომიური დარგის მომავალ სამუშაოთა. ხუთწლიანი გეგმა ნაყოფია უმაღლესი იერარქიული დაწესებულებისა და იმ მცოდნეთა და მეცნიერთა თანამშრომლობისა, რომლებმაც, დიდ გამოცდილებასთან ერთად, ზედმიწევნით იციან საბჭოთა ქვეყნების საჭიროებანი და შესაძლებლობანი. ამათ შორის მოსახსენებელია სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის კრჟიჟანოვსკის სახელი.

საგეგმო კომისია შეიქმნა 1921 წ. ნაცვლად სახელმწიფო საელექტროფიკაციო კომისიისა, რომელმაც 1920 წ., გაცხარებულ სამოქალაქო ომის დროს, მე VIII ყრილობას ჰიდროელექტრონულ სამუშაოთა ფართო პროგრამა წარუდგინა.

ამ კომისიას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა 1924

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიდან, როცა საბჭოთა კავშირი, რკინის გზებისა და არსებულ სამრეწველო დაწესებულებათა შეკეთებისა და ამუშავების შემდგომ, ახალ ფართო აღმშენებლობის გზას დაადგა.

საგეგმო კომისიის მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული წლისთვის იგი ადგენს „საკონტროლო ციფრებს“: მცხოვრებთა მოძრაობის, მრეწველობისა და სასოფ. მეურნეობის პროდუქციის, იმპორტისა და ექსპორტის, შემოსავლის, ხარჯთაღრიცხვის, მრეწველობის სამუშაობის, ტრანსპორტისა და ბინათა მშენებლობისთვის.

მის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ისეთი გეგმის შემუშავება, რომელიც სახალხო ეკონომიკის ყველა დარგს შეიცავს ათი-თხუთმეტი წლის განმავლობისათვის; იგივე ადგენს უფრო კონკრეტიული პერსპექტივების გეგმას ხუთი წლისთვის. საგეგმო კომისიას თავისი განყოფილებანი ყოველ საადმინისტრაციო კუნჭულში, ესე იგი, კავშირის ყოველ კუთხეში.

ხუთწლიანი გეგმა, ხელისუფლების მიერ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, აღმასრულებელ ძალას იძენს.

მაგრამ იტყვიან: ეს ხომ მომავლის ჰიპოთეზებია, ქაღალდზე ადვილად ჩამოსაწერი და საზოგადოებისათვის თვალის ასაბმელიო! ხოლო ზოგიერთ ჩემს თანამემამულეთ, რა კი დასავლეთელი ბატონებისა და მინისტრების დაპირება აღთქმას გაიხსენებენ, ამ მომავლის სტატისტიკის გამო პირზე ღიმი მოუკათ. ესენი ვერავითარ განსხვავებას ამჩნევენ ბურჟუაზიულ დემოგოგიის კეთილ განზრახვათა (რაც ამრჩეველთა თუ არჩეულთათვისაა დანიშნული) და იმ სერიოზულ და საფუძვლიან სოციალისტ მოანგარიშეთა სიმმართლეს შორის, რომელთაც ისეთი საკომანდო ადგილები უპყრიათ, როგორიც მთელს დედა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წის ზურგზე სახელმწიფოს თუ პოლიტიკური პარტიის არც ერთ მეთაურს არ გააჩნია, რადგან ესენი ამ შემთხვევაში ერთს და იმავე დროს, როგორც ვიცით, არა თუ მხოლოდ, კანონმდებლები არამედ, მრეწველობისა, ტრანსპორტისა, მიწისა და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ნაციონალიზაციის გამო, აგრეთვე აღმსრულებლებიცა და პატრონებიც არიან.

საქმე აქ ბიუროკრატებისა თუ ლიტერატორების მიერ ციფრებითა და სიტყვებით სპეკულაციას როდი ეხება, არამედ ნამდვილ დირექტივებს. თვალდახუჭულნი კი არ დაბოჩინებენ შესაძლოებათა თუ ოცნებათა შორის, არამედ ისახავენ მიზნებს, ადგენენ ნამდვილ ციფრებსა და უტყუარ სტატისტიკას.

საგეგმო კომისია პრაქტიკულ შესაძლოებათ უწევს ანგარიშს. იგი ანგარიშს უწევს მუშის მატერიალურსა და მორალურ ინტერესს, მუშათა საერთო ინტერესს, ესე იგი, ახალ რუსეთს მთლიანად. იგი მხედველობაში ღებულობს ეკონომიური განვითარების მოვლენათა ურთიერთობასა და ურთიერთ ზეგავლენას. იგი ინტეგრალურად აწესრიგებს — და საშუალებაც აქვს საამისოდ — მუშაობის განაწილებას წარმოებისა და პროდუქციის ყოველ დარგში. იგი ფაქტიურად აწესრიგებს და ხელმძღვანელობს ეკონომიკას, — ხანდახან კი ისიც მოხდება, რომ ზოგიერთი მეტად სწრაფი განვითარება შეანელოს ხოლმე, მისი უდროობის გამო.

აი ამიტომ საგეგმო კომისიის ციფრები ისე უნდა განვიხილოთ, როგორც მიღწევა და არა როგორც სათუო რამე. და როცა, ის გვეუბნება, რომ საბჭოთა მრეწველობა 1931 წ. 8% ით იმატებს, რომ ეკონომიკის აღორძინებას 7 მილიარდი მოხმარდება, პროდუქციის თვითღირებულების ხარჯი 24% დაიკლებს, ხელფასიც ამდენსავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტს იმატებს, რომ ელექტროსადგურები 3.500.000 კილოუატს მიაღწევენ, ციმბირ-თურქესტანის რკინის გზა 1400 კილომეტრზე გაიჭიმება, რომ სტალინგრადის ქარხანა წლიურად 10000 ტრაქტორს გამოუშვებს, მოსკოვისა კი ყოველ წელს 10000 ავტომობილს შეგვძენს, რომ ვოლგა-დონის არხი განხორციელების გზას დაადგება— ხუთწლიანი გეგმის სხვა განსაცვიფრებელი ვარაუდი რომ აღარ ჩამოვთვალოთ,—უნდა აღვიაროთ, რომ ყველაფერი ეს უკვე სინამდვილეში არსებობს და მხოლოდ კატასტროფას (როგორიცაა ომი) შეუძლია მისი განხორციელების შეფერხება.

დასასრულ, საგეგმო კომისია უკვე მრავალი წელია, რაც არსებობს და მისი ვრცელი ნაკარნახევი ყოველთვის განხორციელებულა, ჭარბადაც კი: 1922-23 წ. 109%-ით. 1923 წლიდან ყოველს დიდ დარგში (მრეწველობისა და სათბობი მასალის პროდუქციაში, ტრანსპორტზე) საგეგმო კომისიის ციფრები საშუალოდ 105%-ით გამართლებულა. საბჭოთა ეკონომიკის მეტად სწრაფი განვითარების გამო, ძნელია ზედმიწევნითი ციფრების საზღვრის პოვნა, იგინი ერთობ „დროებითია“ და მათ სრბოლაში ველარ ერკვევი. სწორედ საგეგმო კომისიის უტყუარი ვარაუდის სინათლეზე სჩანს საბჭოთა ეკონომიკის მნიშვნელობა და სიდიადე.

აქ, ვიდრე სადმე სხვაგან, მომავალი მომქმედი აწმყოა.

სასოფლო მეურნეობა საქართველოში

ამჟამად საქართველოს სასოფლო მეურნეობამ საერთოდ ომის წინადროინდელ შემოსავლიანობას მიაღწია.

მთავარი ყურადღება ექცევა ნიადაგის მიხედვით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კულტურების შერჩევისა და ერთი კულტურის მეორეთი შეცვლას, რაც გლეხისთვისაც უფრო ხელსაყრელია და საბჭოების კოლექტივობისთვისაც გამოსადეგი. ამ მოსაზრებით, ზოგიერთს კუთხეში შეამცირეს ბრინჯის ნათესობის სავრცე, რაც თვისი ჭაობიანობით მალარიის მძაფრ ბუდეს წარმოადგენდა; ჩაის პლანტაციებისთვის გამოიყენეს ისეთი ადგილები, რომლებიც სხვა კულტურების მჭლე მოსავალს იძლეოდენ; ზოგიერთს მთიან რაიონში პურეულობის კულტურა საძოვრებით შესცვალეს მესაქონლეობის განსავითარებლად; გააძლიერეს და ზოგან ახლად შემოიღეს მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა.

ლაბორატორიებისა და საცდელი ყანების სიმრავლის გამო შესაძლებელი გახდა მარცვლეულობის ღირსებისა და პროდუქციის თვალსაჩინო მატება. გარდა ამისა, ძველი გზების აღდგენისა და ახლების გაყვანის წყალობით სასოფლო მეურნეობის პროდუქციას გასაღების საშუალება მიეცა. აშენდა მრავალი ახალი ხიდი. ყველა ეს ნამუშევარი გარდაქმნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშთაგანი საქართველოში მოგზაურისთვის. თითქმის ყველგან იგი ჰხედავს გაჩაღებულ მუშაობას: ჰიდროელექტრონის სადგურებს, სხვადასხვაგვარ ქარხნებს, სხადასხვანაირ საზოგადო სამუშაოებს. შეუძლებელია გონებაში არ აღგებეჭდოს ამ ქვეყნის გაჩაღებული მუშაობის სახე.

აჭარისტანის ავტონომიურს პატარა რესპუბლიკაში — 135 კილ. ახალი გზები, რომელთა შორის 90 კილ. უკვე გაკეთებულია, 10 ხიდი — და ყველაფერი ეს სამი წლის განმავლობაში.

გავლით ერთს მაგალითზე უნდა შევჩერდე (იგი იმ თავიდან გამოსხლტა, სადაც ინდუსტრიაზეა ლაპარაკი). აი ერთი პატარა დაბა, ხულო. გუშინწინ იქ აჭარელ გლეხს

გამწარებული ცხოვრება ჰქონდა. დაბა ტყეებითაა გარშემორტყმული. ჰოდა, ერთ-ერთმა მუშაკმა, რომელსაც იქაურობის გამოცოცხლება ხვდა წილად, მიამბო როგორ შეუდგა საქმეს ადგილობრივი მრეწველობისთვის საძირკვლის გასასკვნელად: ტყის ექსპლოატაციის საქმეს: „ჩვენში ტყეები საჭიროზე უფრო მეტია. გვაქვს გასასყიდიც. და გამოირკვა, რომ ჩვენებური ხე-ტყე ჩინებული ღირსებისაა. სწორეთ ისეთი რასაც მუსიკალური იარაღების საკეთებლად ხმარობენ. წინედ ამგვარ ხეს არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ. და აი სამი წლის წინედ საქმეს შეუდექით და ახლა 200000 კუბ. მეტრი ხე-ტყე გაგვაქვს უცხოეთში გარდა იმისა, რაც ადგილობრივ გვესაჭიროება. ხე-ტყეს ტივებით და ხარის ურმებით ვეზიდებით ბათომის რკინის გზამდე. მთელი ახალი პაწია სამყაროს შექმნა დაგვჭირდა აქ: გზების გაყვანა, ხიდების გადება, სამი მექანიკური სახერხავის მოწყობა, ტყის მოვლის რეგლამენტაცია და სხვ. ამჟამად გლეხი კმაყოფილია და კარგად იცის ხისა და ტყის ღირსება-დაზოგვა“.

მაგრამ ყველაზე ხშირად, ამიერკავკასიაში ჩემი ყოფნის დროს, ასეთი სიტყვები მესმოდა ხოლმე: ეს ჯერ კიდევ არაფერია, რაც დღემდე გაგვიკეთებია. მომავალში უფრო მეტია გასაკეთებელიო! (ს. ს. რ. კ. სხვა ადგილებში იგივე გაისმის ყოველ ნაბიჯზე).

ხილის მოსავალს (ვუბრუნდები ზოგად მიმოხილვას) ჯერ კიდევ ომამდე ჰქონდა განვითარების დიდი იმპულსი. მენშევიკური მთავრობაც ყურადღებას აქცევდა მას, სახელდობრ, მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლას. გასაბჭოების შემდეგ მუშაობა უფრო მეტის ენერგიითა და მეთოდიურობით განახლდა არა მარტო მწერების წინააღმდეგ, არამედ ყველა სხვა დარგშიც. ომამდე საქართვე-

ლოდან გაჰქონდათ 80.000 ფუთი ხმელი ხილი. 1924 წ. კი მარტო გურიიდან გაიტანეს 43.000 ფუთი. მაგრამ ეჭ ერთი დაბრკოლებაც წამოიჭრა, რაც ჯერ კიდევ დაუძლეველია. ტრანსპორტის ხარჯი დღესაც ერთობ დიდია (ერთი რონოდა გამხმარი ხილის მოსკოვამდე მიტანა 2500 მანეთამდე ჯდება!). გარდა ამისა, არც ხილის შესანახავი ადგილებია საკმაო. მოსავლის მხოლოდ ერთი მეასედის გახმობაა შესაძლებელი. რასაკვირველია კარგად განუახლებიათ, პროდუქციის გადიდების მხრით, გურიის საკონსერვო ქარხანა. მეორეც ს. ტყვიავში ააგეს 1926 წ. ფართო მაშტაბით შესდგომიან აგრეთვე ხეხილის კულტურასა და ხილის ინდუსტრიას (და ბოსტნეულობისასაც). ამ მიზნით ყოველწლიურად აშენებენ 20 დეს. სივრცის სანერგეებს. იხსნება სპეციალისტების მოსამზადებელი კურსები. ადგილობრივად იგზავნებიან ინსტრუქტორები და ინსპექტორები. შენდება საწყობები (300.000 მან.), ნიგვზისა და თხილის სარჩევი ქარხნები, ორი საკონსერვო ქარხანა,—ერთი ხილისა და ერთი მწვანილსა (130.000 მან.), თესლეულობის სელექციას კი 50.000 მან. მოხმარდება.

ბამბის კულტურას, რაც საქართველოში მნიშვნელოვანია და 1909 წლიდან 1914 წლამდე თვალსაჩინოდ ვითარდებოდა. ჯერ კიდევ არ მიუღწევია ომის წინადროინდელი დონისთვის. მაშინ საქართველოში ბამბის ნათესებს 11.900 დესეტ. ეჭირა. 1922 წ. 900 დეს. ცოტა მეტი; 1926 წ. კი—8.666 დეს.

ვისაც ბამბის მოსავლის გადიდება სურს, მან უწინარეს ყოვლისა მისი ღირსება უნდა აღამაღლოს. ამ მიზნით ორი საცდელი სადგურია გამართული ყარაიასა და აჯამეთში. ამ საცდელი და სასელექციო-სარჩევი მუშაო-

ბის ნაყოფიერად წარმოებას დიდი ხარჯი სჭირია. საბ-ჭოთა მთავრობამ კარგად შეიგნო ესა და ამ მიზნისთვის 80.100 მან. დახმარება გაიღო. მაგრამ ამაზე მეტია საჭირო: აუცილებელი გახდა მებამბეებისთვის ახალი სამუშაო იარაღების მიწოდება, საამისო ხარჯი 115.000 მან. უდრის (განზრახულია 58 ტრაქტორის მიწოდება). გათვალისწინებულია აგრონომებისა და ინსტრუქტორების რიცხვის გამრავლება. განზრახულია მოსამზადებელი კურსების დაარსება მებამბეთა მოსახლეობის „კულტურული დონის" ასამაღლებლად, რასაც ამ ახლობელ წლებში 166,000 მანეთი დასჭირდება. 50.000 მანეთი გადადებულია მავნე მწერების წინააღმდეგ საბრძოლველად, რისი მეცნიერულად შესწავლა 1925 წლიდან დაიწყეს. ამავე წელსა და ამავე მიზნისთვის 3500 მანეთი დახარჯულა, 1926 წ. კი 6000 მან.

რა თქმა უნდა ის ადგილიც უნდა გაფართოვდეს, რაც საქართველოში თამბაქოს კულტურას უჭირავს. 1926 წ. თამბაქოს პლანტაციებს 12.000 დეს. ეკავა, 15.000 დესეტინაზე ცოტა მეტი, ვიდრე 1914 წ. (ნუ დაივიწყებთ რომ 1921 წ. ამ კულტურას მხოლოდ და მხოლოდ 40 დეს. ეჭირა). საჭიროა—და ენერგიულად შეუდგენ კიდეც ამ საქმის მოგვარებას—საქართველოს თამბაქოს ექსპორტის გაძლიერება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა—ბაჟის დაკლება, რაც ერთობ მაღალია, შემდეგი კი ტეხნიკის რაციონალიზაცია, რითაც ნაწარმოები გაიაფდება. გარდა ამისა, საჭიროა საქართველოს სხვადასხვა კუთხის კლიმატიური შესწავლა და იქ ცდების მოხდენა თამბაქოს ღირსების შესარჩევად; საექსპორტო თამბაქოს სტანდარტიზაცია; რეგულიარული კრედიტი საბრუნავი თანხის შესაქმნელად. ამ დებულებათა მიხედვით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალისწინებულია, ან უკეთ, გადაწყვეტილია, რომ 1931 წელს თამბაქოს პლანტაციების სივრცე 19.000. დეს. იქნება, მოსავალი 1.175000 ფუთი ფოთოლი და მისი ღირებულება კი 23.500.000 მანეთი. ამ პროგრამის განხორციელებაში ნავარაუდევია ს. ს. რ. კ. მონაწილეობა 3.445.000 მ რაოდენობით (დაახლოებით 45 მილიონი ფრანკი).

რაც შეეხება მეღვინეობას, რაც საქართველოს სასოფლო მეურნეობის ყვლაზე უფრო მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს, საბჭოთა მთავრობას აქაც აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია განსაზღვრულ ღონისძიებათა ხმარება ამ კულტურის დასაცავად, განსავითარებლად და გასაუმჯობესებლად: აგრონომიული პერსონალის გამრავლება, კურსების მოწყობა, სანიმუშო ნაჭრების შექმნა, კომუნალური მარნების აშენება (არსებული მარნები ერთ მილიონ ვედროზე მეტს ვერ იტევენ და მათი მოცულობა ნახევარჯერ უნდა გადიდდეს), ვენახების განახლება, შესწავლა ფილოქსერისა (რაც საშინელ ზარალს აყენებს იქ), ამერიკული სანამყენო ვაზის სანერგეები (250 დეს., რაც ორჯერ გაადიდებს არსებულს), 27 სათბურის მოწყობა; ბრძოლა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ (თითო კონტროლერი ყოველი 4.500 დეს. ვენახისთვის, ღვინის რვა კონტროლერის დამატებით).

საქართველოს ღვინის წლიური მოსავალი ამჟამად შვიდ მილიონ ვედროს უდრის, რისი ნახევარიც ადგილობრივ სახმარად რჩება.

მრეწველობა საქართველოში

თვითმპყრობელობის დროს მრეწველობა სოფლის მეურნეობაზე კიდევ უფრო ნაკლებ იყო განვითარებული სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოში. ინდუსტრიის ასეთი ატროფია პოლიტიკური მიზეზით იყო გამოწვეული და არანორმალურ მდგომარეობას წარმოადგენდა, რადგან საქართველოს ნიადაგი მრავალს ისეთ მასალას შეიცავს, რაც სავსებით დააკმაყოფილებდა სხვადასხვა ფაბრიკასა თუ ქარხანას, ხოლო ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობაც ერთობ ხელსაყრელია კომერციული ურთიერთობისთვის.

გასაბჭოების შემდეგ, ე. ი. ექვსი წლის განმავლობაში, როგორც უტყუარი სტატისტიკის ციფრები გვიჩვენებს, საქართველოში მრეწველობისთვის გაცილებით მეტი გაკეთდა, ვიდრე მთელი წინანდელი საუკუნის განმავლობაში.

მრეწველობის პროდუქცია 1927 წ. შემდეგის ციფრებით გაიოიხატება (ათას მანეთობით): აბრეშუმი — 6.309 მ., ხე-ტყე—4.964 მ., თამბაქო—3.881., სხვადასხვა ლითონი —2.256 მ., სპირტეულობა—1.051 მ. სულკი—28.010.000 (1924 წ. 13 მილიონზე ცოტა მეტი, 1925 წ.—19 მილ. 1926 წ.—22 მილ.). ხუთწლიანი საბუთიანი გეგმით მრეწველობის პროდუქციის ზრდა მომავალი წლებისთვის ასეა ნავარაუდევი: 35-50,55 მილ. მან.

არსებული ფაბრიკებისა თუ ქარხნების გასაუმჯობესებლად და ახლების შესაქმნელად 1924 წ. დაიხარჯა 1.293.600 მან., 1927 წ.—6.473 000 მან. „გეგმის“ ხუთი წლის განმავლობაში ამავე მიზანს 28 მილ. მანეთი მოხმარდება. ყველა ამ თანხიდან 60,9% იძლევა „მჩაგვრელის“—ს. ს. ს. რ. კავშირის ბიუჯეტი, 39,1% კი საქართველოს რესპუბლიკა.

ტეხნიკური აღზრდა-განათლებისა და მექანიზაციის წყალობით შრომის ნაყოფიერების ზრდამ საშუალება მისცათ, რომ პროდუქციის თვითღირებულება, ს. ს. რ. კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკრეტის ძალით, საშუალოდ 8% შემცირებულიყო, მხოლოდ სოციალისტურ მთავრობას შეუძლია ასეთი დეკრეტების გამოცემა.

სოციალიზაციაქმნილი პროდუქციის (სახელმწიფოსი, და კოოპერაციისა) წილი 1924 წ. შეადგენდა 85,7% 1926 წ. კი 90,3%. კერძო მრეწველობა, მაშასადამე, 1924-სა და 26. წ. შუა 4,6%-ზე, ე. ი. მე-7-ედან მე-10 წილამდე ჩამოვიდა.

მრავალი სამრეწველო მშენებლობა იწყება და ფართოვდება (ხე-ტყე, აბრეშუმი, შალი, მეტალურგია, ქაღალდი, ცემენტი, შაქარი...

ტფილისის ახლოს გამართულა მონუმენტალური საელექტრო სადგური, ნაკადისქუჩებიანი პატარა ქალაქი: უზარმაზარი შენობის მექანიკური სხეული მდინარეში ჩაძირულა, დატყვევებული წყალი სდღოს და ხუჭუჭა ნაკადებად ეხვევა გარს ლენინის ძეგლს. ეს ზაჰესია, რუსებისა და ქართველების ნამოქმედარი და არა უცხოელი კაპიტალისტებისა (ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ელიავა ამის შესახებ m-me ანდრე ვიოლისს უსაყვედურებს ტყუილი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებასო). ზაჰესი 38.000 ცხ. ძალას ანვითარებს. რიონჰესი, ქუთაისის ახლოს, — 20.000 ცხ. ძალას. დანარჩენი ახალი ჰიდროელსადგურები: აბჰესი (7.500), აჭჰესი (9000). ამჟამად უმთავრესი ესენია:

ნაჩქარევად, მაგრამ ზუსტად გადავავლოთ თვალი ამ შვენიერი ქვეყნის მრეწველობის აღორძინებას:

აბრეშუმი. ამ მრეწველობის განვითარებას აბრეშუმის სახელმწიფო ტრესტი ხელმძღვანელობს. მისი ცენტრი ქუთაისია. მთავარი ყურადღება ექცევა ტეხნიკური გაუმჯობესების მეთოდების შესწავლასა და მეაბრეშუმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის განათლებას. ამიტომაა, რომ მეაბრეშუმეობა, რომელიც წინედ მხოლოდ ზოგიერთ რაიონში არსებობდა, ამჟამად მთელ საქართველოს მოეფინა და შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობა ყველგან, უმთავრესად ქალები,—მთიანი რაიონების გამოკლებით,—აბრეშუმის ჭიას უვლიან.

ომამდე აბრეშუმის პარკი მთლიანად უცხოეთში გაჰქონდათ, გარდა სულ მცირე ნასახისა. ამჟამად კი ძაფად გააქვთ ს. ს. რ. კავშირში. ხოლო პარკის ექსპორტი, რომელიც ახლა ომის წინადროინდელი რაოდენობის 10%-ზე ჩამოვიდა, გაისად, უნდა ვიფიქროთ, მოგონებად-ღა დარჩება. აბრეშუმის ტრესტი მას ისეთ ფასად ჰყიდულობს, რომელიც 100-120% აღემატება ომის წინადროინდელ ფასს. მის საყიდლად ტრესტს 5.500.000 მან. ეხარჯება.

აბრეშუმის ახალი ქარხნები ქუთაისსა, ოზურგეთსა, ხონსა, თელავსა და სხვაგან (1.00.000 მან.) ამავე წლის განმავლობაში დასრულდება. ახლო მომავლის მიზანი ისაა, რომ ნედლი აბრეშუმი ადგილობრივ ქარხნებში დამუშავდეს. აბრეშუმის ტრესტმა აბრეშუმის ძაფის პროდუქცია წელს 46 ტონიდან 87 ტონამდე აიყვანა, აბრეშუმის ქსოველი კი 18000 მეტრ. 33.000 მეტრამდე. ეს შვენიერი საქონელი მტკიცედ განსაღვრულფასად იყიდება და მთლად საღდება.

თამბაქო. საქართველოს თამბაქოს ტრესტის საწარმოო ძირითადი თანხა 5 მილ. და ნახევარს უდრის. პაპიროსი, როგორც რუსეთისა, მუშტუკიანია. თვით თამბაქო ადგილობრივია, ქალალდი და კარტონი კი ს. ს. რ. კავშირიდან მოდის. ტფილისში თამბაქოს სამი ქარხანაა, კარტონისა კი ერთი, ქუთაისშიც თამბაქოს ერთი, ქუთაისშიც თამბაქოს ერთი ქარხანაა. წლიური პროდუქცია: 76.800 კილო თამბაქო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხე-ტყე. საქართველოს ხე ტყის წარმოება, რასაც ზემოდ ოდნავ შევეხეთ (ხულო), 1925 წელს იქნა სისტემატიურად მოწყობილი მთელს რესპუბლიკაში. უკანასკნელი წლების განმავლობაში ახალმწიფომ 2.649.000 მან. გაიღო ახალი ქარხნებისა და სახერხავების მოსაწყობად. გიაფართოვეს და გააუმჯობესეს ტფილისში, ახალციხეში, ფოთში და ენგურზე არსებული ქარხნები. მცხეთაში აშენდა ერთი დიდი ქარხანა მაგარი ჯიშის ხე-ტყისთვის (ს. ს. რ. კ-ში გასატანად). ერთი ახალი ქარხანა (შამგონის) სვანეთის უზარმაზარი ტყეების საექსპლოატაციოდ აშენდა. იქვე აშენებენ ქაღალდის ფაბრიკას, რომელიც 1 მილ. ფუთ ქაღალდს გამოუშვებს ყოველწლიურად. დამთავრდა საკასრო ქარხანა ბორჯომში (პროდუქცია 600.000 ფუტამდე). ეს ქარხანავე მიაწოდებს ს. ს. რ. კ. ზეთისა და კარაქის ჭურჭელს (აქამდე უცხოეთიდან შემოჰქონდათ). დასასრულ, გრეხილი ავეჯის ქარხანა მარელისში, რომელიც წლიურად 120.000 ცალ სკამს აკეთებს.

ხე-ტყის ტრესტი თვისი პროდუქციის 100% ასაღებს. მისი შემოსავალი 7 მილ. მან. უდრის. ეძლევა 3 მილ. სუბსიდია.

ამ წლის დამლევს ყველა ახალნაწყები ქარხანა აშენდება და ამუშავდება. ნაწარმოების ექსპორტი (განსაკუთრებით ს. ს. რ. კ-ში გასატანი მაგარი ჯიშებისა) ერთობ გაძლიერდება.

ლითონტრესტი იღებს და ამუშავებს რამდენიმე ჯიშის ბუნებრივ პროდუქტს, რომლითაც საქართველოს წიაღი ერთობ მდიდარია: ბარიტს, ლითოგრაფიის ქვის, ინფუზორიის მიწას, საშუშე ქვიშას, შავ-ქვას, ქვანახშირისა და სხვ. ყველა ამ პროდუქციის გადასამუშავებლად ბევრი არსებული ქარხანა გადაკეთდა და ახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც აშენდა. ასე, მაგ., ტყვიბულის მაღაროების ქვანახშირის პროდუქცია 26%-ით სჭარბობს ომის წინადროინდელ პროდუქციას. ლითონტრესტის მიერ 1926-27 წ. დახარჯული თანხა 518.000 მან. აღემატება, ხოლო აწინდელი ხარჯისთვის 848.000 მან. ნავარაუდევი. ტრესტის მთელი პროდუქციის ღირებულება—2.109.800 მან.—საკუთარი საწარმოო თანხითაა სავსებით უზრუნველყოფილი. მუშა-ხელი და მასალა საკმაოდაა ადგილობრივ; ხოლო პროდუქციის გასაღება ს. ს. რ. კ. და უცხოეთში სრულიად უზუნველყოფილია.

ლითონ-ტრესტმა ფეხზე წამოაყენა შემდეგი ქარხნები: ორჯონიკიძის სახელობისა, 26 კომუნარისა, კალინინის სახ. მეტალურგიული, სტალინის სახელობისა, სპილენძის ქარხანა: ყველა ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით, რასაც ჩამოთვლილი ქარხნის სახელებიც ადასტურებენ; აგრეთვე ელექტრონის სადგური ტოროშელიძის სახელობისა. ლითონტრესტმა 1927 წ. 3.270.000 მან. დახარჯა, ე. ი. ერთი მილიონით ცოტა მეტი შარშანდელზე. იგი აშენებს ერთს დიდ ქარხანას მთელი ამიერკავკასიისთვის. ტრესტის ეკონომიურ სექტორს ნედლი მასალის ნაკლებობა აწუხებს. სწარმოებს კვლევა და ძიება, სახელდობრ, ჩათახის რაიონში, სადაც ლითონის ძარღვები უკვე აღმოჩენილი იყო და მუშაობაც სწარმოებდა. ტრესტი განიცდის აგრეთვე ტეხნიკურსა და ფინანსიურ დაბრკოლებას თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. აბრეშუმის წარმოებისა და ელექტროფიკაციის ძლიერი განვითარების გამო მის ნაწარმოებთა მოთხოვნილებაც ერთობ გაიზარდა.

ტყავტრესტს ტფილისში აქვს სამი ქარხანა, ერთი ფეხსაცმლისა და ერთიც ქეჩის ფაბრიკა. ხუთივე ქარხა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნა 2.800.000 მან. დაჯდა. ტრესტს განსაკუთრებით დიდი ზომის ტყავეულობა მოეპოვება, მცირისას კი ნაკლებობას განიცდის. მოწყობილება საამდროოა, შენაკვეთიც იმდენი მოსდის (ს. ს. რ. კავშირიდან), რომ წარმოება მას ვერ აუდის. იგი ამჟამად დიდ ყურადღებას აქცევს წარმოებისთვის იმ აუცილებელი ელემენტების ადგილობრივ მოპოებას, რომლებიც წინედ უცხოეთიდან შემოდიოდა. ტრესტს ორი წლის განმავლობაში 324.000 მან. დაუხარჯავს. ძირითადი თანხა თითქოს არ ჰყოფნის, მიუხედავად ამისა, შრომის ნაყოფიერებამ 25%-დან 50% აიწია, ნედლი მასალის ფასმა კი 23%-ით დაიკლო.

საპონ-ზეთის ტრესტს ტფილისში სამი ქარხანა საპნის აქვს, ორი კი—ზეთისი (ღირებულება: 3.463.000 მ.). მთელი ნედლი მასალა ამიერ-კავკასიურია. განჯისა და ერევნის ქარხნების კონკურენციის გამო ტფილისისას, შესაძლებელია, ნედლი მასალის კრიზისი დაუდგეს. მაშასადამე, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ კულტურების განვითარებას, რომლებიც ტრესტს ჰკვებავენ. სარეცხი საპონი და სამანქანო და სამკურნალო ზეთეულობა ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ნაშთი ს. ს. რ. კავშირსა და უცხოეთშიც კი გადის ქვე-პროდუქტების სახით.

საფეიქრო ტრესტი. ერთი ქარხანა, ქუთაისში, წლიურად 100.000 მეტრ სხვილ შალსა ჰქსოვს ადგილობრივი მატყლიგან. ტფილისში ერთი ქარხანა ქეჩისა (1.000 ტონა ნაწარმ.), მეორე ბამბისა—600 ტონა. ნედლი მასალა 100.000 ფუთით სჭარბობს ბამბეულობის ნაწარმოების ოდნობას. ტფილისშივე აშენებენ მძლავრ ქარხანის, რომელიც ერთ მილიონ მეტრამდე ქსოვილს გამოუშვებს ყოველწლიურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბამ, ისე როგორც ლითოგრაფიამ და ყველა იმან, რაც „პოლიგრაფიაში“ შედის, ერთობ სამწუხარო მემკვიდრეობა დაუტოვა ძველიდან ახლანდელ თაობას. ყველაფერი შეაკეთეს, აღადგინეს, განაახლეს. ახალი ნაწილები ძველ მანქანებსა და ნახმარ აპარატებს მოარგეს. უცხოეთიდან შემოიტანეს როტატივები, ლინოტიპები და ყოველგვარი ხელსაწყო, რაც კი ამ მოლაპარაკე და მოაზროვნე ძველ ხელოვნებას ესაჭიროება.

ზემოჩამოთვლილი ტრესტების საერთო რიცხვის 40% საქართველოს მრეწველობაში შედის. იგი საქართველოს სმუს ხელში იმყოფება; სმუს პრეზიდიუმი ხელმძღვანელობს მას, იკვლევს გზებს, სწავლობს მეთოდებს, იძიებს საღსრებსა და ადგენს გეგმებს. იგივე უწევს კონტროლს, უთვალყურებს ახალ მშენებლობასა და აწესრიგებს მრეწველობის განვითარების ტემპს.

მუშის შრომა და მდგომარეობა საქართველოში

როცა ამიერკავკასიის ცხოვრების სხვადასხვა სახეს ვეხებოდი, მგონია, უკვე გიჩვენეთ თუ რამდენად წარმოადგენდა ეს ქვეყანა, მცირე მაშტაბით, რასაკვირველია იმ ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენათა ილიუსტრაციას, რომელთაც აღმოსავლეთი ევროპის ვრცელ ტერიტორიაზე თავი მოუყრიათ და თითოეული მათგანი თანმედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს კოლექტიურ პრობლემებს ეხება.

ქართველი მუშის მდგომარეობა სრული სისწორით გამოხატავს სამი რეჟიმის: თვითმპყრობელურისა, „დემოკრატიულისა“ და სოციალისტურის, დამახასიათებელ თვისებებსა და წინააღმდეგობათ.

იმპერიის ხანას აქ აღარ დაუბრუნდები. ვიტყვი მხოლოდ, რომ, როცა ქართველი მუშა თვითმპყრობელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მუხრუჭისგან განთავისუფლდა, მისი მდგომარეობა ოდნავაც არ გაუმჯობესებულა იმ ჰიბრიდულ რეჟიმში, რაც მენშევიკურმა ხელისუფლებამ ფეოდალური სისტემის ნაცვლად დაამყარა.

ეს ფაქტია, რაც თვით მენშევიკების ხელისუფალთა მიერ არის ხაზგასმით აღნიშნული. 1918—1921 წლების ხანაში მუშაობამ საშინელი გაჩანაგება განიცადა, რაც თანდათანობით მატულობდა. მრავალი საწარმო მოკვდა, ბევრიც ისე დაკნინდა, რომ თავის აჩრდილს-ღა წარმოადგენდა. გახშირდა მუშათა გამოსვლანი, მაგრამ უგეგმო და უმეთოდო. 1920 წლის ბოლოს, შრომის მინისტრი საჭიროდ აცხადებდა: „რომ ფინანსიური კრიზისი მატულობს, ეკონომიური მდგომარეობა თანდათან უიმედო ხდება, წარმოება კლებულობს“.

საქართველოს პროფკავშირთა პირველ ყრილობაზე, 1919 წ., შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ასე ლაპარაკობდა: „მუშები საზრდოს მინიმუმსაც ვერ ღებულობენ და მათი მატერიალური მდგომარეობა დღითი დღე ისე უარესდება, რომ სიმშილით სიკვდილს ემუქრება“. მეორე ყრილობაზე მთავრობის ოფიციალური განცხადება ასეთი იყო: „მუშათა კლასი გადაგვარების გზას ადგას... არც ერთი სოციალური ფენა ისეთს მდგომარეობაში არ იმყოფება, როგორშიც მუშათა კლასია ჩავარდნილი: მისი ყოფა კატასტროფიულია. მშრომელთა უდიდესი ნაწილი ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში სიმშილს განიცდის, გამოაქვს და ჰყიდის ავეჯს, საცვლებს. ზოგიერთს პერანგიც არ აბადია. შინ და ქუჩაში ჩამოფლეთილი დაიარება. სიშიშვლის გამო ბავშები სკოლაში ვეღარ წასულან. ავადმყოფობა და სიკვდილიანობა მატულობს. წარმოუდგენელია ამაზე მეტი გაჭირვება, რაც მუშაობაზე

ხელისაღებასა და გადაგვარებას იწვევს.“ შემდეგ შრომის სამინისტროს წარმომადგენელი უფრო გარკვევით ამბობს: „ხელფასის გაუგონარი სიმცირე მუშებს აიძულებს სხვა რამ საშუალება ეძიონ ფულის საშოვნელად. სცდილობენ ხელი მიჰყონ ვაჭრობასა და სპეკულაციას. დაუქმებული ქარხნების რიცხვი მატულობს“.

მენშევიკური მთავრობის ოფიციალური ცნობებით, რეალური ხელფასი 1919 წლ. დეკემბერში ომის წინადროინდელი ხელფასის ერთ მეოთხედს შეადგენდა (სახელდობრ, 25,65%). მრავალი ქანაობის შემდგომ, იგი 1920 წლ. აგვისტოში 24%-მდე ჩამოვიდა, ოქტომბერში—13%, დეკემბერში—8,6%.

ამ ცნობების მიხედვით, ჩვენთვის გასაგები ხდება კავკასიის გასაბჭოების ნამდვილი მიზეზი: ამ ქვეყანაში იგი სწორედ **მეორე რევოლიუცია** იყო, მუშისა და გლეხის ეკონომიური მდგომარეობით გამართლებული.

გასაბჭოების პირველ დღეებში მეტად ძნელი იყო ამ საშინელი მდგომარეობის გამოვარგება, რადგან განადგურებაც ერთობ დიდი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელფასმა განუწყვეტლად იწყო მატება: 1922 წ. იგი ომის წინადროინდელი ხელფასის უკვე 43% წარმოადგენს. 1926 წ. კი ზოგიერთს დარგში კიდეც აჭარბებს ამ პროცენტს (დამატებითი სამუშაო საათების შემოკლებით, რაც 2, 2% შეადგენს). ასე რომ სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა 1926 წ. 7 ს. და 40 წ. უდრის (ომამდე სამუშაო დღე ნომინალურად 10 საათი იყო, ფაქტიურად კი გაცილებით უფრო ხანგრძლივი). ახლა უკვე ანგარიშს აღარ უწევენ, როგორც ოდესმე, იმ გარემოებას, რასაც სტატისტიკოსები თავიანთი მშრალი მჭერმეტყველებით „სქესის ნიშანდეობლიობას ეძახიან. წინააღმდეგ იმისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც კაპიტალისტურს ქვეყნებში ხდება, ვაჟებისა და ქალების მუშაობას ერთი და იმავე საზომით ზომავენ: „თანაბარ სამუშაოს ხელფასიც თანაბარი“.

სახელმწიფო და პროფკავშირი ყოველის გზით სცდილობს ხელფასის მომატებას. სოციალური დაზღვევა მხოლოდ და მხოლოდ მწარმოებელს აქვს დაკისრებული და იგი ვრცელდება ყოველს ხელობასა და მუშის ოჯახზე. გასაბჭოებამდე დასაზღვევ თანხას მრეწველები ხელფასიდან უქვითავდენ მუშას. დამზღვევი სალარო პროფორგანიზაციების პირდაპირი კანტროლის ქვეშ იმყოფება.

მხოლოდ გასაბჭოებიდანვეა აგრეთვე, რომ მშრომელნი დასასვენებელი სახლებითა და სანატორიუმებით სარგებლობენ, რაც წინედ შეძლებული კლასებისათვის იყო განკუთვნილი. შვენივრად მოწყობილ საჰიგიენო-სასანიტარო დაწესებულებებში მუშების გზავნა 1922 წ. დაიწყო საქართველოში. იქ გაგზავნილ მუშათა რიცხვი წლითი წლობით მატულობს: მუშები ორი კვირიდან ერთ თვემდე ისვენებენ იქ, საზრდო და წამლობა მუქთი აქვთ, კუთვნილი ჯამაგირიც ხელში ეძლევათ. 1923 წ. საქართველოს დასასვენებელ სახლებში 3.873 მუშამ გაიარა, 1925 წ. კი—6.109.

სამუშაო უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევაში მუშას ხელფასი და უფასო პატრონობა აქვს. შრომის ინვალიდებს პენსია ეძლევათ. როცა ოჯახის მარჩენალი მუშა ჰკვდება, მისი ოჯახის წევრები პენსიას იღებენ. ახალდაბადებულებს რძე და საცვლები ეძლევათ. ერთი მუშის დასაზღვევი თანხა 1923 წ. საშუალოდ 43 მან. უდრიდა, ხოლო 1926 წ. კი—92 მანეთზე მეტს. მუშის დასაზღვევი წლიური თანხა წლიური ხელფასის თანხას აღემატება.

1920 წ. ქართველ მუშათა რიცხვი 78.200 უდრიდა

(ასეა ნაჩვენები უმუშევართა საკვებ სიებში). გასაბჭოების შემდეგ მუშათა რიცხვი გაორმაგდა: ამჟამად იგი 757.414 უდრის, რომლის 8,4% კერძო მრეწველობას ეკუთვნის.

უკეთუ ქართველი მუშებისა და საზოგადოდ საბჭოთა მუშების ბედს უცხოეთის იმავე კათეგორიების მუშებისას შევადარებთ, მაშინ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის უპირატესობანი და შეღავათები, რითაც პირველნი სარგებლობენ: სოციალურ დაზღვევასა და სამკურნალო დახმარების გარდა (დასავლეთის კანონმდებლობა სოციალურ დაზღვევას ხელფასის 10% რაოდენობით ჰგულისხმობს), აღსანიშნავია აგრეთვე ჰიგიენური და პროფდაავადებათა, თუ საზოგადოდ ავადმყოფობათა, საწინააღმდეგო ღონისძიებანი, უფასო თუ ერთობ იაფი ბინები, სწავლა-აღზრდის თვალსაჩინო მიღწევანი, თეატრებისა, კინოებისა და სხვ. ფასდაკლებული (50%) ბილეთები და სხვ. მრავალი მუშათა სახლი აშენდა თუ შენდება. მარტო აჭარისტანში ამ სახლების რიცხვი 3.000 უდრის.[11]) რაც შეეხება მუშის ყოველდღიურ ხარჯს, იგი საზრდოს დარგში 2,3%-ით შემცირდა, მაგრამ ტანისამოსისა და საოჯახო ხარჯების მხრით, პირიქით, ოდნავ გაიზარდა.

პროფკავშირები

რევოლიუციამდე რამდენიმე მოუწყობელი პროფორგანიზაცია. დემოკრატიული ხანის განმავლობაში პროფკავშირების რიცხვი 66 უდრიდა, ესენი ხელობის მიხედვით იყვენ დარაზმულნი (და მხოლოდ ორი ხელობის— რკინისგზელებისა და ფარმაცევტების კავშირს ჰქონდა ცენტრალური გამგეობა).

ამჟამად პროფკავშირთა 21 ცენტრი არსებობს. ცენტრალური გამგეობა, რომელიც, საბჭოთა ყოველი ორგა-

ნიზაციის წესის თანახმად, ადგილკომებთანაა დაკავშირებული (ქარხკომები), ტფილისშია მოთავსებული. ქარხნების ადგილკომები, რომლებიც სამუშაო ადგილის მიხედვით აჯგუფებენ მუშებსა და არა ხელობის მიხედვით, საქართველოში სულ 1.333.

ადგილკომებთან სხვადასხვა ორგანიზაციის მთელი ქსელია მოწყობილი (ისინი თვალყურს ადევნებენ კულტურული განვითარების საქმეს, წერა-კითხვის გავრცელებას, შრომის დაცვას, პროდუქციის გაუმჯობესებას). ამ უჯრედების რიცხვი 3.948 უდრის 19.502 წევრით. ამ ორგანიზაციებში ყველაზე უფრო შეგნებული და აქტიური ელემენტები შეჰყავთ.

საქართველოს პროფკავშირების პირველი ყრილობის სამანდატო კომისიის მასალების მიხედვით, 1919 წელს პროფკავშირებში 50.126 წევრი ირიცხებოდა. 1927 წლ. 1 ივლისს კი საქართველოს პროფკავშირებში, რომელთა წევრობაც ნებაყოფლობითია, 165,073 წევრი შედიოდა. შეუკავშირებელ მუშათა რიცხვი მშრომელთა მასის მხოლოდ 8,8% წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნე, პროფკავშირული მოძრაობის ერთი ამოცანათაგანი ისაა, რომ თავიანთი დინამიური უჯრედების საშუალებით ხელი შეუწყოს მუშის ტეხნიკურსა და საზოგადოებრივ აღზრდას. დიდის ენერგიითა და მთავრობის დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირით დაწყებულმა ამგვარმა მუშაობამ თვალსაჩინო შედეგს მიაღწია. ასე მაგალითად, გასაბჭოების დასაწყისში ტფილისის პროფკავშირებში გაერთიანებული მუშების 30%-მა წერა-კითხვა სრულიად არ იცოდა, ამჟამად კი უცოდინართა კათეგორია ტფილისის პროფკავშირული მთელი მასის მხოლოდ 5,2% წარმოადგენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში შესვლამდე პროფკავშირთა ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავები ხელმოკლეობას განიცდიდენ— აკლდათ ფული და წიგნები. ამჟამად პროფკავშირებს აქვთ 90 ბიბლიოთეკა, 29 ბიბლიოთეკა სამკითხველო და 196 სამკითხველო. საქართველოს მენშევიკთა პროფკავშირების საბჭო მხოლოდ ერთს (და ისიც დროგამოშვებით) გაზეთს ჰბეჭავდა, ამჟამად კი ორი პროფკავშირული გაზეთია: ერთი ქართული ენაზე—15.000 ტირაჟით, მეორე რუსული—12.000. ამას გარდა არას კიდევ ორი მიმოხილვმ, ერთი სტატისტ. ბიულეტენი და ორიც პირწმინდა პროფესიონალური ჟურნალი. პროფკავშირთა საბჭომ გასაბჭოების დღიდან გამოსცა 166 სახელწოდების წიგნი 349.200 ტირაჟით (მენშევიკების დროს ერთი წიგნიც არ დაბეჭდილა პროფმოძრაობისა თუ საზოგადოდ მუშათა მოძრაობის შესახებ.

ხელისუფლების მექანიზმი საქართველოში

საქართველოს ადმინისტრატიული სტრუქტურაო? იგი მოწყობილია საბჭოთა ორგანიული სისტემის მიხედვით, რომელიც აცხოველებს ყოველს ერთეულსა და კრებულს კავშირის ცოცხალ ტერიტორიაზე.

სოფელი ასახელებს თავის საბჭოს, რომლის არჩევაშიც მონაწილეობას იღებს ყოველი მოქალაქე—ქალი თუ ვაჟი—გარდა მდიდრებისა, სხვისი შრომით მოსარგებლისა და მცონარისა. ეს საბჭო სახელმწიფოს ძირითადი უჯრედია, მისი ორგანიული შედგენილობის პირველი ელემენტი. ეს მასალა ჰომოგენურია (ერთგვარი), რადგან საბჭოთა რეჟიმში ხელისუფლებათა განცალკეკება როდი არსებობს.

სოფლის საბჭოები სოფელს განაგებენ და მონაწი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეობას იღებენ თემის ან კანტონის საბჭოს შედგენაში. ორგანო, რომელიც საბჭოთა ყოველი ყრილობის აღმასრულებელ ფუნქციას განაგებს, არის აღმასრულებელი კომიტეტი. არ არის არც ერთი საბჭო, დიდი თუ მცირე, რომელიც აღმასკომის მეშვეობით არ გამოჰხატავდეს თავის ნებასა და არ მოქმედებდეს. თემის საბჭო სამი პირისგან შესდგება (საერთო განყოფილება, სასოფლო მეურნეობისა და სამხედრო). თემის საბჭოში ყოველი ასი ამრჩეველი ერთ დეპუტატს ირჩევს.

სამაზრო ანუ საოლქო საბჭოს შეადგენენ დეპუტატები, რომლებიც ყოველ ათას მცხოვრებზე თითოა არჩეული, ამ საბჭოს, რომელიც ზემოაღნიშნულის წესით გლეხთა მოსახლეობის გამომხატველია, უერთდება სამაზრო ქალაქის საბჭო, რომელსაც სამაზრო ქალაქის მცხოვრებნი ირჩევენ ყოველ ორას სულზე ერთ დეპუტატს. მაშასადამე, ქალაქების წარმომადგენლობა პროპორციულად ხუთჯერ მეტია გლეხთა წარმომადგენლობაზე, რათა საბჭოებში ეს ორი წარმომადგენლობა თანაბარის რიცხვით აღინიშნებოდეს. ასეთია საერთო წესი მთელს საბჭოთა კავშირში, სადაც ქალაქის ერთს მცხოვრებზე ხუთი გლეხი მოდის. სამაზრო აღმასკომები თემისაზე უფრო რიცხვმრავალია და შეიცავენ შემდეგი ათი განყოფილების წარმომადგენლებსა და გამგეებს (ნამდვილ სახალხო კომისრებს): საერთო განყოფილება, სამხედრო, შრომისა და სოც. უზრუნველყოფის, განათლების, ფინანსების, სასოფლო მეურნეობის, შინა ვაჭრობის, მუშგლეხინის, ჯანმრთელობისა და კომუნალური განყოფილების.

დასასრულ, სამაზრო საბჭოები თავიანთ წარმომადგენლებს ჰგზავნიან საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საბჭოში: ერთ წარმომადგენელს სოფლის ყო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველ 10.000 მცხოვრებზე და ერთს—ქალაქის ყოველ 2.000 მცხოვრებზე. საქართველოს საბჭოში შედიან აგრეთვე შემდეგი სამი ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკისა და ოლქის საბჭოები: აფხაზეთისა, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთისა, რომელნიც იმავე წესით არიან შედგენილნი.

საქართველოს ცენტრალურ საბჭოსთან დაკავშირებულნი არიან ტფილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების საბჭოები (ყოველ ას მცხოვრებზე თითო წარმომადგენელი. ამ საბჭოებს, რა თქმა უნდა, თავიანთი აღმასკომები ჰყავთ).

ცენტრალურ საბჭოდან გამომდინარებს საქართველოს მართებლობის ორგანიზნი: ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი (თავისი პრეზიდიუმით) და აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭო (ცხრა კომისარი: მუშგლეხინი, შრომისა, ფინანსებისა, მიწათმოქმედებისა, სოც.-უზრუნველყოფისა, ჯანმრთელობისა, განათლებისა, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა).

ცენტრალ. აღმასრ. კომიტეტთან არის ერთი წარმომადგენელიც ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოსი. ცენტრ. აღმასრულ. კომიტეტს ექვემდებარება აგრეთვე შემდეგი ორგანოები: სახელმ. საგეგმო კომისია, სტატისტიკური სამმართველო და საქართვ. სამეურნეო უმაღლესი საბჭო.

ამიერ-კავკასიის საბჭო შესდგება სამი საბჭოსაგან: 1. საქართველოსი (რომელშიც შედიან ზემოჩამოთვლილი სამი რესპუბლ. საბჭოები); 2. აზერბაიჯანისა (ყარაბაღითა და ნახჭევანით) და 3. სომხეთისა,—თითო წარმომადგენელი გლეხობის მოსახლეობის ყოველ 15.000 ამრჩეველზე და თითოც ქალაქის ყოველ 3.000 ამრჩეველზე. იგი ტფილისში იმყოფება. მისი აღმასრულებელი ორგა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნო არის ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი (რომლის პრეზიდიუმიც 26 წევრისა და 3 თავმჯდომარისგან შესდგება), შემდეგ მთელი ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო (ვაჭრობისა, ფინანსებისა, შრომისა, ინსპექციისა), მას ერთვის ამიერ-კავკასიის სამეურნეო უმაღლესი საბჭო, პოლიტიკური სამმართველო, სახელმწ. საგეგმო კომისია და საკონცესიო კომისია. ამავე სახკომსაბჭოში მონაწილეობენ ს.ს.კ. შემდეგი კომისარიატების წარმომადგენლები: საგარეო საქმეთა, სამხედრო და საზღვაოსი, გზათა, ფოსტა ტელეგრაფისა და სავაჭრო კომისარიატისა.

იმავე წესითა და ადმინისტრ. საერთო სისტემის მიხედვით, ამიერ-კავკასიის საბჭო მონაწილეობას იღებს ს.ს.რ.კ. ცენტრალურ საბჭოში, სადაც იგი შედის, როგორც სექტორი, ბელორუსიის, უკრაინის (მოლდავიით), უზბეკისტანის (ტაჯიკისტანით), თურქმენისტანისა და თვით რუსეთის (რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკა, მისი 23 ავტონომ. რესპუბლიკითა და ოლქით) საბჭოებთან ერთად.

კავშირის ცენტრალურ საბჭოს ისეთივე შედგენილობა აქვს, როგორიც სხვას, მხოლოდ უფრო ვრცელი და რიცხვმრავალი მმართველობით, რაც მისი გამგებლობის სიფართოისა და საერთო კოორდინაციის ამოცანიდან გამომდინარეობს. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთან არსებობს საკავშირო საბჭო და ეროვნებათა საბჭო, თავთავიანთი პრეზიდიუმებით. მას ერთვის აგრეთვე უზენაესი ტრიბუნალი და საგარეო ვაჭრობის საბიუჯეტო კომისია. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი 27 წევრისგან შესდგება.

საკავშირო საბჭო შესდგება: საგარეო საქმეთა, ფოსტა-ტელეგრაფისა, გზათა, სამხედრო-საზღვაო, ვა-

ჭრობისა, ფინანსებისა, შრომისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა, სახალხო კომისარიატებისა[12]) და სამეურნეო უმაღლეს საბჭოსგან. მისი მუშაობა ემყარება შემდეგ ორგანოებს: განმანაწილებელ კომისიას, საქმეთა მმართველობას, შრომისა და თავდაცვის საბჭოს, საკონცესიო უზენაეს კომისიას, სახელმწ. საგეგმო კომისიას, საარბირტრო კომისიას, საიდუმლო პოლიტიკურ სამმართველოს და სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოს.

როგორც ვხედავთ, რუსეთის მთელს ძველ ტერიტორიაზე ერთი მთლიანი და კომპაქტური ორგანიზაცია მოქმედებს, რომელიც არსად არ სწყვეტს კავშირს მცხოვრებთა მასასთან. შეიძლება ითქვას, რომ ესაა ყველა მშრომელის ორგანიზაციაქმნილი დიქტატურის რეჟიმი[1]).

კარგად დააკვირდით ამ სისტემას, სადაც მმართველი ხელისუფლება ქვემოდან ზევით მიდის და არა, როგორც „ტირანიულ“ ხელისუფლებაში, მათ შორის ძველი რეჟიმის რესპუბლიკებშიც, ზემოდან ქვევით. თითოეული ოლქი, ყოველი კოლექტიური ერთეული თვითონ ჰმართავს საკუთარ თავს, ტერიტორიის ყოველი კუთხე **ადგილობრივად** გამგებლობს, რადგან არ არსებობს გაყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის. უფრო ვრცელი საბჭოები თვალყურს ადევნებენ შემადგენელი ერთეულების დამოკიდებულებასა და ათანხმებენ ამ დამოკიდებულებათ, ამავე დროს კი ისინივე ამზადებენ ამ კოორდინაციის ელემენტებს იმ უფართოესი წრისთვის, რომლის ნაწილსაც თვით წარმოადგენენ. წარმოიდგინეთ, მაგალითად, საფრანგეთის სათემო მუნიცი-

---

[1]) ეს ქსელი ადმინისტრატიულად (მიუხედავად მისწრაფებისა და აზროვნების პარალელიზმისა) კომუნისტური პარტიის ქსელს როდი ეხლართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალური საბჭოები, რომელთაც თავიანთ ფარგლებში ... მასრულებელი ინიციატივა მიენიჭათ და რომლებიც, ყრილობების მეშვეობით, სახელ მწიფოს ერთად-ერთ შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ. ადგილობრივი ინტერესი ნამდვილად და სავსებით უზრუნველყოფილია შემდეგის ფორმულით: ორგანიზაცია ადგილობრივი ერთეულისთვის და ამ ერთეულის მიერ. ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, სრულიადაც არ წარმოადგენს სხვა ერის მიერ დამორჩილებულ პროვინციას, არამედ, პირიქით, თავის-თავად იგი ფედერაციაა სოფლებისა, თემებისა და ოლქებისა.

თემებისა და ოლქების აღმასკომებში, რაც თავისთავად იგულისხმება, თავმჯდომარეობა ეკუთვნის იმ ეთნიურ კათეგორიას, რომელიც ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს; სამაზრო აღმასკომებში კი უმცირესობას თავმჯდომარის მოადგილე ჰყავს. ოფიციალური ენაც მცხოვრებთა უმრავლესობის ენაა. ამავე ენაზე სწარმოებს სწავლა-განათლება, მაგრამ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამა თუ იმ კუთხის სხვა ენასაც პროპორციული ადგილი აქვს დათმობილი [1]).

მაშასადამე, თავისუფლება და ეროვნული ავტონომია, რომლითაც საბჭოთა კავშირში საქართველო სარგებლობს, გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ბრეტონელებისა და პროვანსელების საფრანგეთის რესპუბლიკის წიაღში (ელზასზე ხომ სულ აღარაფრის თქმა შეიძლება). ვინმე დაუცხრომელმა ბრეტონელმა რომ ბრეტანის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების მიზნით იქ

---

[1]) არმიის სამ დივიზიაში ორი ქართულია. მთავარსარდალი ქართველია. მთავარი შტაბი ქართულია. ოფიცრებიც ქართველები არიან და სამხედრო სკოლაც ქართულ ენაზე ასწავლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყება მოაწყოს, კეთილგონიერი ფრანგები და ისინიც კი, ვინც, მიუხედავად მათი კეთილგონიერებისა,—„საქართველოს დამოუკიდებლობის“ პეტიციას ხელს მოაწერენ,—უტიფარის ყიჟინით დაჰგმობდენ ამ უაზრო განზრახვას, რონლის განხორციელებას მეტად საზარალო იქნებოდა ამ პროვინციისათვის და, გარდა ამისა, სრულიად უსაფუძვლოც, რა კი ბრეტონელი სწორედ იმავე წონისა და ღირებულების ფრანგი მოქალაქეა, როგორისაც პარიზელი; მაგრამ ყოველ შემთხვევაში იმ აგიტატორს, რომელიც ამგვარ აზრებს იქადაგებდა, უფრო მეტი საბუთი ექნებოდა თავისი მოქმედების გასამართლებლად, ვიდრე მას, ვინც ამგვარ საქმეს აკეთებს საქართველოში, რადგან საფრანგეთის ცენტრალიზაციამ, პარიზის იმპერიალიზმა უთუოდ გაანადგურა ბრეტონული კულტურა, ენა და ტრადიცია (ნუღარაფერს ვიტყვით ბრეტონელების მიერ არჩეულს ბრეტონელ პრეფექტებსა და მოხელეებზე, განსაკუთრებით ბრეტონელებისგან შემდგარს პროვინციულ დეპუტატთა პალატაზე, ბრეტონულ გარნიზონზე, ბრეტონულ ენაზე სკოლებში, გენერალურ და მუნიციპალურ საბჭოებში, ნურც ოფიციალურ გაზეთში!).

სახალხო განათლება საქართველოში

1917 წ. საქართველოში, უაჭარისტანოდ და უაფხაზეთოდ, 70% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. 1926 წ. კი უკვე 52%. საბჭოთა რეჟიმის ექვსი წლის განმავლობაში 346.088 კაცს ასწავლეს წერა-კითხვა.

1914—1917 წ.წ. საქართველოში იყო სულ 1503 სკოლა 138.644 მოწაფითა და 5.155 მასწავლებლით. 1921 (მენშევიკურ) წელს 1733 სკოლა, 191.244 მოწაფე და 8.876 მასწავლებელი. 1926 წ. 2.079 სკ., 186.444

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფე და 10.671 მასწავლებელი. 1927 წ. შრომის სკოლათა რიცხვი 2.320 უდრიდა.

საბავშო ბაღები და თავშესაფრები: 1914 წ.—0; 1921 წ.—5 და 2; 1926 წ.—62 და 23.

ეროვნულ უმცირესობათათვის მათსავე ენაზე შრომის ყოველი ტიპის სასწავლებელი არსებობს: სომხური 128 სკოლა 27.297 მოწაფით (საქართველოში 300.000 სომეხია), თურქთათვის 87 სკ., რუსთათვის 63, ბერძენთათვის 36 და ოსთათვის 27, გერმანელთათვის 11, ებრაელთათვის 3, სირიელთათვის 2 და პოლონელთათვის 1 (სადაც 43 მოწაფეა და 7 მასწავ.).

პირველი საფეხურის სკოლაში 4 ჯგუფია: მოწაფე იქ 4 წლის განმავლობაში სწავლობს.

სკოლების მეორე რიგი, რომელთაც გლეხთა ახალგაზრდობისა თუ შვიდწლედის სკოლებს ეძახიან, პირველი საფეხურის განგრძობაა. სასოფლო მეურნეობის რაიონებში შვიდწლედებს სამეურნეო განხრა აქვთ და იგინი მუშაობის ძირითად ცნობებს იძლევიან. ასეთი სკოლები 101. დაბების და ქალაქების შვიდწლედებსაც თავიანთი განხრა აქვთ და ბავშებს სამრეწველო პროდუქციას აცნობენ; ეს სკოლები საქარხნო-საფაბრიკო სკოლების მზგავსია.

უფრო მაღალი საფეხურის სკოლებში (ცხრაწლედი) პროფესიული განხრა უფრო თვალსაჩინოა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ცხრაწლედი პირწმინდა სახელოსნო სკოლა იყოს. იგი საზოგადო განათლების სკოლაა, მაგრამ თავის პროგრამაში ადგილს უთმობს ამა თუ იმ პროფესიას, რაიონის ეკონომიური საჭიროების მიხედვით. ასე, მაგალითად, არის ცხრაწლედი პედაგოგიურის განხრით (20), პოლიტიკური (5), სასოფლო მე-

ურნეობის (11), ადმინისტრატიული (10), კოოპერატიული (16) და ელექტროქიმიური (2) განხრებით.

უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში ოთხია: სახელმწ. უნივერსიტეტი, ლენინის სახელ. პოლიტეხნ. ინსტიტუტი, კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია,— ყველა ტფილისშია. უნივერსიტეტი შემდეგი ფაკულტეტებისგან შესდგება: პედაგოგიურისა, სოც.-ეკონომიურისა, მედიკურისა, აგრონომიულისა და ტეხნიკურისგან. უნივერსიტეტთან არსებობს მუშათა ფაკულტეტი 1276 სტუდენტით.

პოლიტეხნ. ინსტიტუტი ორი ფაკულტეტისგან შესდგება: საინჟენეროსა და სამეურნეოსგან; იქვეა მუშათა ორი ფაკულტეტი: ერთი რუსთათვის (357 მსმენ.), მეორე სომეხთათვის (193 მსმენ.).

საქართველოს უმაღლესმა სასწავლებელმა უკვე ბევრი მეცნიერული ნაშრომი მოგვცეს, რომელთა ნაწილიც რუსულსა და უცხოურს ჟურნალებში დაიბეჭდა. თვით უნივერსიტეტმა 150 სახელწოდების სხვადასხვა სამეცნიერო წიგნი გამოსცა.

ტეხნიკური სკოლებისა თუ ტეხნიკუმების განსაზღვრულ ქსელს მიზნად აქვს „შუათანა კვალიფიკაციის“ სპეციალისტების მომზადება. აგროტეხნიკუმების ჯგუფში შედის ტეხნიკუმები: სახელდობრ აგრიკულტურისა, მევენახეობისა, ხვნა-თესვისა და ჰიდროტეხნიკური. სამრეწველო ტეხნიკუმები შემდეგ დარგებად განიყოფება: მექანიკისა, სააღმშენებლო, ელექტროტეხნიკისა და ქიმიის. პედაგოგიური ტეხნიკუმები პირველი საფეხურის სკოლების მასწავლებლებს ამზადებენ (მათი რიცხვი 12 უდრის, მათში ერთი სომხურია და ერთიც თურქული).

საქართველოში ამჟამად 7 ეკონომიური ტეხნიკუმია;

ამათგან ხუთში ქართულ ენაზე ასწავლიან, ერთში—სომხურზე და ერთშიც—რუსულზე. მათს პროგრამაში შედის მოანგარიშეობა, კოოპერაცია და ეკონომიურ-ფინანსიური სხვა სწავლა. მათი დიცხვი 27 ჯერის, საიდანაც ყოველწლიურად 800 სპეციალისტი გამოდის.

გარდა სააგრონომიო ტეხნიკუმებისა (12), არის კიდევ სასოფლო მეურნეობის პირველი საფეხურის 9 სკოლა კვალიფიციური მუშის მოსამზადებლად (მებაღეებისა, მევენახეებისა, მებოსტნეებისა, მეყველე-მერძევეებისა და მეთამბაქოებისა).

ამას უნდა დაემატოს საქარხნო და საფაბრიკო 5 სკოლა, 12 ტეხნიკურ-პროფესიული და მუშათა კურსები—5.

ეწყობა აგრეთვე სხვადასხვა ხელსაქმობის (ხელოვნური) შემსწავლელი სკოლები (ქსოვისა, ხალების ქსოვისა და სატრიკოტაჟო).

საჭიროა გავიხსენოთ, რომ სპეციალური ტეხნიკური სკოლები, რომლებიც პროფესიულებისაგან განირჩევა, ომამდე საქართველოში სრულიად არ არსებობდა. 1920 (მენშევიკურ) წელს ასეთი სკოლა 14 იყო, ხოლო 1926 წ. კი—43 და ოთხიც მუშათა ფაკულტეტი.

აღმზრდელობითი და პოლიტიკური მუშაობა საქართველოში

საბჭოელები ამ სამ სიტყვას ერთმანეთს არ განაშორებენ: **საზოგადო და პოლიტიკური აღზრდა.** და მართალნიც არიან. სასაცილო იქნებოდა თვითმპყრობელობის დროს რომ საზოგადო აღზრდის შესახებ გველაპარაკნა, მაგრამ ამ მხრით არც მენშევიკურ მთავრობას გაუკეთებია რამე. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ სა-

ქართველოს მარტო ერთს კუთხეში (ოზურგეთში) ადგილობრივმა მასწავლებლებმა დაარსეს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფები და მატერიალური დახმარებისთვის საზოგადოებას მიმართეს. სხვაგან კი იმ ხანაში ამისი მზგავსი არა იყო რა.

1920—21 წ., მენშევიკების დროს, ქალაქსა და სოფლებში 27 ბიბლიოთეკა-სამკითხველო იყო სულ და ამასაც საქველმოქმედო საზოგადოებანი ინახავდენ, სახელმწიფო კი არავითარ დახმარებას არ აძლევდა. ამჟამად კი ბიბლიოთეკა-სამკითხველოების რიცხვი ქალაქსა და სოფლებში 426 აღწევს.

დღეს-დღეობით საქართველოში ირიცხება (ავტონომიური ერთეულების გამოკლებით) 375 ქოხ-სამკითხველო. ეს ქოხ-სამკითხველოები უმეტეს ნიწილად დიდრონ სოფლებშია მოწყობილი, თითოეული მათგანი ორს-ხუთს ახლო-მახლო სოფელს ემსახურება და განსაზღვრული რაიონის საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრს წარმოადგენს. ამათში 62 ქოხ-სამკითხველოში მოწყობილია რადიომიმღები, ხოლო ათიოდე მოძრავი აპარატი აქეთ-იქით იგზავნება.

პოლიტგანს აქვს განსაკუთრებული სექცია, რომელიც წერა-კითხვის უცოდინარობას ებრძვის და საამისოდ ხსნის საგანგებო სკოლებსა და კურსებს.

კინო-წარმოება. იგი დაარსებულია 1921 წ. საბჭოთა კავშირში, კინო ერთობ ცენტრალიზაციაქმნილია და, მართლაც, შეუდარებლად იყენებენ ამ საუცხოვო ხელოვნებას, რომელსაც სინამდვილე მთელი თვისი ღირსებაღირებულებით გადააქვს ეკრანაზე (ს. ს. რ. კ-ში 8.000 კინოდარბაზია). რაიცა შეეხება სახელდობრ რუსეთს, იქ კინემატოგრაფიული ხელოვნება ორი დიდი ორგანიზა-

�იის მონოპოლიას შეადგენს: სოვკინოსა და მეტრაბპო-
მისა. საქართველოს თავისი საკუთარი წარმოება აქვს
(ისე, როგორც უკრაინასა და სომხეთს).

კოოპერაცია საქართველოში

კოოპერაცია საქართველოში თვითმპყრობელობის
მზის ჩასვლისას, 1916 წ. დაიბადა. იგი თითქმის უეცრად
წარმოშვა ომით გამოწვეულმა სასურსათო, განსაკუთრე-
ბით შაქრის კრიზისმა. მაგრამ მისი აპარატი მაშინ იშვი-
ათი და მოუწყობელი იყო. თუმცა სახელი მთელი ამიერ-
კავკასიისა ერქვა (ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგა-
დოებათა კავშირი), კოოპერაცია კი მხოლოდ საქართვე-
ლოში იყო განვითარებული (საქართველოში ერთეულთა
92%, სომხეთში—6%, აზერბაიჯანში—3%). მენშევიკე-
ბის დროს მისი არსებობა თუმცა გვარიანი, მაგრამ მაინც
შემოფარგლული იყო: კერძო ვაჭრობის გვერდით, იგი
ფასების მატებისა და სპეკულიაციის საწინააღმდეგო ერთ-
გვარი ლაგამი იყო. მაგრამ მთავრობა, დახმარების მა-
გიერ, კონკურენციას უწევდა მას თვითმართველობებში.
1919 წელს, სეიმის დაშლისა და საქართველოს დამოუ-
კიდებლობის გამოცხადების შემდეგ, „ამიერკავკასიის კავ-
შირი", რომელიც მხოლოდ ტფილისისა და ქუთაისის
რაიონებში ვითარდებოდა, წმინდა ქართულ ორგანიზა-
ციად იქცა, ცეკავშირის სახელწოდებით. თუმცა ცეკავ-
შირი 897 საკოოპერაციო პუნქტს აერთიანებდა, ეროვ-
ნულს ეკონომიკაში მისი როლი მაინც უმნიშვნელო იყო
და კერძო ვაჭრობის ერთ-ერთს ვარიაციას წარმოადგენ-
და. ამასთანავე, იმ ხანებში იგი მთავრობის მხრით ცუდი
დამოკიდებულებისა, რუსეთის ბაზრის დახურვისა და
ამიერკავკასიის რესპუბლიკების შეხლა-შემოხლის მიზეზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ კრიზისს განიცდიდა. ერთხანს თითქოს შეეცალა უცხოეთიდან მოებრუნებინა ხელი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ზარალის მეტი. 1921 წ. მისი აქტივი ბალანსის 1,86% წარმოადგენდა მხოლოდ.

გასაბჭოების შემდეგ ცეკავშირი ფეხზე წამოდგა. მისი ბალანსი 1923 წლ. იანვარში 354.822 მან. უდრიდა, 1926 წლ. 1 ოქტომბერს — 2.005.069 მან. და საქონლის ბრუნვაც ოცჯერ აღემატებოდა 1921 წლისას. თუმცა კი დიდი ენერგიისა და საღსრის დახარჯვა დასჭირდა, სანამ სავსებით განთავისუფლდებოდა წინადროინდელი ფინანსიური ჭრილობებისა და უხეირო, უიდეო მმართველობისგან, რასაც მრავალი წელი მოუნდა. ამჟამად, მთავრობის ყოველმხრივი და ფართო დახმარებით, ცეკავშირი აქტიურ როლს თამაშობს ყოველს დარგში, როგორც სოციალიზმის ერთ-ერთი მშენებელი და კერძო ვაჭრობის მუხრუჭისგან მასების მატერიალური ინტერესების დამცველი.

უპატრონო ბავშვები

ამიერკავკასიასაც ჰყავს თავისი უპატრონო ბავშვები და იგი მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ საჭირბოროტო საკითხის გადაჭრაში, რაც საბჭოთა მტრებს პათეტიური და უმართებულო ბრალდების საშუალებას აძლევს.

ეს ბავშვები ობლები არიან ან ნახევრადობლები ან კიდევ ღატაკი მშობლების მიერ მიტოვებულნი. იგინი ომის მსხვერპლნი არიან, იმ საშინელი ომისა, რასაც ასე დაგვიანებით და ხანგრძლივად განიცდიდენ: ისინი ახლაც, 10 წლის მანძილზე, კვლავ განიცდიან იმ დიდი და მრავალი ომის შედეგებს, მთელს რუსეთში რომ 10 მილიონზე მეტი არსება შეიწირა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ უთავშესაფარო, მარტო თავიანთი თავის ამარა დარჩენილ და, მაშასადამე, უბედურებისა და ბოროტების მსხვერპლად ქცეული ბავშთა რიცხვი ერთ დროს მეტად დიდი იყო მთელ საბჭოთა კავშირში, თუმცა ანტისაბჭოთა კამპანია, რომელიც სიამით იყენებდა ხოლმე ამ უსაზღვრო უბედურებას, მუდამ თვითნებურად აზვიადებდა მათ რაოდენობას. 1926 წ. მათი რიცხვი 442.906 უდრიდა მთელს კავშირში. აქედან 303.406 მოთავსებული იყო 3.700 სპეციალურ დაწესებულებაში, რომლებთანაც გაწყობილი იყო ათასი სახელოსნო და სამუშაოდაც გამოყოფილი იყო 15.000 დეს. მიწა. გარდა ამისა, საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივით ინახება კიდევ 239.500 ბავში და შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი ამ საქმეში საკვირველ გულმოდგინებასა და გასაოცარ ენერგიას იჩენს. უპატრონო ბავშთა მოვლის ამოცანა განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს, რადგანაც იგინი დაუძლეველი და შეიძლება ითქვას, უკურნებელი ხასიათის მატარებელნი არიან, ამიტომ ამ გზააბნეულ უბედურთა სწორ გზაზე დაყენება ჩვეულებრივი დახმარების აღმოჩენითა და ხელახალი აღზრდის საშუალებით, თუ შეუძლებელი არა, ერთობ ძნელია. მოსკოვის მთავრობა ამ სატკივრის მოსარჩენად ერთ მილიარდ ფრანკს ჰხარჯავს ყოველწლიურად და თანდათანობით კიდეც ერევა მის სიმკაცრეს. ამასთანავე, ოჯახებში ბავშების გაბარებამ, რისთვისაც მიმბარეებს განსაკუთრებული ხარჯი და განსაზღვრული შეღავათები ეძლევათ, მრავალი ათასი მოხეტიალე ბავში გადაარჩინა.

ამიერკავკასიაში, რომელიც საუბედუროდ, მდიდარი იყო ღარიბი ობლებით (ჩემის თვალით ვნახე ისინი ლენინაკანში გავლისას), 1926 წლ. ოქტომბერში 11.579

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობოლი იყო, რომელთაგან ნახევარზე მეტი (5.829) ხელ-
განგებო დაწესებულებებში იყო მოთავსებული. ამ რიცხვში
არ ჩამითვლია ის სომეხი ობლები, რომელთაც ამერიკუ-
ლი ფილანთროპიული საზოგადოება უვლის რამდენიმე
წლის განმავლობაში, და რომელთა პატრონობაც თანდა-
თანობით საბჭოთა მთავრობის ხელში გადადის. ალბად
გაიხსენებთ, რომ ამ უპატრონოთა ერთს თვალსაჩინო ნა-
წილს (17.000) სპეციალურად ზრდიან საფეიქრო მრე-
წველობისთვის, რომელიც ფართო მაშტაბით ვითარდება
ლენინაკანის რაიონში.

ასე რომ, მოხეტიალე ბავშთა სავალალო კონტინ-
გენტი საბჭოთა ტერიტორიაზე ერთობ მცირდება. ამისი
დადასტურება ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, მაგრამ არა
მარტო ამისი, უნდა აღინიშნოს, რომ უპატრონო ბავშთა
ტალღა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წუმპეში
დაჰგორავდა, და ბოროტმოქმედებას ზრდიდა, მუდამ
დიდი იყო რუსეთში. თვითმპყრობელობის ფარფაშობის
დროს რუსეთში მოგზაურნი და რეპორტერები მოგვი-
თხრობენ, რამდენად საშიში იყო მოსკოვისა და პეტერ-
ბურგის ქუჩებში სიარული, დღისითაც კი, გზა-ჯვარე-
დინებზე თავმოყრილ ახალგაზრდა ხულიგნების გამო. მა-
თი რიცხვი, მაშინ უფრო მეტი იყო, ვიდრე დღესაა — ხო-
ლო ამჟამად, ფაქტი უნდა დავადასტურო და ისინიც
უნდა დავიმოწმო, ვისაც საბჭოთა დიდს ქალაქებში გა-
უვლია, რომ ამ სავალალო მოხეტიალეებს უკვე იშვიათად
შეხვდები.

... ყოველ დროსა-მეთქი, ვთქვი, და დასამტკიცებ-
ლად გადავშალე „რუსეთის იმპერიის ისტორია“ ვოლ-
ტერისა იმ ადგილას, რომელიც 1718 წ. ეხება:

... „ობლებისა და მიგდებული ბავშებისთვის დაწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სახლები დაამთავრეს, მოაწყეს, აავსეს... ყოველი დიდი ქალაქი იხსნეს მათხოვართა ამ აბეზარი ბრბოებისგან, რომელთაც სხვა ხელობა არა სურთ რა, გარდა რაიმე ხელობის მქონე პირთა შეწუხებისა, და რომელნიც სხვის ხარჯზე ატარებენ გაჭირვებულსა და სათაკილო სიცოცხლეს".

მეცნიერება საქართველოში

სამეცნიერო დაწესებულებათა და მუზეუმების მთავარი სამმართველო კონტროლს უწევს სამეცნიერო საზოგადოებათა და დაწესებულებათა უკვე თვალსაჩინო რიცხვს. ესენია: გეოფიზიკური ობსერვატორია, საქართველოს მუზეუმი, რევოლიუციის მუზეუმი, ცენტრალური არქიკი, საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი, პედაგოგიური ცენტრალური მუზეუმი, ნაციონალური გალერეა, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა და სხვ. სამეცნიერო მნიშვნელოვან საზოგადოებათა შორის აღსანიშნავია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება. საქართვლოში ამჟამად 26 სამეცნიერო დაწესებულება ითვლება (მენშევიკების დროს 14).

კერძო ინიციატივითა თუ ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის დახმარებით ტფილისში შეიქმნა და შეივსო მუზეუმები. ოფიციალურად და მეთოდიურად სწარმოებს შენობებისა და დარბაზების მოწყობა, პერსონალისა და სამუშაოთა შემზადება, კოლექციების გამდიდრება. ამზადებენ ახალ მუზეუმებს სულ მოკლე ხნის განმავლობაში გასახსნელად, მაგალითად, საბუნებისმეტყველოსა და ეთნოგრაფიულს, აგრეთვე აღმოსავლეთისა და კავკასიის ძველი ხელოვნების მუზეუმს. საქართველოს მუ-

ზეუმისთვის მზადდება ერთი უზარმაზარი შენობა. ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა 500.000 ტომს შეიცავს. წერა-კითხვის გამავრცელებელი ძველი საზოგადოების წიგნთსაცავში ინახება უდიდესი მნიშვნელობის ქართული ხელთნაწერები და წიგნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი დროის საქართველოში მხოლოდ რუსულ სამეცნიერო საზოგადოებათა განყოფილებანი არსებობდა. ქართული მხოლოდ ერთი იყო—საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამჟამად სხვადასხვა დარგის მეცნიერთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და იმავე დროს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გვერდით ბევრი სამეცნიერო საზოგადოება გაჩნდა: საგეოგრაფიო საზოგადოება, ბუნებისმეტყველთა და ექიმთა საზოგადოება, საქართველოს სომეხთა საეთნოლოგიო საზოგადოება და სხვ. სამეცნიეურ დაწესებულებათა შორის აღსანიშნავია: კარტოგრაფიის ინსტიტუტი, გეოლოგიური ინსტიტუტი, კავკასიური ენების ინსტიტუტი, ბათომის ბიოლოგიური სადგური.

სკოლების ნაციონალიზაციამ სასკოლო და სამეცნიერო ტერმინოლოგიის საკითხი აღძრა. ამ საქმეს სატერმინოლოგიო კომიტეტი მიუძღვის, რომელმაც უკვე შეიმუშავა სამეცნიერო და ტექნიკური ქართული ლექსიკონი.

ხელოვნება საქართველოში

ქართველებს თავიანთი ეროვნული სიმღერების კულტი აქვთ, ბევრი მომღერალი და მკვლევარი მუშაობს წარსულის ამ ჰარმონიულ დარგში, რათა იქ ძვირფასი მარგალიტები ამოსძებნოს და ნაციონალური გენიალობის საიდუმლოებანი თანამედროებას შეაგუოს. ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის მთავრობანი ხელს

უწყობენ ამ კვლევა-ძიებას და უკვე მრავალი სიმღერისა და მუსიკის ქართული კრებული გამოიცა მთავრობის მზრუნველობით ამ უკანასკნელ წლებში.

სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკალური აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობს მთელს რესპუბლიკაში. გარდა კონსერვატორიისა, არსებობს კიდევ ხუთი სამუსიკო ტეხნიკუმი და შვიდი სამუსიკო სკოლა მუშათა რაიონებში.

ტფილისის საოპერო თეატრი ეროვნულ სიამაყეს შეადგენს. ქართველები მეტად ამაყობენ იმ გარემოებით, რომ ამჟამად ათი ქართული ორგინალური ოპერა აქვთ, რომელთაგან ხუთი უკვე შესულია რეპერტუარში.

1922 წ. დაარსდა სამხატვრო აკადემია, სადაც ამჟამად 1919 სტუდენტი სწავლობს. ამ აკადემიასთან არსებობს ხუროთმოძღვრების სექცია, სადაც განსაკუთრებით ეროვნული ხელოვნების მომხიბლველ მიღწევებს სწავლობენ. სახელოვნო ყოველგვარ სკოლაში ეროვნულ უმცირესობათ: სომხებს, რუსებს, თურქებს და სხვ. ქართველთა თანაბარი უფლება აქვთ. სახელოვნო სკოლებში ქართველი მოწაფენები 45% შეადგენენ, სომხები—28%, ებრაელები—13%, რუსები—11%.

სახელმწიფო გამოცემლობა საქართველოში

სახელგამი უმთავრესად სასკოლო, აღმზრდელობითი შინაარსის წიგნებსა და ქართველ კლასიკოსებს ჰბეჭდავს. იგი სავსებით აკმაყოფილებს I და II საფეხურის სკოლების საამისო მოთხოვნილებას. ამასთანავე იგი უფრო და უფრო მეტ ადგილს უთმობს თანამედროვე ეროვნულს თუ ინტერნაციონალურ ლიტერატურას.

1921 წ. სახელგამის პროდუქცია 23 სახელწოდების 101.570 ცალ წიგნს წარმოადგენდა, 1925 წ. კი 159 სა-

ხელწოდებისა და 825.500 ტირაჟის წიგნს. საბავშო გამომცემლობის სექცია, რასაც მეტად გულმოდგინედ ეპყრობიან, მენშევიკების დროს იყო დაარსებული. გასაბჭოების მეხუთე წელს ამ სექციის პროდუქცია ერთი-ორად გაიზარდა. და მეტიც, 1925—26 სასკოლო წელს საბავშო გამომცემლობის სამხატვრო სექციამ გამოსცა სხვადასხვა საბავშო ჟურნალი 110.000 ცალის რაოდენობით.

სახელმწიფო გამომცემლობის გარდა, არსებობს კიდევ ათი სააქციო საგამომცემლო საზოგადოება.

თავისუფლებამ და უფრო კი ადგილობრივი კულტურის წაქეზებამ გამოიწვია ნამდვილი აღორძინება თვითმპყრობელობის მიერ გათელილი ეროვნული ხელოვნებისა და ლიტერატურისა. ასეთია განთავისუფლებისა და კულტურის თავისუფალი გაზიარების სიკეთენი. ეს გაფურჩქნა ახალი დაწყებულია, მაგრამ საქართველოში, ისე როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანშიც,—აგრეთვე ს. ს. რ. კ-ში: უკრაინაში ბელორუსიაში და სხვა თავისუფალ რესპუბლიკებში უკვე სწარმოებს მონათესავე მწერალთა და ხელოვანთა დაჯგუფება წმინდა და ღრმა კლასიციზმის აღდგენის მიზნით, და ამ გზახსნილზე, სადაც ხელოვნების ეროვნულ ტრადიციას რევოლიუციის დიდებული იდეალი და სოციალური ახალი მორალი აცხოველებს, მალე თავს იჩენს შემოქმედების აღტყინება, უეჭველია შედეგრებიც.

დარწმუნებულიც უნდა ვიყოთ, რომ, უკეთუ ეკონომიურსა და სოციალურს ასპარეზზე უკვე გაჩაღებულია ბრძოლა უნჯი წარსულით ძლიერს კაპიტალისტურ ძველ საზოგადოებასა და მომავლის ძლევამოსილებით აღჭურვილს ახალ სოციალისტურ საზოგადოების შორის, ერთი ახალი დუელიც გაიმართება სიცოცხლითა და ღრმააზრო-

ვნებით აღსავსე ახალ ხელოვნებასა და ჩვენს „ბურჟუაზიულს“, კვინტესენციურსა და დახელოვნებულ ლიტერატურას შუა, რომელსაც უსაზღვრო დაქუცმაცებისა, განყენებული ანალიზისა, ინდივიდუალისტური ატროფიისა და კარიკატურიზმის სენი შეჰყრია.

სახალხო ჯანმრთელობა საქართველოში

ბოლშევიკები ამბობენ, რომ საბჭოთა მედიცინის ლოზუნგები, რაც ოქტომბრის რევოლიუციამ წამოაყენა, ასეთიაო: უფასო, მთლიანი, მისაწვდომი და პროფესიული დონის ამმაღლებელი.

ამ ძირითადი პრინციპების განსახორციელებლად ყველაფერს, რაც კი მედიცინისა და ჰიგიენის დარგებს ეხება, თავი მოუყარეს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხელში. ამ უკანასკნელს დიდი დაბრკოლებანი ელობება წინ მასების უვიცობისა და ცრუმორწმუნეობის სახით, აგრეთვე იმ გარემოების მიზეზითაც, რომ წარსულში ამ საქმეს მეტად მცირე ყურადღება ექცეოდა და სათანადო დაწესებულებანიც ღარიბი და უკმარისი იყო.

თავის მოქმედების დასაწყისშივე ჯანმროელობის კომისარიატს მთელი ძალ-ღონე ხოლერისა და ტიფის ეპიდემიის წინააღმდეგ უნდა მიემართა, მან ამ ბრძოლაში ჩაბა მუშათა ორგანიზაციებისა და ადგილობრივი აღმასკომების აპარატთა წარმომადგენლები, ასე რომ, ბრძოლა, მართლაც, საჯარო და ყველას შეთანხმებული ძალით სწარმოებდა. ამიტომ ეპიდემიებიც მალე მოისპო.

მიუხედავად სახალხო ჯანმრთელობის საქმის ჩამორჩენილობისა და მრავალი დაბრკოლებისა ისეთ დარგში, სადაც ყველაფერი ხელახლა იყო საკეთებელი, სახალხო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომისარიატმა, სათანადო ორგანიზაციათა ქსელის შექმნით, რაც უფრო და უფრო ვითარდება, ხელი მიჰყო საერთო გაჯანსაღების საქმეს. მართალია, მდგომარეობა დამაკმაყოფილებული როდია, მაგრამ, ძველი რეჟიმის ყოფასთან შედარებით, წინსვლა თვალსაჩინოა: თვითმპყრობელობის დროს მხოლოდ სამი დაწესებულება არსებობდა საქართველოში გადამდები სენით საიზოლაციოდ; ამჟამად კი ასეთი დაწესებულება თერთმეტია; სადეზინფექციო კამერა 1914 წ. —ორი, ახლა—46; ლაბორატორია—3, ახლა 64; პასტერის ინსტიტუტი—ერთი, ახლა კი—4.

მხოლოდ საბჭოთა რეჟიმში შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი დაწესებულებანი, როგორიცაა: ბაქტეროლოგიური ინსტიტუტი, ჰიგიენური ინეტიტუტი, სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი და პროფესიულ ავადობათა შემსწავლელი ინსტიტუტი. გამოიცა საყოველთაო ვაქცინაციის დეკრეტი. შეიქმნა, განრიგდა, მოეწყო ყველაფერი, რაც წინედ არ არსებობდა, —ადგილობრივი საკურორტო და დასასვენებელი დაწესებულებანი, რაც ხალხის გაჯანსაღების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ჭლექი. ეს სენი ერთობ გავრცელებულია საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე უფრო სასარგებლო დაწესებულებაა დისპანსერი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ავადმყოფებსაც სწამლობს, თვით სენსაც იკვლევს და ანტიტუბერკულოზურ პროპაგანდასაც ეწევა. ოთხი დისპანსერი უკვე მუშაობს. ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებს სოციალური დახმარების საბჭო და „სახალხო ჯანმრთელობის უჯრედები, რომლებიც სახელმწიფოს ყოველ დაწესებულებისა და ორგანიზაციაში არსებობენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რიცხვმრავალ საკურორტო სადგურებში, წინად რომ შეძლებული კლასების დასასვენებლად და გასართობად იყო შეძლებული, იქ ეხლა ქართველ მუშებს ფართოდ გაეღო კარი. გარდა დასასვენებელი სახლებისა, საქართველოში ამჟამად 10 სანატორიუმია 1200 საწოლით.

გაძლიერებულ იქნა მინერალური წყლების დებეტი: 1920 წ. ბორჯომის განთქმული წყაროები 383.000 ბოთლს იძლეოდენ, ახლა კი 5 მილიონ ბოთლს.

ვენერიული სენების საწინააღმდეგოდ ათი დისპანსერი და მრავალი ლაბორატორიუმია მოწყობილი. რაც შეეხება მალარიას, რომელიც ზოგიერთს კუთხეში ძლიერ გავრცელებულია (10.000 მცხოვრებში, 136 მალარიანია). მის წინააღმდეგ იბრძვის „სამალარიო ცენტრალური კომიტეტი, რომელიც სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელთაგან შესდგება. არსებობს ანტიმალარიული 13 სადგური და ტროპიკულ ავადობათა 2 ინსტიტუტი.

სანიტარული მუშაობის საფუძვლის შესაქმნელად და მკითხავ-ექიმბაშების წინააღმდეგ საბრძოლველად ჯანმრთელობის კომისარიატმა ძლიერ განავითარა სანიტარული განათლება. ტფილისში დაარსებულია სანიტარული განათლების ცენტრალური სახლი და სოციალური ჰიგიენის მუზეუმი. როგორც სარაიონო ცენტრები, ისე დისპანსერებიც ხშირად აწყობენ ჰიგიენისა და სანიტარიის მუდმივ გამოფენებს. ქოხ-სამკითხველოებიც ღებულობენ სათანადო მასალას ამ გვარი გამოფენების გასამართავად.

დედისა და ბავშის დაცვის დარგშიც ბევრი რამ ჰქონდათ საბჭოებს გასაკეთებელი. მოსახლეობის სიღარიბისა და კულტურული დაბალი დონის მიზეზით ბავშ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა სიკვდილიანობა საქართველოში მუდამ ერთობ დი-
დი იყო. 1921 წ. საქართველოში სამი საკონსულტაციო
ცენტრი იყო ძუძუმწოვარ ბავშთათვის, ამჟამად კი—22.
ამ „კონსულტაციებს“ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს,
რადგან იგინი დედებისათვის საერთოდ სკოლის მაგიე-
რობას ეწევიან. ეს დაწესებულებანი არა თუ მხოლოდ
ბავშთა სიკვდილიანობასა და ავადობათ ებრძვიან, არა-
მედ სოციალურ სენთა წინააღმდეგაც ილაშქრებენ ხოლმე.
ამ დარგში უნდა აღინიშნოს: ექვსი კონსულტაცია ფეხ-
მძიმეთათვის, ექვსი ბაგა და ბავშთა სამი თავშესაფარი
ექიმთა საგანგებო მეთვალყურეობით. გასაბჭოებამდე იქ
ათი მეთვალყურე ექიმი იყო, ეხლა კი 44. ჯანმრთელო-
ბის კომისარიატი ფიზიკური კულტურის განვითარებასა
და გავრცელებასაც დიდ ყურადღებას აქცევს.

სამკურნალოები. თვითმპყრობელობის დროს საქარ-
თველოში 38 სამკურნალო იყო, მენშევიკების ხანაში—45,
ახლა კი 83 4.265 საწოლით. ისიც უნდა აღინიშნოს,
რომ რიცხვობრივ ზრდას თვისებრივი ზრდაც ახასიათებს.
ზოგიერთი სპეციალური დანიშნულების დარგი დიდად
გაუმჯობესდა, ზოგი კი თავიდან ბოლომდე მხლადაა შე-
ქმნილი, მაგალითად, სექციები: ფიზიოთერაპიისა, ურო-
ლოგიისა და ოტრინოლარინგოლოგიისა.

წინედ დისპანსერი 7 იყო, ახლა—143. კბილის საე-
ქიმო კაბინეტი წინად 4, ახლა—57.

სამკურნალო სასოფლო დახმარების ქსელი თანდა-
თანობით ფართოვდება. თვითმპყრობელობის დროს 36
ამბულატორია იყო, მენშევიკების რეჟიმში—188, 1927 წ.
კი—270.

საავადმყოფო სალაროები. თვითმპყრობელობის სა-
უკეთესო დღეებში ეს სალაროები მშრომელი მასების

უმნიშვნელო ნაწილს, —5000-მდე კაცს ემსახურებოდა, სა-
ამისო ხარჯის დიდი წილი კი ისევ მუშებს აწვებოდა ჯერ-
სრად. საბჭოთა ხელისუფლებამ დეკრეტით შემოიღო ავად-
მყოფისაგან სავალდებულო დაზღვევა ყოველი მუშა-მო-
სამსახურისა და მათი ოჯახებისა. ამჟამად საქართველო-
ში 112.461 დაზღვეული ითვლება, ნამდვილად კი 400.000,
უკეთუ ოჯახის წევრებსაც ვიანგარიშებთ. დაზღვეულებს
თავისუფლად შეუძლიათ შესვლა არა თუ მხოლოდ დის-
პანსერებსა და სპეციალურ სამკურნალოებში, არამედ რეს-
პუბლიკის სამკურნალო ყოველგვარს დაწესებულებაში, სა-
დაც ისინი ყოველი სახის სამკურნალო დახმარებას უფა-
სოდ ღებულობენ.

სამკურნალო დახმარება უფასოა აგრეთვე ღარიბი
გლეხობისთვისაც.

*
* *

მე შემეძლო ცთუნებას ავყოლოდი და ადგილობრი-
ვად საკუთარის თვალით ნახული მრავალი კერძო მაგა-
ლითი კიდევ დამესახელებინა დღევანდელ საქართველოს
მდგომარეობის სურათის გასაძლიერებლად, მაგრამ, რა-
ცა ვთქვი, ისიც საკმაოა, რათა სავსებით გამოჩნდეს იმა-
თი ნამდვილი სახეები, ვინც ძველსა და იმავე დროს ახალ
საქართველოში „ყოველდღიური შრომის დიდებული დღე-
ები გაათენა“.

რა თქმა უნდა, ის ციფრები, რაც მე აქამდე დავა-
სახელე, ცვლილებას განიცდიან. ერთხელ დაწერილნი,
იგინი მყარდებიან მტკიცდებიან გაცხოველებულს მუშა-
ობაში. გუშინდელსა და დღევანდელს ცდაზე ახალი ცნო-
ბები იბადებიან. ციფრები მაინც საჭიროა დასასაბუთებ-
ლად. მინდოდა, აღარ დამესახელებინა, მაგრამ ვერ მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახერხე. იმ დროს, როცა ომის ნამდვილი მიზანი ისტორიული სიმართლეა, ბრძოლა ფაქტებითა და ციფრებით უნდა სწარმოებდეს და არა საჩივრებითა და თეზისებით, რომლებიც ყოველნაირად შეიძლება შეატრიალო, საქართველოს ეს ეკონომიური მხარე, რაგინდ დროებითიც იყოს იგი, ერთ გარემოებას სიმარადისოდ ადასტურებს, სახელდობრ: იმ სამი რეჟიმის მიღწევათა შედარებითი წონას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთს გამოუნაცვლენ. ფაქტები ულმობელად ანადგურებენ იმ უტოფარ ლეგენდებს, თითქოს ეს ქვეყანა დამონებული და გაწამებული იყოს იმათგან, ვინც იგი ნამდვილად იხსნა.

გარდა იმისა, რომ ს. ს. რ. კავშირი ყოველწლიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს ბიუჯეტში, ცენტრალური მთავრობა უხვ დახმარებას აძლევს რესპუბლიკის ეკონომიური აღორძინების საქმეში.

ს. ს. რ. კ. მიერ საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გადადებული თანხა ამჟამად თანდათან მცირდება იმიტომ, რომ თვით დეფიციტიც დღითიდღე კლებულობს. 1926 წ. საქართველოს ბიუჯეტი 22.789.999 მან. შეიცავდა, საბჭოთა კავშირის დოტაცია კი— 7.124.000 მან.; 1927 წ. ბიუჯეტი იყო 24.889,431 მან., დოტაცია—5.924.000.

ამის შემდეგ რაღა უნდა ვთქვათ იმ საჩივრის თითოული მტკიცების შესახებ, რომელიც ქართველმა მენშევიკებმა ერთა ლიგას მიართვეს 1924 წლის აგვისტოში: „მოსკოვის მთავრობა აუტანელ გადასახადებს ადებს საქართველოს ისეთი ხარჯების დასაფარავად, რასაც საქართველოსთან არავითარი კავშირი არ აქვსო“!

ან რაღა შეხედულება უნდა ვიქონიოთ ყველა იმ ბრალდების შესახებ, რასაც ოფიციალურ და ოფიციოზურ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იარაღად იყენებენ „საქართველოს საკითხის“ გააფთრებული ექსპლოატატორები: „ხელოვნებათა განადგურება. ეკონომიური ღლვევა, სიმშილი, უმუშევრობა, სიღატაკე, კულტურული გაპარტახება და სხვ“... (ბ. რეიმონდ დიუგე). —„საზარელი დიქტატურის კლანჭებში ჩავარდნილი ქართველი ხალხი იბრძვის მტრისა, სიმშილისა და ეპიდემიების წინააღმდეგ“ (1922 წლ. მემორანდუმი ერთა ლიგას). „ქვეყანა ჟლეტის ასპარეზად იქცა (საქართვ. დამოუკიდებლობის კომიტეტის მოწოდება 1923 წ.). „ეროვნული ცხოვრების ყოველგვარი გამოხატულება ულმობელად ისპობა. ხელოვნება, ლიტერატურა, თვით ენაც კი განსაცდელშია... ქვეყნის სიმდიდრეს უცხო ელემენტები იტაცებენ... ერს ფიზიკური განადგურება ემუქრება, მისი მატერიალური და მორალური ავლა-დიდება ჭქრება“. (იქვე).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სომხეთი

რუხი მარგალიტის მშვენიერ სომხეთს, ზემოდან რომ მაქმანით მორთული არარატი დასცქერის, სომხეთს, ვისთვისაც ისტორიული ვითარება დღემდე ასე ულმობელი იყო, იგივე ბედი ეწია, რაც საქართველოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უფრო ღრმა ქვესკნელიდან გამოსულს, უფრო მძაფრად წამებულსა და გაპარტახებულს აღორძინებაც უფრო ბრწყინვალე ხვდა.

არც იქ დამიტოვებია რომელიმე საზოგადოებრივი ფენა, სადაც არ მივსულიყო და არ გამეცნოს,—ძირიდან დაწყებული თვით წვერვალამდე ვნახე ის უზარმაზარი პირამიდა, რასაც მთლიანად საბჭოთა სახელმწიფო წარმოადგენს: გლეხები და მუშები, სტუდენტები, არტისტები, მეცნიერები, აგრეთვე ის შორსმჭვრეტელი და მიმღები ადამიანები, რომლებიც ამჟამად განახლებული სომხეთის ხელმძღვანელთა კოლეგიას შეადგენენ...

რა საამური მოგონებანი, რა ამბები! რა სხივოსანი სანახაობა ოთხკუთხოვანი სოფლებით მოჭადრაკებულს ამ რუხ მიწაზე! ერევნის ღამეებიც ისეთივე მშვენიერია, როგორც, ტფილისის, სადაც ბნელი ისე წმინდაა და განათებაც ისე მკაფიო, რომ, როცა „მამა“ დავითის მაღლობიდან ან ღია ფანჯრიდან გადასცქერი, გგონია, რაღაც სამარადისო, უქრობელი ჩირაღდანი დასდგომია თავს მიბინდებულ ქალაქსო. ისე როგორც ბაქო საჰაერო გზების სიმაღლიდან, ერევანიც ხშირად მინახავს იმ მაღალ ბილი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდან მთას რომ გარშემო ეხვევა, მინახავს და ძველისძველი ქალაქის განახლებულ სხეულზე თვალს გამალებით უთვლია ახალი თეთრი წერტილები ჩაშავებულ ლაქათა შორის, წარსული და მომავალი, თეთრი, შავს რომ გამალებით ჰფარავს. ამ ფართო პეიზაჟთა მნიშვნელობაში არის რაღაც ისეთი, რაც გაკილებით უფრო მშვენიერია, ვიდრე მათი სილამაზე.

მინდა მოკლედ აღვნუსხო ის ციფრები, რომლებიც აქ მოსატანია. სრულიადაც არ განმიზრახავს, რომ აქ ენციკლოპედიური რამ ნაშრომი გადაგიშალოთ, მინდა მხოლოდ დავსახო ის მნიშვნელოვანი წერტილები, რაც საშუალებას მომცემს ფაქტიური მდგომარეობის გამოსახატავად. უსარგებლო იქნებოდა წვრილმანების გაყოლა ან კიდევ ნახული ფაქტების შეხამება.

საბჭოთა სომხეთის სივრცე დაახლოებით 31.000 კვ. კილომეტრს უდრის, რაც ათასი კილომეტრით უფრო დიდია, ვიდრე ბელგიის ტერიტორია. დაშნაკელების ნაციონალისტურ ავანტიურებს ის შედეგი მოჰყვა, რომ ყარსისა და სურმანლუს ძველი პროვინციები თითქმის მთლიანად ოსმალეთმა შეიერთა.

დღევანდელი საზღვრების ფარგლებში მოსახლეობა ომამდე 980.000 იყო. 1922 წ. ეს ციფრი 781.000-მდე ჩამოვიდა. თუმცა 1926 წლ. 17 დეკემბრის აღწერა 880.464 სულს ანგარიშობს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში მოსახლეობის მოძრაობას ოსმალეთისა და საქართველოსაკენ, აგრეთვე იქიდანაც, შეიძლება სამართლიანად ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი მოსახლეობის რიცხვი 930.000 აღწევს (790.000 სომეხი, 93.000 თურქი). ეს რიცხვი სწრაფად მატულობს. ასე, მაგ., ერევნის მცხოვრებთა რიცხვი, რაც თვითმპყრობელობის უკანასკნელი

17 წლის განმავლობაში მხოლოდ 3.000 გაიზარდა, სამი უკანასკნელი წლის—1923-1926 წ. 17.000 გადიდდა (ერევანში 64.614, ლენინაკანში 42.000).

სოფლის მეურნეობა სომხეთში

დავიწყოთ სოფლის მეურნეობიდან, მით უმეტეს, რომ სომხეთი, როგორც საქართველო, პირწმინდად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა (მხოლოდ ნუ დავივიწყებთ, რომ დღევანდელი მთავარი მიზანი ინდუსტრიალიზაციისაკენ მიიწევს და სასოფლო მეურნეობასაც ინდუსტრიის თვალსაზრისით იხილავენ).

დამუშავებული მიწების სივრცემ 1927 წ. $7^1/_2$% გადააჭარბა ომის წინადროინდელს. სასოფლო მეურნეობის პროდუქციის შეფარდება ასეთია (ათას ოქროს მანეთობით): ომამდე—45.245; 1929 წ.—26.523; 1926-27 წლ. პირველი ცხრა თვის განმავლობაში—38.213.

აღსანიშნავია, რომ 1926-27 წ. მოსავალი, ექსპერტების სიტყვით, 10%-ით ნაკლებია ჩვეულებრივზე (გვალვა).

ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კულტურა, როგორიცაა: ქერი, თამბაქო, ბამბა უკანასკნილ წელს ნაკლებია. თუმცა ქერის დანაკლისი შეიძლება სხვა კულტურების მოსავლით ანაზღაურდეს, მაგრამ იგი როდი ითქმის თამბაქოსა და ბამბის შესახებ, ამიტომ მიწათმოქმედების კომისარიატის მთელი ყურადღება აქეთკენაა ამჟამად მიქცეული.

მეს აქონლეობის განვითარება (რაც სომხეთის სასოფლო მეურნეობის ერთ-ერთს მნიშვნელოვან შტოს წარმოადგენს) ყველგან დიდია. 1914 წლ. ციფრებთან შედარებით შეიძლება აღინიშნოს მატება ცხენების (სატვირ-

თო) 25%, მსხვილფეხა საქონლის 21%, წვრილფეხა 18%, ხოლო კერძოდ თხების, ამ „ღატაკთა ძროხის", 23%. რაც შეეხება ღორებს, კერების შესარჩევი სამი სადგური არსებობს.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავი ისაა, რომ სასოფლო მეურნეობის სრულიად უგეგმობის მაგიერ, გასაბჭოებამ საჭიროებისა და შესაძლებლობის მიხედვით მეთოდიური ორგანიზაცია შეიტანა მეურნეობის ყოველ დარგში, რაც აუარებელ ხარჯს მოითხოვს.

ეს დიდი მუშაობა, რაც მიწათმოქმედების კომისარიატის ხელშია თავმოყრილი, შეეხება: 1. გლეხობის ტეხნიკურად და პრაქტიკულად აღზრდას. 2. სოფლის მეურნეობის მეცნიერულ განვითარების ოდებით, სელექციით, მიწისა და აგრონომიული პირობების შესწავლით; 3. თითოეული დარგისთვის სპეციალურ დაწესებულებათა გამრავლებას, რომლებიც შეთანხმებულად და მხარდამხარ იმუშავებენ. 4. საზოგადოებრივ სამუშაოთა: ელექტროსადგურების, მორწყვის, გზების, ფართო მაშტაბით განვითარების და სხვ... და სასოფლო მეურნეობისთვის მანქანების მიწოდების.

350 ჰექტარი მიწა სამაგალითო და საცდელი მეურნეობისთვის საუკეთესო ტიპისა, კარგი თესლისა და კულტურის გაუმჯობესებული მეთოდების შესარჩევად. სამეურნეო მანქანების 37 საქირაო სადგური (203 ტრაქტორი). თესლის შემმოწმებელი 37 უფასო სადგური. ჯიშიან ცხოველთა სპეციალური სადგურები თითქმის ყოველს დიდ სოფელში. შინაური ცხოველების ავადობათა საწინააღმდეგო რაიონული ინსტიტუტები და დაწესებულებანი სათანადო კონტროლებითა და ინსპექტორებით. მავნე მწერებისა და ფრინველობის მებრძოლი ცენტრები და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულებანი; მევენახეობა-მეღვინეობის სკოლები; ხილის ბაღები საუცხოო სანერგეებით (ო, ეს მიწიერი სამოთხე ხილ-ყვავილების სურნელებითა და სიგრილე-ფერადოვნებით აღსავსე ერევნის მტვრიანი გზის ნაპირას!) სისტემატიურად ხმარებულ ღონისძიებათა წყალობით მოკლე ხნის განმავლობაში მოისპო სხვადასხვაგვარი ეპიდემია, სახელდობრ, ცხოველებისა, ხეხილისა და განსაკუთრებით ბამბის მცენარისა. ნაცადი იყო კარტოფილის ახალი ჯიში, რასაც კარგი შედეგი მოჰყვა. თითოეულ 37 ადმინისტრატიულ რაიონს თავისი აგრონომ-ინსტრუქტორი ჰყავს. აგრონომიული ცენტრები, რომლებთანაც, როგორც ზემოდ აღვნიშნე, არსებობს საქირაო მანქანების სადგური და შერჩეული თესლის საწყობი, აწყობენ სანიმუშო გაკვეთილებს, საჯარო კურსებსა და ავრცელებენ სასოფლო მეურნეობისთვის გამოსადეგ წიგნაკებს.

1927 წ. დაარსდა მებაღეობის სპეციალური სადგური, თითოეულ მის სამ განყოფილებას აქვს თავისი ლაბორატორია, საცდელი კაბინეტი და ბიბლიოთეკა.

სანამ გლეხებს თანამედროვე მანქანებს, ორთქლის გუთნებსა და სხვ. გადასცემდა, კომისარიატმა მექანიკოსების მოსამზადებელი კურსები გამართა.

ძლიერ განვითარებულია მეაბრეშუმეობა. ამ წლის მოსავალი 437.000 მანეთის ღირებულებას აღწევს. თუთის ხის 30.000 ნერგი და 50.000 კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლი უფასოდ დაურიგდა გლეხობას. თავდება სააბრეშუმო ქარხანა, რომლის მანქანებს დღე-დღეზე ელოდებიან.

სევანის ტბაში, რომელსაც 1400 კვ. კილომეტრის სივრცე უჭირავს, მოაშენეს განსაკუთრებული, დიდი ტანის კალმახი, აგრეთვე სხვა უცხოური ჯიშის თევზები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაც თვალსაჩინო შედეგი მოიტანა. ჩემის თვალით ვნახეხე სევანის ტბის ნაპირებზე გაშლილი უზარმაზარი ბადეები. წელს სომხეთში ერთი მილიონი ცალი თევზი დაიჭირეს.

სომხეთის ტყეების სივრცე 320.214 დესეტ. უდრის, რისთვისაც 11 სატყეო დაწესებულება არსებობს. ამავე დროს ყურადღებას აქცევენ ზოგიერთი შიშველი ადგილის ტყით შემოსვასა და არსებული ტყეების რაციონალურ ექსპლოატაციას. 1926-27 წ. სომხეთის ტყეების შემოსავალი 269.767 მან. შეადგენდა. საძოვრებით რაციონალურად იქნა მოწყობილი და განაწილებული. ადგილობრივ მწყემსებს 212.000 დეს. საძოვარი არგუნეს, ხოლო საქართველოსა და აზერბაიჯანისას თითქმის ამდენივე: 206.000 დეს.

მთელი ერთი თავი დასჭირდებოდა იმის აღნუსხვას, რაც ირიგაციის დარგში გაკეთებულა რა კეთდება; მთელს ამიერკავკასიაში დიდი გვალვა იცის და ისეთი კულტურები, როგორიცაა, მაგ., ბამბა თითქმის ყველგან რწყვას მოითხოვს. სარწყავი მიწების სივრცე 1926-27 წ. 105.000 დეს. უდრიდა.

გლეხებს მიწები დაურიგდა სომხეთის საბჭოთა მე-6 ყრილობის დადგენილების თანახმად. დარიგება შეეხო 1.085 სოფელსა და 738.000 სულს. მიწების დარიგებასთან ერთად გაუმჯობესებულ იქნა ყანებთან მისასვლელი გზები და სარწყავი არხები. აქაც თითქმის იმავე დაბრკოლებებს ვხედავთ, რაც საქართველოს გადაეღობა წინ მიწების განაწილების დროს: პირველი განაწილების დროს 100.000 გლეხი, რომელიც ოსმალეთიდან დაბრუნდა, უმიწოდ დარჩა, ამათში 65.000 უკვე მიეცა, დანარჩენი 40.000 მოჯამაგირედ მუშაობს. ამ წლის განმავლო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაში მიწათმოქმედების კომისარიატმა 387.000 მან. დახარჯა მცირემიწიან გლეხთა უფრო თავისუფალ ადგილებზე დასასახლებლად; საამისო ხარჯად თითოეულს 316 მან. მიეცა.

სომხეთში ამჟამად 223 სასოფლო კოოპერატივი არსებობს, რომელთა შორისაც 41 საკრედიტოა. კოოპერატივებში გაერთიანებულ მეურნეთა რიცხვი 45.315 უდრის. 1927 წლ. 1 ოქტომბერს სასოფლო საკრედიტო ამხანაგობათა წევრების რიცხვი 25.526 კაცს შეადგენდა. ამ საკრედიტო საზოგადოებათა მეშვეობით სახელმწიფომ 5 მილიონის სესხი დაარიგა გრძელის ვადით.

სომხეთის საექსპორტო საგანს უმთავრესად წარმოადგენს: თამბაქო და ბამბა (ამჟამად ოდნავ დაკლებული), აბრეშუმი, ნედლი და ხმელი ხილი (ევროპაშიც გადის), თევზი, კონიაკი, ღვინო და მინერალური წყლები.

დღევანდელი ხელისუფლების მიერ მიღებული სამრეწველო მემკვიდრეობა სავალალოზე უარესი იყო; იგი მხოლოდ ნამსხვრევებისგან შესდგებოდა. ხოლო აქა-იქ არსებული ერთი-ორი ფაბრიკა, როგორც ტეხნიკოსები იტყვიან, „შინა-სახელოსნოს“ თუ მის მზგავს რასმე წარმოადგენდა. ესცაა, რომ სომხეთის მრეწველობა არაოდეს გასცილებია პირველ სტადიას. მაგალითად, ღათარისა და ალავერდის სახელოსნოები ოდესმე რუდიმენტალური დაწესებულებანი იყო, სადაც მადანი ზურგით მიჰქონდათ ხოლმე ქარხანაში. ერთად-ერთი დაწესებულება, რომელსაც ქარხნის ოდნავი იერი გააჩნდა, არარატის სარეჭტიფიკაციო ქარხანა იყო.

1912 წ. ერევნის გუბერნიის შემოსავლის ბალანსში, სასოფლო მეურნეობასთან შედარებით, მრეწველობის წილი მხოლოდ 17% წარმოადგენდა. ეს პროცენტი 1921 წ.,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასაბჭოებისას, გაცილებით უფრო მცირე იყო. დაქცეული საწარმოების თანდათანი აღდგენით საბჭოთა მთავრობამ ინდუსტრიის წილიც გაადიდა საერთო შემოსავალში,—1923 წ.—7%-ით, 1924 წ.—13%, 1925 წ.—16%, 1926 წ.—20,2%. ხოლო სპილენძის მრეწველობა, რომლის რეორგანიზაციაც 1924 წ. დაიწყო, ჯერ კიდევ სავსებით არ არის აღდგენილი; იგი სწორედ ომის წინადროინდელი პროდუქციის ნახევარს იძლევა.

სომხეთს დიდი ბუნებრივი სიმდიდრე აქვს (სპილენძი, ტყვია, ვერცხლი, ცინკი, რკინა და სხვ.). მიწის წიაღის სიმდიდრეთა წესიერი ექსპლოატაცია მთავრობის მოქმედების პირველ საზრუნავ საგანს შეადგენს. მეორე რიგში სდგას სასოფლო ნაწარმოებთა გადამმუშავებელი მრეწველობის გაუმჯობესება და გაფართოება. მესამე კი ისაა, რომ სომხეთმა სათანადოდ გამოიყენოს თეთრი ნახშირის შესაძლეობანი. დასასრულ, მთავრობის ღონისძიებანი იქითკენ იქნება მიმართული, რომ განავითაროს და ტეხნიკურად აღზარდოს მუშათა კადრები, რათა იმ უზარმაზარს აღმშენებლობაში, რომელიც მას დაუწყია, მცოდნე და განათლებული მასები ჩააბას.

უკანასკნელ წელს ერთი დიდი ელექტროსადგურის შენება დაიწყეს ძორაგეთში; იმავე რაიონში შენდება აგრეთვე კალციუმის დამუშავებელი ქარხანა.

ტყავის დამმუშავებელი მრეწველობა თავიდან ბოლომდე ახლად იქნა დაწყებული. ნამდვილ სახელოსნოებად აქციეს ის უბადრუკი ორი სატყავო ხუხულა, რომელიც ოდესმე სომხეთის მრეწველობის ამ დარგს წარმოადგენდა. ახლა უკვე მანქანამ 50% შესცვალა იქ ხელით წარმოება.

ერევანში მოეწყო ერთი დიდი სტამბა თანამედრო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვე ტიპის მანქანებითა და ლინოტიპით. სარემონტო და სამექანიკო სამუშაოთა ერთი სახელოსნოც მალე დამთავრდება ყოველნაირის მოწყობილებით, მუშათა ბინებით, საწყობით და სხვ. 500.000 მან. დაიხარჯა სპილენძის მრეწველობისთვის საჭირო მანქანებსა და მასალაში. 1926 წ. ერევანში აშენდა ერთი ქარხანა, რომელიც წლიურად ერთ მილიონ ტონა კალციუმის ნაწარმოებს დაამუშავებს.

საფეიქრო მრეწველობა სომხეთში სრულიად არ არსებობდა. მოწეული ბამბა სხვაგან გაჰქონდათ. წელს ლენინაკანში დასრულდება 40.000 ჯარაიანი საფეიქრო ქარხანა (15.000 ჯარა მოსკოვის მთავრობის მიერაა ნაჩუქარი). ქვის სატეხ კარიერებში დღემდე ძველის-ძველი მეთოდები არსებობდა მუშაობისა, ახლა მექანიკური საშუალებაა შემოღებული, რაც პროდუქციას თორმეტჯერ აიაფებს. მრავალი ცდა და კვლევა სწარმოებს დღევანდელს ფართო აღმშენებლობასა და მრეწველობაში ბაზალტის გამოსაყენე ბლად.

1925 წ. დაიწყო სომხეთში მუშათა ბინების მშენებლობა, ამ სამუშაობის განვითარებას ხელი შეუშალა ლენინაკანის მიწისძვრამ. იკვლევენ აგრეთვე საუკეთესო ტიპის იაფი სახლების საკითხს.

მრეწველობის ზოგიერთი დარგი ქანაობას განიცდის და მცირდება, სახელდობრ, სარექტიფიკაციო, საფეიქრო და სატავო. ზოგიერთი კი ძლიერ მატულობს, მაგ., სპილენძის წარმოება. ერევნის ელექტროსადგურმა 1926 წ. 1.152.202 კილ.-საათი გამოიმუშავა.

ოდნავი რყევა და ნაწილობრივი შეფერხება სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული (რაც ხელს ვერ უშლის საერთო განვითარებას) და რასაც საბჭოთა მთავრობა სათანადო ანგარიშს უწევს. ასე მაგ., სატყავო ინდუსტრია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ში კერძო ვაჭრობას 68% ეკუთვნოდა; დროებითი კრიზისის ფასით, მთავრობამ მოახერხა ტყავეულობის ვაჭრობის გადაცემა სახელმწიფო ვაჭრობასა და კოოპერატივებისთვის, რომელთა წილიც ამჟამად 83% შეადგენს.

თუ იმ ნელი ტემპისა და მეთოდების ნაკლის შესახებ არ ვილაპარაკებთ, რაც ასეთი დიდი და რთული საქმიანობის დროს თითქმის აუცილებელია, სომხეთის სმუს წინ ეღობება კვალიფიციურ მუშათა რიცხვის სიმცირე და საზოგადოდ სამრეწველო მუშა-ხელის მოუმზადებლობა. ამ გარემოებათა გამო ზოგიერთ შემთხვევაში ახალაშენებული ქარხნები სკოლას მოგვაგონებენ და შრომის ნაყოფიერება ვერ მისდევს, როგორც რიგია, ხელფასის რეგულარულსა და მტკიცე ზრდას. ამიტომაა, რომ სამრეწველო აღზრდა მუშა-ხელისა, რომელიც ერთი ხანია სოფლიდან მოდის, მრეწველობის განვითარების განუყოფელ ნაწილს შეადგენს და მთავრობაც სათანადო ანგარიშს უწევს მას.

სომეხი მუშა რამდენიმედ უფრო ჩამორჩენილია რუს მუშაზე ტეხნიკური განათლებისა და სოციალური შეგნების მხრით, რაც,—ეს ორი მხარე საუცხოვო სინტეზით ბოლშევიკება ერთად შეათავსეს. რუსი მუშის პროფესიული ნაყოფიერება სწრაფად გაიზარდა. სამი წლის განმავლობაში, 1923—26 წ., იგი თითქმის გაორმაგდა, ხოლო 1925 წლიდან რუსი სამრეწველო მუშის ნაყოფიერი დღე საშუალოდ 262 დღეს უდრიდა წელიწადში. სოფლიდან მოსული და ნაკლებ მომზადებული სომეხი მუშა ასეთ პროგრესს ვერ მიაღწევდა: **წითელი ნოემბრის** სასპილენძო ქარხანაში, მაგალ., მუშა ყოველწლიურად მხოლოდ 242 ნაყოფიერ დღეს იძლევა. ამიტომ საბჭოთა ხელმძღვანელები გაძლიერებულის ენერგიით სცდილობენ, რათა ახალი საზოგადოების მუშა-მშენებლებს სოციალისტური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და „მორალური“ აღზრდაც მისცენ და ამავე დროს მათი ეკონომიური მდგომარეობაც გააუმჯობესონ თანახმად საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-X ყრილობის დადგენილებისა, რომელიც ამბობს: „კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაუროს არარუს მუშათა მასებს, რათა ისინი დაეწივნენ ცენტრალურ რუსეთს, რომელმაც მათ გაუსწრო“.

ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ სომეხ მშრომელთა მიერ შესრულებული სოციალისტური სოლიდარობის საუცხოო აქტი: მათ 240.000 საათის უფასო მუშაობა მიუძღვნეს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს.

სომეხი მუშის თვიური შუათანა ხელფასს 44 მან. და 50 კ. შეადგენს (მეტყავისა—76 მ., ტიპოგრაფიის მუშისა—62 მ.).

სომხეთის მრეწველობის პროდუქცია, დღევანდელ საზღვრებში, ომამდე 10.277.000 მ. აღწევდა. 1923 წ. იგი 2.408.000 მ. იყო, ხოლო 1926—27 წლის პირველ ცხრა თვის განმავლობაში კი—9.222.000 მ.

სახელმწიფო მრეწველობის გარდა სომხეთში არის რაიონული სარეწაოები საალმშენებლო მასალებისა, რაც მოქალაქეთა სხვადასხვა ასოციაციის ხელში იმყოფება. თავის ამარა მიტოვებული და საშუალებას მოკლებული, ეს მრეწველობა უმწეო მდგომარეობაშია. მთავრობამ გადასწყვიტა, პირი იბრუნოს მისკენ და კრედიტების მიწოდებასთან ერთად სათანადო დირექტივები და გეგმიანობაც მისცეს, რაც არანაკლებ ესაჭიროება მას.

არის აგრეთვე შინა-მრეწველობა. ამგვარი მრეწველობის პერსონალი, რომელიც სომხეთის სხვადასხვა კუთხეშია გაბნეული, 1925 წ. 7613 იყო. შინა-მრეწველობის საქმეს ხელი მოჰკიდეს კოოპერატივებმა, რომელთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიცხვიც სწრაფად გაიზარდა (1927 წ.—11, შემდეგ—45). მაგრამ ამ კოოპერატივებს საწარმოო თანხა აკლიათ. მომავალი წლიდან მთავრობა აქტიურად ჩაერევა მათ საქმიანობაში და ფულსაც მისცემს და სხვა საშუალებასაც განსავითარებლად.

ხუთწლიანი აღმშენებლობის გეგმა, რომლის განხორციელებაც აგერ ერთი წელიწადია რაც სომხეთში ენერგიულად დაიწყო, მარტო სამრეწველო სექტორის საჭიროებისათვის 43.317.100 მან. მოითხოვს (რომელთაგან 9.500.000 მ. მუშათა ბინების ასაშენებლად).

სახალხო ჯანმრთელობა სომხეთში

ომამდე სახალხო ჯანმრთელობის დაწესებულებათა რიცხვი სომხეთში მეტად მცირე იყო. სოფლებში ექიმი ერთობ ძვირი სტუმარი იყო, რასაკვირველია, გარდა მდიდართა დარბაზებისა.

ამ დარგშიც საბჭოთა ხელისუფლებას თავიდან მოუხდა საქმის დაწყება: 15 საავადმყოფო 150 საწოლით ღირსი არ იყო თავისი სახელისა. ამჟამად 19 საავადმყოფო ქალაქებში არსებობს, 15 კი—სოფლებში, ხოლო საწოლების რიცხვი 20 ჯერ მეტი უნდა ვიანგარიშოთ ომის წინადროინდელთან შედარებით. აქ ნაგულისხმევი არ არის სხვადასხვა ორგანიზაციის სპეციალური საავადმყოფოები—რკინის გზისა, წითელი არმიისა და წითელი ჯვრისა და სხვ. (რომელთაც სახელმწიფო ეხმარება). ოციოდე ექიმის მაგიერ, ქალაქიდან რომ ქალაქში დახეტიალებდა ოდესმე, ამჟამად 450, რომელთაგან 170 ჯანმრთელობის კომისარიატს ექვემდებარება. უკანასკნელი წლის განმავლობაში მათ მილიონამდე ავადმყოფი მიიღეს, საავადმყოფოებში კი 18.000 ავადმყოფი გატარდა (რა თქმა უნდა, ეს იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდი ნიშნავს, რომ ავადმყოფები წინანდელზე მეტია სოფლებში. ჩატარდა 2700 ლექცია-საუბარი (140.000 მსმენელით), ათიათასობით დარიგდა ჰიგიენურ-სანიტარული შინაარსის წიგნაკები, ფურცლები და სხვ.

გაიმართა მრავალი ლაბორატორია თანამედროვე ხელსაწყობით. იქ მომუშავე მეცნიერები თვიურად 125 მ. —600 მანეთამდე ღებულობენ (რაც 7.800 ფრ. შეადგენს), ხოლო კომუნისტებს, როგორი თანამდებობაც უნდა ჰქონდეთ, საბჭოთა კანონით 225 მანეთის მეტი არ ეძლევათ თვიურად (ს. ს. რ. კავშირში კომუნისტობა ხელსაყრელი როდია მატერიალურად). ძლიერ ფართო მაშტაბითაა მოწყობილი რიცხვმრავალი დაწესებულებანი სოციალური სენთა წინააღმდეგ საბრძოლველად: ტრახომისა, ვენერიულ სენთა (ომის წყალობაა) და განსაკუთრებით მალარიის წინააღმდეგ. არსებობს მალარიის საწინააღმდეგო 13 სპეციალური საავადმყოფო; გარდა ამისა, იკვლევენ ადგილმდებარეობას, სპობენ კოღოებს, აშრობენ ჭაობებს.

ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ შემოღებულია მთელი მოსახლეობის ორჯერ გასინჯვა წელიწადში. არაოდეს დამავიწყდება, რასაც ჯანმრთელობის სახალხო კომისარი მეუბნებოდა იმ „სიფრთხილისა“ და ლმობიერი მოპყრობის შესახებ, რომლითაც ექიმებმა სძლიეს გლეხის ინსტიქტური უნდობლობა უცნობ მეცნიერისადმი; რამდენი ენერგია დაუხარჯავთ ამ ადამიანებს, რათა გლეხები დაერწმუნებიათ, რომ ექიმები ჩინოვნიკები კი არ არიან ან მსაჯულები, არამედ მათი ნამდვილი მეგობრები და მათი მუშაობის პირდაპირი თანამშრომლები. დარიგდა მრავალი პლაკატი (ოფიციალური ხელისუფლება მოსახლეობას თავისუფლად ელაპარაკება პლაკატების საშუალებით), რომელზედაც სწერია, რომ ავადმყოფობა, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელიც უხდა ერქვას მას, სირცხვილი კი არ არის, ...
მედ უბედურება.

ფეხმძიმე ქალებს ხანგრძლივი დასვენება აქვთ.

დუმილით არც იმ მოვლენას უნდა ჩავუაროთ გვერდი, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ პირველს რიგში სომხებისთვის გახადა ხელმისაწვდომი სომხეთის სამკურნალო საუცხოო წყლები: ასიოდე წყაროა და მათში 18 პირველხარისხოვანი. ამ წარმოებამ, რომელიც მთლიანად რეორგანიზაციაქმნილია, თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს სომხეთის საგარეო ვაჭრობაში.

სახალხო განათლება, მეცნიერება და ხელოვნება სომხეთში

თვითმპყრობელობა, როგორც ვიცით, სკოლისთვის თავს არ იცხელებდა. იგი არც სტატისტიკას აქცევდა ყურადღებას, მაგრამ დაახლოებით შეიძლება ითქვას, რომ ერევნის ყოფილ გუბერნიაში ას კვადრ. კილომეტრზე, ესე იგი, 4.700 სულზე ერთი სკოლა მოდიოდა, რაც საერთოდ 300 სკოლას შეადგენს. უმრავლესობაში სწავლა რუსულ ენაზე სწარმოებდა. ქურთებისა და სომხების სკოლა სემინარია იყო. დაშნაკელების ხელისუფლების დროს იგივე მდგომარეობა: იგივე ინერტიულობა და უთავბოლობა; თუმცა სომხური ენა კი შემოიღეს მაშინ პირველდაწყებით სკოლებში, მაგრამ უნდა დავუმატოთ ისიც, რომ დაშნაკელების ბატონობას შედეგად მოჰყვა სასკოლო შენობებისა და მოწყობილების სრული განადგურება.

ამჟამად სომხეთში 800 სკოლაა პირველი და მეორე საფეხურისა; ერთი მოწაფე მოდის 10 სულს მცხოვრებზეხოლო სულ 98.000 მოწაფე და 200 მასწავლებელია. არსებობს 6 პედაგოგიური სასწავლებელი სოფლელებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, კურსები მასწავლებელთა გადასამზადებლად, ორი ტექნიკუმი და ორი ინსტიტუტი მევენახეობა-მეღვინეობისა, 10 სპეციალური აგრონომიული სასწავლებელი გლეხთათვის, 2 მუშათა საკვალიფიკაციო სკოლა და 2 მუშათა ფაკულტეტი.

სამრეწველო ხელოვნების ერთი ტექნიკუმი, ერთი კონსერვატორია, ერთი სამუსიკო სკოლა და ერთიც საცეკვაო.

ერთი უნივერსიტეტი—ხუთი ფაკულტეტით, 1200 სტუდენტითა და 154 პროფესორით.

გარდა ამისა, 565 პუნქტი წერა-კითხვის უცოდინართათვის, სადაც შარშან 108.000 პირმა ისწავლა წიგნი.

ეროვნებათა უმცირესობის მოთხოვნილებანი ფართოდაა დაკმაყოფილებული; არსებობს 163 არასომხური სკოლა, რომელთაგან 115 თურქულია, 27 რუსული, 4 სირიული, 11 ქურთული და 5 ბერძნული.

არის ერთი სახელმწიფო თეატრი ერევანში, ერთიც ლენინაკანში. ეწყობა ხოლმე თეატრების დასთა მოგზაურობა პროვინციებში, და დღესასწაულების დროს სოფლებში იმართება წარმოდგენები. პიესები მეტად სოციალური შინაარსისაა, ფარდები და სცენის მოწყობილობა—დადგმა უახლოესი ხელოვნების პრინციპებზეა დამყარებული. სამი კინო-დარბაზი—თვითონ ვნახე საუცხოო სურათები ერევანში. სოფლებსა და კლუბებში მოძრავი (20) კინო მოქმედებს.

36 რადიო-პოსტი, 230 ქოხ-სამკითხველო, ბიბლიოთეკები ყოველს ქალაქსა და მნიშვნელოვან სოფელში. ორი მუზეუმი ერევანში, ოთხი პროვინციაში, ორიც პროექტითაა განზრახული.

ამ საგანმანათლებლო ფართო ქსელმა დიდი ნაყი-
ფიერი გავლენა მოახდინა ისტორიასა, ლიტერატურასა
და ხელოვნებაზე. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი პერიო-
დული გამოცემა, რომელიც სპეციალურად სომხეთის ის-
ტორიასა და ლიტერატურას იკვლევს. უნივერსიტეტმა
გამოსცა პროფ. აჯარიანის მნიშვნელოვანი ნაშრომი ძი-
რითადი ზმნების ლექსიკონი და სტ. მალხასიანის ლექსი-
კონის პირველი ნაწილი. ამას გარდა, უნივერსიტეტმა
დაამუშავა იურიდიული, მედიკური, სომხურ-რუსული
სამხედრო და სხვ. ლექსიკონები... მუსიკისა და სახალხო
სიმღერების კრებულები.

მეცნიერებათა და ხელოვნებათა ინსტიტუტმა, რო-
მელიც 1926 წ. დაარსდა, განავითარა და გააღრმავა
კულტურული ზოგიერთი საკითხის შესწავლა, იგი მუ-
შაობს აგრეთვე სომხური ორთოგრაფიის დასამყარებლად.

ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების განმა-
ახლებელი მოძრაობა, რომელიც თვითმპყრობელობის მიერ
ჩახშობილს ძველი ხელოვნების ტრადიციებს იყენებს ახა-
ლი იდეალების გამოსახატავად, ბრწყინვალედ ვითარ-
დება. აქ უკვე მრავალი პოეტი, მწერალი და ხელოვანი
(სახელდობრ ხუროთმოძღვარი) გამოდის სამოღვაწეო ას-
პარეზზე.

საჭიროა განა იმისი მტკიცება, რომ ომამდე სომ-
ხეთში, ნამდვილად რომ ვთქვათ, სომხური გამოცემების
სახსენებელიც კი არ იყო? დაშნაკელების 30 თვის ბა-
ტონობის განმავლობაში მხოლოდ სამი წიგნი გამოიცა.
შარშან სომხეთის სახელგამმა 185 სხვადასხვა წიგნი გა-
მოსცა მილიონი ცალის ტირაჟით, რომელიც წიგნის 14
მალაზიაში საღდება. 1928 წლისთვის უფრო მეტის გა-
მოცემაა ნავარაუდევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთის განთქმულსა და საუცხოო ძეგლებს ამორ-
ერიდან საშიში არა აქვთ რა.

ერევნის ლურჯ-ყვითელს მეჩეთში—ერთ-ერთი ყველაზე უფრო შვენიერი რამ მთელს ქვეყანაზე—სპარსული სარწმუნოების მატარებელი ძველი სომხები წყნარის ჩურჩულით უგზავნიან ზეცას დაუსრულებელი ლოცვის სიტყვებს, შინა შადრევანის პირას მსხდომარენი. უფრო შორს, ბიზანტიური და სპარსული იერის ქრისტიანულს ეჩმიაძინში, სომხეთის ამ ვატიკანში, მყუდრო ცხოვრებას ატარებს რამდენიმე ტერტერა, სახე რომ სორბონის პროფესორებს მიუგავთ. როცა კათოლიკოსის სახელით თავაზიანად და თითქმის აკადემიური ფრანგულით მომესალმენ, შემდეგ თავიანთი ტაძრის საგანძურები მიჩვენეს. ამ ტაძართა ტაძრის პირდაპირ, სადაც ჩრდილები ერთგვარი მუმიის იერსა ჰქმნიან, თითქოს სასაფლაოდან მონაბერიაო, არის ერთი ძონასტერი, რომელიც, საბჭოურად, ძველ მრავალფეროვან ხელთნაწერთა საცავად გადაუკეთებიათ, რასაც მზრუნველობით უვლიან ორანჟერეის მზგავს გრძელ კარადებში.

და ცოტა კიდევ მოშორებით, თიხის სახლებიან სოფლებს გაღმა, რომელთა შორისაც ზოგი ახლაც ქსენოფინტის მიერ აღწერილს ემზგავსება, იმ სოფლებს იქით, სადაც აგერ მეხუთე წელიწადია ველარც მათხოვრებს ნახავ, ველარც უპატრონო ბავშებს, საუკუნეთა განმავლობაში რომ მიწის წიაღიდან ამოდიოდენ (სადაც, სამაგიეროდ, კიდევ შეხვდები მეფანდურეს, რომელიც მუქთად მოგასმენს თავის ჰანგებს) აჰა, ძველის-ძველი ტაძარი, დავიწყების წიაღიდან ამოთხრილი. იგი უთუოდ მზის ტაძარია (სპარსული სარწმუნოება განსაკუთრებით ქვეყნის ამ კუთხეში ბრწყინავდა). მეტად რთულია მი-

წისგან განთავისუფლებული და მზის სხივებზე დამწვარ-ვებული მისი ნანგრევები. ეს ფუძისა და კუთხის ქვები, ეს სხვადასხვა სახით მოჩუქურთმებული ლოდები, ჟამთა ვითარებას რომ კოკრებით დაურგვალებია, ისეთი შორეული ეპოქის მოწმეა, რომლის ქორონიკონსაც ვერვინ დასდებს და მეცნიერებიც, აქ რომ სწორედ ისე მოდიან ხოლმე, როგორც მუშები თავიანთ სახელოსნოში, საამისო ნიშნებს ლეგენდარულ ბურუსში ეძებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთის ფინანსები

ნაკლებ გასაკვირველი არც ჩვენი სქემატიური ანკეტის ცნობებია, სომხეთის ფინანსიურ მდგომარეობას რომ შეეხება.

როცა სომხეთის რესპუბლიკის ხარჯებს აკვირდები, უწინარეს ყოვლისა, ის გარემოება განცვიფრებს, რომ სხვადასხვა ცენტრალური ადმინისტრაციის (ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის, პარტიის ცენ. კომიტ., სახელმ. საგეგმო კომის., შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის, სოც. უზრუნველყოფის, მიწათმოქმედების კომისარიატების) ხელმძღვანელთა და მოსამსახურეთა ჯამაგირები წელთა განმავლობაში თანდათანობით კლებულობს. 1925 წ. საამისო ხარჯი 483.057 მ. შეადგენდა, 1926 წ.—467.359 მ., 1927 წ.—362.120 მ. ასეთივე დაკლება ემჩნევა აგრეთვე ეგრედწოდებულ ბიუროკრატიულსა და ადმინისტრატიულ ხარჯს, რაც ორი წლის განმავლობაში 159.000-დან 90.500-მდე ჩამოვიდა. პირიქით, „სოპერაციო“ თუ „პროდუქტიულმა“ ხარჯმა იმავე ხნის განმავლობაში 500% იმატა.

სომხეთის 1926-27 წ. ბიუჯეტი 21.462.000 მ. შეადგენდა. მთავარი გასავალია: სასოფ. მეურნეობა (ირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცია) 1.900.000 მ.; მრეწველობა—2.960.000 მ.; ელექ-ტროფიკაცია—300,000 მ.; სახელმ. ვაჭრობისა და კო-ოპერიციის კრედიტა—347.000 მ.; სანატორიუმები—97.000 მ.; სახალხო განათლება—3.600.000 მ.

შემოსავალი კი ასეთია: მრეწველობისა და სახელმ. საწარმოთა მოგება—907.000 მ., საბაჟო—47.000 მ., პირ-დაპირი გადასახადები—6.894.000 მ. სომხეთში ხუთი სულისგან შემდგარი გლეხის ოჯახი წლიურად 7 მ. და 12 კ. გადასახადს იძლევა, რაც თითოეულ გლეხზე 1 მ. და 43 კ. შეადგენს. მდიდარი გლეხები უფრო მეტს იხ-დიან. 1928 წ. გადასახადისგან განთავისუფლებულ ღა-რიბ გლეხთა რიცხვმა 25%-დან 35%-მდე იმატა.

ამრიგად სახელმწ. ბიუჯეტს უზარმაზარი დეფიციტი აქვს: 13 მილიონ მანეთზე მეტი.

ამ ოანხას სომხეთის რესპუბლიკას ამიერკავკასიისა და მოსკოვის ცენტრალური მთავრობა აძლევენ. 1924 წ. სომხეთის ეროვნულ ეკონომიკას ამიერკ. ფედერაციამ 128.000 მ. დახმარება აღმოუჩინა, მოსკოვის ცენტრ. მთავრობამ კი—1.536.000 მ., 1926 წ.—1.765.000 მ. პირველმა,—6.635.000 მ. მეორემ 1925 წ.—4.703.000 მ. პირველმა და 4.654.000 მ. მეორემ. ხოლო 1927-28 წლის-თვის ფედერაციისა და კავშირის მიერ გაღებული და-ხმარება 14 მილიონ მანეთს (162 მილ. ფრანკს) აღწევს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის ტერიტორიის სივრცე ორჯერ მეტია სომხეთისაზე (72.000 კვ. კილ. და 2.300.000 მცხ.).

ბაქო და ნავთი. რესპუბლიკის თითქმის მთელი მოძრაობა და შრომა აქ იყრის თავს.

საბჭოთა ნავთიანი ადგილების მთელი ექსპლოატაციის ციფრი ყველასთვის ცნობილია: 1913 წ. იგი 9.230.000 ტონის შეადგენდა. 1921 წ. ნავთის ამოღება 4.623.000 ტ. ჩამოვიდა. 1927 წ. იგი 11 მილ. ტონას აღწევს, ესე იგი, ომის წინადროინდელზე გაცილებით მეტს, წარსულში მხოლოდ ერთი წელიწადი (1898) სჭარბობს ამას —12 მილიონი ტონა. მაგრამ უეჭველია, რომ მალე, შესაძლებელია ამავე წელმა, გადააბიჯოს ამ უკანასკნელ ციფრს. ნავთის ექსპლოატაციის ორი დიდი ცენტრია: ბაქო (მთელი პროდუქციის 61%) და გროზნა, ჩრდილო კავკასიაში, (37%). ნავთიანი ადგილები არის აგრეთვე სხვაგანაც, სახელდობრ საქართველოში, გურიაში, მაგ., უკვე დაწყებულია ბურღვა და იმედი აქვთ 700 მეტრის სიღრმეზე ნავთის ფენას მიაღწიონ. ცნობების შესავსებად დავუმატოთ, რომ საბჭოთა ნავთის მთელი ნაწარმოებიდან უცხოეთში გაიტანეს 1922 წ. 309.716 ტონა და 1926 წ.—2 მილ. ტონა. კავშირის სანავთო წარმოების საერთო შემოსავალი 55.800.000 მანეთიდან (1924 წ.) —102.700.000-მდე ავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი რამდენიმე ცნობა ბაქოსა და აზნავთის შესახებ.

ბაქოს ნავთის წარმოებას 75 წლის ისტორია აქვს. ჰფიქრობენ, რომ ამ რაიონის ფენები ყველაზე უფრო მეტი რაოდენობის მარაგს შეიცავენ მთელს დედამიწაზე. დღევანდელი ჭა-ბურღულების მარაგი 22 მილიარდ ფუთამდეა ნავარაუდევი (ხოლო მთელი საბჭოთა კავშირის აწ მომქმედი და დაწყებული ჭა-ბურღულებისა კი—65 მილიარდი ფუთი).

ბაქოს ნავთის პროდუქცია 1913 წ. 480 მილ. ფუთს უდრიდა, 1920 წ.—180 მილ ფუთს, ამჟამად კი—500 მილ. ფუთს აღწევს.

ყოველ წელს იძენენ 9 მილ. მანეთის მანქანებსა და მოწყობილებას. 4 წლის განმავლობაში აზნავთის საწარმოო ხარჯები 330 მილ. მანეთს უდრის. ამჟამად იგი სავსებით საბჭოთა კაპიტალით იკვებება. აზნავთის საექსპლოატაციო და შესანახავი ხარჯი 1923 წ. 60 მილ. მანეთს უდრიდა, 1925 წ.—75 მილ. მ., 1926 წ.—80 მილ. მანეთს.

გასაბჭოების შემდეგ მრავალი ახალი ჭაბურღილი ამუშავდა, სახელდობრ სურახანში, თუ იმ 200 ჰექტარ საექსპლოატაციო ფართობს არ ვიანგარიშებთ, რაც ბიბიეიბათში ზღვას წაართვეს. მთელი პროდუქციის 65% საბჭოთა კავშირში იხარჯება, 35% კი უცხოეთში გააქვთ. 500 მილ. ფუთ ამოღებულ ნავთიდან 300 მილ. ფუთი ნავთის სხვადასხვა ქვე-პროდუქტებად კეთდება, როგორიცაა მაზუთი, ბენზინი, ეთერი, ნავტალინი, ვაზელინი და სხვ. ამ ქვე-პროდუქტების წარმოებამ აიძულა აზნავთი საგრძნობლად ვადაეკეთებინა არსებული ქარხნები და ახალიც ბევრი აეშენებინა. ამჟამად ტეხნიკის თანამედროვე მოთხოვნის თანახმად სწარმოებს, როგორც ნავთის

ამოღება, ისე მისი წმენდა, გაზების გამოყენება და სხვ. სამჯერ უფრო მეტი ჰგებია ელექტროფიკაციაქმნილი ამ-ჟამად, ვიდრე ომამდე იყო. მოძრავი ბურღი 1921 წ. 19 იყო, ახლა კი 1.999 და სხვ. 1924-25 წ. შედარებით პროდუქციის თვითღირებულება 25% შემცირდა. თუმცა დღესაც იგი გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე ომამდე: 22 კ. ფუთი, 15 კ. წინააღმდეგ ომამდე (დეტერდინგის ცნობით), მაგრამ ამას გარკვეული მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ძნელია ამ ორი ციფრის ეკონომიური ღირებულების ზუსტი შედარება მთელი 13 წლის მანძილზე. საჭიროა ამ ციფრების ერთმანეთში კარგად გადახლართვა, რათა შედარება სწორი და მართებული გამოვიდეს, და მაშინ, მგონი, იმ დასკვნებს, რასაც დეტერდინგი გულში ატარებს, ბევრი რამ დააკლდება.

ნავთის მუშების ბიუჯეტი

აქვე უნდა აღვნიშნო შედეგი იმ კვლევისა, რაც მე დიდის მზრუნველობითა და შესაძლებელი ბეჯითობით ვაწარმოე ისე, რომ მცირე რამეც კი უყურადღებოდ არ დამიტოვებია; ეს კვლევა ნავთის მრეწველობის მუშათა პირადს ეკონომიურ მდგომარეობას შეეხება 1927 წლის მეორე ნახევარში იმ მდგომარეობასთან შედარებით, როგორშიც ამავე დარგისა და რაიონის მუშები 1913 წ. იმყოფებოდენ.

ჩემი კვლევა ცამეტ სხვადასხვა კათეგორიას ეხება. რათა ეს ციფრიანი ანგარიში ერთობ ვრცელი არ გამოსულიყო, კათეგორიების რიცხვი ექვსამდე შევამცირე და აი როგორია მათი ნაღდი ხელფასი: მბურღავს—29 მ. 65 კ.; ნავთის მწმენდელს—37,43; ლითონის ჩამომსხმელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

—57,95; ხუროს – 54,32; მოანგარიშეს — 68,04; ჭა-ბურ-ღილის გამგეს — 126 მ.

ამ ნაღდ ხელფასს უნდა მიემატოს აგრეთვე ფულადი ჯილდო (რასაც ყველა კათეგორია ვერ ღებულობს), რომელიც განსაზღვრული პრემიის სახით ეძლევათ ნორმალური სამუშაო დროის განმავლობაში ნაჭრობით შესრულებულ ნამუშევრისთვის და მთელს წარმოებაში დახარჯული დამატებითი საათებისთვის, რაც თითოეული მუშისთვის საშუალოდაა ნაანგარიშევი.

გარდა ამისა, თითოეული მუშის მიერ ამგვარად მიღებული ხელფასის ჯამს უნდა მიემატოს ნივთიერი სახის ის შეღავათები, რასაც თითოეული მუშის ეკონომიური მდგომარეობისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს: უფასო ბინა, გათბობა და განათება, მიმოსვლა, სპეცტანისამოსი, აბანო, საპონი და სხვ., რასაც აზნავთი იძლევა. ანგარიშში ჩასაგდებია აგრეთვე, საბოლოო ჯამის სიზუსტისთვის, ყოველწლიური ორკვირიანი (ხოლო ზოგიერთი მძიმე დარგისთვის კი — ერთთვიანი) შვებულება.

მაგრამ საქმე ამით როდი თავდება: აზნავთი მონაწილეობას იღებს პროფორგანიზაციების ხარჯში (ხელფასის 1,9%), თეატრების, კინოებისა და საჯარო ლექციების ბილეთის ფასის დაკლებაში (1,25% სულზე). იგი მონაწილეობას იღებს აგრეთვე სოციალურ დაზღვევაში, მუშათა ბავშვების აღმზრდელ ზოგიერთ დაწესებულების ხარჯში, მოხუც მუშათა პენსიებში და სხვ. წარმოების წილი ყველა ამ ხარჯში მუშის ხელფასის 15% უდრის. ყველაფერი ეს სურათის შესავსებად მოვიტანე აქ და, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში ამას არ შევიტან მათი პირწმინდა სოციალური ხასიათის გამო, რადგან ჩვენ მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ და მხოლოდ მუშის ბიუჯეტის უტილიტარულობისა-
რე გვაინტერესებს.

საჭიროა კიდევ ერთი ანგარიშის გაკეთება. მუშათა ექვსი კათეგორიისთვის ჩვენ მიერ აღნიშნული საერთო ციფრები ჩერვონეცის მანეთებითაა გამოხატული. რადგან ჩვენ გვინდა ახლანდელი პერიოდი 1913 წლისას შევადაროთ, საჭიროა ანგარიში გაეწიოს ცხოვრების ღირებულების ინდექსს, რაც 2,38 უდრის. ეს ციფრი საშუალებას გვაძლევს ჩერვონეცის მანეთი საქონლის მანეთზე გადავიყვანოთ და მხოლოდ შემდეგ შევადაროთ ერთმანეთს ერთგვარი რიცხვობრივი ელემენტები.

1913 წლის ნაღდ ხელფასს უნდა მიემატოს ის ნატურალური ხელფასი, რასაც მაშინ მუშები იღებდენ (პრემია, ბინა, გათბობა, განათება, წყალი, უფასო მკურნალობა). ეს შეღავათები ხელფასის 20% უდრიდა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ შეღავათებს თვითმპყრობელობის დროს ზოგადი ხასიათი როდი ჰქონია; პრემიები, მაგ., მხოლოდ ტეხნიკურ პერსონალს ეძლეოდა, ბინასაც ყველა ფირმა როდი აძლევდა, არამედ დიდები (ნობელი, ბენკენდორფი, კასპიის ზღვის საზოგადოება, შავი ზღვის საზოგ., მანთაშევი); აგრეთვე უნდა ითქვას, რომ მუშათა ბინების უმეტესობა უხეირო იყო, დაშავების შემთხვევაში პრემია დაშავებულს სასამართლოს დადგენილებით ეძლეოდა და სხვ.

ყველა ამ სხვადასხვა ანგარიშიდან ახლა ასეთი ცხრილი უნდა გამოვიყვანოთ:

	1913 წ.	1927 წ.
მბურღავებს	27,94 კ.	44 მ.
ნავთის მწმენდავებს.	39,17 „	43 „
ლითონ. ჩამომსხმ. .	70.33 „	115,28 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუროებს	58,93	„	62,74	„
მოანგარიშეებს . .	72		54,57	„
ჭა-ბურღ. გამგეებს	309		138,68	„

აქედან ცხადია, რომ დღევანდელი გამგეები ომის წინადროინდელებთან შედარებით ძალიან „დასჯილნი“ არიან (თუმცა როდი სჩივიან, პირიქით!). მოსამსახურეების (მოანგარიშეების) ხელფასმაც მნიშვნელოვანი დაკლება განიცადა. მუშათა ყველა დანარჩენი კათეგორიის ხელფასი ასე თუ ისე საკმაოდ გადიდდა (მონტიორებისა, რომლებიც აქ აღნიშნულნი არ არიან, 200-300%-ით გაიზარდა).

აზნავთი შეუდგა მუშათა უბნების შენებას. ქალაქს გარედ უკვე აშენებულია შვენივრად მოწყობილი, ბაღებითა და ყვავილებით მორთული 3.000 სახლი. 10.000 ძველი სახლია შეკეთებული. ყველა ამას 23 მილიონი მანეთი მოუნდა. ამას უნდა დაემატოს ბაქოს საბჭოს სამუშაოები, მაგ., სარემონტო ხარჯი დღემდე 9 მილ. მანეთს უდრის. მუშათა ცენტრებში, ძველსა და ახალში, გაიყვანეს კანალიზაცია, რაც წინად სრულიად არ არსებობდა. მიუხედავათ იმისა, რომ ბინის კრიზისს იმთავითვე ენერგიულად და ნაყოფიერად შეუტიეს, ეს საკითხი საბოლოოდ მაინც არ არის ჯერ გადაჭრილი, რადგან 50.000-დან მხოლოდ 13.000 მუშის ოჯახია ხეირიანად დაბინავებული. საჭირო იყო ყოველი ღონე და საშუალება აქეთკენ.

ნავთის გაზიდვა ზღვითა და ვოლგათი სწარმოებს გემებსა და ცისტერნებში, აგრეთვე ნავთსადენი მილით ბათომამდე. ამჟამად ნავთსადენის მეორე მილიც გაჰყავთ; გზაში მას ექნება 12 სადგური, ხოლო ბათომში კი—ერთი დიდი ქარხანა. ამ მილის გაყვანა, რომლითაც დღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ბაქოდან ბათომამდე 150.000 ფუთი ნავთი ჩაივლის, 9 კაპიკამდე ჩამოიყვანს ერთი ფუთის გადასაზიდავ ხარჯს, რაც ამჟამად 21 კაპ. უდრის. ამრიგად ახალი მილის გაყვანის ხარჯი—60 მილ. მანეთი—4 წლისა და ნახევრის განმავლობაში ანაზღაურდება ამ გაიაფებით.

მრეწველობა აზერბაიჯანში

გარდა ნავთის მრეწველობისა, რაც მრეწველებს 30—40% მოგებას აძლევდა, თვითმპყრობელობის დროს სხვა დარგის მრეწველობა ამიერკავკასიის მთელს აღმოსავლეთ ნაწილში ძლიერ მცირედ იყო განვითარებული, რაც უმთავრესად მუშათა დაჯგუფებისა და ორგანიზაციის შიშით იყო გამოწვეული. ამ კუთხეში არსებობდა მხოლოდ ორი თუ სამი საფეიქრო პატარა ქარხანა, ასე რომ, ნავთის მრეწველობის სიცოცხლით სავსე ცენტრს იქით სრული სიცარიელე იყო და იგი საბჭოთა ხელისუფლებას უნდა განეცხოველებინა. აზერბაიჯანის განახლებული, ან უკეთ, ახალაშენებული მრეწველობა უმთავრესად შემდეგი დარგებისაა: საფეიქრო, საობრეშუმო, საცემენტო, ხე-ტყისა, ტანისამოსისა, თამბაქოსი, სპილენძისა, ტყავეულობისა, თევზისა, სამადნო, ღვინისა და საკონსერვო. საამისო ძირითადი თანხა 1921 წ. 11 მილ. იყო, 1925 წ.—15 მილ., 1926 წ.—27 მილ. და 1927 წ.—42 მილ. საწარმოო კაპიტალი, რომელიც ომამდე 7 მილ. მანეთს შეადგენდა, 1927 წ. 11 მილიონი იყო, მთლად ს. ს. რ. კავშირის მიერ გამოგზავნილი. ხუთი წლის განმავლობაში საამისოდ დაიხარჯება 348 მილ. მანეთი, აქედან 94 მილ. აზნავთისთვის, 203 მრეწველობის სხვა დარგებისთვის, დანარჩენი კი სავაჭრო ფლოტის ასაშენებლად. განზრახულია—და კიდევაც დაიწყეს—ახალი ქარხ-

ნების აშენება დაშკესანის მდიდარი მადნეულობის დასაბ-
მუშავებლად; ამ მადნეულობის (ტყვია, სპილენძი, ცინკი,
ალიუმინიუმი) ოდენობა 8 მილიარდი ფუთია ნავარაუ-
დევი.

განჯაში ააშენეს 3.000 და 10.000 ცხ. ძალ. ორი
ელექტროსადგური, ახლო ხანში ასაშენებლად განზრახუ-
ლია 50.000 კილოუატის ელექტროსადგური ტრანსპორ-
ტის საჭიროებისათვის. უკვე მოწყობილია ზეთის ერთი
მნიშვნელოვანი ქარხანა. აგრეთვე ერთი საფეიქრო ქარ-
ხანაც, რომლის შესახებაც ზოგიერთი ამბობდა. ასეთ პი-
რობებში მისი აშენება ყოვლად შეუძლებელიაო. განზრა-
ხულია კიდევ ერთი დიდი საფეიქროს აშენება, რომელიც
9 მილ. მან. დაჯდება, და სადაც 4.000 კაცი იმუშავებს.
ეყრება საფუძველი აბრეშუმის ქარხანას, რომელიც უდი-
დესი იქნება მთელს დედამიწაზე (ევროპაში ყველაზე უდი-
დესს ამჟამად 100 ტაშტი აქვს, აზერბაიჯანისას კი 576
ექნება). მოწყობილია საამისო ტეხნიკოსთა სკოლა.

აზერბაიჯანის მარილის წარმოება 1924 წ. დღიუ-
რად 3.000 ფ. იძლეოდა, 1926 წ. კი—5.425 ფუთს. თამ-
ბაქოს პროდუქციამ, ომის წინადროინდელთან შედარე-
ბით, მუშათა იმავე რაოდენობითა და სამუშაო დროის
შემცირებით 20%-ით იმატა.

სახალხო განათლება აზერბაიჯანში

1914 წ. აზერბაიჯანში არსებობდა პირველისა და
მეორე საფეხურის სკოლები, გიმნაზიები, კომერციული
სასწავლებლები, სადაც სწავლა რუსულ ენაზე სწარმო-
ებდა. თურქული ენა მხოლოდ ორწლიან სკოლაში იყო,
მაგრამ იქაც პირველივე წლიდან რუსული სავალდებულო
იყო. სკოლები თითქმის სარწმუნოებრივ დაწესებულებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენდენ, უმაღლესი სასწავლებელი მხოლოდ ბერძ-სებისა და მდიდარ მუსულმანებისთვის იყო ხელმისაწვ-დომი. მთელს აზერბაიჯანში სულ არსებობდა 974 სკო-ლა 72.000 მოწაფით.

1919 წ. (მუსავატელების დროს) 660 სკოლა იყო, რომელთაგან 23 მეორე საფეხურისა 57.689 მოწაფითა და 8 პროფესიული 1.700 მოწაფით.

1926 წ. კი— ერთი უნივერსიტეტი, ერთი კონსერ-ვატორია, ერთი ხელოვნებათა სკოლა, ერთი პოლიტეხ-ნიკუმი და 1.585 სკოლა 183.000 მოწაფით.

პირველდაწყებით სკოლებში სწავლობს 146.000 მოწაფე, უნივერსიტეტსა და მეორე საფეხურისაში კი— 17.000. აქედან თურქები (ვაჟები და ქალები) 97.000 შეადგენენ.

სკოლაში მოსიარულე ბავშები მთელი რიცხვის 54% წარმოადგენენ; მოწაფეთა შორის მუშათა შვილები არიან 67%; იმათი, ვინც ლიბერალური პროფესიისაა—27%, ნეპმანებისა—5%.

სტუდენტთა შორის 51% თურქებია; უნივერსი-ტეტს 68 პროფესორი ჰყავს, ამათში 7 თურქია.

გარდა ამისა, არსებობს წერა-კითხვის უცოდინა-რობის 1.037 სალიკვიდაციო კურსები მოზრდილთათვის, რომლებშიც 120.000 მოწაფე გატარდა, აქედან 65.000 თურქი; ამ რიცხვში 54.000-მა წერა-კითხვა ლათინური ანბანით ისწავლა (რაც საბჭოთა ხელისუფლების მიერაა შემოღებული ენის განსამარტივებლად და შესწავლის გა-საადვილებლად; ზოგიერთი თურქული ჟურნალ-გაზეთი უკვე ამ ანბანით იბეჭდება).

არსებობს 108 ბიბლიოთეკა და 141 სამკითხველო ერთი მილიონი წიგნის რაოდენობით (აქედან 120.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქულია); 113 კლუბი, 21 ქალთათვის, 3 მუზეუმი ბაქოში (ომამდე ერთი იყო), 7 პროვინციაში; 12 თეატრი (ომამდე ორი), 100 ბავშთა სახლი, რომელიც 7.000 ბავშს იტევს. აზერბაიჯანის სახელგამმა და სხვა გამომცემლობამ შარშან ექვსი მილიონი ცალი წიგნი გამოსცეს, რომელთაგან 80% თურქულად და მილიონ-ნახევარიც ახალის შრიფტით. ბაქო ლიტერატურისა და ხელოვნების ერთობ გაცხოველებულ ცენტრს წარმოადგენს. უკანასკნელ წელს იქ გაიმართა პროლეტარულ მწერალთა ყრილობა (ამ ყრილობას რამოდენიმე თვის შემდეგ საკავშირო პროლეტარული მწერლობის ყრილობა მოჰყვა მოსკოვში. მოსკოვის ყრილობა მოწყობილი იყო პროლეტარულ მწერალთა საერთაშორისო ბიუროს მიერ, რომელიც ჩვენ დავაარსეთ მოსკოვში 1927 წლ. ნოემბერში.

სასოფლო მეურნეობა აზერბაიჯანში

აზერბაიჯანს კარგა მოზრდილი ადგილი უჭირავს ევროპა-აზიის რუკაზე: მისი 7.282.000 დესეტინა მიწა (თითქმის ამდენივე ჰექტარი), დაახლოებით საფრანგეთის 12 დეპარტამენტს უდრის. ამ სივრცის თითქმის ნახევარი ქვიშიან ველებსა და ტყეებს უჭირავს; რჩება 4.393.511 დეს. ვარგისი მიწა.

1921 წელს აჯანყებულმა გლეხებმა ერთ მილიონამდე დეს. მიწა წაართვეს მემამულეებს, ხოლო 1923 წ. საბჭოთა მთავრობამ გეგმიანად დაურიგა კიდევ მიწა მშრომელთა ფენებს. ამასთანავე შეუდგენ „გლეხთა კოლექტივების“ მოწყობას, რომლებიც „ერთიანებენ კოლექტიური მუშაობის ელემენტებსა და საშუალებათ: კრედიტს, სამეურნეო იარაღებს, საერთო სამუშაოებს, როგორიცაა ირიგაცია, აგრეთვე ტეხნიკურსა და სოცია-

ლურ აღზრდას (რაც შრომის ერთი იარაღთაგანია). აზერბაიჯანის ამ 2.924 კოლექტივში თავმოყრილი გლეხობა ჯერ-ჯერობით სოფლის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 17% შეადგენს. ეს შედეგი არც ისე უმნიშვნელოა, თუ გავიხსენებთ მარჯვე და ზანტი თურქი გლეხის კულტუტულ დონეს,—მას კვლავ უკვირს, რომ დროთა ვითარება ჩვეულებრივად აღარ სჩაგრავს.

ამ 2.924 კოლექტივს დაურიგეს 2.400.000 დეს., ნახევარზე მეტი ვარგისი მიწებისა.

შრომა კოოპერატიულსა და მშვიდობიან პირობებში სწარმოებს, რადგან ომი და შური უკვე გაქარწყლეაულია. წვრილი მეურნის მდგომარეობა, როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისითაა მოწყობილი. გარდა ამისა, აზერბაიჯანელ გლეხებს, რომლებიც ოდესმე მეფის პირუტყვებსა და საკუთარი მემამულეების მონებს წარმოადგენდენ, ხელს უწყობს გზებისა თუ რკინის გზების გაუმჯობესება, რაც მიმოსვლას აადვილებს, საზოგადოებრივი ფართო სამუშაოები და ელექტროფიკაცია, დამთავრებული თუ დაწყებული.[1])

---

[1]) საჭიროა დაწვრილებით ვილაპარაკოთ მიმოსვლის საშუალებათა აღმშენებლობის შესახებ. ავიღოთ მთელი ამიერკავკასიის რკინის გზებისა და შარების რუკა. საბჭოთა კავშირთან დაკავშირებისთანავე შეუდგენ ამიერკავკასიაში ახალი გზების გაყვანას, პირველს ხანებში იქ, სადაც ყველაზე უფრო საჭიროა. ბაქო-ჯულფის 409 კილომეტრიანი რკინის გზა 259 კილომ. მანძილზე უკვე ექსპლოატაციაშია. ახალ-სენაკ-სოხუმის რკინის გზაზედაც მოძრაობა უკვე 134 კილ. მანძილზე სწარმოებს. ბევრი სხვა მოკლე რკინის გზებიცაა გაყვანილი იქ, სადაც წინედ მხოლოდ ბილიკები არსებობდა. მუშავდება გეგმა კიდევ 302 კილომ. ახალი ლიანდაგისთვის. 1927 წ. გაანახლეს 70 კილ., ხოლო წელს 130 კილ. რკინის გზა. სამი წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო მეურნეობის აღორძინებას უკვე თვალსაჩინო წონა და მნიშვნელობა აქვს. ბამბეულობის ნათესთა სივრცე, მაგალითად, რაც ომამდე 90.000 დეს. შეადგენდა, 1924 წ. 83.000 დეს. უდრიდა, 1926 წ.—92.000 დეს., 1927 წ.—98.000 დეს.

ხილის კულტურამ 6%-ით იმატა (ბაღების განადგურება, აგრეთვე მანქანებისა და მუშა საქონლისა, სისტემატიურად და გულმოდგინედ სწარმოებდა ომისა და მონობის დროს).

მესაქონლეობა: 1921 წ.—1.600.000 ცხვარი, 1927 წ. 2.600.000 ცხვარი,—1.400.000 ხარი, 160.000 ცხენი.

წინედ და გუშინ აზერბაიჯანში არც ერთი ტრაქტორი, ახლა კი 480. სასოფლო მეურნეობის ტეხნიკური აღზრდა ფართოდ მიდის წინ, სწორედ ისე, როგორც კარგად მოწყობილ საზოგადოებაში უნდა ხდებოდეს. ამ ჟამად 45 აგრონომიული ცენტრი არსებობს (მთავროშის

განმავლობაში ლიანდაგის შენობათა მოცულობა 20 700 კვად. მეტრს წარმოადგენს.

ა/კავკასიის სხვადასხვა კუთხის დასაახლოებლად აშენებრლია ექვსი რკინისა თუ ნახევრად რკინის ხიდი. განახლებულია სამოქალაქო ომის დროს დანგრეული 37 ხიდი.

მთელი საბჭოთა კავშირის 49.000 კილ. რკინის გზებიდან ა/კავკასიაზე 1922 წ. 2.580 კილ. მოდიოდა, ამჟამად კი—3,200 კილომ., რომლის ზედმეტი ხარჯიც საკავშირო გზათა სამმართველოსგანაა გაღებული. საზოგადოთ გზებისთვის სამჯერ მეტს ჰხარჯავენ, ვიდრე მეფის დროს, და რკინის გზებისთვის კი წელს ათჯერ მეტი დახარჯულა, ვიდრე 1924 წ. მტკვრის ტრანსპორტი სამი თვის განმავლობაში მეფის დროის ერთი წლისას უდრის. სევანის ტბის ტრანსპორტმა სამი წლის განმავლობაში ოთხჯერ იმატა. რიონზედაც აწყობენ გემთა მიმოსვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაოსნობით), 1922 წ. მხოლოდ 9 იყო, 1926 წ.—37, 1928 წ. 50 იქნება.

2.000 საცდელი მინდვრიდან 1.000 საბამბეა, სულ გლეხთა თაოსნობით შექმნილი და მოვლილი. გარდა ამისა, 11 მინდორი მთავრობას ეკუთვნის. ომამდე კი ყველასა და ყველაფრისათვის მხოლოდ ერთადერთი საცდელი მინდორი იყო. თესლეულობისა და მცენარეულობის შერჩევამ, მიწის დამუშავებისა და კულტურის გაუმჯობესებამ პროდუქციის გასაოცარი ზრდა გამოიწვია: პურის მოსავალი შარშან 800.000 ფუთს უდრიდა; ჩვეულებრივი მიწის მოსავალმა ერთ დესეტინაზე 40-დან 150 ფუთამდე იმატა. ბამბა კი ერთ დესეტინაზე 45 მაგიერ 80 ფუთი მოვიდა.

აზერბაიჯანის აგრონომიულსა და საცდელ ცენტრებს ამჟამად მთელს დედამიწაზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კოლექციები აქვს ადგილობრივი ტიპის კულტურებისა: 4500 ჯიშის ხორბალი, 1.336—ბამბისა, 450—ბრინჯისა (სანამ ამას ვნახავდი, ეჭვი არა მქონდა, რომ ბუნება რა თქმა უნდა, ადამიანის დახმარებით ნაწარმოების ყველა ამ სხვადასხვა იერს წარმოშობდა). ამ საუცხოო კოლექციების მიზანი, რასაკვირველია, ისაა, რომ გლეხებს საუკეთესო სახეები და ჯიშები მიაწოდოს. აზერბაიჯანში დაიწყეს აგრეთვე ჰევეას მცენარის მოშენება, რაც კაუჩუკს იძლევა.

სასოფლო მეურნეობის მუდმივი გამოფენა ათასობით იზიდავს მნახველებს ბაქოში. ასეთსავე დაწესებულებათ მართავენ აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც. აღმზრდელობითი პროპაგანდის ექსპედიციებს ტეხნიკური კულტურისა და სასარგებლო ცნობები შეაქვს თვით მიყრუებული კუთხეების ქოხებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინალური, ცხოველთა და მცენარეთა ავადმყოფობის საწინააღმდეგო დაწესებულებანი მრავლდება და ვითარდება. ომამდე, ცხოველთათვის შეშხაპუნებული შრატის რაოდენობა 12.000 ლიტრს უდრიდა, 1927 წ. კი 36.000 ლიტრს.

დასასრულ, დიდის ენერგიით ცდილობენ ერთი მეტად ძვირი პროდუქტის გამრავლებას—ესაა წყალი; წყაროებს გააფთრებითა და მეთოდიურად ეძებენ.

თავი და თავი საკითხი აზერბეიჯანის სასოფლო მეურნეობისა (განსაკუთრებით ბამბისა) ირიგაციის საკითხია. უდაბნოს გასანოყიერებლად საჭიროა 120 მილ. მანეთის საზოგადო სამუშაოების წარმოება. ესეც უკვე დაწყებულია და ოთხი წლის განმავლობაში მრავალი არხია გაყვანილი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბიუჯეტში, რომელიც 23.510.000 მ. წარმოადგენს, გადასახადები, ე. ი., ადგილობრივი პირდაპირი საღსრები მხოლოდ 4 მილ. მანეთს შეადგენენ. უკეთუ ამას ვაჭრობისა და მრეწველობის შემოსავალს გამოვაკლებთ, მთელი დანარჩენი ხარჯი,—17 მილ. მ. მეტი,—(თუ საზოგადოებრივ სამუშაოთა არაჩვეულებრივ ხარჯს არ ვიანგარიშებთ), საბჭოთა ოჯახის მიერ დახმარების სახით ეძლევა აზერბაიჯანს.

განა კომენტარიები ესაჭიროება კიდევ ამ განუსაზღვრელი მნიშვნელობის ფაქტს, რომელსაც ადგილი აქვს აგრეთვე საქართველოსა და სომხეთში?

ერთხელ, მოგზაურობის დროს, ერთს ყარაჩოელს შევხვდი (ყარაჩო ავტონომიური ერთეულია, ე. ი. საბჭოთა პატარა რესპუბლიკა, რომელიც კავკასიონის მთებშია მიკარგული).—აღმასკომი ერთ მანეთს გვახდევინებს წლიურად ბუტბუტებდა ეს კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ავუხსენით, რომ ერთი მანეთი სულზე მთელს იმ მხარეში 60.000 მანეთს შეადგენს, ხოლო იმ საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამუშაოებს, რომლებმაც ამ პაწია რესპუბლიკის მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს ყოველის მხრით, მილიონები სჭირდება. განა აქედან ცხადი არაა, რომ უკეთუ აღმასკომს ცალის ხელით მცხოვრებთაგან თითო მანეთი მიაქვს, სამაგიეროდ იგი მეორე ხელით გაცილებით მეტს უბრუნებს იმავე მცხოვრებთ?

ყარაჩოელი შემოგვხედავს, დაფიქრდება და ამბობს:—ჭკუიანი კაცები ყოფილხართ, გონივრულს გვეუბნებით.

ასევე შეიძლებოდა ეთქვა ვინმე სვანს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, რომელსაც აგერ მესამე წელია, საპირორთა ჯარის დახმარებით კლდეებსა, ხრამებსა და თვალუწვდენ წრიაპებში გაჭყავს გზები, აუშენებია ხიდები (79) და დაკიდებული ვიადუკები, რომელთა ხარაჩოები მეიერჰოლდის დეკორაციებს მოგაგონებენ... გარდა ამისა, ამ თითოეული მანეთით საბჭოთა ხელისუფლება ქოხმახებს სახლებად აქცევს და ადამიანებს კაცებად. [1])

---

[1]) საბჭოთა სხვა რესპუბლიკებში ეკონომიური განვითარება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ამიერკავკასიაში, რადგან სხვა რესპუბლიკებში დადებით მუშაობას ისეთი მძიმე დაბრკოლებანი და მატერიალური განადგურება არ შეხვედრია, როგორც ა/კავკასიაში. ასე, მაგალითად, 1923 წ. დაარსებული თურქმენისტანის რესპუბლიკა სწრაფი განვითარების ნიმუშს წარმოადგენს: 1923 წ. 18.000 დეს. ბამბის ნათესი იყო იქ, 1927 წ. კი 80.000 დეს. სამი წლის განმავლობაში ნარწყავი მიწის სივრცე ერთი-ორად გაფართოვდა, ერთი ჰექტარი მიწის შემოსავალი ერთი მეოთხედით გაიზარდა, ვაჭრობისა—ნახევრად, მუშებისა და მოსამსახურეების შემოსავალი—ერთი მესამედით, ახლა, რაც შეეხება „ნაციონალურ საკითხს: 1916 წ. თურქმენისტანის 9875 მოწაფეთა შორის თურქმენი მხოლოდ 524 იყო; 1926 წ. კი—32.239 მოწაფეთაგან 19.500 თურქმენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

V

ეროვნება და თავისუფლება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იანეული. გურული ოდა. საღამო.

იმ საღამოს ნათქვამი იყო: ხვალ სხვა რამეზე ვისაუბროთო.

და აი.

იგივე პიროვნებანი, რაც იმ პირველ საღამოს, და მე— ობიექტი და აღმნუსხველი; სხვებიც არიან, რომელთაც უნდა მოვუსმინოთ, უწინარეს ყოვლისა, რამიშვილი —სატუსაღოების ხშირი სტუმარი, რომელსაც თავი დერვიშისას მიუგავს, თვალები მოხუჭული აქვს (თითქოს სინათლის შუქს არიდებსო).

თეთრ ლაქებად შემომსხდარან მაგიდას გარშემო. ზოგი ზეზეა, მიმოდიან და მათი ლანდები კედელზე ირხევა.

ბერიძე დამსწერეთ ათვალიერებს და, როდესაც საათითოოდ ჩამოუვლის ყველას, ამბობს:

— უცნაურია. ყველა აქ დამსწრეთაგან არავინ ბოლშევიკი არ ყოფილა, თითქმის ყველანი წინააღმდეგი ვიყავით. ახლა კი მათთან ვართ. მთლიანად და სამუდამოდ დაკავშირებულნი. ახლა ყველანი ერთნაირნი ვართ.

— ბოლშევიკობა დაბადებითვე არავის დაჰყოლია, ფილოსოფიურად შენიშნავს თოდრია,—ბოლშევიკს ცხოვრების პირობები და შეგნება ჰქმნის.

რამიშვილი უეცრად წამოიჭრა, ბერიძის წინაშე აღიმართა და ღეჭვით წარმოსთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ იმიტომ შემოგვიერთდით, რომ გეშინოდა.

მისი თვალები ისე ბრწყინავენ, თითქოს სათვალე აუფარებიაო. დამსწრენი იცინიან. ვილაც ამბობს:

— ეგ არაა მართალი. ჩვენ მხდალები არა ვართ.

ისეთი სიდინჯითა და უბრალოებით წარმოსთქვა, რომ უთუოდ უნდა დაგეჯერებინა.

— ამას გარდა,—განაგრძო ვილაც სხვამ,—ჩვენ თუ აქ ერთი მუჭა ვართ, გარედ მთელი ბრბოა, რომელიც ასევე ჰფიქრობდა და მოქმედებდა, და რომელმაც სინდისიერად და გულწრფელად გაუწოდა ხელი ბოლშევიკებს მათთან ერთად სამუშაოდ.

— 1923 წელს,—იგონებს თოდრია,—ქართველი მენშევიკების ზოგიერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ იგინი თავს ანებებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლასა და მათს გვერდით დგებიან საბრძოლველად, ასევე მოიქცა ძველი შეგნებული მუშა ფარნიევი. 1923 წლ. მუშათა ყრილობის შემდეგ, რომელმაც თანმშრომლობის დადგენილება მიიღო, 12.000 მუშა გადმოვიდა ჩვენს პარტიაში. 1924 წლის აჯანყების შემდეგ რკინის გზის მენშევიკ მუშათა ერთმა ჯგუფმა ნაბიჯი გადასდგა საერთო მუშაობისაკენ და ის, ვინ კ ამისი ინიციატორი იყო, ჩვენი შეიქნა და მერე როგორი! იგი ახლა მიწათმოქმედობის კომისრის მოადგილეა. მოგეხსენებათ, რომ 1924 წლ. მენშევიკურ ყრილობის შემდეგ 11.000 მენშევიკი მუშა ბოლშევიკი გახდა ისე, რომ მენშევიკთა პარტიაში მუშა სრულებით აღარ დარჩა. და ცალკე პიროვნებათა ცვლილება, რომელნიც თანდათანობით კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ სდგებიან, და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ფერიცვალება 1924 წ., დასასრულ, აგრეთვე მთელი მოსახლეობისა? და ტფილისისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათომისა და ფოთის მუშები, რომლებიც 1924 წ. დაწინაადებას აძლევდენ საბჭოთა მთავრობას, ჩვენ თვითონ აღვადგენთ წესიერებასო, და აგრეთვე გლეხთა რაზმები, ავის-თავად რომ იკრიბებოდენ შინაური მტრების გასაცოცხავად? განა ყველაფერი ეს შიშით იყო? ახალი ბატონების გულის მოსაგებად? რა სათქმელია! სიგიჟე იქნებოდა, რომ ასეთი ცილისწამება თავს მოგვეხვია ამდენი ხალხისათვის, განა შეიძლება მტკიცესა და გულად ხალხს დასწამო: სამი მეოთხედი თქვენ შორის მხდალიაო!

— პირიქით, ყველაფერი ეს ლოიალობით, გულწრფელობითა და გულადობით აიხსნება. პირადად მე, მაგალითად, ძალიან კარგად ვიცი, რომ მხდალი არა ვარ. გამოვცადეთ და მივხვდით. იმდენი სიწრფელე კიდევ აღმოგვაჩნდა, რომ დასანახავი დაგვენახა, გასაგები გაგვეგო და გაბედულად გვეთქვა: ვტყუვდებოდით-თქო.

— ჩვენ გვეუბნებოდენ,—დაუმატა კობიძემ,— ბოლშევიკები მხეცები და ყაჩაღები არიანო, არც მეტი, არც ნაკლები.

და შემდეგ განაგრძო (აი მისი ნამდვილი სიტყვები):

— ჩვენ აქ, სოფლელები, დემოკრატები ვიყავით 1917 წ. განუწყვეტლად ჩაგვჩიჩინებდენ: ფრთხილად იყავით! მოსკოველ ვაჟბატონებს ყოველგვარი თავისუფლების მოსპობა სწადიათო. მაშინ ჩვენ გადაჭრით მოვითხოვეთ საქართველოს დამოუკიდებლობა, რათა მშრომელთა თავისუფლება დაღუპვისგან გვეხსნა.

„მრავალი ჩვენგან კიდევ დიდხანს განაგრძნობდა ფარულ ბოძოლას, რასაც მხდალი და გულაცახცახებული ვერ იზამს. მე, კობიძე, მონაწილეობას ვიღებდით 1924 წლ. აჯანყებაში. მე ჯერ ახლა ვერ კომუნისტურ პარტიაში, . მაგრამ მაინც იძულებული ვიყავი დამენახა, რომ ბოლშევი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კები „ქვეყანას აწყობეს“. ამას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ვიდრე ძველი რწმენის ქერქის შენახვას.

— მე, ამბობს ერთი ოზურგეთელი,—დიდი ხნის ბოლშევიკი არა ვარ, მაგრამ შეუგნებლად კი რამოდენიმე წელიწადია გული მათკენ მიმიწევდა. თვალი მაშინ ამეხილა, როცა ოზურგეთში ამბობდენ: თუ ისინი მოვიდენ, მაშინ ნახე ულეტა და სიმშილიო,

— ისინი, მართლაც, მოვიდენ, ჩვენ გვშიოდა და 120 ვაგონი სიმინდი და აბრეშუმის თესლი გამოგზავნეს ჩვენს კუთხეში. მე განვაგრძნობდი თვალის გახელას, როცა მენშევიკების მიენ მარად დაპირებული ჩვენი განთქმული რკინის გზა ბოლშევიკებმა ააშენეს, და როცა მენშევიკები სიბრაზის გამო ამ რკინის გზის ბოიკოტს გვირჩევდენ, ხოლო ოზურგეთის სადგურის გახსნა კი მათთვის გლოვის დღე იყო.

მეორე ამბობს:

— იმის გასაგებად, რომ აგვისტოს კონტრ-რევოლიუციური გამოსვლა მენშევიკების ყველაზე უფრო დიდ ბოროტებას წარმოადგენდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ, მე უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსთვის როდი მილოდნია, რომელმაც თავისი რექტორის ჯავახიშვილის პირით სწორედ ასე, დაახასიათა იგი, არამედ თვალი იმ წამსვე ამეხილა, როცა ჩვენსა ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში, თავად-აზნაურობამ დამარცხებისას და გაქცევისას, გლეხთა გულის ჯავრის ამოსაყრელად ასი ჰექტარი მოსული სიმინდი ააოხრა. და აი, ხალხის ამ მეგობართათვის უნდა გვემუშავნა, არა! მის შემდეგ ჩვენში ამბობენ: სტყუის, როგორც მენშევიკიო, რაც სხვაგანაც ხშირად გამიგონია.

ამხანაგები მართალს ამბობენ, ეს განუსაზღვრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომბრუნავი ტალღა, დაშოშმინება, შეგნებულ ძველ მუშათა და რევოლიუციონერთა მასები, რომელნიც საბოლოოდ კომუნისტები გახდენ, რადგან გულით სწორედ ასეთები იყვენ,—ყველაფერი ეს იმდენად მარტივი და ფართოა, რომ შეუძლებელია მტკიცება, თითქოს ყველაფერი ეს ხელოვნური იყოს. აქ ეს ნიმდვილად რწმენის საქმე იყო. ზოგიერთს როგორც რაიმე სენმა, სინდისის ქენჯნამ მოუარა. მე თვითონ მსმენია, რომ ზოგიერთები მთავრობას სთხოვდენ, დაგვსაჯე იმ სიავისთვის, რაც საბჭოთა წინააღმდეგ ბრძოლით ჩაგვიდენიაო:

— შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ განუსაზღვრელი სიბრმავით რომ ბედმა, ან ციდან შემთხვევით ჩამოვარდნილმა ცთომილმა სასწაული მოახდინოს და საქართველოში თეთრგვარდიელი ჟანდარმების ერთი კორპუსი ჯარი შემოვიდეს, მასებში მათკენ პირსაც არავინ აბრუნებს.

— რევოლიუციონერები ცათა ცდომილების წინააღმდეგ მებრძოლნი კი არ არიან, არამედ მტკიცე და განუხრელი რწმენის ადამიანები, რომელთათვისაც პრაქტიკული მიღწევანი წმინდათა წმინდაა, როცა კეთილდღეობა ღირსებასთან ერთად იზრდება...

აქ ფიცხი რამიშვილი ჩაერია თავისი ნაციონალისტური სატკაცუნოთი. სხვა რწმენის ჯგუფში ისე იბრძოდა, თითქოს საკანშია გამომწყვდეულიო. უკანასკნელ ორ სიტყვას ჩაებღაუჭა:

— კეთილდღეობა, შესაძლებელია. ღირსება, კი არა. საქართველო ოქროს ჯაჭვითაა მიბმული ისე, როგორც ხასა, რომელიც მდიდარს ძვირფასი სამკაულის ძალით დაჰყავს თავის ნებაზე. ჩვენ რუსის მონები ვართ და ამჟამად მოსკოვის ძალადობა გვადგია უღლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეგ სიმართლეს არ შეეფერება.

უპასუხებენ აქეთ-იქიდან.

„რუსები და რუსეთი აქ არაფერ შუასაა. როცა ჩვენში უცხოელები მოდიან და ამბობენ, რუსეთში ვართო, ან როცა ისინი საბჭოთა კავშირს რუსეთს ეძახიან და საბჭოთა მთავრობას კი – რუს მთავრობას, ხომ კარგად იცი, ჩემო დავითა, როგორ გულიანად ვიცინით ხოლმე ამაში. ისიც კარგად მოგეხსენება, რომ სწორედ ამ ნიშნით ვიცნობთ ხოლმე იმწამსვე უცხოსა და უვიცს. არის ქართველი, არის სომეხი, თათარი თუ ჩერქეზი, ან კიდევ რუსი, რაც აკრძალული არაა, მაგრამ სახელი კი ყველასთვის ერთია: საბჭოთა მოქალაქე. მოსკოვშიც სასაცილოდ აიგდებენ ყველას, ვინც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მის მცხოვრებთა სახელად რუსსა და რუსეთს იხმარდა. რუსეთი მეტროპოლია კი არ არის, არამედ ისეთივე რესპუბლიკა, როგორიც სხვები და სხვების თანასწორი. იგი მხოლოდ სხვებზე უფრო ვრცელი და მნიშვნელოვანია და ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მმართველობის ცენტრიც იქ იყოს, რომელიც, სულ ერთია, სადმე ხომ უნდა ასებობდეს.

„ჰოდა, ჩემო ჭკუის კოლოფო, განსხვავება **რუსსა** და **საბჭოთას** შორის, აი სწორედ ესა ჟამთა ვითარების ნიშანდობლიობა. პროლეტარული რესპუბლიკის, საბჭოთა შეერთებული შტატების შედგენილობის პრინციპი ისაა, რომ, ქვეყნებსა და რასებს გარდა, არის კიდევ სულ სხვანაირი ზღუდენი და კავშირები ადამიანთა შორის. ანგარიში ჩასაგდები, გასარჩევი, გასარკვევი ის მისია თუ როლია, რაც პიროვნებას ან დაჯგუფებას ადამიანთა კოლექტივში აქვს, რომელიც პროდუქციისთვის შრომობს, და არა ადამიანთა სახის თავისებურ იერსა თუ ანბანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამასხვავებელ ნიშნებს. წითელი დროშა სულ სხვა რამ ქსოვილია, ვიდრე ის, რასაც ნაციონალური ფირმები მგრედწოდებულ საზღვრებზე აფრიალებენ.

— სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს,—წაიბუტბუტა მეორემ,—დეზი რუსული იქნება თუ საბჭოთა, ამით ჩვენი მონობა როდი შემსუბუქდება.

— არა. **შეუძლებელია საბჭოთა მონა იყო.** წყობილების ფორმა თავიდან ბოლომდე ამისი წინააღმდეგია. მონა მაშინ ხარ, როცა ერთი პიროვნებისა თუ ჯგუფის ხელისუფლებას ემორჩილები, რომლებიც თავიანთი კერძო სარგებლობისთვის გაწვალებენ, გთელავენ, თავიანთი მისწრაფებისა და კეთილდღეობისთვის გხდიან სულს. ინდოეთი და ეგვიპტე ინგლისის მონებია, ბესარაბია თუ ტრანსილვანია—რუმინეთისა, რუსინების პროვინცია—პოლონეთისა, ჩერნოგორია—სერბიისა, იტალია—მუსოლინისა და მისი ბრბოებისა, ხოლო ვენეცულა კი—გომეზისა. მაკედონია სამადაა გაჭრილი, მაროკო ორად, არაბეთი ოთხად, რათა ესენი კერძო მესაკუთრეების სახელმწიფოებს დარიგებოდათ სახელისუფლოდ, საპროტექტორატოდ, სამანდატოდ თუ საკუთრების სხვა რაიმე სახით, აი მონათა ქვეყნები. ძველი რომის, ათას ხუთასი წლის წინედ რომ დაიქცა, გაერთიანებული მონები იყვენ მისი ქვეშევრდომები და ასეთივე გაერთიანებული მონები არიან ისინიც, ვინც თავიანთ საუბედურად ნიუ-იორკის პანამერიკულ ფარგლებში არიან მომწყვდეულნი.

„ყველა ამ შემთხვევაში—და ბევრ სხვაშიც (საამისო სრულ სიას თანამედროვე რომელიმე ლექსიკონში იპოვნი, თუ კი გვარიან დროს დაჰკარგავ) არის ჩაგვრა, რადგან არის ენდემიური ძალადობა და ექსპლოატაცია, შეიძლება ითქვას,—მონელებაც კი. ყველა ამ შემთხვევა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დაპყრობის ველურობას თან სდევდა დენაციონალიზაციის სისტემატიური მუშაობა. ჭკუადაკარგული უნდა იყო, ჩემო ამხანაგო, რომ საბჭოთა ხელისუფლება იმ რეჟიმს გაუთანაბრო, რომელიც ჩვენს ზურგზე ამოსწვეს რომანოვების გვარის მწყალობელმა მეფეებმა. აი სწორედ, ის ხელისუფლება, მართლაც, რუსული, განსაკუთრებითა და ველურად მოსკოური (თუ მოსკოველი, როგორც გნებავდეს) იყო და იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველი კუთხის ხალხი რუსულ ტიკინად ექცია.

„ხოლო ჩვენ კი, ჩვენ მთლიანობის ნაწილს შევადგენთ, თანასწორობის ნიადაგზე. ჩვენი ეროვნება ჩვენვე გვეკუთვნის, მთლიანად და განუყოფელად. ჩვენი და მთელი კომუნისტური კონტინენტის ინტერესები ერთია და საბჭოთა ფედერაციის თითოეული წევრი იმდენადვეა დიდი, რამდენადაც თვით მთელი ფედერაცია“.

რამიშვილი სკამზე შეირხა და წარბებს ქვემოდან გადმოგვხედა.

თქვენ, ვინც დოქტრინებსა და წიგნებს ჰქმნით, ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრენი ხართ. ჩინეთი, მაგალითად. თქვენ ამართლებთ და აქებთ სეპარატისტულ მოძრაობას...

— რასაკვირველია, ამიტომ, რომ იქ საქმე ეხება მცარცველებსა და გაცარცულებს, და ამიტომ, რომ ნაციონალური განთავისუფლება ძალაუნებურად ადამიანის განთავისუფლების პირველი ეტაპია. მაგრამ, აბა ერთი მიჩვენე, რითა ვართ ჩვენ გაცარცული, დამცირებული თუ გამოყენებული,—არ ვიტყოდი, რუსთა ინტერესების მიერ, ეს სისულელეა—არამედ ისეთი ინტერესების მიერ, რაც ჩვენ საკუთარს ეწინააღმდეგებოდეს?

„ვიზედა ვართ მიბმული? არავიზე. მაშ, რაზე? ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციაქმნილ იდეაზე. ეს რა იდეაა? მასების განთავისუფლებისა, ჩვენი იდეა. ის დამონება როდია, როდია, როცა საერთო ინტერესების კანონს ემორჩილები, რადგან იგი საერთო ინტერესად მიგაჩნია, რაკი ყველასთვის ერთნაირ დისციპლინას იზიარებ".

— ეს ჩემთვის სულ ერთია,—ბუტბუტებს დამთხვეული,—საქართველო ოდესმე თავისუფალი იყო, ახლა კი აღარ არის!

— შენ ერთ სიტყვას ატარებ მხოლოდ გულში,— წყნარად შენიშნა მას ბრუსილევმა,—გინდა ხორცი შეასხა მას, მაგრამ როდი ძალგიძს.

„რა არის თავისუფლება? განა იგი ის არ არის, რაც გსურდეს, ის ჩაიდინო? განა იგი იმის საშუალებას იძლევა, რომ გიჟი იყო? სიტყვის აბსოლიტური მნიშვნელობით შესაძლებელია ასეც იყოს (და ბრუსილევი, რომელსაც ბევრი რამ წაუკითხავს, იგონებს ფრანგული თანამედროვე რომანის ერთ გმირს, რომელმაც ჯაცი ვინმე გაქანებულ მატარებელს დაუგდო მხოლოდ იმ საბუთით, რომ საკუთარი თავისუფლება ამის ნებას აძლევს—გიჟური აქტის შესრულება ამ შემთხვევაში დამამტკიცებულია სრული თავისუფლებისა). დავანებოთ თავი ამ მეტაფიზიკურ ალგებრას, ამ განყენებულსა და უტოფარ ანარქიზმს. სიგიჟის მანია რა სანატრელია: კანტი, მარქსი და ლენინი ამიერიდან მხოლოდ საზრიან მოქმედებას გვასწავლიან. სოციალური თვალსაზრისით, სადაც ყველაფერი სერიოზული და კონკრეტულია, თავისუფლება ხელისუფლების თავისუფლებაა ისე მოიქცეს, როგორც მის საკუთარ ინტერესს შეეფერება; თავისუფლება არის თავისუფლება მაქსიმუმამდე ინდივიდუალურად განვითარებისა ადამიანთა ურთიერთობაში. ნამდვილი ფორმულა, როგორც ცალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კე ადამიანისთვის, ისე სოციალური ადამიანისთვის, ესაა-დე, თითოეულს ჰქონდეს თავისუფლება იმისა, რომ გონიერი იყოს და აღასრულოს თავისი ადამიანური დანიშნულება.

„ახლა თვალი გადავავლოთ საბჭოთა საქართველოს და ვნახოთ, ის კუთხე, სად არ არის თავისუფლება.

„ადმინისტრატიულმა ორგანიზაციამ ეროვნული კულტურის ყოველ დარგს ისეთი ადგილი მისცა, შეუნარჩუნა, რომ შეიძლება ითქვას, ასეთი ადგილი მას არაოდეს ჰქონია, არც მის ინტელექტუალურს, მხატვრულს, არტისტულ პირადობას, ერთი სიტყვით, ქართულ სულს არაოდეს თავისებური გაფურჩქნის ასეთი თავისუფლება არ ჰქონია. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ამ მხრით, ისე ეკონომიურის მხრითაც, საბჭოებთან დაკავშირებამ მას ისეთი საშუალებანი და და საღსრები მისცა, რომლის მცირეოდენ ნასახსაც კი შინ ვერ იპოვნიდა, იგი რომ, რამიშვილის განყენებული ფორმულის მიხედვით, „დამოუკიდებელი“ ყოფილიყო.

„განა ჩვენ მოწმენი არა ვართ, განა ეს ყველასთვის ცხადი არ არის, რომ ეროვნული შემოქმედითი ძალები სხვოსან აღორძინებას განიცდიან?

„ეს ეროვნული კულტურა მატარებელია სოლიდარობისა და ცხოვრების ახალი იდეალისა (სტალინის სიტყვებია). ინდივიდუალიზმი მასალასა და ფორმაში, მაგრამ წუწუნს მოკლებული, რაც ყოველს აღემატება განუსაზღვრელად. შემცველი ეროვნული, შეცული კაცობრიული. ეს არის შემოქმედების განვითარებისა და მიღწევათა უდიდესი კანონი. ასე მზადდება ხელოვნების ერთ-ერთი ფაზა, სადაც ყველაზე უფრო დიდს დრამაში თავის როლს ითამაშებს მსახიობთა შორის ყველაზე უდიდესი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმრავლესობა. პროლეტარული, კოლექტიური ხელოვნ ებ ბ ბ ლ ი ო თ ე კ ა ეთნიურ თავისუფლებათა განადგურებით კი არ განმტკიცდება, არამედ მისი მძაფრი გამოყენებით. ამ ყველას ხელოვნებას, განთავისუფლების წითელ ხელოვნებას აქეზებენ, აჩქარიან. უკვე ვეჭვრეტთ ბაბილონის იმ გოდოლს, რომელიც სხვადასხვა ენებს, როგორც ინდივიდუმებს, თავის წიაღში დაიტევს, დაჭგლეჯს ძველ ღრუბლებსა და ხალვთო კანონებს და მიწიდან ცად აღმაღლდება".

— ეს სრული ჭეშმარიტებაა, რომ ძველი ვარსკვლავები იქ დაიმარხებიან!

ამბობს ნოგადოვი:

— რა ვუყოთ,—შენიშნა თოდრიამ—რომ მენშევიკები ყველგან გაჰკივიან, ქართული ენა ფეხქვეშ ითელებაო. ასე ეწერა სწორედ 1927 წ. მაისის მოწოდებაში; „მათ მოჰკლეს ქართული ენა! ნიკოლოზ-ბოლშევიკმა მოჰკლა იგი!"

— ნამდვილია!

წამოიძახა რამიშვილმა.

— ფაქტების წინაშე—განაგრძო სხვამ მკაფიო ხმით,—ასეთი ყვირილი უტიფრობაა, მას არავითარი აზრი არ აქვს. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ამ შემთხვევაში მას ერთგვარი აზრი აქვს: ქართველი მენშევიკები საქართველოს საბჭოთა მთავრობას უკიჟინებენ, რომ მან ზოგიერთი კუთხის ეთნიურ უმრავლესობას, როგორც, მაგ. სომხებს არ აუკრძალა თავის დედა-ენაზე ლაპარაკი, რომ ქართულს თვითმპყრობელური გამსრესი მონოპოლია არ მიანიჭა და დეკრეტით არ გამოაცხადა სხვა ენების ხმარების ტაბუ. ეს ლოლიკურია. ყოველი თავისი თავის პატივისმცემელი ნაციონალისტი იმით იწყებს, რომ სხვებს პატივს არა სცემს.

„სინამდვილე, რომელზედაც, როგორც ღერძზე, ყველაფერი ბრუნავს, ასეთია: საქართველო რომ დამოუკიდებელი ყოფილიყო, ამ სიტყვის ოფიციალური მნიშვნელობით—და იმ პირობით, რომ დამოუკიდებლობის ყველა სხვა ფორმულაც ამას ეთანხმებოდეს (მაგ., წმინდა ქართული, კავკასიის ფედერატიული და სხვ. ფორმულა), საქართველო იმაზე ნაკლებ თავისუფალი იქნებოდა, ვიდრე დღესაა.

„იგი დატვირთული იქნებოდა მძიმე დიპლომატიური აპარატით, არმიითა და სამხედრო ბიუჯეტით სომხებისა და თათრების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იგი იმდენად ღარიბი იქნებოდა, რომ თავის ეკონომიურ აღორძინებას ვერ შესძლებდა, რაო, სესხიო! დიახ, ჩვენც მანდა ვართ: სესხი, დიდი სახელმწიფოები ზედ კარზე, საზღვრებზე, და მყისვე კაპიტალიზმის უზარმაზარ ქვის კოშკებზე წამოსკუპება. „ერთა ლიგის მაღალი მფარველობის ქვეშო“,—უტიფრობენ ნაციონალისტები. ხომ ხედავ რა უსირცხვილო აღსარებაა! ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რას ნიშნავს ეს მაღალი მფარველობა. განა უარებელი ისტორიული ფაქტი იმას არ გვიმოწმებს, რომ ეგრედწოდებულ განმათავისუფლებელთა ყოველი მოქმედების გეგმა უცხოეთისკენ თვალის მიპყრობაში მდგომარეობდა. რამდენჯენ გვინახავს, რომ განკერძოების ამ ბრწყინვალე რაინდებს ეროვნული სიმდიდრით აღსავსე ხელი ხან გერმანიისთვის, ხან ინგლისისთვის და ხან საფრანგეთისთვის გაუწვდია. საქართველო რომელიმე დიდი სახელმწიფოს ეკონომიურ ახალშენად გადაიქცეოდა, შემდეგ კი ახალშენი ფატალურად მისივე ლუკმა და მსხვერპლი შეიქნებოდა. მით უმეტეს, რომ მას აქვს აუარებელი მარგანეცი, ალბად ნავთიც ბევრია დაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვილი მისი ნიადაგის უცნობ წიაღში; მით უმეტეს, რომ იგი პირველხარისხოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს ბაქოს სამფლობელოდ, რომ იგი გეოგრაფიულად ბუფერულ სახელმწიფოს წარმოადგენს სპარსეთსა და ოსმალეთს თუ ს. ს. რ. კ. შორის.

„რამიშვილები რომ უთვალავნი იყვნენ, ქართველი მენშევიკები რომ ამჟამად რამდენიმე გადაცმულს სხვის აგენტს არ წარმოადგენდენ, შეშლილები და მოღალატეები რომ საიმედო ადგილას არ იყვენ დამწყვდეულნი, აი სანამდე მიიყვანდენ ქვეყანას, თეორიულ, ქაღალდის დამოუკიდებლობას: საქართველო, დროებით მდიდარი—მანამ, სანამ გაიყიდებოდეს, იმპერიალისტური კაპიტალიზმის იარაღი, საკვები გახდებოდა. მისი დამოუკიდებლობის აჩრდილი სავალალო შეიქნებოდა მისთვისაც და მეზობლებისთვისაც; ეს იქნებოდა მისი ფაქტიური და ცრუ დამოუკიდებლობა. განკერძოებაო, თქმა ადვილია, მაგრამ ერთი მუჭა ხალხი ჩვენს დროში ვერ განკერძოვდება.

„ღირსებას ახსენებენ. მაგრამ პატარა ქვეყნებს, რომლებიც ლხენამოსილი დიდი ქვეყნების კლანჭებში ჩავარდნილან, თავისუფლებაც და ღირსებაც ნაკლები შერჩენიათ."

„კარგათ მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო, საქართველოს წინაშე მხოლოდ ორი გამოსავალია: ის მდგომარეობა, რომელშიც იგი ამჟამად იმყოფება (და იმყოფება უფრო მტკიცედ, ვიდრე საექსპორტო დემაგოგიის სხვადასხვა ოსტატები ამბობენ, ან ვიდრე ევროპის უბადრუკ აუდიტორიას ჰგონია, რომელსაც ამ საკითხების არაფერი გაეგება), დიახ: ან პროლეტართა ძმურ კავშირს ეკუთვნოდეს, ან ის თიხის ქოთანი იყოს, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმის თუჯის ქვაბთან ერთად იცურებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუმცა, უნდა გამოვტყდეთ: არის ერთი საერთაშორისო ძალა, რომელმაც კისრად იღო საქართველოს ადვილად განთავისუფლება: სოციალისტური მე-II ინტერნაციონალი.

„მოდი, უკანასკნელად კიდევ ვილაპარაკოთ ამის შესახებ, რითაც საშუალება მოგვეცემა შინაური პოლიტიკის შესახებაც ვთქვათ ის, რაც სათქმელია. ანტი-საბჭოთა ქართული პროპაგანდა ამ შემთხვევაში სხვადასხვა ნაჭრებისგანაა ნაკერი; არიან წმინდა წყლის ნაციონალისტები, ფედერალისტები და სოც.-დემოკრატები. ეს ნაჭრები შეუხამებელია. როგორც ვიცით, ისინი ვერაოდეს ვერ შეთანხმებულან, რასაც თავისი მიზეზი აქვს. ამჟამად კი მხოლოდ ერთი რამ თითქოს აერთიანებს მათ: ეს არის მათი საერთო ზიზღი ს. ს. რ. კავშირისადმი.

„ნამდვილად კი ეს ვაჟბატონები ცალცალკე მიიწევენ. რამიშვილი, აბესალომისადმი მიწერილს კონფიდენციალურს წერილში, წყევა-კრულვას უთვლის ფაშისტ-ნაციონალისტებს (რომლებშიც მას ჩეკას აგენტები სურს დაინახოს). შესაძლებელია, აქ გავლენისათვის დავას ან პირად მოსაზრებას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს უსამართლობაა, რადგან ფაშისტების აგიტაცია, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი ამჟამად, ხელს უწყობს კამპანიის რეჟისორებს. რამიშვილი და ჟორდანია თავიანთ ლოცვა-კურთხევას მხოლოდ ფედერალისტ ნაციონალისტებსა და ამირაჯიბის ჯურის ხალხს უგზავნიან ხოლმე,

მეორეს მხრით, ყოველი ჯურის ქართველი ნაციონალისტები როდი ჰფარავენ თავიანთ ზიზღს იმათ მიმართ, ვინც თავის თავს სოციალისტს უწოდებს. ქართველი მენშევიკები მათთვის არასასურველნი არიან იმ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმობათა გამო, რომელთაც მათ სახელი გაუტეხეს და შეარცხვინეს. შოვინისტები 1918 წლის მთავრობის ჭარბ დემოკრატობას აწერენ მის უდროო აღსასრულს!

„საქართველო სოციალისტური ექსპერიმენტების მსხვერპლი გახდაო“, ამბობს ბ. დიუგე და იქვე აღიარებს, რომ მას შემდეგ მენშევიკებმა „საპატიო“ ევოლიუცია გინიცადეს კონსერვატიული და ნაციონალისტური აზროვნებისკენო. ქართული ნაციონალიზმის დიდი თეორეტიკოსი, თავადი ავალიშვილი საქართველოს მენშევიკურ მთავრობას იმის ბრალსა სდებს, რომ მან თვისი დემოკრატიული დროშის ფრიალით გასაბჭოებას ნიადაგი შეუმზადა და აქვე—იგიც—აღიარებს, რომ ამ პრინციპებს, რომლებიც მხოლოდ ნაგულისხმევი იყო და არა განხორციელებული, არავითარი გავლენა არ მოუხდენია მის საგარეო პოლიტიკაზე, რაც გონივრულად დაუმორჩილეს იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკას. ინგლონელი ს. ბ. სტოკსიც, ინგლისის უმაღლესი კომისარი (რომელმაც მენშევიკებს ბათომი ჩააბარა 1920 წ. ივლისში) ამასვე ამბობს, რომ წითელმა ფერმა, რომლითაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა იყო შეღებილი, გამოიწვია კომბინაციის ჩაფუშვა: 1918 წლ. ცდა თავს მოაბეზრებდა ევროპასო, ამბობს ეს ყბედი ინგლისელი.

„რა თქმა უნდა, დიდი ხანი არ გაივლის და ამასაც უარჰყოფენ, ე. ი. ამ „სოციალისტური ექსპერიმენტის“ შეუფერებელ სახელს, რომელიც 1918 წლ. აპრილიდან 1921 წლ. თებერვლამდე მიწებებული ჰქონდა საქართველოში გამეფებულ რეჟიმს. ამაში ჩვენ მეტად დარწმუნებულნი ვართ. მაგრამ ერთის წუთითაც ნუ ვიფიქრებთ, მეგობრებო, რომ უკეთუ ოდესმე მენშევიკებმა ნაციონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტებისა და დიდი სახელმწიფოების შემწეობით ხელისუფლება დაიბრუნეს, ვითომ სოციალისტური რეჟიმი გააჭაჭანონ საქართველოში. ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ იგინი საქმეზე, ა? ვნახეთ, სამი წლის განმავლობაში რა ჯოჯოხეთად აქციეს საქართველო მუშებისათვის. ერთი მეორის ტყვები, მენშევიკები ნაციონალისტთა ლოლიაობაში იქამდე მივიდენ, რომ მათგან ნაციონალიზმი ისესხეს, ბურჟუაზიისგან მუშებისა და გლეხების დამშევა, დევნა და ულეტა; საბჭოთა საქართველოს იგინი ისეთი რესპუბლიკური კონსტიტუციით მოჰკაზმავდენ, რომელიც დასავლეთის კომიკურ დემოკრატიების პირწავარდნილი ცალი იქნებოდა; ამ კონსტიტუციას სრულიად არაფერი ექნებოდა საერთო, შორეულიც კი, იმ უდიდეს მიღწევებთან, რომლებიც კომუნისტებმა მათთვის წართმეულ ადგილებზე განამტკიცეს. „სოციალიზმი“ ამ შემთხვევაში— მთელი რიგი სოფისტური ფორმულებისა წრის კვადრატურის, „ნაციონალური და ბურჟუაზიული სოციალიზმის“ ასახსნელად—მხოლოდ საბურველია, რომელიც კონტრრევოლიუციურ ქვეყნებსა და მე-II ინტერნაციონალის ნდობაგატეხილ ლიდერებს მე-III ინტერნაციონალის წინააღმდეგ საბრძოლველად ესაჭიროებათ. დე, ამ ვაჟბატონებმა ჰკაზმონ თავიანთი პოლიტიკა და განაგრძონ ოცნება ხელისუფლებაზე, მაგრამ კეთილინებონ და ასეთ პირობებში სოციალიზმის ხსენებაზე ხელი აიღონ. თქვენ მხოლოდ დაკარგული ფორტფელების დაბრუნებისთვის იბრძვით, ჩემო კეთილო მოციქულებო, და არა სხვა რამისთვის. ბოლშევიკები აქ საქვეყნოდ აცხადებენ: ვისაც დასასრული სურს, საშუალებანიც სურს. მენშევიკებს კი სათქმელი ამის მეტი არაფერი აქვთ: ვისაც საშუალება სურს, დასასრულიც სურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მერე? მერე და, ქართველი მენშევიკი-ღამურა ყველას ათვალისწინებული ჰყავს საბოლოოდ და ამაოდ მიმართავს იგი ხან ფრინველებსა და ხანაც თაგვებს. მერე კიდევ ისა, რომ მენშევიკები, რომლებსაც თავიანთი ურთიერთობის წყალობით კიდევ შეუძლიათ „საქართველოს დამოუკიდებლობისთვის“ ბრძოლა, ნამდვილად არაფერს წარმოადგენენ და ყოველსავე დასაყრდენს მოკლებულნი არიან.

„მენშევიკი ვალიკო ჯუღელი 1923 წ. სწერდა: „რისი გულისთვის უნდა ვებრძოლოთ ახლა საბჭოთა ხელისუფლებას“. საქართველოს გულისთვის? მაგრამ მე ვხედავ, რომ საქართველო არსებობს, ქართული ენა ვითარდება, საქართველო უკვე აღარ გაჰქრება. მაშ, რისთვის უნდა ავტეხოთ ის, რაც მას ქვეყნის პირიდან წარხოცავდა?“

„მენშევიკი დევდარიანი, აღნიშნავს რა, რომ ჟორდანიას მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დამხობა განუზრახავს და ეს საშინელი პასუხისმგებლობა უკისრნიაო (ეს დამტკიცებულია იმ წერილებით, სადაც იგი სწორედ ამ აზრით განმარტავს მენშევიკების აგიტაციის მნიშვნელობას და თავის დამოკიდებულებას იმპერიალისტებთან ს.ს.რ.კ. წინააღმდეგ ომის შემთხვევაში), სწერს: მე იმის ბრალსა ვდებ ჟორდანიას, რომ მას არაოდეს დაუსვამს საკითხი საბჭოთა წინააღმდეგ ბრძოლის მძიმე შედეგების შესახებ“.

მაშასადამე, იმ შეთქმულებას, რაც მსოფლიო სოც.-დემოკრატიამ უდიდესი შეცდომით თავს იდო და ახლაც მყვირალა სიცრუით ქვეყანას აყრუებს, არც ნაციონალური და არც სოციალური თვალსაზრისით, არავითარი აზრი არ აქვს. ჩვენს წინაშე სდგას ისეთი ხალხი, რომ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლის მთელი აზრი და ენერგია იქითკენაა მიმართული, რომ საქართველო ცეცხლსა და სისხლში ჩააგდონ, რომ იგი მუშათა სახელმწიფოების კავშირს მოჰგლიჯონ და გაუმაძღარ სახელმწიფოებს მიუგდონ; ამას იმ საბაბით აპირებენ, რომ საქართველოს მიანიჭონ დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც ისეთი დემოკრატიული ვერაოდეს იქნება, როგორითაც ამჟამად სარგებლობს; ვითომ სურთ აღორძინების გზაზე შეაყენონ იგი, მაგრამ ეს აღორძინება დღევანდელზე ნაყოფიერი ვერაოდეს იქნება და ის თავისუფლებაც, რასაც ისინი ჰპირდებიან, მონობა იქნება იმასთან შედარებით, რაც ამჟამად საქართველოს აქვს".

* * *

აი რა გვქონდა კიდევ სათქმელი.

ახლა დავანებოთ თავი ამ ფუქსავატ ყვირილს, რასაც სხვადასხვანაირად მორთავენ ხოლმე, იქნებ რამე გამოვიდესო—დავანებოთ თავი საქართველოს დამოუკიდებლობას. დე, კოსმოპოლიტური საზოგადოებრივი აზრი გაერთოს ამ თამაშით, რადგან მან არ იცის, რა ჰქნას, რადგან მას სჭირია ასეთი გართობა, მის ბეც თვალებს დრო და დრო ერთობ ესაჭიროება ეს კამლოტური პროპაგანდა, ჯვაროსნული ომის საბაბი და იმ ადამიანთა მიერ გამართული საჯარო ვაჭრობა, რომელთაც კბილებში დანა უჭირავთ.

აი ყველაფერი, რაც უნდა თქმულიყო და აი რა ადამიანები არიან ისინი, ვინც ერთხელ კიდევ შეიკრიბენ ჩემს გარშემო, და ვის წინაშეც იმ ერთმა სავსებით გამოამჟღავნა თავისი სოფისტური და კარიკატურული სახე.

მალე დავშორდები მათ. ეს დაშორება, პირადად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ძვირად დამიჯდება, რადგან შორიდან მუდამ ხსოვ-
ნაში მეჭნება მათი ძმობა და ტკბილი მეგობრობა. მაგრამ
ჩვენ, ვინც რწმენას ვემსახურებით და, თუ შეიძლება ასე
ითქვას, დიდი საქმის თავისუფალი მონები, ჩვენ პირა-
დულსა და სენტიმენტალურ საკითხებზე მაღლა ვდგევართ
და მეორე რიგში ვაყენებთ მათ, როგორიც უნდა იყოს
მათი ძალა და სინაზე. და ბოლოს, ხსოვნა როდი ჰკვდე-
ბა, თუ თვითონ შენ არ გსურს მისი სიკვდილი; ვინც აქ
არიან, აავსებენ იმ სივრცეს, რომელიც ჩვენ შორის გა-
ჩნდება. და უკეთუ ამ ქვეყანაში მე ბევრი მეგობარი ვნა-
ხე, მე აგრეთვე განსაკუთრებით ბევრი დიდი რამეებიც
ვნახე.

ესენი, ვისაც უკანასკნელად ერთად ვხედავ, დიდნი
არიან დიდი რამეების გასაგებად. წარღვნა იყო. და ესე-
ნიც სულ სხვები არიან, ვიდრე წინედ იყვნენ: ესენი თა-
ვის თავადნი დარჩენ ყველა იმის გამო, რაც ამიერკავკა-
სიაში შეირყა, შეიცვალა, გადაბრუნდა, იმ ამიერკავკა-
სიაში, რომელიც ერთსა და იმავე დროს ორ კონტინენტ-
სა და ორ ეპოქას შუაა.

არიან იქ უფროსებიცა და ხელქვეითებიც. ყველანი
ერთნაირები არიან. (ლენინი იმიტომ იყო დიდი ბელადი,
რომ სხვასავით ერთნაირი იყო. იგი იმიტომ ბელადობდა
უთვალავ მასებს, რომ მათ ემორჩილებოდა. „შენი მხსნე-
ლი ისაა, ვინც აგამოძრავებს"). სახეებს გონივრული აღ-
ფრთოვანება, ზნეობის სიწმიდე და დიდებული ღიმილი
აშუქებს, რადგან არც ერთი ხალხი ისე თვალსაჩინოდ
ზნეობრივი არ არის,—ძველი, გაცვეთილი ფრაზა რომ
ვიხმაროთ,—როგორც საბჭოთა ხალხი, იმიტომ რომ არც
ერთს ისეთი რწმენა არ მოეპოვება.

დედამიწაზე შრომის წითელი დროშა აღმართეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგეს და შეიყვარეს, გააგებინეს და შეაყვარეს სოციალური სოლიდარობის მძაფრი და წმინდა მნიშვნელობა. აქ უკვე განმტკიცდა, აქ, და იმ განუსაზღვრელ ქვეყნებში, ამას რომ ანდამატივით ელტვიან, სადაც რევოლიუცია ჯერ კიდევ გუშაგია, კადრებადაა დასახული, იგი გუგუნია ქვესკნელისა. თქვენ ისე ახლოს მისდევდით თქვენს მიზანს, რომ დაგვიანებული და ბეცი საზოგადოების თვალში კიდეც გაუსწარით ამ მიზანს. მიუხედავად ამისა, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ „ის, რაც გააკეთეთ, რაფერ ია იმასთან შედარებით, რაც უნდა გააკეთოთ“.

ორი რევოლიუცია იყო ერთი-მეორეზე. ხალხი იმდენად შეგნებული და იმდენად გააფრთებული იყო, რომ ქვეყნისთვის პირველი მეორესგან თავისდასაცავად აეცრა ვისმე.

რევოლიუცია გარემოებათა მთელი სიმძიმით დამკვიდრდა ამ ნიადაგზე. და დამკვიდრდა იმ აუარებელი მსხვერპლის წყალობით, რომლებიც კრემლის გალავანშიც განისვენებენ, იქაც, თვალუწვდენ ველებშიც ჯერ კიდევ საჩინოდ ამობურცულა მათი საერთო საფლავები და ჯარად ჩამწკრივებულა ძეგლები იმ ჯარისკაცთა, რომლებიც რაღაცისთვის დახოცილან!

იგი თვით ცხოვრებისგანაც არის ფესვგადგმული,— რათა მუშას დაუბრუნდეს მისივე ქარხნები, გლეხს მისივე მიწა, ქარხნებისა და მიწის შრომის ძალა და გამორჩენა.

ჩემი ამხანაგები იმ კანონის შავი მუშები არიან, რომელიც აგერ ათი წელიწადია რაც წარუშლელად დაწერილა. მათ არც ერთი იმ დაპირებისთვის არ უმტყუვნიათ, რაც 1917 წლ. ოქტომბერში ადამიანთა და ხალხთა წინაშე უკისრიათ. არც მომავალში ვუმტყუნებთ როდისმე. და

ბოლოს, ზიზღი, რეაქციის ტალღა და მხეცობისა და ვნებ-
რაგობის საშინელი ფორმები, რასაც იგი იღებს, ჩვენ-
თვის სულ ერთია. ჩვენ ვარსებობთ. ჩვენ ვიარსებებთ.
ჩვენ ბრძოლაში ვიწვევთ.

ჩვენს პირდაპირ, გარშემო გადაჭიმულან ბურჟუა-
ზულ „წყობილებაში" დატუსაღებული ქვეყნები; ქვეყნები
დიდი ბანკებისა, ინდუსტრიის ბატონებისა და ბრძანებ-
ლობისა, რუთის ძველი ბოიარების მზგავსი დიდი მემა-
მულებისა: ყველა ისინი, ვინც თავიანთი ღვთაებრივი
უფლებანი პოლიტიკურ ფორმულებში ჩამოაყალიბა. იქ,
გაღმა იმ ენით როდი ლაპარაკობენ, როგორითაც აქ: ამ
იმპერიალისტური ტრესტების უცხოელებს ველაპარაკებით
ხოლმე იმ სასაპალნე პირუტყვების შესახებ, რათაც მათ
ადამიანები გადაუქცევიათ, დაჩაგრულთა ნამდვილი გან-
თავისუფლებისა და ქვეყნების რეალური განიარაღების
შესახებ, ჩვენი სიტყვები მეხივით ატყდება თავს მათს
მოლაყბე ორატორებს, ჩამორჩენილ რჩეულებს, „მრეწველ
პოლიტიკოსთა მიერ ღირსება ახდილს მათ დემოკრატიას
და მათს გახუნებულ წითელ დროშებს. დიახ, თქვენს გარ-
შემო აი რა არის: კაპიტალიზმი, რომელსაც პრინციპები
თუ გააჩნია მხოლოდ იმიტომ რომ თავისი უგვანი მოქმე-
დებანი დაჰფაროს, რომლის ტაქტიკაც მხოლოდ იმაში
მდგომარეობს, რომ შიშის ძალით შეჰქმნას ანარქიული
კოალიცია უმრავლესობის ძლიერი საქმის წინააღმდეგ,
კაპიტალიზმი, რომელიც ომითა და ომის შანტაჟით სცხოვ-
რებს, და რომლისთვისაც ჟენევა—ძველი მირაჟი—კოლო-
ნიაა მხოლოდ.

რა იქნება მომავალში? მომავალი მასების, დიდი მა-
სების ხელშია, რომლებიც ჯერ კიდევ ნიხევრად მოტყუ-
ებულნი არიან, მაგრამ ნახევრად კი განათებულნი არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი სინათლით, როგორიც დღის სიცხადეა: არა საბ-
დუმლო აგენტების პროპაგანდა, არამედ მაგალითის უბ-
რალო სხივი და ახალი ადამიანების დარბაისლური ღი-
მილი აკავშირებს მათ. დავძლიოთ უვიცობით გამაგრებუ-
ლი თავდაცვა. ვაჩვენოთ მათ ჭეშმარიტება და სინამდვი-
ლე—და ამით, ჩვენით, სხვებით —ის აზრი, რაც ამიერიდან
მსოფლიოს ამ ახალმა თაობამ მიიღო.

ჩვენ პატივს ვცემთ იმ მასებს, რომლებიც ტყუვდე-
ბიან, რადგან მათი რწმენა გულწრფელი რწმენაა. მაგ ნუ
რას უკაცრავად თუ პატივი არ ვცეთ იმ პოლიტიკურ-საერო
ვაჭრობას, რასაც ზოგიერთი რიგების ბელადები სათანადოთ
იყენებენ (საქართველოს საკითხი ამის ცოცხალ მაგალითს
წარმოადგენს) და რომელთა წინაშეც ბრბოები ჯერ კი-
დევ ჯოგის ფსიქოლოგიას იჩენენ.

მაგრამ პროლეტარიატი, ეს ახოვანი, გულ ჩახვეული
ჯარისკაცი, მიძინებული დიდი მშენებელი ყველგან იღვი-
ძებს. მშრომელები, ადამიანები ყველგან ერთობ ძლიერნი
არიან. მაშასადამე, ყველგან გამარჯვებულნი არიან. გამარ-
ჯვებულნი, რომელთაც გამარჯვება აკლიათო? „თუ თქვენ
გამარჯვება გაკლიათ, მოიპოვეთ იგი!“

რაც შეგეხებათ თქვენ, საბჭოთა თანამემამულეებო,
პატიოსანო განთავისუფლებულო ხალხო, თქვენ, რომელ-
თაც ცხოვრების მწარე კივილი ჰარმონიად აქციეთ, თქვენ
რომელთაც თქვენი ადგილი ქვეყნის ერთ მეექვსედზე მხო-
ლოდ თქვენისავე ხელითმოიპოვეთ, თქვენ. ვისგანაც დასავ-
ლეთის ჯერ კიდევ დამარცხებულ პროლეტარები გამარჯვე-
ბულთა ხელობას ისწავლიან, თქვენ დიდი ხალხი ხართ;
თქვენ ყველაზე უფრო დიდი იქნებით—თუ არ მხოლოდ
ერთად ერთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები

[1]) აქ ბარბიუსს მეგრელები და სვანები ცალკე ეროვნებებად ყავს აღნუსხული.

[2]) ამხ. ობოლაძე და სანიკიძე მენშევიკებმა დახოცეს არა ბოლშევიკური აჯანყების დროს, არამედ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს გურიაში.

[3]) კომპარტია საქართველოში ხელმძღვანელობდა მთელ რიგ აჯანყებებს.

[4]) არასდროს ქართველი მუშები, მშრომელი გლეხები და მათი ხელმძღვანელი ქართველი კომუნისტები არ ყოფილან სომხეთის მშრომელი ხალხის მტრები და ჯალათები.

[5]) აჭარელი არ არის თურქი, აჭარელი ტომით — ქართველია, სარწმუნოებით — მაჰმადიანი.

[6]) არ არის სწორი, თითქოს აჭარელ ქალთა მეოთხედი ნაწილი უკვე აღარ ატარებდეს ჩადრს. უჩადრო აჭარელ ქალთა რიცხვი, სამწუხაროდ, გაცილებით ნაკლებია.

[7]) ნაციონალისტთა, მით უმეტეს ფედერალისტთა პარტია საქართველოში არასდროს არ ყოფილა ძლიერი და გავლენიანი.

[8]) 1) ნაციონალისტ - ფედერალისტები არასდროს ძლიერი და ფესვგადგმული არ ყოფილან საქართველოში. 2) მენშევიკები 1918 წლამდე თავგამოდებით ებრძოდენ საქართველოს დამოუკიდებლობის და ავტონომიის იდეას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[9]) განხეთქილების თარიღი არ არის სწორად ნაჩვენები.

[10]) აქ ერთი მეორეში არეულია ამ.-კავ. რესპუბლიკები და ავტონომიური ერთეულები. სახელწოდება „ოლქი“ არ არის სწორი. მცხოვრებთა რაოდენობა აჭარისტანში და აფხაზეთში არ არის სწორად ნაჩვენები.

[11]) ცნობა არ არის სწორი. ციფრი გადაჭარბებულია.

[12]) საკავშირო მასშტაბით არ არსებობს განათლების და ჯანმრთელობის კომისარიატები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

		გვ.
I.	კავკასიის საღამოები	3
	იანეული	5
	ახალქალაქი	18
	ლენინაკანი	29
	ბათომი	34
	ბაქო	36
II.	დილები	47
III.	ის, რაც მოხდა	61
IV.	მიღწევანი	140
	საქართველო	164
	სომხეთი	221
	აზერბეიჯანი	240
V.	ეროვნება და თავისუფლება	255
	შენიშვნები	279

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლურ აღზრდას (რაც შრომის ერთი იარაღთაგანია). აზერბაიჯანის ამ 2.924 კოლექტივში თავმოყრილი გლეხობა ჯერ-ჯერობით სოფლის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 17% შეადგენს. ეს შედეგი არც ისე უმნიშვნელოა, თუ გავიხსენებთ მარჯვე და ზანტი თურქი გლეხის კულტუტულ დონეს,—მას კვლავ უკვირს, რომ დროთა ვითარება ჩვეულებრივად აღარ სჩაგრავს.

ამ 2.924 კოლექტივს დაურიგეს 2.400.000 დეს., ნახევარზე მეტი ვარგისი მიწებისა.

შრომა კოოპერატიულსა და მშვიდობიან პირობებში სწარმოებს, რადგან ომი და შური უკვე გაქარწყლეაულია. წვრილი მეურნის მდგომარეობა, როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისითაა მოწყობილი. გარდა ამისა, აზერბაიჯანელ გლეხებს, რომლებიც ოდესმე მეფის პირუტყვებსა და საკუთარი მემამულეების მონებს წარმოადგენდენ, ხელს უწყობს გზებისა თუ რკინის გზების გაუმჯობესება, რაც მიმოსვლას აადვილებს, საზოგადოებრივი ფართო სამუშაოები და ელექტროფიკაცია, დამთავრებული თუ დაწყებული.[1])

---

[1]) საჭიროა დაწვრილებით ვილაპარაკოთ მიმოსვლის საშუალებათა აღმშენებლობის შესახებ. ავიღოთ მთელი ამიერკავკასიის რკინის გზებისა და შარების რუკა. საბჭოთა კავშირთან დაკავშირებისთანავე შეუდგენ ამიერკავკასიაში ახალი გზების გაყვანას, პირველს ხანებში იქ, სადაც ყველაზე უფრო საჭიროა. ბაქო-ჯულფის 409 კილომეტრიანი რკინის გზა 259 კილომ. მანძილზე უკვე ექსპლოატაციაშია. ახალ-სენაკ-სოხუმის რკინის გზაზედაც მოძრაობა უკვე 134 კილ. მანძილზე სწარმოებს. ბევრი სხვა მოკლე რკინის გზებიცაა გაყვანილი იქ, სადაც წინედ მხოლოდ ბილიკები არსებობდა. მუშავდება გეგმა კიდევ 302 კილომ. ახალი ლიანდაგისთვის. 1927 წ. განაახლეს 70 კილ., ხოლო წელს 130 კილ. რკინის გზა. სამი წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო მეურნეობის აღორძინებას უკვე თვალსაჩინო ჩინო წონა და მნიშვნელობა აქვს. ბამბეულობის ნათესთა სივრცე, მაგალითად, რაც ომამდე 90.000 დეს. შეადგენდა, 1924 წ. 83.000 დეს. უდრიდა, 1926 წ.—92.000 დეს., 1927 წ.—98.000 დეს.

ხილის კულტურამ 6%-ით იმატა (ბაღების განადგურება, აგრეთვე მანქანებისა და მუშა საქონლისა, სისტემატიურად და გულმოდგინედ სწარმოებდა ომისა და მონობის დროს).

მესაქონლეობა: 1921 წ.—1.600.000 ცხვარი, 1927 წ. 2.600.000 ცხვარი,—1.400.000 ხარი, 160.000 ცხენი.

წინედ და გუშინ აზერბაიჯანში არც ერთი ტრაქტორი, ახლა კი 480. სასოფლო მეურნეობის ტეხნიკური აღზრდა ფართოდ მიდის წინ, სწორედ ისე, როგორც კარგად მოწყობილ საზოგადოებაში უნდა ხდებოდეს. ამ ჟამად 45 აგრონომიული ცენტრი არსებობს (მთავროშის

განმავლობაში ლიანდაგის შენობათა მოცულობა 20 700 კვად. მეტრს წარმოადგენს.

ა/კავკასიის სხვადასხვა კუთხის დასაახლოებლად აშენებრლია ექვსი რკინისა თუ ნახევრად რკინის ხიდი. განახლებულია სამოქალაქო ომის დროს დანგრეული 37 ხიდი.

მთელი საბჭოთა კავშირის 49.000 კილ. რკინის გზებიდან ა/კავკასიაზე 1922 წ. 2.580 კილ. მოდიოდა, ამჟამად კი—3,200 კილომ., რომლის ზედმეტი ხარჯიც საკავშირო გზათა სამმართველოსგანაა გაღებული. საზოგადოთ გზებისთვის სამჯერ მეტს ჰხარჯავენ, ვიდრე მეფის დროს, და რკინის გზებისთვის კი წელს ათჯერ მეტი დახარჯულა, ვიდრე 1924 წ. მტკვრის ტრანსპორტი სამი თვის განმავლობაში მეფის დროის ერთი წლისას უდრის. სევანის ტბის ტრანსპორტმა სამი წლის განმავლობაში ოთხჯერ იმატა, რიონზედაც აწყობენ გემთა მიმოსვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაოსნობით), 1922 წ. მხოლოდ 9 იყო, 1926 წ.—37, 1928 წ. 50 იქნება.

2.000 საცდელი მინდვრიდან 1.000 საბამბეა, სულ გლეხთა თაოსნობით შექმნილი და მოვლილი. გარდა ამისა, 11 მინდორი მთავრობას ეკუთვნის. ომამდე კი ყველასა და ყველაფრისათვის მხოლოდ ერთადერთი საცდელი მინდორი იყო. თესლეულობისა და მცენარეულობის შერჩევამ, მიწის დამუშავებისა და კულტურის გაუმჯობესებამ პროდუქციის გასაოცარი ზრდა გამოიწვია: პურის მოსავალი შარშან 800.000 ფუთს უდრიდა; ჩვეულებრივი მიწის მოსავალმა ერთ დესეტინაზე 40-დან 150 ფუთამდე იმატა. ბამბა კი ერთ დესეტინაზე 45 მაგიერ 80 ფუთი მოვიდა.

აზერბაიჯანის აგრონომიულსა და საცდელ ცენტრებს ამჟამად მთელს დედამიწაზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კოლექციები აქვს ადგილობრივი ტიპის კულტურებისა: 4500 ჯიშის ხორბალი, 1.336—ბამბისა, 450—ბრინჯისა (სანამ ამას ვნახავდი, ეჭვი არა მქონდა, რომ ბუნება რა თქმა უნდა, ადამიანის დახმარებით ნაწარმოების ყველა ამ სხვადასხვა იერს წარმოშობდა). ამ საუცხოო კოლექციების მიზანი, რასაკვირველია, ისაა, რომ გლეხებს საუკეთესო სახეები და ჯიშები მიაწოდოს. აზერბაიჯანში დაიწყეს აგრეთვე ჰევეას მცენარის მოშენება, რაც კაუჩუკს იძლევა.

სასოფლო მეურნეობის მუდმივი გამოფენა ათასობით იზიდავს მნახველებს ბაქოში. ასეთსავე დაწესებულებათ მართავენ აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც. აღმზრდელობითი პროპაგანდის ექსპედიციებს ტეხნიკური კულტურისა და სასარგებლო ცნობები შეაქვს თვით მიყრუებული კუთხეების ქოხებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინალური, ცხოველთა და მცენარეთა ავადმყოფობის საწინააღმდეგო დაწესებულებანი მრავლდება და ვითარდება. ომამდე, ცხოველთათვის შეშხაპუნებული შრატის რაოდენობა 12.000 ლიტრს უდრიდა, 1927 წ. კი 36.000 ლიტრს.

დასასრულ, დიდის ენერგიით ცდილობენ ერთი მეტად ძვირი პროდუქტის გამრავლებას—ესაა წყალი; წყაროებს გააფთრებითა და მეთოდიურად ეძებენ.

თავი და თავი საკითხი აზერბეიჯანის სასოფლო მეურნეობისა (განსაკუთრებით ბამბისა) ირიგაციის საკითხია. უდაბნოს გასანოყიერებლად საჭიროა 120 მილ. მანეთის საზოგადო სამუშაოების წარმოება. ესეც უკვე დაწყებულია და ოთხი წლის განმავლობაში მრავალი არხია გაყვანილი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბიუჯეტში, რომელიც 23.510.000 მ. წარმოადგენს, გადასახადები, ე. ი., ადგილობრივი პირდაპირი საღსრები მხოლოდ 4 მილ. მანეთს შეადგენენ. უკეთუ ამას ვაჭრობისა და მრეწველობის შემოსავალს გამოვაკლებთ, მთელი დანარჩენი ხარჯი,—17 მილ. მ. მეტი,—(თუ საზოგადოებრივ სამუშაოთა არაჩვეულებრივ ხარჯს არ ვიანგარიშებთ), საბჭოთა ოჯახის მიერ დახმარების სახით ეძლევა აზერბაიჯანს.

განა კომენტარიები ესაჭიროება კიდევ ამ განუსაზღვრელი მნიშვნელობის ფაქტს, რომელსაც ადგილი აქვს აგრეთვე საქართველოსა და სომხეთში?

ერთხელ, მოგზაურობის დროს, ერთს ყარაჩოელს შევხვდი (ყარაჩო ავტონომიური ერთეულია, ე. ი. საბჭოთა პატარა რესპუბლიკა, რომელიც კავკასიონის მთებშია მიკარგული).—ალმასკომი ერთ მანეთს გვახდევინებს წლიურად ბუტბუტებდა ეს კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ავუხსენით, რომ ერთი მანეთი სულზე მთელს იმ მხარეში 60.000 მანეთს შეადგენს, ხოლო იმ საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამუშავოებს, რომლებმაც ამ პაწია რესპუბლიკის მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს ყოველის მხრით, მილიონები სჭირდება. განა აქედან ცხადი არაა, რომ უკეთუ აღმასკომს ცალის ხელით მცხოვრებთაგან თითო მანეთი მიაქვს, სამაგიეროდ იგი მეორე ხელით გაცილებით მეტს უბრუნებს იმავე მცხოვრებთ?

ყარაჩოელი შემოგვხედავს, დაფიქრდება და ამბობს:—ჭკუიანი კაცები ყოფილხართ, გონივრულს გვეუბნებით.

ასევე შეიძლებოდა ეთქვა ვინმე სვანს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, რომელსაც აგერ მესამე წელია, საპიორთა ჯარის დახმარებით კლდეებსა, ხრამებსა და თვალუწვდენ წრიაპებში გაჰყავს გზები, აუშენებია ხიდები (79) და დაკიდებული ვიადუკები, რომელთა ხარაჩოები მეიერჰოლდის დეკორაციებს მოგაგონებენ... გარდა ამისა, ამ თითოეული მანეთით საბჭოთა ხელისუფლება ქოხმახებს სახლებად აქცევს და ადამიანებს კაცებად. [1])

[1]) საბჭოთა სხვა რესპუბლიკებში ეკონომიური განვითარება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ამიერკავკასიაში, რადგან სხვა რესპუბლიკებში დადებით მუშაობას ისეთი მძიმე დაბრკოლებანი და მატერიალური განადგურება არ შეხვედრია, როგორც ა/კავკასიაში. ასე, მაგალითად, 1923 წ. დაარსებული თურქმენისტანის რესპუბლიკა სწრაფი განვითარების ნიმუშს წარმოადგენს: 1923 წ. 18.000 დეს. ბამბის ნათესი იყო იქ, 1927 წ. კი 80.000 დეს. სამი წლის განმავლობაში ნარწყავი მიწის სივრცე ერთი-ორად გაფართოვდა, ერთი ჰექტარი მიწის შემოსავალი ერთი მეოთხედით გაიზარდა, ვაჭრობისა—ნახევრად, მუშებისა და მოსამსახურეების შემოსავალი—ერთი მესამედით, ახლა, რაც შეეხება „ნაციონალურ საკითხს: 1916 წ. თურქმენისტანის 9875 მოწაფეთა შორის თურქმენი მხოლოდ 524 იყო; 1926 წ. კი—32.239 მოწაფეთაგან 19.500 თურქმენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

V

ეროვნება და თავისუფლება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იანეული. გურული ოდა. სალამო.

იმ სალამოს ნათქვამი იყო: ხვალ სხვა რამეზე ვისაუბროთო.

და აი.

იგივე პიროვნებანი, რაც იმ პირველ სალამოს, და მე— ობიექტი და ალმნუსხველი; სხვებიც არიან, რომელთაც უნდა მოვუსმინოთ, უწინარეს ყოვლისა, რამიშვილი —სატუსაღოების ხშირი სტუმარი, რომელსაც თავი დერვიშისას მიუგავს, თვალები მოხუჭული აქვს (თითქოს სინათლის შუქს არიდებსო).

თეთრ ლაქებად შემომსხდარან მაგიდას გარშემო. ზოგი ზეზეა, მიმოდიან და მათი ლანდები კედელზე ირხევა.

ბერიძე დამსწერეთ ათვალიერებს და, როდესაც საოთოოოდ ჩამოუვლის ყველას, ამბობს:

— უცნაურია. ყველა აქ დამსწრეთაგან არავინ ბოლშევიკი არ ყოფილა, თითქმის ყველანი წინაალმდეგი ვიყავით. ახლა კი მათთან ვართ. მთლიანად და სამუდამოდ დაკავშირებულნი. ახლა ყველანი ერთნაირნი ვართ.

— ბოლშევიკობა დაბადებითვე არავის დაჰყოლია, ფილოსოფიურად შენიშნავს თოდრია,—ბოლშევიკს ცხოვრების პირობები და შეგნება ჰქმნის.

რამიშვილი უეცრად წამოიჭრა, ბერიძის წინაშე აღიმართა და ღეჭვით წარმოსთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ იმიტომ შემოგვიერთდით, რომ გეშინოდა.

მისი თვალები ისე ბრწყინავენ, თითქოს სათვალე აუფარებიაო. დამსწრენი იცინიან. ვილაც ამბობს:

— ეგ არაა მართალი. ჩვენ მხდალები არა ვართ.

ისეთი სიდინჯითა და უბრალოებით წარმოსთქვა, რომ უთუოდ უნდა დაგეჯერებინა.

— ამას გარდა,—განაგრძო ვილაც სხვამ,—ჩვენ თუ აქ ერთი მუჭა ვართ, გარედ მთელი ბრბოა, რომელიც ასევე ჰფიქრობდა და მოქმედებდა, და რომელმაც სინდისიერად და გულწრფელად გაუწოდა ხელი ბოლშევიკებს მათთან ერთად სამუშაოდ.

— 1923 წელს,—იგონებს თოდრია,—ქართველი მენშევიკების ზოგიერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ იგინი თავს ანებებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლასა და მათს გვერდით დგებიან საბრძოლველად, ასევე მოიქცა ძველი შეგნებული მუშა ფარნიევი. 1923 წლ. მუშათა ყრილობის შემდეგ, რომელმაც თანმშრომლობის დადგენილება მიიღო, 12.000 მუშა გადმოვიდა ჩვენს პარტიაში. 1924 წლის აჯანყების შემდეგ რკინის გზის მენშევიკ მუშათა ერთმა ჯგუფმა ნაბიჯი გადასდგა საერთო მუშაობისაკენ და ის, ვინკ ამისი ინიციატორი იყო, ჩვენი შეიქნა და მერე როგორი! იგი ახლა მიწათმოქმედობის კომისრის მოადგილეა. მოგეხსენებათ, რომ 1924 წლ. მენშევიკურ ყრილობის შემდეგ 11.000 მენშევიკი მუშა ბოლშევიკი გახდა ისე, რომ მენშევიკთა პარტიაში მუშა სრულებით აღარ დარჩა. და ცალკე პიროვნებათა ცვლილება, რომელნიც თანდათანობით კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ სდგებიან, და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ფერიცვალება 1924 წ., დასასრულ, აგრეთვე მთელი მოსახლეობისა? და ტფილისისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათომისა და ფოთის მუშები, რომლებიც 1924 წ. ლ. ...
დადებას აძლევდენ საბჭოთა მთავრობას, ჩვენ თვითონ
ალვადგენთ წესიერებასო, და აგრეთვე გლეხთა რაზმები,
ავის-თავად რომ იკრიბებოდენ შინაური მტრების გა-
საცოცხავად? განა ყველაფერი ეს შიშით იყო? ახალი ბა-
ტონების გულის მოსაგებად? რა სათქმელია! სიგიჟე იქ-
ნებოდა, რომ ასეთი ცილისწამება თავს მოგვეხვია ამდე-
ნი ხალხისათვის, განა შეიძლება მტკიცესა და გულად
ხალხს დასწამო: სამი მეოთხედი თქვენ შორის მხდალიაო!

— პირიქით, ყველაფერი ეს ლოიალობით, გულწრ-
ფელობითა და გულადობით აიხსნება. პირადად მე, მა-
გალითად, ძალიან კარგად ვიცი, რომ მხდალი არა ვარ.
გამოვცადეთ და მივხვდით. იმდენი სიწრფელე კიდევ
ალმოგვაჩნდა, რომ დასანახავი დაგვენახა, გასაგები გა-
გვეგო და გაბედულად გვეთქვა: ვტყუვდებოდით-თქო.

— ჩვენ გვეუბნებოდენ,—დაუმატა კობიძემ,— ბოლ-
შევიკები მხეცები და ყაჩაღები არიანო, არც მეტი, არც
ნაკლები.

და შემდეგ განაგრძო (აი მისი ნამდვილი სიტყვები):

— ჩვენ აქ, სოფლელები, დემოკრატები ვიყავით
1917 წ. განუწყვეტლად ჩაგვჩიჩინებდენ: ფრთხილად იყა-
ვით! მოსკოველ ვაჟბატონებს ყოველგვარი თავისუფლების
მოსპობა სწადიათო. მაშინ ჩვენ გადაჭრით მოვითხოვეთ
საქართველოს დამოუკიდებლობა, რათა მშრომელთა თა-
ვისუფლება დაღუპვისგან გვეხსნა.

„მრავალი ჩვენგან კიდევ დიდხანს განაგრძნობდა ფარულ
ბოძოლას, რასაც მხდალი და გულაცახცახებული ვერ იზამს.
მე, კობიძე, მონაწილეობას ვიღებდით 1924 წლ. აჯანყება-
ში. მე ჯერ ახლა ვერ კომუნისტურ პარტიაში, . მაგრამ
მაინც იძულებული ვიყავი დამენახა, რომ ბოლშევი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კები „ქვეყანას აწყობენ“. ამას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ვიდრე ძველი რწმენის ქერქის შენახვას.

— მე, ამბობს ერთი ოზურგეთელი,—დიდი ხნის ბოლშევიკი არა ვარ, მაგრამ შეუგნებლად კი რამოდენიმე წელიწადია გული მათკენ მიმიწევდა. თვალი მაშინ ამეხილა, როცა ოზურგეთში ამბობდენ: თუ **ისინი** მოვიდენ, მაშინ ნახე ქლეტა და სიმშილია,

— ისინი, მართლაც, მოვიდენ, ჩვენ გვშიოდა და 120 ვაგონი სიმინდი და აბრეშუმის თესლი გამოგზავნეს ჩვენს კუთხეში. მე განვაგრძნობდი თვალის გახელას, როცა მენშევიკების მიენ მარად დაპირებული ჩვენი განთქმული რკინის გზა ბოლშევიკებმა ააშენეს, და როცა მენშევიკები სიბრაზის გამო ამ რკინის გზის ბოიკოტს გვირჩევდენ, ხოლო ოზურგეთის სადგურის გახსნა კი მათთვის გლოვის დღე იყო.

მეორე ამბობს:

— იმის გასაგებად, რომ აგვისტოს კონტრ-რევოლიუციური გამოსვლა მენშევიკების ყველაზე უფრო დიდ ბოროტებას წარმოადგენდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ, მე უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსთვის როდი მილოდნია, რომელმაც თავისი რექტორის ჯავახიშვილის პირით სწორედ ასე, დაახასიათა იგი, არამედ თვალი იმ წამსვე ამეხილა, როცა ჩვენსა ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში, თავად-აზნაურობამ დამარცხებისას და გაქცევისას, გლეხთა გულის ჯავრის ამოსაყრელად ასი ჰექტარი მოსული სიმინდი ააოხრა. და აი, ხალხის ამ მეგობართათვის უნდა გვემუშავნა, არა! მის შემდეგ ჩვენში ამბობენ: სტყუის, როგორც მენშევიკი, რაც სხვაგანაც ხშირად გამიგონია.

ამხანაგები მართალს ამბობენ, ეს განუსაზღვრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომბრუნავი ტალღა, დაშოშმინება, შეგნებულ ძველ მუშათა და რევოლიუციონერთა მასები, რომელნიც საბოლოოდ კომუნისტები გახდენ, რადგან გულით სწორედ ასეთები იყვენ,—ყველაფერი ეს იმდენად მარტივი და ფართოა, რომ შეუძლებელია მტკიცება, თითქოს ყველაფერი ეს ხელოვნური იყოს. აქ ეს ნიმდვილად რწმენის საქმე იყო. ზოგიერთს როგორც რაიმე სენმა, სინდისის ქენჯნამ მოუარა. მე თვითონ მსმენია, რომ ზოგიერთები მთავრობას სთხოვდენ, დაგვსაჯე იმ სიავისთვის, რაც საბჭოთა წინააღმდეგ ბრძოლით ჩაგვიდენიაო:

— შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ განუსაზღვრელი სიბრმავით რომ ბედმა, ან ციდან შემთხვევით ჩამოვარდნილმა ცთომილმა სასწაული მოახდინოს და საქართველოში თეთრგვარდიელი ჟანდარმების ერთი კორპუსი ჯარი შემოვიდეს, მასებში მათკენ პირსაც არავინ აბრუნებს.

— რევოლიუციონერები ცათა ცდომილების წინააღმდეგ მებრძოლნი კი არ არიან, არამედ მტკიცე და განუხრელი რწმენის ადამიანები, რომელთათვისაც პრაქტიკული მიღწევანი წმინდათა წმინდაა, როცა კეთილდღეობა ღირსებასთან ერთად იზრდება...

აქ ფიცხი რამიშვილი ჩაერია თავისი ნაციონალისტური სატკაცუნოთი. სხვა რწმენის ჯგუფში ისე იბრძოდა, თითქოს საკანშია გამომწყვდეულიო. უკანასკნელ ორ სიტყვას ჩაებღაუჭა:

— კეთილდღეობა, შესაძლებელია. ღირსება, კი არა. საქართველო ოქროს ჯაჭვითაა მიბმული ისე, როგორც ხასა, რომელიც მდიდარს ძვირფასი სამკაულის ძალით დაჰყავს თავის ნებაზე. ჩვენ რუსის მონები ვართ და ამჟამად მოსკოვის ძალადობა გვადგია უღლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეგ სიმართლეს არ შეეფერება.

უპასუხებენ აქეთ-იქიდან.

„რუსები და რუსეთი არ არაფერ შუასაა. როცა ჩვენში უცხოელები მოდიან და ამბობენ, რუსეთში ვართო, ან როცა ისინი საბჭოთა კავშირს რუსეთს ეძახიან და საბჭოთა მთავრობას კი – რუს მთავრობას, ხომ კარგად იცი, ჩემო დავითა, როგორ გულიანად ვიცინით ხოლმე ბაშინ. ისიც კარგად მოგეხსენება, რომ სწორედ ამ ნიშნით ვიცნობთ ხოლმე იმწამსვე უცხოსა და უვიცს. არის ქართველი, არის სომეხი, თათარი თუ ჩერქეზი, ან კიდევ რუსი, რაც აკრძალული არაა, მაგრამ სახელი კი ყველასთვის ერთია: საბჭოთა მოქალაქე. მოსკოვშიც სასაცილოდ აიგდებენ ყველას, ვინც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მის მცხოვრებთა სახელად რუსსა და რუსეთს იხმარდა. რუსეთი მეტროპოლია კი არ არის, არამედ ისეთივე რესპუბლიკა, როგორიც სხვები და სხვების თანასწორი. იგი მხოლოდ სხვებზე უფრო ვრცელი და მნიშვნელოვანია და ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მმართველობის ცენტრიც იქ იყოს, რომელიც, სულ ერთია, სადმე ხომ უნდა ასებობდეს.

„ჰოდა, ჩემო ჭკუის კოლოფო, განსხვავება **რუსსა** და **საბჭოთას** შორის, აი სწორედ ესა ჟამთა ვითარების ნიშანდობლიობა. პროლეტარული რესპუბლიკის, საბჭოთა შეერთებული შტატების შედგენილობის პრინციპი ისაა, რომ, ქვეყნებსა და რასებს გარდა, არის კიდევ სულ სხვანაირი ზღუდენი და კავშირები ადამიანთა შორის. ანგარიში ჩასაგდები, გასარჩევი, გასარკვევი ის მისია თუ როლია, რაც პიროვნებას ან დაჯგუფებას ადამიანთა კოლექტივში აქვს, რომელიც პროდუქციისთვის შრომობს, და არა ადამიანთა სახის თავისებურ იერსა თუ ანბანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამასხვავებელ ნიშნებს. წითელი დროშა სულ სხვა რაა ქსოვილია, ვიდრე ის, რასაც ნაციონალური ფირმები გრედწოდებულ საზღვრებზე აფრიალებენ.

— სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს,—წაიბუტბუტა მეორემ,—დეზი რუსული იქნება თუ საბჭოთა, ამით ჩვენი მონობა როდი შემსუბუქდება.

— არა. **შეუძლებელია საბჭოთა მონა იყო.** წყობილების ფორმა თავიდან ბოლომდე ამისი წინააღმდეგია. მონა მაშინ ხარ, როცა ერთი პიროვნებისა თუ ჯგუფის ხელისუფლებას ემორჩილები, რომლებიც თავიანთი კერძო სარგებლობისთვის გაწვალებენ, გთელავენ, თავიანთი მისწრაფებისა და კეთილდღეობისთვის გხდიან სულს. ინდოეთი და ეგვიპტე ინგლისის მონებია, ბესარაბია თუ ტრანსილვანია—რუმინეთისა, რუსინების პროვინცია—პოლონეთისა, ჩერნოგორია—სერბიისა, იტალია—მუსოლინისა და მისი ბრბოებისა, ხოლო ვენეცუელა კი—გომეზისა. მაკედონია სამადაა გაჭრილი, მაროკო ორად, არაბეთი ოთხად, რათა ესენი კერძო მესაკუთრეების სახელმწიფოებს დარიგებოდათ სახელისუფლოდ, საპროტექტორატოდ, სამანდატოდ თუ საკუთრების სხვა რაიმე სახით, აი მონათა ქვეყნები. ძველი რომის, ათას ხუთასი წლის წინედ რომ დაიქცა, გაერთიანებული მონები იყვენ მისი ქვეშევრდომები და ასეთივე გაერთიანებული მონები არიან ისინიც, ვინც თავიანთ საუბედუროდ ნიუ-იორკის პანამერიკულ ფარგლებში არიან მომწყვდეულნი.

„ყველა ამ შემთხვევაში—და ბევრ სხვაშიც (საამისო სრულ სიას თანამედროვე რომელიმე ლექსიკონში იპოვნი, თუ კი გვარიან დროს დაჰკარგავ) არის ჩაგვრა, რადგან არის ენდემიური ძალადობა და ექსპლოატაცია, შეიძლება ითქვას,—მონელებაც კი. ყველა ამ შემთხვევა-

ში დაპყრობის ველურობას თან სდევდა დენაციონალიზა-
ციის სისტემატიური მუშაობა. ჭკუადაკარგული უნდა
იყო, ჩემო ამხანაგო, რომ საბჭოთა ხელისუფლება იმ რე-
ჟიმს გაუთანაბრო, რომელიც ჩვენს ზურგზე ამოსწვეს რო-
მანოვების გვარის მწყალობელმა მეფეებმა. აი სწორედ,
ის ხელისუფლება, მართლაც, რუსული, განსაკუთრებითა
და ველურად მოსკოური (თუ მოსკოველი, როგორც გნე-
ბავდეს) იყო და იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველი კუთ-
ხის ხალხი რუსულ ტიკინად ექცია.

„ხოლო ჩვენ კი, ჩვენ მთლიანობის ნაწილს შევად-
გენთ, თანასწორობის ნიადაგზე. ჩვენი ეროვნება ჩვენვე
გვეკუთვნის, მთლიანად და განუყოფელად. ჩვენი და მთე-
ლი კომუნისტური კონტინენტის ინტერესები ერთია და
საბჭოთა ფედერაციის თითოეული წევრი იმდენადვეა დი-
დი, რამდენადაც თვით მთელი ფედერაცია".

რამიშვილი სკამზე შეირხა და წარბებს ქვემოდან
გადმოგვხედა.

თქვენ, ვინც დოქტრინებსა და წიგნებს ჰქმნით,
ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრენი ხართ. ჩინეთი,
მაგალითად. თქვენ ამართლებთ და აქებთ სეპარატისტულ
მოძრაობას...

— რასაკვირველია, ამიტომ, რომ იქ საქმე ეხება
მცარცველებსა და გაცარცულებს, და ამიტომ, რომ ნა-
ციონალური განთავისუფლება ძალაუნებურად ადამიანის
განთავისუფლების პირველი ეტაპია. მაგრამ, აბა ერთი
მიჩვენე, რითა ვართ ჩვენ გაცარცული, დამცირებული თუ
გამოყენებული,—არ ვიტყოდი, რუსთა ინტერესების მიერ,
ეს სისულელეა—არამედ ისეთი ინტერესების მიერ, რაც
ჩვენ საკუთარს ეწინააღმდეგებოდეს?

„ვიზედა ვართ მიბმული? არავიზე. მაშ, რაზე? ორ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განიზაციაქმნილ იდეაზე. ეს რა იდეაა? მასების განთავისუფლებისა, ჩვენი იდეა. ის დამონება როდია, როდია, როცა საერთო ინტერესების კანონს ემორჩილები, რადგან იგი საერთო ინტერესად მიგაჩნია, რაკი ყველასთვის ერთნაირ დისციპლინას იზიარებ".

— ეს ჩემთვის სულ ერთია,—ბუტბუტებს დამთხვეული,—საქართველო ოდესმე თავისუფალი იყო, ახლა კი აღარ არის!

— შენ ერთ სიტყვას ატარებ მხოლოდ გულში,— წყნარად შენიშნა მას ბრუსილევმა,—გინდა ხორცი შეასხა მას, მაგრამ როდი ძალგიძს.

„რა არის თავისუფლება? განა იგი ის არ არის, რაც გსურდეს, ის ჩაიდინო? განა იგი იმის საშუალებას იძლევა, რომ გიჟი იყო? სიტყვის აბსოლიტური მნიშვნელობით შესაძლებელია ასეც იყოს (და ბრუსილევი, რომელსაც ბევრი რამ წაუკითხავს, იგონებს ფრანგული თანამედროვე რომანის ერთ გმირს, რომელმაც ჯაცი ვინმე გაქანებულ მატარებელს დაუგდო მხოლოდ იმ საბუთით, რომ საკუთარი თავისუფლება ამის ნებას აძლევს—გიჟური აქტის შესრულება ამ შემთხვევაში დამამტკიცებულია სრული თავისუფლებისა). დავანებოთ თავი ამ მეტაფიზიკურ ალგებრას, ამ განყენებულსა და უტოფარ ანარქიზმს. სიგიჟის მანია რა სანატრელია: კანტი, მარქსი და ლენინი ამიერიდან მხოლოდ საზრიან მოქმედებას გვასწავლიან. სოციალური თვალსაზრისით, სადაც ყველაფერი სერიოზული და კონკრეტულია, თავისუფლება ხელისუფლების თავისუფლებაა ისე მოიქცეს, როგორც მის საკუთარ ინტერესს შეეფერება; თავისუფლება არის თავისუფლება მაქსიმუმამდე ინდივიდუალურად განვითარებისა ადამიანთა ურთიერთობაში. ნამდვილი ფორმულა, როგორც ცალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კე ადამიანისთვის, ისე სოციალური ადამიანისთვის, ესაჭიროდე, თითოეულს ჰქონდეს თავისუფლება იმისა, რომ გონიერი იყოს და აღასრულოს თავისი ადამიანური დანიშნულება.

„ახლა თვალი გადავავლოთ საბჭოთა საქართველოს და ვნახოთ, ის კუთხე, სად არ არის თავისუფლება.

„ადმინისტრატიულმა ორგანიზაციამ ეროვნული კულტურის ყოველ დარგს ისეთი ადგილი მისცა, შეუნარჩუნა, რომ შეიძლება ითქვას, ასეთი ადგილი მას არაოდეს ჰქონია, არც მის ინტელექტუალურს, მხატვრულს, არტისტულ პირადობას, ერთი სიტყვით, ქართულ სულს არაოდეს თავისებური გაფურჩქნის ასეთი თავისუფლება არ ჰქონია. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ამ მხრით, ისე ეკონომიურის მხრითაც, საბჭოებთან დაკავშირებამ მას ისეთი საშუალებანი და და საღსრები მისცა, რომლის მცირეოდენ ნასახსაც კი შინ ვერ იპოვნიდა, იგი რომ, რამიშვილის განყენებული ფორმულის მიხედვით, „დამოუკიდებელი“ ყოფილიყო.

„განა ჩვენ მოწმენი არა ვართ, განა ეს ყველასთვის ცხადი არ არის, რომ ეროვნული შემოქმედითი ძალები სხივოსან აღორძინებას განიცდიან?

„ეს ეროვნული კულტურა მატარებელია სოლიდარობისა და ცხოვრების ახალი იდეალისა (სტალინის სიტყვებია). ინდივიდუალიზმი მასალასა და ფორმაში, მაგრამ წუწუნს მოკლებული, რაც ყოველს აღემატება განუსაზღვრელად. შემცველი ეროვნული, შეცული კაცობრიული. ეს არის შემოქმედების განვითარებისა და მიღწევათა უდიდესი კანონი. ასე მზადდება ხელოვნების ერთ-ერთი ფაზა, სადაც ყველაზე უფრო დიდს დრამაში თავის როლს ითამაშებს მსახიობთა შორის ყველაზე უდიდესი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმრავლესობა. პროლეტარული, კოლექტიური ხელოვნება ეთნიურ თავისუფლებათა განადგურებით კი არ განმტკიცდება, არამედ მისი მძაფრი გამოყენებით. ამ ყველას ხელოვნებას, განთავისუფლების წითელ ხელოვნებას აქეზებენ, აჩქარიან. უკვე ვეჭვრეტთ ბაბილონის იმ გოდოლს, რომელიც სხვადასხვა ენებს, როგორც ინდივიდუმებს, თავის წიაღში დაიტევს, დაჰგლეჯს ძველ ღრუბლებსა და ხალვთო კანონებს და მიწიდან ცად აღმაღლდება".

— ეს სრული ჭეშმარიტებაა, რომ ძველი ვარსკვლავები იქ დაიმარხებიან!

ამბობს ნოგადოვი:

— რა ვუყოთ, — შენიშნა თოდრიამ — რომ მენშევიკები ყველგან გაჰკივიან, ქართული ენა ფეხქვეშ ითელებაო. ასე ეწერა სწორედ 1927 წ. მაისის მოწოდებაში; „მათ მოჰკლეს ქართული ენა! ნიკოლოზ-ბოლშევიკმა მოჰკლა იგი!"

— ნამდვილია!

წამოიძახა რამიშვილმა.

— ფაქტების წინაშე — განაგრძო სხვამ მკაფიო ხმით, — ასეთი ყვირილი უტიფრობაა, მას არავითარი აზრი არ აქვს. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ამ შემთხვევაში მას ერთგვარი აზრი აქვს: ქართველი მენშევიკები საქართველოს საბჭოთა მთავრობას უკიჟინებენ, რომ მან ზოგიერთი კუთხის ეთნიურ უმრავლესობას, როგორც, მაგ. სომხებს არ აუკრძალა თავის დედა-ენაზე ლაპარაკი, რომ ქართულს თვითმპყრობელური გამსრესი მონოპოლია არ მიანიჭა და დეკრეტით არ გამოაცხადა სხვა ენების ხმარების ტაბუ. ეს ლოლიკურია. ყოველი თავისი თავის პატივისმცემელი ნაციონალისტი იმით იწყებს, რომ სხვებს პატივს არა სცემს.

„სინამდვილე, რომელზედაც, როგორც ღეროზე ყვავილაფერი ბრუნავს, ასეთია: საქართველო რომ დამოუკიდებელი ყოფილიყო, ამ სიტყვის ოფიციალური მნიშვნელობით—და იმ პირობით, რომ დამოუკიდებლობის ყველა სხვა ფორმულაც ამას ეთანხმებოდეს (მაგ., წმინდა ქართული, კავკასიის ფედერატიული და სხვ. ფორმულა), საქართველო იმაზე ნაკლებ თავისუფალი იქნებოდა, ვიდრე დღესაა.

„იგი დატვირთული იქნებოდა მძიმე დიპლომატიური აპარატით, არმიითა და სამხედრო ბიუჯეტით სომხეთისა და თათრების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იგი იმდენად ღარიბი იქნებოდა, რომ თავის ეკონომიურ აღორძინებას ვერ შესძლებდა, რაო, სესხიო! დიახ, ჩვენც მანდა ვართ: სესხი, დიდი სახელმწიფოები ზედ კარზე, საზღვრებზე, და მყისვე კაპიტალიზმის უზარმაზარ ქვის კოშკებზე წამოსკუპება. „ერთა ლიგის მაღალი მფარველობის ქვეშო“,—უტიფრობენ ნაციონალისტები. ხომ ხედავ რა უსირცხვილო აღსარებაა! ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რას ნიშნავს ეს მაღალი მფარველობა. განა უარებელი ისტორიული ფაქტი იმას არ გვიმოწმებს, რომ ეგრედწოდებულ განმათვისუფლებელთა ყოველი მოქმედების გეგმა უცხოეთისკენ თვალის მიპყრობაში მდგომარეობდა. რამდენჯერ გვინახავს, რომ განკერძოების ამ ბრწყინვალე რაინდებს ეროვნული სიმდიდრით აღსავსე ხელი ხან გერმანიისთვის, ხან ინგლისისთვის და ხან საფრანგეთისთვის გაუწვდია. საქართველო რომელიმე დიდი სახელმწიფოს ეკონომიურ ახალშენად გადაიქცეოდა, შემდეგ კი ახალშენი ფატალურად მისივე ლუკმა და მსხვერპლი შეიქნებოდა. მით უმეტეს, რომ მას აქვს აუარებელი მარგანეცი, ალბად ნავთიც ბევრია დაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვილი მისი ნიადაგის უცნობ წიაღში; მით უმეტეს, რომ იგი პირველხარისხოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს ბაქოს სამფლობელოდ, რომ იგი გეოგრაფიულად ბუფერულ სახელმწიფოს წარმოადგენს სპარსეთსა და ოსმალეთს თუ ს. ს. რ. კ. შორის.

„რამიშვილები რომ უთვალავნი იყვნენ, ქართველი მენშევიკები რომ ამჟამად რამდენიმე გადაცმულს სხვის აგენტს არ წარმოადგენდენ, შეშლილები და მოღალატეები რომ საიმედო ადგილას არ იყვენ დამწყვდეულნი, აი სანამდე მიიყვანდენ ქვეყანას, თეორიულ, ქაღალდის დამოუკიდებლობას: საქართველო, დროებით მდიდარი—მანამ, სანამ გაიყიდებოდეს, იმპერიალისტური კაპიტალიზმის იარაღი, საკვები გახდებოდა. მისი დამოუკიდებლობის აჩრდილი სავალალო შეიქნებოდა მისთვისაც და მეზობლებისთვისაც; ეს იქნებოდა მისი ფაქტიური და ცრუ დამოუკიდებლობა. განკერძოებაო, თქმა ადვილია, მაგრამ ერთი მუჭა ხალხი ჩვენს დროში ვერ განკერძოვდება.

„ღირსებას ახსენებენ. მაგრამ პატარა ქვეყნებს, რომლებიც ლხენამოსილი დიდი ქვეყნების კლანჭებში ჩავარდნილან, თავისუფლებაც და ღირსებაც ნაკლები შერჩენიათ.“

„კარგათ მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო, საქართველოს წინაშე მხოლოდ ორი გამოსავალია: ის მდგომარეობა, რომელშიც იგი ამჟამად იმყოფება (და იმყოფება უფრო მტკიცედ, ვიდრე საექსპორტო დემაგოგიის სხვადასხვა ოსტატები ამბობენ, ან ვიდრე ევროპის უბადრუკ აუდიტორიას ჰგონია, რომელსაც ამ საკითხების არაფერი გაეგება), დიახ: ან პროლეტართა ძმურ კავშირს ეკუთვნოდეს, ან ის თიხის ქოთანი იყოს, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმის თუჯის ქვაბთან ერთად იცურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა, უნდა გამოვტყდეთ: არის ერთი საერთაშორისო ძალა, რომელმაც კისრად იღო საქართველოს ადვილად განთავისუფლება: სოციალისტური მე-II ინტერნაციონალი.

„მოდი, უკანასკნელად კიდევ ვილაპარაკოთ ამის შესახებ, რითაც საშუალება მოგვეცემა შინაური პოლიტიკის შესახებაც ვთქვათ ის, რაც სათქმელია. ანტი-საბჭოთა ქართული პროპაგანდა ამ შემთხვევაში სხვადასხვა ნაჭრებისგანაა ნაკერი; არიან წმინდა წყლის ნაციონალისტები, ფედერალისტები და სოც.-დემოკრატები. ეს ნაჭრები შეუხამებელია. როგორც ვიცით, ისინი ვერაფერს ვერ შეთანხმებულან, რასაც თავისი მიზეზი აქვს. ამჟამად კი მხოლოდ ერთი რამ თითქოს აერთიანებს მათ: ეს არის მათი საერთო ზიზღი ს. ს. რ. კავშირისადმი.

„ნამდვილად კი ეს ვაჟბატონები ცალცალკე მიიწევენ. რამიშვილი, აბესალომისადმი მიწერილს კონფიდენციალურს წერილში, წყევა-კრულვას უთვლის ფაშისტ-ნაციონალისტებს (რომლებშიც მას ჩეკას აგენტები სურს დაინახოს). შესაძლებელია, აქ გავლენისათვის დავას ან პირად მოსაზრებას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს უსამართლობაა, რადგან ფაშისტების აგიტაცია, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი ამჟამად, ხელს უწყობს კამპანიის რეჟისორებს. რამიშვილი და ჟორდანია თავიანთ ლოცვა-კურთხევას მხოლოდ ფედერალისტ ნაციონალისტებსა და ამირაჯიბის ჯურის ხალხს უგზავნიან ხოლმე,

მეორეს მხრით, ყოველი ჯურის ქართველი ნაციონალისტები როდი ჰფარავენ თავიანთ ზიზღს იმათ მიმართ, ვინც თავის თავს სოციალისტს უწოდებს. ქართველი მენშევიკები მათთვის არასასურველნი არიან იმ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმობათა გამო, რომელთაც მათ სახელი გაუტეხეს და შეარცხვინეს. შოვინისტები 1918 წლის მთავრობის ჭარბ დემოკრატობას აწერენ მის უდროო აღსასრულს!

„საქართველო სოციალისტური ექსპერიმენტების მსხვერპლი გახდაო“, ამბობს ბ. დიუგე და იქვე აღიარებს, რომ მას შემდეგ მენშევიკებმა „საპატიო“ ევოლიუცია გინიცადეს კონსერვატიული და ნაციონალისტური აზროვნებისკენო. ქართული ნაციონალიზმის დიდი თეორეტიკოსი, თავადი ავალიშვილი საქართველოს მენშევიკურ მთავრობას იმის ბრალსა სდებს, რომ მან თვისი დემოკრატიული დროშის ფრიალით გასაბჭოებას ნიადაგი შეუმზადა და აქვე—იგიც—აღიარებს, რომ ამ პრინციპებს, რომლებიც მხოლოდ ნაგულისხმევი იყო და არა განხორციელებული, არავითარი გავლენა არ მოუხდენია მის საგარეო პოლიტიკაზე, რაც გონივრულად დაუმორჩილეს იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკას. პოლონელი ს. ბ. სტოკსიც, ინგლისის უმაღლესი კომისარი (რომელმაც მენშევიკებს ბათომი ჩააბარა 1920 წ. ივლისში) ამასვე ამბობს, რომ წითელმა ფერმა, რომლითაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა იყო შეღებილი, გამოიწვია კომბინაციის ჩაფუშვა: 1918 წლ. ცდა თავს მოაბეზრებდა ევროპასო, ამბობს ეს ყბედი ინგლისელი.

„რა თქმა უნდა, დიდი ხანი არ გაივლის და ამასაც უარჰყოფენ, ე. ი. ამ „სოციალისტური ექსპერიმენტის“ შეუფერებელ სახელს, რომელიც 1918 წლ. აპრილიდან 1921 წლ. თებერვლამდე მიწებებული ჰქონდა საქართველოში გამეფებულ რეჟიმს. ამაში ჩვენ მეტად დარწმუნებულნი ვართ. მაგრამ ერთის წუთითაც ნუ ვიფიქრებთ, მეგობრებო, რომ უკეთუ ოდესმე მენშევიკებმა ნაციონა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლისტებისა და დიდი სახელმწიფოების შემწეობით ხელისუფლება დაიბრუნეს, ვითომ სოციალისტური რეჟიმი გააჭაჭანონ საქართველოში. ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ იგინი საქმეზე, ა? ვნახეთ, სამი წლის განმავლობაში რა ჯოჯოხეთად აქციეს საქართველო მუშებისათვის. ერთი მეორის ტყვები, მენშევიკები ნაციონალისტთა ლოლიაობაში იქამდე მივიდენ, რომ მათგან ნაციონალიზმი ისესხეს, ბურჟუაზიისგან მუშებისა და გლეხების დამშევა, დევნა და ჟლეტა; საბჭოთა საქართველოს იგინი ისეთი რესპუბლიკური კონსტიტუციით მოჰკაზმავდენ, რომელიც დასავლეთის კომიკურ დემოკრატიების პირწავარდნილი ცალი იქნებოდა; ამ კონსტიტუციას სრულიად არაფერი ექნებოდა საერთო, შორეულიც კი, იმ უდიდეს მიღწევებთან, რომლებიც კომუნისტებმა მათთვის წართმეულ ადგილებზე განამტკიცეს. „სოციალიზმი“ ამ შემთხვევაში— მთელი რიგი სოფისტური ფორმულებისა წრის კვადრატურის, „ნაციონალური და ბურჟუაზიული სოციალიზმის“ ასახსნელად—მხოლოდ საბურველია, რომელიც კონტრრევოლიუციურ ქვეყნებსა და მე-II ინტერნაციონალის ნდობაგატეხილ ლიდერებს მე-III ინტერნაციონალის წინააღმდეგ საბრძოლველად ესაჭიროებათ. დე, ამ ვაჟბატონებმა ჰკაზმონ თავიანთი პოლიტიკა და განაგრძონ ოცნება ხელისუფლებაზე, მაგრამ კეთილინებონ და ასეთ პირობებში სოციალიზმის ხსენებაზე ხელი აიღონ. თქვენ მხოლოდ დაკარგული ფორტფელების დაბრუნებისთვის იბრძვით, ჩემო კეთილო მოციქულებო, და არა სხვა რამისთვის. ბოლშევიკები აქ საქვეყნოდ აცხადებენ: ვისაც დასასრული სურს, საშუალებანიც სურს. მენშევიკებს კი სათქმელი ამის მეტი არაფერი აქვთ: ვისაც საშუალება სურს, დასასრული(ც სურს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მერე? მერე და, ქართველი მენშევიკი-ლამურა ყველას ათვალისწინებული ჰყავს საბოლოოდ და ამაოდ მიმართავს იგი ხან ფრინველებსა და ხანაც თაგვებს. მერე კიდევ ისა, რომ მენშევიკები, რომლებსაც თავიანთი ურთიერთობის წყალობით კიდევ შეუძლიათ „საქართველოს დამოუკიდებლობისთვის“ ბრძოლა, ნამდვილად არაფერს წარმოადგენენ და ყოველსავე დასაყრდენს მოკლებულნი არიან.

„მენშევიკი ვალიკო ჯუღელი 1923 წ. სწერდა: „რისი გულისთვის უნდა ვებრძოლოთ ახლა საბჭოთა ხელისუფლებას“. საქართველოს გულისთვის? მაგრამ მე ვხედავ, რომ საქართველო არსებობს, ქართული ენა ვითარდება, საქართველო უკვე აღარ გაჭირება. მაშ, რისთვის უნდა ავტეხოთ ის, რაც მას ქვეყნის პირიდან წარხოცავდა?“

„მენშევიკი დევდარიანი, აღნიშნავს რა, რომ ჟორდანიას მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დამხობა განუზრახავს და ეს საშინელი პასუხისმგებლობა უკისრნიაო (ეს დამტკიცებულია იმ წერილებით, სადაც იგი სწორედ ამ აზრით განმარტავს მენშევიკების აგიტაციის მნიშვნელობას და თავის დამოკიდებულებას იმპერიალისტებთან ს.ს.რ.კ. წინააღმდეგ ომის შემთხვევაში), სწერს: მე იმის ბრალსა ვდებ ჟორდანიას, რომ მას არაოდეს დაუსვამს საკითხი საბჭოთა წინააღმდეგ ბრძოლის მძიმე შედეგების შესახებ“.

მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, იმ შეთქმულებას, რაც მსოფლიო სოც.-დემოკრატიამ უდიდესი შეცდომით თავს იდო და ახლაც მყვირალა სიცრუით ქვეყანას აყრუებს, არც ნაციონალური და არც სოციალური თვალსაზრისით, არავითარი აზრი არ აქვს. ჩვენს წინაშე სდგას ისეთი ხალხი, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მთელი აზრი და ენერგია იქითკენაა მიმართული, რომ საქართველო ცეცხლსა და სისხლში ჩაადგონ, რომ იგი მუშათა სახელმწიფოების კავშირს მოჰგლიჯონ და გაუმაძღარ სახელმწიფოებს მიუგდონ; ამას იმ საბაბით აპირებენ, რომ საქართველოს მიანიჭონ დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც ისეთი დემოკრატიული ვერაოდეს იქნება, როგორითაც ამჟამად სარგებლობს; ვითომ სურთ აღორძინების გზაზე შეაყენონ იგი, მაგრამ ეს აღორძინება დღევანდელზე ნაყოფიერი ვერაოდეს იქნება და ის თავისუფლებაც, რასაც ისინი ჰპირდებიან, მონობა იქნება იმასთან შედარებით, რაც ამჟამად საქართველოს აქვს".

* * *

აი რა გვქონდა კიდევ სათქმელი.

ახლა დავანებოთ თავი ამ ფუქსავატ ყვირილს, რასაც სხვადასხვანაირად მორთავენ ხოლმე, იქნებ რამე გამოვიდესო—დავანებოთ თავი საქართველოს დამოუკიდებლობას. დე, კოსმოპოლიტური საზოგადოებრივი აზრი გაერთოს ამ თამაშით, რადგან მან არ იცის, რა ჰქნას, რადგან მას სჭირია ასეთი გართობა, მის ბეც თვალებს დრო და დრო ერთობ ესაჭიროება ეს კამლოტური პროპაგანდა, ჯვაროსნული ომის საბაბი და იმ ადამიანთა მიერ გამართული საჯარო ვაჭრობა, რომელთაც კბილებში დანა უჭირავთ.

აი ყველაფერი, რაც უნდა თქმულიყო და აი რა ადამიანები არიან ისინი, ვინც ერთხელ კიდევ შეიკრიბენ ჩემს გარშემო, და ვის წინაშეც იმ ერთმა სავსებით გამოამჟღავნა თავისი სოფისტური და კარიკატურული სახე.

მალე დავშორდები მათ. ეს დაშორება, პირადად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ძვირად დამიჯდება, რადგან შორიდან მუდამ ხსოვნაში მექნება მათი ძმობა და ტკბილი მეგობრობა. მაგრამ ჩვენ, ვინც რწმენას ვემსახურებით და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიდი საქმის თავისუფალი მონები, ჩვენ პირადულსა და სენტიმენტალურ საკითხებზე მაღლა ვდგევართ და მეორე რიგში ვაყენებთ მათ, როგორიც უნდა იყოს მათი ძალა და სინაზე. და ბოლოს, ხსოვნა როდი ჰკვდება, თუ თვითონ შენ არ გსურს მისი სიკვდილი; ვინც აქ არიან, აავსებენ იმ სივრცეს, რომელიც ჩვენ შორის გაჩნდება. და უკეთუ ამ ქვეყანაში მე ბევრი მეგობარი ვნახე, მე აგრეთვე განსაკუთრებით ბევრი დიდი რამეებიც ვნახე.

ესენი, ვისაც უკანასკნელად ერთად ვხედავ, დიდნი არიან დიდი რამეების გასაგებად. წარღვნა იყო. და ესენიც სულ სხვები არიან, ვიდრე წინედ იყვნენ: ესენი თავის თავადნი დარჩენ ყველა იმის გამო, რაც ამიერკავკასიაში შეირყა, შეიცვალა, გადაბრუნდა, იმ ამიერკავკასიაში, რომელიც ერთსა და იმავე დროს ორ კონტინენტსა და ორ ეპოქას შუაა.

არიან იქ უფროსებიცა და ხელქვეითებიც. ყველანი ერთნაირები არიან. (ლენინი იმიტომ იყო დიდი ბელადი, რომ სხვასავით ერთნაირი იყო. იგი იმიტომ ბელადობდა უთვალავ მასებს, რომ მათ ემორჩილებოდა. „შენი მხსნელი ისაა, ვინც აგამოძრავებს"). სახეებს გონივრული აღფრთოვანება, ზნეობის სიწმიდე და დიდებული ღიმილი აშუქებს, რადგან არც ერთი ხალხი ისე თვალსაჩინოდ ზნეობრივი არ არის,—ძველი, გაცვეთილი ფრაზა რომ ვიხმაროთ,—როგორც საბჭოთა ხალხი, იმიტომ რომ არც ერთს ისეთი რწმენა არ მოეპოვება.

დედამიწაზე შრომის წითელი დროშა აღმართეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგეს და შეიყვარეს, გააგებინეს და შეაყვარეს სოციალური სოლიდარობის მძაფრი და წმინდა მნიშვნელობა. აქ უკვე განმტკიცდა, აქ, და იმ განუსაზღვრელ ქვეყნებში, ამას რომ ანდამატივით ელტვიან, სადაც რევოლიუცია ჯერ კიდევ გუშაგია, კადრებადაა დასახული, იგი გუგუნია ქვესკნელისა. თქვენ ისე ახლოს მისდევდით თქვენს მიზანს, რომ დაგვიანებული და ბეცი საზოგადოების თვალში კიდეც გაუსწარით ამ მიზანს. მიუხედავად ამისა, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ „ის, რაც გააკეთეთ, რაჟერ ია იმასთან შედარებით, რაც უნდა გააკეთოთ“.

ორი რევოლიუცია იყო ერთი-მეორეზე. ხალხი იმდენად შეგნებული და იმდენად გააფრთებული იყო, რომ ქვეყნისთვის პირველი მეორესგან თავისდასაცავად აეცრა ვისმე.

რევოლიუცია გარემოებათა მთელი სიმძიმით დამკვიდრდა ამ ნიადაგზე. და დამკვიდრდა იმ აუარებელი მსხვერპლის წყალობით, რომლებიც კრემლის გალავანშიც განისვენებენ, იქაც, თვალუწვდენ ველებშიც ჯერ კიდევ საჩინოდ ამობურცულა მათი საერთო საფლავები და ჯარად ჩამწკრივებულა ძეგლები იმ ჯარისკაცთა, რომლებიც რაღაცისთვის დახოცილან!

იგი თვით ცხოვრებისგანაც არის ფესვგადგმული,— რათა მუშას დაუბრუნდეს მისივე ქარხნები, გლეხს მისივე მიწა, ქარხნებისა და მიწის შრომის ძალა და გამორჩენა.

ჩემი ამხანაგები იმ კანონის შავი მუშები არიან, რომელიც აგერ ათი წელიწადია რაც წარუშლელად დაწერილა. მათ არც ერთი იმ დაპირებისთვის არ უმტყუვნიათ, რაც 1917 წლ. ოქტომბერში ადამიანთა და ხალხთა წინაშე უკისრიათ. არც მომავალში ვუმტყუნებთ როდისმე. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, ზიზღი, რეაქციის ტალღა და მხეცობისა და ბნელ-
რაგობის საშინელი ფორმები, რასაც იგი იღებს, ჩვენ-
თვის სულ ერთია. ჩვენ ვარსებობთ. ჩვენ ვიარსებებთ.
ჩვენ ბრძოლაში ვიწვევთ.

ჩვენს პირდაპირ, გარშემო გადაჭიმულან ბურჟუა-
ზულ „წყობილებაში" დატუსაღებული ქვეყნები; ქვეყნები
დიდი ბანკებისა, ინდუსტრიის ბატონებისა და ბრძანებ-
ლობისა, რუთის ძველი ბოიარების მზგავსი დიდი მემა-
მულებისა: ყველა ისინი, ვინც თავიანთი ღვთაებრივი
უფლებანი პოლიტიკურ ფორმულებში ჩამოაყალიბა. იქ,
გალმა იმ ენით როდი ლაპარაკობენ, როგორითაც აქ: ამ
იმპერიალისტური ტრესტების უცხოელებს ველაპარაკებით
ხოლმე იმ სასაპალნე პირუტყვების შესახებ, რათაც მათ
ადამიანები გადაუქცევიათ, დაჩაგრულთა ნამდვილი გან-
თავისუფლებისა და ქვეყნების რეალური განიარაღების
შესახებ, ჩვენი სიტყვები მეხივით ატყდება თავს მათს
მოლაყბე ორატორებს, ჩამორჩენილ რჩეულებს, „მრეწველ
პოლიტიკოსთა მიერ ღირსება ახდილს მათ დემოკრატიას
და მათს გახუნებულ წითელ დროშებს. დიახ, თქვენს გარ-
შემო აი რა არის: კაპიტალიზმი, რომელსაც პრინციპები
თუ გააჩნია მხოლოდ იმიტომ რომ თავისი უგვანი მოქმე-
დებანი დაჰფაროს, რომლის ტაქტიკაც მხოლოდ იმაში
მდგომარეობს, რომ შიშის ძალით შეჰქმნას ანარქიული
კოალიცია უმრავლესობის ძლიერი საქმის წინააღმდეგ,
კაპიტალიზმი, რომელიც ომითა და ომის შანტაჟით სცხოვ-
რებს, და რომლისთვისაც ჟენევა—ძველი მირაჟი—კოლო-
ნიაა მხოლოდ.

რა იქნება მომავალში? მომავალი მასების, დიდი მა-
სების ხელშია, რომლებიც ჯერ კიდევ ნიხევრად მოტყუ-
ებულნი არიან, მაგრამ ნახევრად კი განათებულნი არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი სინათლით, როგორიც დღის სიცხადეა: არა სა[illegible]
დუმლო აგენტების პროპაგანდა, არამედ მაგალითის უბ-
რალო სხივი და ახალი ადამიანების დარბაისლური ღი-
მილი აკავშირებს მათ. დავძლიოთ უვიცობით გამაგრებუ-
ლი თავდაცვა. ვაჩვენოთ მათ ჭეშმარიტება და სინამდვი-
ლე—და ამით, ჩვენით, სხვებით —ის აზრი, რაც ამიერიდან
მსოფლიოს ამ ახალმა თაობამ მიიღო.

ჩვენ პატივს ვცემთ იმ მასებს, რომლებიც ტყუვდე-
ბიან, რადგან მათი რწმენა გულწრფელი რწმენაა. მაგ ნუ
რას უკაცრავად თუ პატივი არ ვცეთ იმ პოლიტიკურ-საერო
ვაჭრობას, რასაც ზოგიერთი რიგების ბელადები სათანადოთ
იყენებენ (საქართველოს საკითხი ამის ცოცხალ მაგალითს
წარმოადგენს) და რომელთა წინაშეც ბრბოები ჯერ კი-
დევ ჯოგის ფსიქოლოგიას იჩენენ.

მაგრამ პროლეტარიატი, ეს ახოვანი, გულ ჩახვეული
ჯარისკაცი, მიძინებული დიდი მშენებელი ყველგან იღვი-
ძებს. მშრომელები, ადამიანები ყველგან ერთობ ძლიერნი
არიან. მაშასადამე, ყველგან გამარჯვებულნი არიან. გამარ-
ჯვებულნი, რომელთაც გამარჯვება აკლიათო? „თუ თქვენ
გამარჯვება გაკლიათ, მოიპოვეთ იგი!“

რაც შეგეხებათ თქვენ, საბჭოთა ინამემამულეებო,
პატიოსანო განთავისუფლებულო ხალხო, თქვენ, რომელ-
თაც ცხოვრების მწარე კივილი ჰარმონიად აქციეთ, თქვენ
რომელთაც თქვენი ადგილი ქვეყნის ერთ მეექვსედზე მხო-
ლოდ თქვენისავე ხელითმოიპოვეთ, თქვენ. ვისგანაც დასავ-
ლეთის ჯერ კიდევ დამარცხებულ პროლეტარები გამარჯვე-
ბულთა ხელობას ისწავლიან, თქვენ დიდი ხალხი ხართ;
თქვენ ყველაზე უფრო დიდი იქნებით—თუ არ მხოლოდ
ერთად ერთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები

[1]) აქ ბარბიუსს მ ე გ რ ე ლ ე ბ ი და ს ვ ა ნ ე ბ ი ცალკე ეროვნებებად ყავს აღნუსხული.

[2]) ამხ. ობოლაძე და სანიკიძე მენშევიკებმა დახოცეს არა ბოლშევიკური აჯანყების დროს, არამედ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს გურიაში.

[3]) კომპარტია საქართველოში ხელმძღვანელობდა მთელ რიგ აჯანყებებს.

[4]) არასდროს ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ უ შ ე ბ ი, მ შ რ ო მ ე ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი და მ ა თ ი ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ი არ ყოფილან სომხეთის მშრომელი ხალხის მტრები და ჯალათები.

[5]) აჭარელი არ არის თურქი, აჭარელი ტომით — ქართველია, სარწმუნოებით — მაჰმადიანი.

[6]) არ არის სწორი, თითქოს აჭარელ ქალთა მ ე ო თ ხ ე დ ი ნ ა წ ი ლ ი უკვე აღარ ატარებდეს ჩადრს. უჩადრო აჭარელ ქალთა რიცხვი, სამწუხაროდ, გაცილებით ნაკლებია.

[7]) ნაციონალისტთა, მით უმეტეს ფედერალისტთა პარტია საქართველოში არასდროს არ ყოფილა ძლიერი და გავლენიანი.

[8]) 1) ნაციონალისტ - ფედერალისტები არასდროს ძლიერი და ფესვგადგმული არ ყოფილან საქართველოში. 2) მენშევიკები 1918 წლამდე თავგამოდებით ებრძოდენ საქართველოს დამოუკიდებლობის და ავტონომიის იდეას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[9]) განხეთქილების თარიღი არ არის სწორად ნაჩვენები.

[10]) აქ ერთი მეორეში არეულია ამ.-კავ. რესპუბლიკები და ავტონომიური ერთეულები. სახელწოდება „ოლქი“ არ არის სწორი. მცხოვრებთა რაოდენობა აჭარისტანში და აფხაზეთში არ არის სწორად ნაჩვენები.

[11]) ცნობა არ არის სწორი. ციფრი გადაჭარბებულია.

[12]) საკავშირო მასშტაბით არ არსებობს განათლების და ჯანმრთელობის კომისარიატები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

		გვ.
I.	კავკასიის საღამოები	3
	იანეული	5
	ახალქალაქი	18
	ლენინაკანი	29
	ბათომი	34
	ბაქო	36
II.	დილები	47
III.	ის, რაც მოხდა	61
IV.	მიღწევანი	140
	საქართველო	164
	სომხეთი	221
	აზერბეიჯანი	240
V.	ეროვნება და თავისუფლება	255
	შენიშვნები	279

ეროვნული
ბიბლიოთეკა